

ISSN 0132-6023



# مکتب‌های

6

1979

# სესია

265

გამოცემის მეოთხე წელი

6

ი ვ ნ ი ს ი

1979

თბილისი

საბჭოთავო საზოგადოებრივი მეცნიერებათა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწიგნობართა კავშირის ორგანო



# შ ი ნ ა ა რ ს ი

- 3. მსოფლიოს მომავალი
- ხუთკუნეული**
- 5. გივი შიშინაძე — აჯღაბაჯღა. პოემა
- 10. გუგული ჭოგონიძე — მანძობის ველზე
- 14. ავთანდილ გუგუნიძე, ავთანდილ მუხომეიშვილი, გიორგი მტკრეველი, იმერი ხარაძე, ბეჟან სვანიძე — ლექსები
- 16. ზურაბ გომეზაშვილი — გოგის ბასამართლება
- 21. თამაზ ჩანტლაძე — ზღაპრები

- 29. მზია ხეთაბური — ლექსები
- 32. რამაზ მიწველაძე — ნოველები
- 64. ჯარჯი ფხოველი — ლექსები
- 68. გიორგი გოგოძე — მოთხრობები
- 78. ნოდარ ჯალალონია — ქალაქის ბაღადა?
- 81. საზა ღაბასიალი — მოთხრობები
- 97. ელიზბარ უბილაძე — ბანძეშლის ჭუჭუბი გავრძელება

## ახალი თარგმანები

- 104. თომას მანი — ბრუნო ვალტერს. გერმანულიდან თარგმნა ვლადიმერ ჯარბიძე
- 108. ედმუნდ სილარი — მწვერვალნი. თარგმნა შოთა ღარცულაიანი

## ნარკვევი

- 116. მირონ ხიზინიანი — კიდეც ერთი საზური სპეციალური

## წერილები

- 121. თეიმურაზ დონაშვილი — სტრუქტურალიზმი: PRO ET CONTRA
- 131. მანია მამაცაშვილი — რუსთაველის კოსმოლოგია
- 139. მარიამ ოძელი — ბალახტიონის ორი ლექსის ისტორიისათვის
- 141. ლამარა ნარეშვილი — ფერადი ველი
- 144. პაპუ მუხომეიშვილი — „სიჩუმე“
- 146. ელგუჯა გიუნაშვილი — თანდაყოლილი მიწის ნაღველი

## ხელოვნება

- 148. ზურაბ გვირგვინიანი — ცნობილი უცნობი
- 151. დანი ფიროსმანაშვილი — ომარ დარეშვიდი
- პირველი შთაბეჭდილება**
- 153. ზურაბ ლეჟაშვილი — თანამედროვე ლაგანი კანტონალი
- 154. გიორგი მამუტაძე — გემოვნება და ზომიერება
- 155. ნუგზარ აფხაზაძე — კეთილი საქმისთვის
- 156. დიანა წიკლაური — ნუგზარის რტო
- 158. კულუბაშვილი ცნობილების ქრონიკა

### შთავარი რედაქტორი მირიან ფოცხვიანი

სარედაქციო კოლეგია:  
 ვახუა ამირაჯიანი,  
 გურამ გვირგვინიანი,  
 გივი გვირგვინი,  
 რისმაზ გორდენიანი,  
 გიორგი გუგული,  
 ნოდარ ლეჟაძე,  
 მერაბ ელიოზიშვილი,  
 ელვარდ მენაბდე,  
 იოსებ ორბელიანი,  
 ოტია კაკაბერიანი  
 (შთ. რედაქტორის  
 მოადგილე),  
 ზურაბ ფანჯიტიძე,  
 ნუგზარ შატბერი,  
 ჯანსუღ ნარკვენი,  
 გივი ქველიანი,  
 ნუგზარ წერეთელი,  
 თამაზ წიგნაძე,  
 თარიელ პანტუჩიანი,  
 რეზო ვაიშვილი.

## მსოფლიოს მოგაპალი

ამოგავალი მზის ქვეყანაში, კერძოდ, მის დედაქალაქში, ერთი მშვენიერი წესი აქვთ: გადასასვლელთან, ქუჩის ორივე მხარეს, ბოძზე პაწია დროშები ჰქვია; ბავშვი, რომელსაც ქუჩის გადაჭრა გადაუწყვეტია, იღებს დროშას წარწერით: „ფრთხილად, იაპონიის მომავალი მოდის!“ და პაწია მედროშის დანახვაზე მანქანების მდინარე წამით მოძრაობას წყვეტს!

„ფრთხილად, მსოფლიოს მომავალი მოდის!“ — ფრიალებს პაწია დროშების ტყე მთელ ქვეყანაზე, და ყველაზე ძნელ და საშიშ გადასასვლელზე, ყველაზე საეჭვო გზაჯვარედინებზე ჩერდება მოძრაობა, რათა არაფერი დაუშვადეთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, რომელთა ბედნიერებაზე ზრუნვაც ჩვენი ცხოვრების უმთავრესი აზრია.

ყველას გვახსოვს ერთი უცხოელი კაცის ფრაზა, ჩვენი „მზიურის“ მოსმენისას ნათქვამი: მოასმენინეთ ამ გოგონების სიმღერა მსოფლიოს და აღარასოდეს იქნებათ ომი!...

განუზომელია ბავშვის ძალა!

ვიქტორ ჰიუგოს ფოტოების ერთ სერიას საინტერესო კომენტარი ახლავს. ფოტორეპორტიორმა ვერაფერი მოუხერხა თურმე „განიცხუნის“ ავტორის კუმტ და ნაღვლიან სახეს — ოცამდე ფოტოზე დიდი მწერლის სახეს კაეშნის ჩრდილი ადგას. ამდგარა მაშინ ფოტოგრაფი და „გავროშისა“ და „სიყვდილობისკილის უკანასკნელი დღის“ ავტორის წინ პაწია ბიჭი დაუყენებია, და ამ ეშმაკუნას დანახვაზე ნანატრი ღიმილით შეძრულა ჰიუგოს ბავშვ! გახსოვთ თქვენ ეს სურათი!

რამდენ მილიონ ამგვარ ღიმილს — სიყვარულის უქრობი შუქით განათებულ ღიმილს იწვევენ ეს უმანკო ანგელოსები ყოველდღე, ყოველ წამს, ყველგან!

„ყოველ მათგანში ეძინა მოცარტს“, — გულისტკივლით ამბობს ანტუან დე სენტ ეგზიუპერი, როცა ომისაგან გზაარეული ბავშვებით საესე ვაგონს აღწერს, და მკითხველიც იჯერებს, რომ ამ ჩამოწეწილ, ჭუჭყიანი ცრემლებით სახეშოთხერილ, მშვიერ-მწყურვალ პატარებში მართლაც სძინავს მოცარტს. ჩვენი ვალია, ამ მიძინებულის მოცარტებიდან გამოვიწვიოთ ის ღვთაებრივი პარმონია, რომელმაც ცივილიზებული კაცობრიობის მომავლის გზები უნდა გაანათოს.

„რუსთაველი მახსოვს ბავშვი!“ — წერს დიდი ვალაკტიონი! ჩვენი ვალია, თვალის ჩინივით გაუფრთხილდეთ ყოველ ბავშვ რუსთაველს და ყურადღება არ მოეკლოთ მას, რათა ცივილიზებულ კაცობრიობას არ დაუკარგოთ ახალი „ვეფხისტყაოსანი“.

ეს პატარა მოცარტები და რუსთაველები დღეს ბავშვთა ბავებსა და ბალებში არიან, ან კიდევ სკოლის კედლებში ეუფლებიან ცოდნას, მაგრამ ყველგან ერთი ბედი როდი ერგო მათს თანატოლებს. ვინ იცის, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში რამდენ ბავშვს აკლია მზრუნველი ხელი და ტკბილი

ალერსი, და, რაც მთავრის უმთავრესია, სახელმწიფოს ყურადღებას და  
დაც ადამიანის უფლებები ხელყოფილია, ხელყოფილია ბავშვების  
სწორედ ამიტომ, 1979 წელი ბავშვის წაღება გამოცხადებული იუნესკოს ეს  
ერთი შეხედვით პარადოქსული გადაწყვეტილება მხოლოდ იმას ნიშნავს. რომ  
1979 წელმა ჩვენი კიდევ ერთხელ უნდა დავგაფიქროს კაცობრიობის მომავალზე  
და მოგვაგონოს ის ელემენტარული ჰუმანიტარული ჰუმანიტარული, რომ 1979 წელიც  
— ბავშვთა წელია, 1980 წელიც, და ყოველი წელი და საუკუნე, რადგან სიცოცხლის  
არსებობის საფუძველი — ბავშვია!

ბავშვი — მარადიული *persona grata*! თვით სცენაზეც კი არ შეიძლება  
მისი უდიდებულესობის ხელყოფა. ხელოვნების უმკაცრესი კანონები კრძალავს  
სპექულაციას ბავშვის სახელით, ბავშვის თემით, ბავშვის უმანკო ცრემლით.  
ჩვენი შრომისა და ბრძოლის უმთავრესი აზრი — ბავშვის სამსახურია.  
სწორედ ამ სამსახურისკენ მოგვიწოდა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ცნობილ საახალწლო  
მილოცვაში, როცა კიდევ ერთხელ მოგვაგონა წლევიანდელი წლის ერთი მშვენიერი  
ლაიტმოტივი — ბავშვი!

დემოგრაფიული აფეთქებების ხმით გაყრუებულ დედაშიწაზე მაინც არის  
ქვეყნები, რომელთა ეზოებშიც ცოტა დარბის მოსაფერებელი ასაკის ბავშვი.  
რა სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს, ჩვენი რესპუბლიკა სწორედ იმით რიცხვშია.

გმირი დედა! — დედა, რომელმაც შობა და აღზარდა ათი შვილი!

ჩვენ, ხუთმილიონიანი რესპუბლიკის პატრონებს, გვენატრება საქართველო —  
გმირი დედა, რომელმაც შობა და აღზარდა ათი მილიონი შვილი! ჩვენი  
სათაყვანო მამულის ველ-მინდვრებზე, ჩვენს მთიანეთში, ჩვენს მშვენიერ  
ქალაქებში უნდა გამოუღეველად დარბოდნენ მოსაფერებელი ბავშვები —  
შვილები ბაღში... მეტი აყვანი გვინდა, მეტი ნაინა... ჩვენც გვენატრება  
დემოგრაფიული აფეთქება ჩვენს მიწაზე, რაც შეიძლება მეტი გვინდა ახალ-  
შობილის პირველი წამოტირება, რადგან ჩვენს რესპუბლიკაში, როგორც  
სტატისტიკოსები ამტკიცებენ, მხოლოდ მეექვსე შვილი ნიშნავს მატებას!..

„ხუთკუნჭულა!“ — ასე ერქმევა ამიერიდან „ცისკრის“ ახალ რუბრიკას.

„ხუთკუნჭულაში“ მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის ბავშვებისადმი ნიძღვნილი  
ნაწარმოებები დაიბეჭდება, როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი  
ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები!..

„ცისკრის“ ახალი რუბრიკა იწყებს, მეგობრებო, თავის არსებობას, და  
იწყებს იმით, რომ სულითა და გულით გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთა-  
შორისო დღეს, წელს, საუკუნეს!

ველით, მეგობრებო, თქვენს ახალ ნაწარმოებებს, რომელთა გმირები იქნებიან  
ჩვენი შვილები და მათი მეგობრები მსოფლიოს ყოველი კუნჭულიდან!

ბავშვის ღმილი ნუ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს!



ს ე თ კ უ ნ ჭ უ ლ ა



მედი ჰიბინაქა

ა ა ღ ა ბ ა ა ღ ა

ბადრიმ — ცხენი, კახამ — ზებრა,  
 ნელიმ — მტრედი, ზაზამ — კატა...  
 ენახოთ ერთი ჩვენმა ყოჩმა  
 ავთანდილმა რა დახატა.  
 — ეს რა არის! რა მხეცია  
 ამისთანა საზარელი,  
 ცხრათავა და ორმოცფეხა?! —  
 ეკითხება ზაზა ნელის.  
 — რა არის და... ყოჩი ბიჭი  
 ვერ იგონებს მხეცის სახელს, —  
 ამ ცხოველის დანახვაზე  
 ყველას შიშით აცანცანებს.  
 — ლომს არა ჰგავს!  
 — არც ვეფხვია!  
 — ნიანგია?  
 — დათვი?  
 — მგელი?  
 — ლომზე, ვეფხვზე, დათვზე, მგელზე  
 და ნიანგზეც საშინელი! —  
 ხმას იბოხებს ყოჩი ბიჭი  
 და დიდ თვალებს უფრო ქაჩავს.  
 — მაშ, დევია?  
 — ფასკუნჯია?  
 — სხვა ცხოველი რაღა დარჩა?!  
 იპ, სულაც არ მეშინია, —  
 უჩურჩულა ბადრიმ კახას:

— მე ვე მხეცი, ჩემო ძმავო,  
 სიზმარშიაც არ მინახავს.  
 — როგორ არა, ზოთპარკში  
 მოიყვანეს ტყვიდან გუშინ.  
 ლომები რომ დანახა,  
 არ ჩააგდო აინუნშიც.  
 სამი ლომი გადაყლაპა,  
 მაგრამ მაინც ვეღარ გაძდა...  
 — თუ ასეა, თქვი, რა ჰქვია?  
 — რა ჰქვია და... აჯღაბაჯღა! —  
 ის ნაჯღაბნი ყოჩმა ბიჭმა  
 დაამთავრა, როგორც იქნა.  
 „რა სახელა შეგარქვიო!“ —  
 სიამაყით გაიფიქრა.  
 — აჯღაბაჯღა! აჯღაბაჯღა! —  
 ყველა ერთხმად ახმაურდა.  
 შეკრთა ნელი, აჯღაბაჯღას  
 დანახვაც კი აღარ უნდა.  
 სხვა ბავშვებზეც აქეთ-იქით  
 გარბიან და გამორბიან.  
 ვეღარავინ ვერ გაუძლო  
 ავი მხეცის თვალის ბრიალს.  
 გადიდგულდა ყოჩი ბიჭი,  
 პირს ღიმილი დასთამაშებს:  
 — განა მარტო ლომებს ყლაპავს.  
 აჯღაბაჯღა ყლაპავს ბავშვებს.

იმოდენა თავები აქვს  
ძლიერდღივობით ზიდავს,  
დიდი ფრთები ფასკუნჯს უგავს,  
თავს დაგებსხმით ციდან.

რასაც ნახავს, ზეცაში თუ მიწაზე,  
სუყველაფერს იტაცებს.

— უუუ! მოვდივარ! — ყოჩი ბიჭი  
ბავშვებს უშვერს თავის ნახატს, —  
როგორი ვარ აჯღაბაჯღა,  
რომ შეგყლაპავთ, მაშინ ნახავთ! —  
როგორც კი თქვა,  
ის მხატვარი იმ წამს  
აჯღაბაჯღად იქცა.  
ნელის უცებ აპყვა მზიაც,  
თვალზე მიშინა ცრემლი მოსწყდა:  
— მეშინია! მეშინია!  
წამიყვანეთ დედისკოსთან!

\* \* \*

— აბა, ჩქარა, ვიდრე მხეცი  
შესაყლაპად გაგვიტაცებს,  
სკამი სკამზე შევსაკუპოთ  
და მაგიდა — მაგიდაზე!  
ჩვენს ციხე-კოშკს გალაგანც  
შემოფარტყათ ირგვლივ,  
ჭიანჭველაც ვერ შემოძვრეს შიგნით.  
გოგონები ჯერჯერობით  
მაგიდის ქვეშ შეძვრნენ.  
აჯღაბაჯღა არ გვერნოთ  
მართლაც ყოვლისშემძლე! —  
გამოიხმეს კარადიდან,  
რომ უვლიდნენ სასოებით —  
მთელი სათამაშოები:  
ცხვირფანქარა, რკოკაცუნა,  
მაიშუნი პინჩო...  
— რა ლაშქარი შეიკრიბა, ბიჭოს! —  
ვეფხვები და დათუნები,  
ძაღვები და ლომები...  
— რომელია, რომელი,  
აბა, ჩვენი მომრევი?! —  
ზაზას, ბადრის, კახაბერს,  
მზიას, თამროს თუ გელას,  
თითო-თითო თოჯინა  
უკავია სუყველას...  
იმ ყოჩ ბიჭსაც აგუულას და  
გადმოქაჩულ თვალეზიანს

დახატული აჯღაბაჯღა  
შუბლზე აუფარებია,  
თან ღრიალებს: — გადაგყლაპავთ,  
არ დაგინდობთ არცერთს!  
თქვენს ციხე-კოშკს მზის ჩასვლამდე  
ნაცარტუტად ვაქცევ!

\* \* \*

— ჰამ! ჰამ! — ცქმუტავს ფინია, —  
მეგობრებო, ნუ კრთითო!  
საქმეს ისე გავუხდო,  
ქვას ისროდეს კუდიოთ! —  
რკოკაცუნა დინჯად ამბობს,  
როდი უწევს ხმას:  
— აჯღაბაჯღავ, მოერიდე  
ჩემს ფოლადის ხმალს!  
ციხე-კოშკის გალაგანზე  
პინჩო დახტის მანჭვა-გრეხით:  
— დაჯღანულო აჯღაბაჯღავ,  
დაგათხლიშე თავზე მეხი!  
— აჯღაბაჯღავ, — ცხვირფანქარაც  
ჰყვირის, —  
გამოგფატრავ ჩემი გრძელი ცხვირით! —  
დათუნია დრუნჩაც აქ დგას ციხე-ბურჯად:  
— პატარების დაჩაგვრა  
ვინ გაბედა, ვინო?!  
მე გამიშვიო სუყველაზე წინო!

\* \* \*

— თქვე მშინარა თოჯინებო! —  
ვის დასცინით ნეტავ! —  
აღრიალდა აჯღაბაჯღა,  
კარადაზე შეხტა:  
— რომ ტრაბახობთ,  
რით ტრაბახობთ,  
რას გახდებით ჩემთან?!  
გადაგყლაპავთ, გადაგსანსლავთ,  
ყველას, ყველას ერთად! —  
ლევგა ფრთების ტყლაშუნით  
ქვევით ჩამოიქროლა,  
პინჩოს ბრჭყალი ჩაავლო  
და ხუთ მეტრზე ისროლა.  
ჭანგი გაპკრა  
რკოკაცუნას პაწიას  
და საწყალი ნამცეცხებად აქცია.  
გამოუდგა ცხვირფანქარას,  
დიდხანს სდია, სდია.  
— შენ აპირებ ჩემს გაფატვრას?

— დიას! დიას! დიას! —  
და სანამდე დაიჭერდა,  
იმ ბოროტ მხეცს უცებ.  
დაეწია ფინია და  
დაეკიდა კულზე.  
ცხვირფანქარამ თავს უშველა,  
გვერდზე გახტა სწრაფად.  
ხახამშრალი აჯღაბაჯღა  
ნერწყვსაც ვეღარ ყლაპავს.  
— ჰეი! ფინო! აბა, ფინო!  
აჯღაბაჯღამ ზეცისკენ არ გაგაფრინოს!  
— მოიკრიბე ძალა კიდევ,  
კუდი ძირში წააკნინე! —  
მაგრამ კუდი აჯღაბაჯღას  
ვეშაპივით დიდი აქვს,  
იმ ფუმფულა კულზე ფინო.  
ტკიპასავით ჰკილია.  
ავი მხეცი იგრინება,  
თვალეებს კუსავს ავად:  
— ფინო ძაღლს ნუ შეაწუხებთ  
კულს მოვიკვნიტ თავად! —  
ბანჯგელიანი თავ-კისერი  
ხორთუმით წაიგრძელა  
და ის კუდი ძაღლიანად  
მოიკვნიტა გაიძვერა.  
— ამისთანა უშინ რამე  
დასანანად არ ღირსო.  
ფაფუ, ჩემი კუდი და  
ფაფუ, თქვენი ძაღლიცო!  
თუ არ გინდათ ახლა ყველა  
ფინოსავით გადაგყლაპოთ,  
გულისყურით მომისმინეთ,  
რასაც ვამბობ:  
— როგორც ხედავთ, ვერ დამჯაბნით  
ღონით, ჭკუა-გონებით.  
ჰოდა, დროა ზავი დაედოთ,  
გახდეთ ჩემი მონები!  
გულმოწყალე ბატონი ვარ,  
ბევრს არას გთხოვთ პატარებს;  
კამფეტები მომართვით და  
აჩიკუდით მატარეთ.  
— კი ბატონო, თანახმა ვართ! —  
დაიხავლა მელაკუდამ, —  
სუყველაფერს შეგისრულებთ,  
ამას კითხვაც აღარ უნდა!  
აკი ფნახეთ, რაც იწყენია  
რკოკაცუნამ, ფინო ძაღლმა.  
პინჩომ თავი დაუქნია,

მელას უხმოდ დაეთანხმა.  
სხვა მშვიშარა თოჯინებით  
ხელებს სწვევენ მორჩილებით:  
— სჯობს, ჩვენს ბატონ აჯღაბაჯღას  
ვემსახუროთ მოთმინებით!

\* \* \*

შოკოლადი, მარმელადი,  
ფისო-ფისო, ნუგა...  
ჩვენს დიდ ბატონს ძლიერ უყვარს  
და მივართვით უხვად! —  
მიუტანენ, ის კი მაინც  
წარამარა გაჰყვირის,  
ხან: — კომპოტი!  
ხან: — კისელი!  
— ლიმონათი!  
— ნაყინი!  
მელია და მაიმუნი  
თავზე დაჰფოფინებენ:  
— ა, ბატონო!  
— კი, ბატონო!  
— მადა გაქვთ და...  
— ინებეთ!  
ბოლოს ბრძანებს აჯღაბაჯღა,  
გაბღენძილი დიდად:  
— უკვე გავძეს, ახლა მხოლოდ  
აჩიკუდა მინდა!

\* \* \*

უცებ ლომი აღრილდა,  
შეძრა მთელი დედამიწა:  
— კაცი რაღა კაცი არის,  
თუ ყურმოჭრილ მონად იქცა!  
— მართალია! — ცხვირფანქარაც  
გაჰყვირის და ავ მხეცს ლანძღავს:  
— დაგვაცადე, გაიძვერავე,  
შე, მახინჯო აჯღაბაჯღავე!  
ვერაფრით ვერ დაიმონებ  
ჩვენისთანა კაცებს.  
რკოკაცუნას დაეწებებთ,  
კვლავ მეომრად ვაქცევთ.  
ვეფხვმა ბრძანა: — ჩვენ არ ვუსმენთ  
მელიებს და მაიმუნებს,  
აჯღაბაჯღას რომ გაეფატრავთ,  
ფინო ძაღლსაც დაეზრუნებთ.  
დათუნია: — ციხე-კოშკში  
როდი ჩავიკეტებით,  
ჩვენც თქვენთან ვართ

ტორებით და კეტებით! —  
და ლომებიც აბუხუნდნენ:  
— მეგობრებო, რას ახანებთ,  
მოგვასხედით სწრაფად ზურგზე,  
რამებოვით გაგვაქანეთ!

\* \* \*

ამ ბრძოლის დროს გაგონილა  
უქმად მტვერში გდება?!  
რა ჰქნას ციცქნა რკოკაცუნამ,  
ფეხზე ვეღარ დგება.  
— აბა, აბი!  
— ბიტნის წვეთი!  
— კიდევ რამე გნებავთ? —  
ვერაფერი მოუხერხეს  
მოწყალების დებმა.  
თავი — ცალკე, ხელი — ცალკე,  
ფეხი ცალკე რჩება.  
ამისთანა ავადმყოფი  
ხის წებოთი რჩება!  
სად იყო და სად არა,  
ნელი განდა პატარა.  
უცინოდა თვალები,  
უკვე გამოედარა.  
მოიტანა ხელონითი  
პაწაწინა ბოთლი:  
— ხის წებოთი მორჩებაო,  
ხომ ვთქვი!  
აბა, მალე, მალე,  
ყველა მომეხმარეთ.  
საწუხარი რა გჭირთ,  
შველა უნდა დაჭირილს!  
— ეს რა თქვაო! — გონს მოეგნენ  
მოწყალების დები უცებ,  
მიაწებეს თავი კისერს,  
ხელი — მხარს და ფეხი — მუცელს.  
და როდესაც, როგორც იქნა,  
თვალი ჭყიტა:  
— გმადლობთ დიდად! —  
ორჯერა თქვა რკოკაცუნა პაწიამ,  
მხარზე თოფი გადაიგდო,  
კვლავ საომრად ვასწია.

\* \* \*

საშიშია აჯღაბაჯღა,  
რაც მართალი, მართალია!  
განა ერთი, განა ორი,  
განა სამი,

ცხრა თავი აქვს!  
იმ ცხრა თავზე განა ერთი,  
განა ორი, ცხრა პირი აქვს —  
ცხრა ნაპრალი დაღებული,  
უჰ, ნამდვილი ვამპირია!  
მაგრამ ჩვენ იმ ვამპირისა  
სულაც არ გვეშინია.  
დღესვე უნდა დავამარცხოთ,  
გამოვიხსნათ ფინია! —  
ლომს მოახტა ცხვირფანქარა,  
რკოკაცუნაც ამხედრდა.  
დრუნა დათვმა ჭრელი ზებრა  
დაამსგავსა სახედარს.

— აჯღაბაჯღა დაჯღანული  
გაგაძევოთ აქედან!  
აჯღაბაჯღას შემოეკრა,  
შუბლზე შავი არშია:  
— მოდის ჯარი, ჯარია თუ  
ცას ღრუბელი აშლია?!  
განა ერთი, განა ორი,  
განა სამი ბავშვია!  
ბავშვებს მოჰყავთ თოჯინებიც,  
ნეტაე საქმე რაშია?!  
— რაშია და, აჯღაბაჯღა,  
ძალა ერთობაშია!

\* \* \*

— ჯარს ვინა ჰყავს წინამძღოლი?  
— რკოკაცუნა ტანია!  
მზის ჩასვლამდე აჯღაბაჯღას  
ცხრა თავს ერთად წასჭრიან.  
იზგვლივ ალყად შემოერთყენენ,  
სულ რომ წრეში ჰყოლოდათ,  
ზოგი თავთან დატრიალდა,  
ზოგმა დასცხო ბოლოდან.  
ხმლებიც დაჭკრეს ტანზე, მაგრამ  
მხოლოდ კანი აქერცლეს.  
გაბოროტდა აჯღაბაჯღა,  
ჰყრის თვალიდან ნაპერწკლებს.  
— ხახა! ხახა! — საპასუხოდ  
ისმის მისი ხარხარი:  
— რას გახდებით თოჯინებო,  
მაგ ნამცვეცა ფარ-ხმალით! —  
ივრინება, ტრიალებს,  
როგორც გველი მგუდავი,  
თან მთელი ხმით ღრიალებს:  
— მე ვარ სულთამსუთავი!  
აბა, რაღას დამაკლებთ,

უკვდავი ვარ, უკვდავი! —  
 გადმოუხტა რკოკაცუნა  
 და შესძახა ვაგვაცურად:  
 — არა, შენი უკვდავების  
 არ გვჯერა! —  
 შუბლში შუბი აძგერა.  
 — აი, მე ვარ უკვდავი,  
 შემომხედე ერთი,  
 წელან აკი მოშკალი,  
 კვლავ აღვსდები მკვდრებით! —  
 რკოკაცუნას აჯღაბაჯღამ  
 ცალი თვალით ასედა და  
 სახტად დარჩა:  
 — ეს ყოფილა, რაც ყოფილა,  
 უკვდავიც და მგუდავიც! —  
 და მიმართა მუდართით:  
 — დამეხსენით ციკქა ბიჭო,  
 აღარაფერს არ გერჩით.  
 ნულარა მცემთ მაგ თქვენს მახვილს  
 ხან თავში და ხან ფერდში.  
 მონად იქით დაგიდგებით,  
 სულ გაამებთ პატარებს,  
 კამფეტებსაც დაგირიგებთ  
 და ზურგიტაც გატარებთ!  
 — რას ბრძანებო? — რკოკაცუნამ, —  
 კიდევ გნებავთ გაგვაცურო?  
 დადგა შენი აღსასრული  
 აჯღაბაჯღავ, გაბაწრულო! —  
 დრუნჩა დათვმაც დაიქუხა:  
 — არც ჩვენ გვჯერა, არაო!  
 რაც გვაწვალე გაიძვერაგ,  
 ჩვენთვის ისიც კმარაო! —  
 ზებრამ გაპკრა ტლინკები:  
 — ესეც აჯღაბაჯღასო!  
 რას უჯერებთ მაგასო?! —  
 ცხვირფანქარაც როდი გახლდათ  
 თსაი გამოუცდელი,  
 წვეტა ცხვირით ზედ მიხატა,  
 გამოფატრა მუცელი.

ფინო ძაღლიც სტომამქმი  
 სწორედ ამ წუთს უცდიდა.  
 — სკუპ! — ამოხტა მუცლიდან  
 და ისეთი შეუყვფა  
 უკვდავ-მგუდავ-სულთამსუთავს,  
 რომ ეს მხეცი აჯღაბაჯღა,  
 როგორც ცარიელი გუდა,  
 ფარფატ-ფარფატ ძირს დაეცა,  
 ჩაიფუშა, დაიჩუტა.  
 გახტა ჩვეულებრივი  
 ფარატინა ქაღალდი,  
 ყორი ბიჭის აჯღაბაჯღა  
 ნახატო...

\* \* \*

რკოკაცუნამ მოიხმო და  
 უცებ განდა საშლელი,  
 გაახარა ბავშვები.  
 რასან საქმე ნახა,  
 დაეტაკა ნახატს  
 და იმდენი შალა,  
 გაილია სულმთლად.  
 ის ქაღალდი გახდა  
 ფანტელიგით სუფთა,  
 ზედ ჰკვიანი ცხვირფანქარა  
 შეხტა თავის ლომით  
 და ლამაზად მიაწერა:  
 „დამთავრდაო რმი!“

\* \* \*

ყორი ბიჭს იცით რა უქნია?  
 გაუღია ფანჯარა,  
 გადამხტარა, გაქცეულა,  
 ხის ქვეშ მარტო დამჯდარა.  
 დამარცხებულს, დამორცხებულს  
 და ბრძოლებით დაქანცულს  
 თავის ნაცნობ-მეგობრებში  
 გამოჩინავ აღარ სურს.



## გუგუღი ტომონიკა

### გარიბაჯის ველზე

მიშპარი ამოვიდა თუ არა, ანკილინ ყვავილიდან ერთიბეწო, ვარდისფერი გოგუცანა გამოცქრილდა და ფურცელზე ჩამოსკუპდა.

წყნარი საღამო იდგა. ვერცხლისფერი მოსდებოდა მაჩიტების ველს. ირგვლივ ყველაფერი ღამაში იყო. ვარდ-ფურცელა გოგუნას ანაზღად რაღაც თბილი სევდა მოეძალა. ვერ მოისვენა, ფურცელიდან ფურცელზე გადავიდა. ყვავილ-ყვავილ დაიწყო ბორიალი. დაეძებდა რაღაც გაუგებარსა და გამოუცნობს, სულს რომ უშფოთებდა. სულ ქვედა ტოტზე რომ ჩამოვიდა, ხმა შემოესმა, ერთმანეთზე თავმიდებულო ბაბუაწვერას ფაფუკი ბუსუსები ჩურჩულებდნენ.

— მუდამ ასე ერთად ვიქნებით...

— ერთმანეთს ვერაფერი დაგვაცილებს...

— ვერ დაგვაცილებს...

— რამ უნდა დაგვფანტოს?!

ვარდფურცელამ უსმინა მათ, უსმინა და აღტაცებით წამოიძახა:

— რა კარგები ხართ!

— დიახაც! — თავმოწონედ მოიღერა ყელი ბაბუაწვერამ, — შენ კი რადა ხარ მარტო, განა მეგობრები არა გყავს? ვარდფურცელა ახლად მიხვდა, რატომ ვერ უჩერდებოდა გული ერთ ადგილზე.

— ერთი... ორი... სამი... ოთხი... — დაიწყო თვლა.

— რას ითვლი? — ჰკითხა ბაბუაწვერამ.

— დროს... უპ, რამდენი ხანი გავიდა, რაც ჩემი მეგობარი ნიაბიჭუნა არ მიწახავს.

— ეგ როგორ შეიძლება? — გაკვირვა ბაბუაწვერამ, — დღეები დასათვლელი გაგხდომია.

— არა, წამებსა და საათებს ვითვლი. დილით ვნახე, მაგრამ... ასე მგონია, დიდი, ძალიან დიდი დრო გავიდა. რომ იცოდეთ, როგორ მომენატრა!

— მოგენატრა? ჩვენ სულ ერთად ვართ, რა არის მონატრება, არც კი ვიცი!

— რა არის და... გინდა დაინახო, თვალი შეავლო. ეს სურვილი ისე ძლიერია, რომ დარდი და ნაღველი დაგრევეს ხელს. ხშირად უხმოდ ვეძახი ნიაბიჭუნას, რატომღაც მჯერა, უსათუოდ გაიგონებს და მოფრინდება. აი, ახლაც ველი...

მოლოდინმა ისე ააფორიაქა პაწაწა გოგუცანა, რომ არც ყვავილის მტვრით დაუბურება თავი, არც ნამით ჩაუსველებია ყელი. ყველა სხვა სურვილი გაუქრა, მხოლოდ ერთი სურვილი დაწინაურებულიყო, ნიაბიჭუნას მალე ნახვის სურვილი.

— ნეტავ, მასაც თუ ვახსოვარ? — დაუსხლტა უნებლიეთ ხმამალა ნაფიქრი.

— ეგრე რომ იყოს, აქამდე ხომ ვნახავდა? — ჩაიციხა ბაბუაწვევრამ.

ჭირჭილმა თითქოს წელში გაწყვიტა ვარდფურცელა.

— სულ ჩემთვის ხომ არ მოიცილის, სხვა ველებსაც ხომ უნდა ეწვიოს?

— ჰი... ჰი... ჰი — ჩაიხიხიხითა კვლავ ბაბუაწვევრამ და თავი ამაყად შეარხია:

— ყოველ წუთს ასე ვიქნებით ერთად, გვერდივევრად.

— ერთმანეთს არ დავცილდებით.

გუნებაამღვრეული ვარდფურცელა ზევით აუყვია ასკილის ტოტებს. თავისი ბინა მონახა და ყვავილის ფურცელზე ჩამოჯდა. მოგონებები, ნიავებიჭუნასთან გატარებულ დღეებზე დაქენძილი ნისლივით ამოძრავდა. ხანდახან გაიფანტებოდა და ხან აქ, ხან იქ, ამწვანებულ კორდივით ამოცურდებოდა.

ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ, ხელი-ხელჩაყიდებული თამაშობდა მაჩიტების ველზე ნიავებიჭუნასთან ერთად. მათ კისკისზე ყვავილებიდან გოგუცანები და ბიჭუკელები გადმოდიოდნენ და მხიარულობდნენ: დამალობანას, დაჭერობანას თამაშობდნენ... და ბედნიერებისაგან გაბრუებულები ფრენდნენ კიდეც.

ზეციდან სიხარულისა და ღიმილის კაცუნები დაეშვებოდნენ და ყვავილე-ბით მოფარდაგებულ ველზე ფერხულს უფლიდნენ:

ვარდფურცელას ბედნიერებისაგან სახე უბრწყინავდა, მაგრამ გაახსენდებოდა თუ არა, რომ ნიავებიჭუნა უნდა გაფრენილიყო, სახეზე ჩრდილი გადურბენდა.

— ხომ ყოველთვის მოხვალ? — მალიმალ ჰკითხავდა.

ნიავებიჭუნა ხშირად პასუხსაც არ აძლევდა, მხოლოდ კეთილად, წყნარად გაიღიმიებდა. სათქმელს ფიქრად იტოვებდა... სურდა, როგორ არ სურდა ხშირად, ძალიან ხშირად მოსულიყო მაჩიტების ველზე, მაგრამ სხვაც ბევრი მინდორი ჰქონდა შემოსაფრენი... ეძნელებოდა თუ არა მაჩიტების ველიდან წასვლა, ვერ შეატყობდით, მაგრამ თვა-

ლებში მიმალულ სევდას აუცილებლად შეამჩნევდით.

„ერთი... ორი... სამი... ხედავ, უჩემოდ რამდენ ხანს გასძელი?“ — უხმოდ ეუბნებოდა ვარდფურცელა.

ნიავებიჭუნაც უსიტყვოდ, ღიმილით პასუხობდა:

„მოუსკვლევლობა ყოველთვის არ ნიშნავს, რომ არ მენატრები“...

„ალბათ, მალე წახვალ... მიხდგრებს მიმოიფრენ, ხომ არ დაგავიწყდება მაჩიტების ველი? როდის მნახავ? მითხარი... ხედავ, არც კი შეუბნები... სულ მე გემუდარები“...

„მართლა რომ მეხვეწებოდე, არც მოვიდოდი!“

„თუ ოდესმე ერთმანეთს რაიმე ვაწყენინეთ და აღარ მოხვედი, მე მოგძებნი. დამალობანას თამაშს თუ დამიწყებ, მაინც გიპოვი...“

„მე თუ არ მენდომება, ვერ მნახავ“...

„იპ, რა საოცრებას ამბობ! არა. ეს არ მოხდება. მითხარი, ხომ არ მოხდება?“

„არა...“

„ახლა ისიც მითხარი, კვლავ როდის მოფრინდები?“

„მოსკვლით მოვალ... რაიმე ხომ არ გსურს მოგიტანო?!“

„არაფერი, სულ არაფერი... მხოლოდ მალე მოდი, ნუ დაიგვიანებ!“

არავინ იცოდა, სად იმყოფებოდა ნიავებიჭუნა. მისი გამოჩენაც იდუმალე-ბით იყო სავსე. ვარდფურცელა ყვავილის ფურცელზე ჩამოჯდებოდა და მოგონებებით გაბრუებულს, გული მოლოდინით ეწურებოდა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ნიავებიჭუნას დაავიწყდა მაჩიტების ველი და წამწამებზე ცრემლი მიივებოდა ეკიდებოდა.

„არა, ეს შეუძლებელია!“ — გაიმხნე-ვებდა თავს. მერე ერთბაშად ფეხზე წამოვარდებოდა და სივრცეში გასძახებდა:

**გუაგული გოგონიაა**  
მაჩიტების ველზე

— ეპე, ჰეო, ნიაგბიჭუნაე!  
მიწაზე გართმული ბაბუაწვერა თავს  
შემოაბრუნებდა და დამრიგებლურად  
ეტყოლა:

— სულ შენ რომ უხმობ, აბა, ერ-  
თხელ სინჯე, ნუ დაუძახებ. თავისით  
მოვა?!

„რატომ ჩამძახის ასე ბაბუაწვერა.  
იქნებ მართლა ვაძალებ ნიაგბიჭუნას  
მაჩიტების ველზე მოსვლას?“ — ამ  
ფიქრმა მგელივით ჯერ გარეგარე დაი-  
წყო ძნძნული, მერე ეპვი მელასავით  
გულში შემოებარა და ალივით ავარდა,  
აბურბურდა...

და აი, ერთ დღეს ნიაგბიჭუნა მაჩი-  
ტების ველს ეწვია.

— ვარდფურცელაე! — შესძახა ასკი-  
ლის ყვავილზე ჩამომჯდარ გოგუცანას,  
— მოვედი...

ვარდფურცელა ამ დროს ყვავილე-  
ბის წვენისაგან გამზადებულ მათრობე-  
ლა ნექტარს სრუტავდა.

ნიაგბიჭუნას გამოჩენამ თვალები  
აუციმციმა.

ანაზღად ბაბუაწვერას ნათქვამი გაახ-  
სენდა, „აბა, ერთხელ სინჯე, ნუ დაუ-  
ძახებ...“ ისევ აბურბურდა ეპვი და გო-  
გუცანა ნიაგბიჭუნას დანახვაზე არც კი  
განძრეულა. უჩვეულოდ დაეწაა ნექ-  
ტარს და ზომაზე მეტი შესვა. ნექტარმა  
უცებ გააბრუა. ავალეები აუჭრელდა...

სიფხიზლე მოედუნდა, ნელ-ნელა და-  
პატარავდა, ჭიამაიასოდენა გახდა და  
ვარდფურცელამ მისთვის არსაკადრისი  
მოიგუნება:

— ტყუილად წუხდებით... არავის  
ინტერესებს თქვენი მოსვლა! — უთხ-  
რა ნიაგბიჭუნას.

მოულოდნელობისაგან ნიაგბიჭუნა  
გაოცდა. შუბლი მოისრისა. გუმანითაც  
კი ვერ მიხვდა, რომ ვარდფურცელა  
ცრუობდა და ყველაფერს ამას იმი-  
ტომ ამბობდა, რომ ბაბუაწვერამ გაა-  
ხელა...

— რამდენ ველზე მიფრენია და ჩემ-  
თვის ეს ჯერ არავის უკადრებია! — წა-  
რბი აზღა ნიაგბიჭუნამ.

— უფრო მეტიც... არასოდეს მსურს  
ვებია შენთან მეგობრობა!

— მაშ რაღად მიხმობდი?! — ახლა კი  
განრისხდა ნიაგბიჭუნა.

„რა მალე დაიჯერა!“ — გაიფიქრა ვა-  
რდფურცელამ და თვალბში ნაღველი  
ჩაუდგა. ისევ ბაბუაწვერას სიტყვები  
ჩაესმა ყურში და კიდეც უფრო ეწყინა,  
რომ ნიაგბიჭუნამ მისი ნათქვამი ირ-  
წმუნა.

მოულოდნელად წყენა მთისოდენა  
გახდა, ზვავივით მოასკდა გულს და ბა-  
გეს ქარისგან მოგლვკილ, უმწაუარ ნა-  
ყოფივით მოსწყდა:

— ჩურჩული!

„ოპო, ესეც გამიბედა!“ — გაიფიქრა  
ნიაგბიჭუნამ და დაოკებული მრისხანე-  
ბით თქვა:

— გავიწყდება, რომ მე ქარისა და  
გრიგალის შვილი ვარ... დღეიდან მაჩი-  
ტების ველზე აღარასოდეს მოვალ.

ვარდფურცელას ფიქრსა თუ ოცნე-  
ბაში ყველაფერი სხვაგვარად ჰქონდა  
წარმოდგენილი. ეგონა, ნიაგბიჭუნა გუ-  
ნებაშეცვლის მიზეზს ჰკითხავდა... აუხ-  
სნიდა... დაუყვავებდა. გულის წასვლამ-  
დე ეპვით გათანგულს, ერთი ბეწო  
აღერსიც დააცხრობდა. მაგრამ სულ  
სხვაგვარად მოხდა...

ნექტარისაგან გაბრუებული ვარდ-  
ფურცელა ერთბაშად გამოფხიზლდა.

— რა თქვი?! — შეამტერდა ნიაგბი-  
ჭუნას.

— დღეიდან მაჩიტების ველზე ვეღარ  
მიხილავ...

— ვეღარ? — შეშფოთდა გოგუცანა,  
არა, ნუ... ვიცრუე... ნუთუ მართლა  
დაიჯერე, რაც გითხარი?

— თქვი და დავიჯერე!

— გეფიცები, ვიცრუე...

— არა, შენ ის თქვი, რასაც ფიქრობ-  
დი... ნათქვამი მართალი იყო და დავი-  
ჯერე, — გაჯიუტდა ნიაგბიჭუნა.

რა უნდა ექნა ვარდფურცელას, რით  
უნდა დაემტკიცებინა, რომ იცრუა? სა-  
ქციელი წაუხდა. ხომ არის ზოგჯერ,  
ძალიან მართალი რომ მტყუნას ჰგავს?  
ერთიღა დარჩენოდა, იქნებ მუდარას

გაეჭრა და ნიაგბიჭუნას სიკერზე დაეცხრო. ამ სურვილის წინაშე სიამაყე უკვე სულსა დაფავდა, თანაც ვარდფურცელა ხომ პაწაწა გოგუცანა იყო, ბავშვებმა კი ყოველთვის ასე იციან, იმას ამბობენ, რასაც ფიქრობენ. ჰოდა, ტუჩებგაბუსხულმა წამწამები ააფახულა და ნიაგბიჭუნას უთხრა: გემუდარები, ნუ გაფრინდები... უშენობა გამიჭირდება. სიცხეც შემაწოხებს, მალე, სულ მალე დავეკნები... საათებს ვითვლიდი... ახლა კი სულაც აღარ მოხვალ...

— შენ არ შეგაწოხებს ჩემი მოუწველობა, — და გაკერპებულმა ნიაგბიჭუნამ ფრთები ასაფრენად აწიდა. ისევ თავაწყვეტით აიჭნია, რომ ჰაერი მშუილით გააპო და ნიაგი დააყენა.

ნიაგის შემობერვანზე ყელმოიდერე-

ბულ ბაბუაწვევრას ფაფუკი ბუსუსება წამსვე აჭეთ-იჭეთ გაიფანტა.

ვარდფურცელამ გაფანტულ ბაბუაწვევრას თვალი რომ შეასწრო, კიდევ უფრო შემფოთდა.

შემფოთდა ისე, რომ ერთბეწო სიხარულიც კი არ დარჩა გულში...

სწრაფად, ძალიან სწრაფად აწრიალდნენ მგონებები...

ყურში ბაბუაწვევრას ხმა ჩაესმა თითქოს...

„მუდამ ასე ვიქნებით ერთად“...

„ერთმანეთს ვერაფერი დაგვაცილებს“...

„რამ უნდა დაგვფანტოს?!“...

ჰაერში მიფრიალებდნენ ნიაგისაგან გაფანტული ბაბუაწვევრები...



## კვთიანდილ გურგენიძე

### სამანელა

აბა, დელი-დელი, დელა...  
აქეთ მაკა,  
იქეთ — ლელა...  
გაქანდი და  
გამოქანდი, —  
ესეც შენი საქანელა.

## კვთიანდილ მებრელიშვილი

### საგაზაფხულო

მზეს ესალმება მთა-ბარი,  
ტკბილად გალობენ ჩიტები.  
ბუნებამ გამოიღვიძა,  
თვალებს ასეღენ კვირტები,

გაშლილან იასამნები,  
ალუბლები და ტიტები...  
მამულო, საგაზაფხულოდ  
ო, რა საყვარლად ირთვები!

### „მ ა ი ს ა“

მაისში გაჩნდა ბოროლა,  
მამამ დაარქვა „მაისა“,  
ორ დღეში იწყო კუნტრუში  
და ეზო გაახალისა.

ბებიამ მითხრა: — გაისად  
ტანი ექნება ხარისა!..  
მე კი მსურს ასე პატარა  
იყოს წელსა და გაისად!

### აგარაკში

პაპანება ზაფხულია,  
გზაზე ავტო მისრიალებს,  
აგარაკზე მიაქროლებს  
ბავშვებს თვალგებშირინებს...

წკრილა ხმით რომ მღერიან,  
ეკაა და ბაკურია  
უხარიათ, წელს პირველად  
უწვევიან ბაკურიანს.

### უცნობი ბავი

უცნობ ბებოს დავემგზავრეთ,  
მძიმე ტვირთი წელში ხრიდა,  
მივესალმეთ და კალათა  
ჩამოვართვით სწრაფად მხრიდან.

სოფლის გადასახვევამდე  
მივაცილეთ მე და ნანამ,  
ისე კარგი ბებო იყო  
განშორება დაგვენანა.

---

**თინიკო**

— სად მიდიხარ, თინიკო,  
მაგ პატარა ჭინჭილით?  
— უნდა მოვრწყო ბაღჩაში  
პამიდორის ჩითილი.

**მიპატიჟება**

დუმელთან რომ დასკუპულხარ,  
საყვარელო ჩემო დაო,  
არ სჯობია გამოხვიდე  
და ეზოში ვიგუნდაოთ?!

**იმერი ხარაქე**

---

**მონსუბარი ფისო**

ფისომ ცუგას თათი წაჰკრა,  
დაარღვია ზავი...  
ისევ თვითონ დაზარალდა —  
გაუტეხეს თავი...

**ბუქან სვანიძე**

---

**სამართველოს სიყვარული**

საჭე მარჯვედ ჩაუბლუჯავს,  
დააქროლებს ტრაქტორს ბესა,  
სანამ მზე თვალს არ დახუჭავს,  
მინდორშია, ხნავს და თესავს.  
სამკალს, სათიბს მკის და თიბავს,  
მუდამ ცელს და ნამგალს ლესავს,

თავს ველებს იალალებს,  
ჯოგს ამრავლებს, ფარებს მწყემსავს,  
ვაზს შვილივით ეფერება,  
ასათუთებს, ფურჩნის, უვლის...  
აი სწორედ ამას ჰქვია,  
საქართველოს სიყვარული.





ზურაბ გომეზაშვილი

გოგის განსამართლება

(ზეპარი)

ბავშვებო, ამბავი, ახლა რომ მოგიყვებით, მოგონილი არ გეგონოთ. მოგონილ ამბებს ხშირად ტყუილის სუნი ასდის, ტყუილის თქმა კი, აბა, რა საკადრისია!

ეს ამბავი თავგადასავალია იმ პატარა, ანცი ბიჭისა, სახელად გოგი რომ ერქვა.

შუა აგვისტოში, როდესაც გოგი შვიდი წლის შესრულდა, დედამ სასკოლო ჩანთა უყიდა, ჩანთაში ნაირნახატებიანი ახალთახალი „დედა ენა“, გვერდები-ჩამოხაზული რვეულები, სახაზავი, ფანქრები, კალამ-კალმისტარი და სათლელი ჩხირები ჩაულაგა, მოსწავლის ფორმა უყიდა და პირველი სექტემბრის დილას დიდი ზარ-ზეიმით წაიყვანა სკოლაში.

გოგის ძალიან მოეწონა სკოლა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გაიბუტა, ინდაურივით გაიფხორა, ატირდა და თქვა, სკოლაში აღარ წავალო. არ იკითხავთ, რატომ? თურმე ვაკეეთილზე სახლიდან წაღებულ ყურძნის მტევანს ჩიტივით დაუწყო კენკვა, მასწავლებელმა შეამჩნია და შენიშვნა მისცა.

ეწყინა გოგის, სახლში როცა მიინდა, მაშინ ვჰამ, აქ კი რაღად მიშლიანო? ეწყინა და გადაწყვიტა, აღარ წასულიყო სკოლაში.

ბევრს ეხვეწნენ მშობლები, და დამეებ, ბევრ სათამაშოს დაჰპირდნენ, მაგრამ ვერ იქნა და, ვერ დაიყოლიეს

თანება ბიჭი. როდესაც დარიგებას მორჩებოდნენ, ის ჩუმად გაიპარებოდა ეზოში, სადაც ვოლიერებში ქათმები და კურდღლები ჰყავდათ დამწყვედუილი, გაჭირვებით თვითონაც შიგ შეძვრებოდა და არაფრის გულისათვის იქიდან აღარ გამოდიოდა.

ქათმები კი, ოთო, ქათმები ერთ ალაქოთს ასტეხდნენ და იღვა გნიასი:

— კაა, კა, კა, კა. კაა!  
— კოო, კო, კო, კოო, კო!

ხატულა ფრთებს ერთმანეთს უხათქუნებდნენ. ზოგი გალიის კართან გასაქცევს ეძებდა, ზოგი გალიის ბოლოში იმალებოდა. გულადი მამლაყინწები ფრთა-ფრთას შემოჰკრავდნენ, ჭანდარაზე შეხტებოდნენ, კისერს წაიგრძელებდნენ და შემოსძახებდნენ:

— ეს ვინ შემოვიდა, ყი-ყლი-ყოო?!  
დედლები და ვარიკები კუტკუტით პასუხობდნენ:

— კო-კო, კო-კო, ცელქი გოგი, ცელქი გოგი!

ბატები სსსიჩუმეო, აჩუმებდნენ ყველას და მოითხოვდნენ, გოგი საქათმიდან გაეგდოთ:

— გა, გა, გა, სსს-სს, სსს-სს, გვაგავაგადოთ, სს, სსს...

გოგი ყურადღებას არ აქცევდა მათ ალაქოთს, ვოლიერში თამაშად დაბრძანდებოდა და სადაც შეიძლება და არ შეიძლება, ყველგან აფათურებდა ხე-



ლებს. როდესაც დაიღლებოდა, იქიდან გამოვიდოდა და ახლა კურდღლებს მიაკითხავდა.

ყურბანტურა, ცანცარა კურდღლები შიშით ჯერ აქეთ-იქით გაიქც-გამოიქცეოდნენ, შემდეგ კი გასაძრომა რომ ვერ ნახავდნენ, გაინაბებოდნენ და მორჩილად იტანდნენ ცელქი ბიჭის ოინებს.

საქათმის მკვიდრნი ძალიან გაბეზრდნენ, მაგრამ ითმენდნენ, გაიზრდება, დაკვიანდება და თავს დაგვანებებსო... ერთხელ კი გოგამ ისეთი რამ ჩაიდინა, მთელი საქათმე ფეხზე დადგა: 'სკოლიდან აღრე დაბრუნებულს, შინ არავინ დახვდა, გოგამ მისვლისთანავე ჩანთა ეზოში, ხის ძირას მიაგდო, საქათმისაკენ წავიდა, კარი გააღო და მოსწავლის ფორმითა და წითელი ყელსახვევით საქათმეში შეძვრა.

ქათმებმა ქოთქოთი ატეხეს, მამლა-ყინწები განზე გადგნენ, ვარიკები მამლაყინწებს ამოეფარნენ და დაიწყეს ლოდინი, აინტერესებდათ, რას ჩაიდენდა ანცი ბიჭუნა; დედლები ბატებთან მისულიყვნენ და რალაჯზე გულმოსულები კაკანებდნენ, ბატები ამშვიდებდნენ, აწყნარებდნენ, სსს, სს-ო, — მაგრამ ვის ესმოდა მათი.

გოგამ მიიხეღ-მოიხედა, ჯერ ერთი მამლაყინწა მოითრია ბიბილოთი, კინალამ აფხრიწა თავხერხი, შემდეგ მეორეს სწვდა ბოლოში და ნამგალივით მოლუნული ბუბმული ააბდღენა. მამლაყინწებმა იუკადრისეს ასეთი უდიერი მოპყრობა და გოგის რამდენჯერმე ჩაუნისკარტეს, მაგრამ ამით ვერ შეაშინეს.

როდესაც მამლაყინწების წვალემა მოსწყინდა, კვერცხისმდეებელ დედლებს დაერია და მათი მიბაძვით დაიწყო კრიახი:

„კო, კო, კო, კოო, კო, კო!  
კაკო კო, კოო, კაკო!“

დედლებმა იწყინეს დაცინვა და ერთხმად გადაწყვიტეს, გოგისთვის კვერცხი აღარ დაედოთ.

გოგამ მალე იმათაც თავი მიანება და ის იყო ვარიკებისკენ გასწია, რომ საქათმის ბოლოში ცისფრად შეღებილი

ყუთიდან ამოფრთხილდა უშველვედრად კრუხი, რომელსაც ბუმბული ზღარბნი ბეწვევით აბურძგნოდა და გასასვლელო-საკენ ტრახტრახით გასწია, მაგრამ აი უბედურება, კარი დაკეტილი დაუხვდა.

— ვინ დაკეტა კარი? — ამოიკრიახა კრუხმა, მაგრამ პასუხს გოგის შიშით ვინ გასცემდა. გოგი მივიდა ცისფერ ყუთთან და გამოსაჩეკად გამზადებული ამდენი კვერცხი რომ დაინახა, სიხარულით შესძახა:

— ოჰო, ამ ერთ ქათამს რამდენი კვერცხი დაუდვია, ყოჩაღ, ყოჩაღ, ქითამო! ეხლავე ავარჩეე ყველაზე დიდ კვერცხებს და ერბო-კვერცხს მოკაწვავ. — არც აცია, არც აცხელა, კვერცხებში დაიწყო ჩელის ფათური, კვერცხები აყოკოლავდნენ, დაგორდნენ და... პოი საკვირველებმა! ნაჭუჭებიდან დასაჩეკად გამზადებული წიწილების სველი ბუმბული გამოჩნდა. გოგი გაოცებით დასწვდა გატეხილ კვერცხს, ამდროს საბუღაროდან რამდენიმე კვერცხი ჩამოგორდა და გატყდა.

პირველად ვარიკებმა შეამჩნიეს ეს ამბავი და ჩუმად გადაულაპარაკეს ერთმანეთს რალაც, კრუხმა გაიგონა ვარიკების ჩურჩული და გოგის ცერად გადახვდა, მაგრამ გოგი ისე იყო ვართოლი, რომ ყურადღებას არავის აქცევდა — კვერცხებიდან პაწია, სველი წიწილები ამოჰყავდა. ეს რომ კრუხმა დაინახა, ერთი საშინლად დაიკრიახა, აქოთქოთოდა და გოგისკენ გაექანა:

— კრრ, ახ, კრრ, ახ, კრახ, კრახ! — დაიძახა და გოგის ხელებში ეცა. გოგი არ შეშინდა, დაავლო კვერცხს ხელი და გამწარებულ დედა კრუხს ესროლა, კვერცხი გალყებული გამოდგა და საწყალ ქათამს მშვენივრად მოხატულ ფრთებზე ყვითელი სითხე ჩამოეღვარა.

ამან უფრო გააცეცხლა კრუხი, კისერი მოიღერა, ნისკარტი გაშალა და თავგანწირვით შეუტია გოგის. განაწყენებულმა მამლებმა დაინახეს, რა დღეში

**ზურაბ გომეზარაშვილი**  
გოგის ბასამართლება

ყო კრუხი, თვითონაც მიეხმარნენ მას და საქათმე ერთ წუთში გადაიქცა ბრძოლის ველად. ვოლიერში მყოფი ფრინველები ატყნებდნენ მოუსვენარ ბიჭს და ერთობლივად შეუტიეს. ახლა კი შეშინდა გოგი და იკადრა გაქცევა, მაგრამ კართან ჰატი დამდგარიყო, კისერს წაეგრძელებინა და გოგი ახლოსაც არ გაიკარა.

დაახნია ბიჭი ქათმების შეტევამ, უკან-უკან დაიხია, წაიფორხილა, ყუთს ჭეხი წამოჰკრა და პირქვე დაეცა. გაგულისებულ ქათმები მაშინვე ზედ დააფრინდნენ და დაუწყეს მხრებისა და კისრის კორტნა.

— დავსაჯოთ! დავსაჯოთ! — გაიძახოდა ზოგიერთი მათგანი და ბატებიც ბანს აძლევდნენ, დავსაჯოთო, მაგრამ აი, საქათმის მეორე მხრიდან დეზების ჩხარუნით წამოვიდა უკვე სიბერეში შესული, კაკაოსფერშარკლიანი, გრძელდუნებანი, მბრძანებლის წითელი, დაკბილული გვირგვინით თავდამშვენებული მამალი და თქვა:

— ყო, ყო, ყო, ყი-ყლიყო! შეწყვიტეთ ყაყანი! — ქათმები მაშინვე გაისუსნენ. მამალმა ბრძანა, ანცი გოგი გავასამართლოთო. ქათმებმა აღტაცებით მიიღეს მისი წინადადება.

მამალმა კვლავ ბრძანა:

— ორი ბატი კარში ჩადგეს, ორი ბატი, ორი მამალი და ორი დედალი გოგის დაუდგეს ყარაულად! — ბრძანება უსიტყვოდ შეასრულეს.

შემდეგ სასამართლო აიჩიეს: მოსამართლე — მამალი.

მდივანი — დედალი ბატი თეთრა.

მსაჯულები — ყვითელი მამლაყინწა და ქორხრა ვარიცა.

მომჩივანი — კრუხი ხატულა.

წესრიგის დამყარება დიევალა წითელ მამლაყინწას.

წითელი მამლაყინწა მაშინვე შეხტა ქანდარაზე და ერთხელ დაიძახა: — ყი-ყლი...ყოო! — ეს იმას ნიშნავდა, რომ დამსმევე განკუთვნილ ადგილზე დაესკათ.

ორმა ბატმა, ორმა მამალმა და ორმა დედალმა გოგის ფრთები უბიძგეს და ხის ყუთზე დასვეს. მამლები მარჯვნივ, დედლები მარცხნივ, ხოლო ბატები უკანიდან დაუდგნენ.

წითელმა მამლაყინწამ ორჯერ დაიყვილა. ეს ნიშნავდა: სასამართლო მოედის, გათხოვთ ფეხზე აბრძანდეთო. ყველანი ფეხზე წამოდგნენ.

დაიწყო გოგის ვასამართლება. მოსამართლე მამალი ამაყად იღვა ქანდარაზე, ცალი ფრთა ოდნავ ჩამოეშვა, ბოლო ნამგალივით მოელუნა, კისერი მოელერებინა, ბიბილო ძალზე გასწითლებოდა, უწამწამო თვალებს ხშირ-ხშირად ახამხამებდა და მედიდურად გადაჰყურებდა ყუთზე წამოსკუბებულ გოგას და მის დარაჯებს.

მდივანი — დედალი ბატი, კრუხის საბუღართან ჩამდარაყო, მარჯვენა ფეხით მამალი ბატის ფრთა ეჭირა და ძირხვევის ფოთოლზე სამსჯავრო სხდომის ოქმს სწერდა.

მსაჯულები — მამლაყინწა და ვარიცა კუთხეში მიყუჟულიყენენ, ერთმანეთს რალაცაზე ეჩურჩულებოდნენ და მხიარულად იციონდნენ.

წითელი მამლაყინწა ამაყად დააბიჯებდა საქათმეში, აქოდა, წესრიგის დამყარება მე დამევალეს, ჩემზე დილაკაცი აქ არავინ არისო.

დედალი კრუხი მოუსვენრად აცეცებდა ამღვრეულ თვალებს, ცრემლებს მალიმალ იმშრალეებდა მრავალძარღვას ფოთლით და მოსამართლე მამალს ვედრებით შეჰყურებდა — ჩქარა დაიწყეო სასამართლო.

მოუსვენარი ბიჭი კი მოკალათებულიყო ყუთზე და ყურადღებას არავის აქცევდა. ბატების ნაკორტნ მუხლებზე როცა დაიხედავდა, ბრაზდებოდა და მდივან ბატს, სიმინდის მარცვლებს ესროდა.

დამცველებმა რამდენჯერმე გააფრთხილეს, შეწყვიტეთ ანცობაო, მაგრამ გოგი მათ არ უსმენდა. მაშინ წითელმა მამლაყინწამ, თავი რომ ძალიან მოჰ-



ქონდა, ბრძანა: — შეუკარით ხელები ზურგს უკან — სასწრაფოდ დაფაცურდნენ მამლაყინწები, მიიტანეს საქათმის კედლიდან ჩამოვლევითი, სანახევროდ გამხმარი უსურვავის ტოტი და გოგის ხელები შეუკრეს.

მოსამართლე თითქოს ამას ელოდაო, დეზების ჩხარუნით ჩამოფრინდა ქანდარიდან, მიღვიან ბატს ძირხვენის ფოთოლი გამოართვა და კითხვა დაიწყო:

„ჩვენი სახლის პატრონის შვილი, ანცი და მოუსვენარი გოგი, ქათმების, ბატების, ინდაურების, იხვებისა და მათი უწლოვანი შვილების მასხრად ავღების, აგრეთვე გამოსაჩყად გამზადებული კვერცხების დამტერევისათვის გთხოვთ მკაცრად დასაჯოთ. ხელს აწერენ სამი დედალი: ჭროლა, თაფლა, შავკაბა და დაზარალებული კრუხი ხაბტულა.

მოსამართლე მამალს ყველა დიდი გულისყურით უსმენდა და დიდი თანაგრძნობით შეჰყურებდნენ დაზარალებულ კრუხს. მოსამართლემ ძირხვენის ფოთოლი დაუბრუნა დედალ ბატს და გოგის შეეკითხა:

— გრძობთ თავს დამნაშავედ თუ არა?

— არა! — მოუფთქებლად, ჭიქურ უბასუხა გოგომ.

გაკვირვებისაგან საქათმეში ერთიანად აყაყანდნენ, ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას...

საქათმეში ჩამოცხა, იქ მყოფთ ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ.

ფრინველთა სამართლით დინტერესებული მზე, საქათმის ჭუჭრუტანებში იჭკრიტებოდა.

მოსამართლემ გოგის გაუმეორა შეკითხვა, მაგრამ როდესაც კვლავ უარი მიიღო, მოთმინების ძაფი გაუწყდა, ბიბილო უფრო ძალიან გაუწითლდა, შეხტა ქანდარაზე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ფრთა-ფრთას შემოჰკრა და ყიყლი-ყოო!.. დაიძახა.

ყველა გაიჩინდა. მიხვდნენ, რაღაც საშინელი რამ მოხდებოდა. უწლოვანი

ყვინჩილები და ბებრუხუნა ბატებზე შიშისგან აკანკალდნენ.

ყვინჩილები, რომლებმაც ორიოდ დღის წინ დაიძახეს პირველი ყიყლიყო, წელში გაიმართნენ და მზად იყვნენ, მამლის ბრძანებისთანავე, მოუსვენარი ყმაწვილი ნაწილ-ნაწილ დაეფლითათ.

როდესაც პირველმა შიშის ზარმა გადაიარა და საქათმეში მყოფნი ოღონი დამშვიდდნენ, წითელმა ყვინჩილამ გამოაცხადა:

— სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად!

მოსამართლე მამალი წამოდგა, თან მსაჯული მამლაყინწა და ქორორა ვარიკა გაიყოლია, კრუხის საბუღარს ამოეფარნენ და თათბირი დაიწყეს.

საქათმის შუაგულში წითელი მამლაყინწა ამაყად დააბიჯებდა, რამდენჯერმე გოგისაც ჩაუნისკარტა, ნუ ამოქნარებო. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ წითელმა მამლაყინწამ კისერი წაიგრძელა და ორჯერ დაიყვილა:

— ყი-ყლი-ყოო! — ეს ნიშნავდა: — სასამართლო მიდის, გთხოვთ, ფეხზე აბრძანდეთო!

ყველანი ფეხზე წამოდგნენ.

მოსამართლე მამალი დეზების ჩხარუნით მიუახლოვდა კრამიტის ნატეხს, რომელიც მათ მაგიდის მაგიერობას უწყევდა. გოგრის ფოთლები გაშალა და განაჩენის კითხვა დაიწყო:

— „შინაური ფრინველების სიმშვიდის დარღვევის, ყვინჩილას და ვარიკას ცივი წყლით დასველების, ხუთი სადედლე და ექვსი საყვინჩილე წიწხლის მოკვლისათვის, ჩვენი საქათმის პატრონის შვილს, მოუსვენარ გოგოს, შინაური ფრინველების კანონის ძალით მიესაჯოს:

პირველი — არც ერთმა დედალმა არ დაუდოს კვერცი გოგლი-მოგლისა და ერბო-კვერცხისთვის!

ზურაბ გომეზაშვილი  
გომგის ბასმარტულია

მეორე — არც ერთმა ბატმა არ მის-  
ცეს თავისი ფრთა კალმისტრად!

მესამე — არც ერთმა მამალმა არ გა-  
აღვიძოს იგი დილით ყიყლიყოთი, დაე,  
მთელი ღღეები ეძინოს!

მეოთხე — შინაურ ფრინველთა სა-  
სამართლოს განაჩენი, დაწერილი გოგ-  
რის ფოთოლზე, თეთრი ბატის ფრთით  
და იხვის მარჯვენა ფეხით ბეჭედდას-  
მული გადაეცეს ჩვენი სახლის ბატ-  
რონს. განაჩენი საბოლოოა და არავი-

თარ ცვლილებებს მასში არ შევიტანო  
მოსამართლე — დეზებჩხარუნა თავ-  
ხერხა მამალი.

მსაჯულები — ყვითელი მამლაყინწა  
და ქოჩორა ვარიკა.

მდივანი — დედალი ბატი.

გოგის სასწრაფოდ შეუხსნეს ხელები,  
ილიაში განაჩენით აჭრელებული ვოგ-  
რის ფოთოლი ამოუდეს, საქათმის კა-  
რი გააღეს და გარეთ გამოაგდეს...



## ხ მ ა

იყო და არა იყო რა ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ხმა მოარული ქვეყნად, სიკეთის მქადაგებელი და მქმნელი. ღამეებს ავადმყოფის სასთუმალთან ათევდა. სწულთ ტანჯვას უმსუბუქებდა და მაშინ მას „შვების ხმას“ ეძახდნენ. ცოდვილთ ამხელდა, სულს უფორიაქებდა, მაშინ მას „სინდისის ხმას“ უწოდებდნენ, სიკეთეს ქადაგებდა და უკეთურებსა და მქირდავებს იგი „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“ მიაჩნდათ.

ხანდახან ხმა ქალას მიაშურებდა. უყვარდა ფრინველთა გალობა და გადაძახილი. მათ ხმას თავისი მშვენიერი ბანით უერთდებოდა, ლაღობდა მათში გარეული.

ერთხელ საოცრად მშვენიერი ხმა მოესმა, ფრინველისას არა ჰგავდა, ადამიანისა უნდა ყოფილიყო. ნელა მიუახლოვდა. ისმოდა ჩანჩქერის დგაფუნი და ქალის სიმღერა. მომღერალი სიმღერას იქვე თხზავდა — ჩანჩქერში ბანაობდა და ხმას უწყობდა წყალთა დენას. ხმა ვერაფერს ხედავდა. ხედვის მაღლი მაშინ ენიჭებოდა, როდესაც კაცად იქცეოდა ხოლმე. მისთვის ისიც საგმარისი იყო, რასაც ისმენდა. უცებ სიმღერა შეწყდა. გაისმა სიცილი, გულიდან მომსკდარი, უმიზეზო და უჯებბირო.

— გამარჯობა, ხმამშვენიერო, — მოესმა ქალიშვილს. ის არ შემეკრთალა,

სარცხენიზე ხელი არ დაუფარებია, არც სამოსი უძებნია და არც სამალავი.

— გაგიმარჯოს, უცნობო ხმავე, — უბასუხა მან.

— ნუ გეშინია, მე ვერ ვხედავ, — თქვა ხმამ.

— არ მეშინია. მე ყველაფერი ღამაში მაქვს. — უბასუხა ქალწულმა. — ჩემი ტუჩები უკონცელია, ჩემი მკერდი ხელუხლებელი...

— შენი გულუბრყვილობის სადარი აღბათ შენი მშვენიერება თუ იქნება მხოლოდ, — თქვა ხმამ.

— ჩემი თმა ხშირია და სურნელოვანი, თვალები — თაფლისფერი, ისეთი თაფლისფერი გადმოსხმისას მზე რომ მიანათებს, ცხვირი — სწორი, ტუჩები — წყარო უკვდავებისა, ყელი მოღვრილი და მაღალი, მკერდი — ფიქალი, თქმულები ჩამოქნილი, ფეხები გრძელი და ღონიერი.

— ვინა ხარ, პირმშვენიერო?

— მე ცხრა ძმის ერთადერთი და ვარ. ჩემი ძმები ამ მხარის მფლობელები არიან. მათ ძალიან ვუყვარვარ და მისთვის გამიშენეს ეს ბაღნარი.

— აქამდე რატომ არ გათხოვილხარ, პირმშვენიერო?

— არ მომწონს ჩემი ძმების არჩეული საქმროები.

— განა თვითონ არ შეგიძლია სწორფერის პოვნა?



— ამ გალავანს ვერავინ გადავა და ვერც გადმოვა.

— მაშ ტყვე ყოფილხარ ძმების მზრუნველობის...

— რატომ? მე არსად მინდა წასვლა. აქ ყველაფერი მაქვს. რასაც ვისურვებ, წამსვე ამისრულებენ ძმები.

— ერთი რამის გარდა.  
— გარდა რისა?

— გარდა სიყვარულისა!  
ქალმა გადაიკისკისა.

— რად მინდა? მე ისედაც ბედნიერი ვარ, ან სად უნდა ვეძიო?

— სიყვარული შენ დაგაქვს შენი სხეულით, შენი სიცილით, შენი სიმღერით. მას შენში სძინავს და როცა გაიღვიძებს, ეს გალავანი ვერ დაგაკავებს. და თუ ეს ასე არ მოხდა, ტყუილად შობილხარ ამ ქვეყანაზე.

— ვნახოთ, — თქვა ქალმა. — ახლა შენ მითხარი, ვინა ხარ.

— ხმა ვარ, — თქვა ხმამ.

— ეგ მესმის, მაგრამ ხმა თავისთავად არ არსებობს.

— მართალია, ხანდახან კაცად ვიქცევი ხოლმე.

— მოდი რა, გადაიქეცი, ოღონდ კაბას გადავიცვამ, კარგი? — დაფაცურდა ქალი. ხმას გაეცინა.

— ეს არც ისე იოლია. ეს მაშინ ხდება ხოლმე, როდესაც ვინმეს ძალიან გჭირდება.

— ძალიან მჭირდება, ძალიან. მომწყინდა, ხმავ, მომწყინდა... არავინა მყავს ხმის გამცემი.

— აკი ბედნიერი ვარო?..

— ბედნიერი ვარ, მაგრამ გადაიქეცი კაცად, რა, მაინტერესებს, — ატიტინდა ქალი.

— ხომ ვითხარი... ეტყობა, არ გჭირდება, თორემ გადავიქცეოდი.

— კარგი, კარგი, მაშინ მითხარი, როგორი ხარ, რამდენი წლისა ხარ.

ხმას ისევე გაეცინა.

— ჩვეულებრივი ვარ. არც მალაღობა, არც დაბალი. ხნით კი დიდი ხნისა ვარ... აღარც კი მახსოვს ჩემი წლოვანება.

— ბებერი ყოფილხარ! <sup>მარტო მარტო</sup> ქალწული.

— რატომ? ჩემნაირი არსებანი არ ბერდებიან! — ლითონი გაერია ხმას. — მე წაველ. დროა.

— ხომ არ გეწყინა, ხმავ? ხვალაც მოდი, რა... — შეეხვეწა ქალიშვილი.

მეორე დღეს ისევ შეხვდნენ ერთმანეთს ხმა და ქალიშვილი, მესამე დღესაც, მეოთხე დღესაც... კიდევ და კიდევ... და ერთხელ ქალმა იგრძნო, — ეს ის არისო. ის შიშველი იწვა მზით გამთბარ ქვებზე, სველი თმა უკან გადაეყარა და იდაყვდაყრდნობილი ჩანჩქერში გაბმულ ცისარტყელების თამაშს მისჩერებოდა. უცებ გაიჩინდა, მერე წამოიწია, ხელები თითქოს კისერზე მოსახვევად გაიშვირა და...

— ხმავ, მომეფერე, — თქვა და მის ზარივით ხმას მღლევაარების ბზარი დააჩნდა. ხმას გაეცინა. მის სიცილს გულწრფელობა აკლდა.

— გეფერები, პირმშვენიერო.  
— როგორ?

— რა ვიცი, ჩვეულებრივად.

— თმაზე გადაამსივი ხელი...  
— თმაზე გადაამსივი ხელი...

— ახლა თმაზე მაგრად მომკიდე ხელი და თავი გადაამიწიე...

— თმაზე მაგრად მოკიდე ხელი და თავი გადაამიწიე, — ხმა უცნაურად გათბა, აკანკალდა, მთრთოლვარე და კიდევ უფრო დაბალი გახდა.

— ოოჰ!.. აღმოხდა ქალს. — ახლა ტუჩებში მაკოცე!

— გკოცნი ..

— მკერდზე, კისერზე!

— გკოცნი... გკოცნი...

— ოოჰ!.. ოოჰ!..

...  
— ხმავ! ხმავ!

ხმა წასულიყო.

ყოველდღე მოდიოდა ხმა.

— მომეფერე! — თხოვდა ქალი და ისიც ეფერებოდა ისე, როგორც ქალს სურდა.

ერთხელ ხმამ უთხრა:

— წამომყვივი შინ.  
 — სად ცხოვრობ? — ჰკითხა ქალმა.  
 — გამოქვაბულში, იქ, სადაც ეს ჩან-  
 ჩქერი სათავეს იღებს.

— შორს არის, ვერ წამოვალ. — ქა-  
 ლი ალერსით იყო დაღლილი და ეძი-  
 ნებოდა.

ხმა წავიდა. მთელი კვირა არ გამოჩე-  
 ნილა. ქალი ყოველდღე ელოდა ჩან-  
 ჩქერთან. აღარ მღეროდა. არც იცინო-  
 და. ელოდა... შინ მიზნობდა, ყველას  
 ეჩხუბებოდა.

სალამო ხანს მოვიდა ხმა.

— გამარჯობა, პირმშვენიერო, — მო-  
 ესმა ქალს. გამოცოცხლდა, წამოხტა.

— მოხვედი?

— მოვედი.

— სად იყავი ამდენ ხანს?

— საქმეები მჭონდა.

— წამიყვანე შენთან, აღარ შემიძლია  
 მეტი! — აღმოხდა ქალს. გაისმა ჩუმი  
 შრიალი და ქალმა დაინახა სამუალო  
 ტანის ლამაზი მამაკაცი. ნაოჭებს დაე-  
 ღარა მალალი შუბლი, ჩავარდნილი ლო-  
 ყები, შეთხელებულ თმაში ჭადარა გა-  
 რეოდა და მაინც საოცრად ახალგაზრდა  
 ჩანდა. ქალი ჯერ ვერ მიხვდა ამის მი-  
 ზეს, მერე უცებ მიაგნო: ბავშვის თვა-  
 ლები ჰქონდა ხმას, კეთილი და სხი-  
 ვიანი.

ერთად წავიდნენ გამოქვაბულში და  
 შემდეგ იქ ხედებოდნენ ხოლმე ერთმა-  
 წეთს. ზოგჯერ ხმა იგვიანებდა. ქალი  
 ელოდა, ბრაზობდა, ქირვეულობდა. ხმა  
 უთმენდა, უყვავებდა. ყველაფერი ალე-  
 რსითა და შერიგებით თავდებოდა.

ერთხელ ქალმა უთხრა:

— შემირთე ცოლად.

— განა ჩემი ცოლი არა ხარ?

— არა, მე მინდა, ნამდვილი ცოლი  
 ვიყო, როგორც ჩემი რძლები არიან.

— არ შემიძლია, — თქვა ხმამ, — მა-  
 შინ სულ სხვა კაცად უნდა ვიქცე. ეს  
 ჩემთვის თითქმის შეუძლებელია. როცა  
 კაცი ვარ, ისევე ვბერდები, როგორც  
 ჩვეულებრივი ადამიანი. მე კი იმდენი  
 საქმე მაქვს გასაკეთებელი... და არც

შენ გენდომება საპყარი ქმარი... არ გა-  
 მოვადგები ჩვეულებრივ ქმრად!

— როცა ჩემთან ხარ, არ ბერდები?  
 — ჰკითხა ქალმა.

— არა. შენი სიყვარული მიფარავს  
 და მიცავს.

ქალმა უნდოდ შეხედა, მაგრამ არა-  
 ფერი უთქვამს.

ერთხელ ხმა დიდხანს არ გამოჩენი-  
 ლა. როცა მოვიდა, ქალმა შეამჩნია:  
 შუბლზე ნაოჭი მომეტებოდა, თმაში —  
 ქაღარა. თვალები ჩამქრალი ჰქონდა და  
 მართლა ბებერს ჰგავდა.

— სად იყავი? — ჰკითხა იჭვიანად.

— ავადმყოფ ბოჭუნას ვუთხვედი ლა-  
 მებს. უჭირდა ძალიან და კაცად გადაქ-  
 ცევა მომიხდა. — მან ახლად გაჩენილ  
 ნაოჭზე მოისვა ხელი.

— მომფერე. — კი არ სთხოვა, უბ-  
 რძინა ქალმა.

„არც კი უკითხავს, გადარჩა თუ არა  
 ის ბიჭი“. — გაიფიქრა ხმამ

— ძალზე დავილაღე... — თქვა მან  
 ხმამალა.

— ბიჭს კი არ უთხვედი ლამეს, სხვა  
 ქალს აცდენდი ალბათ, შე მრუშო ბებე-  
 რო, შე... — ქალს კიდევ რაღაცის თქმა  
 უნდოდა, მაგრამ შეცბა: საოცარი სევდა  
 ჩაუდგა ხმას თვალებში, მერე ჩუმი  
 შრიალი გაისმა — ნელ-ნელა გაქრა ხმის  
 სხეული, ჭადარა თმა, ნაოჭებიანი სახე  
 და ყველაზე ბოლოს — სევდიანი, საყ-  
 ვედურით სავსე თვალები.

ამოდ ელოდა ქალი ხმას: მძინარეს  
 ხმა ესმოდა, გაღვიძებული მის თვალებს  
 ხედავდა. ბოლოს მიხვდა, აღარ დაბრუ-  
 ნდებოდა იგი. მის საშოშო მომწიფებულ  
 ნაყოფს კი მალე მამა დასჭირდებოდა.  
 თაყვანისმცემლებს შორის ამოარჩია ის,  
 ვისაც ყველაზე კეთილი თვალები ჰქო-  
 ნდა და ცოლად გაჰყვა.

ერთ ღამეს მისი ბიჭი ავად შეიქნა.  
 კრაქი ბუტუტავდა. ბავშვი მძიმედ სუნ-  
 თქავდა. ქალმა ჩათვლია. ხმა მოესმა.

თამაზ ჩანბლაძე  
 ზღაპრები



თვალი გაახილა. მიხვდა, მოეჩვენა. გაახსენდა ბავშვის ამბავი რომ არ ჰკითხა ხმას იმ ავბედით დღეს. „უეჭველად გადაარჩენდა, ისე არ დაბრუნდებოდა“, — გაიფიქრა და იმედინად გადახვდა შვილს.

საუკუნეები ელოდა ხმა სიყვარულს. უიღბლო გამოდგა იგი. ხალხს გაეცალა

და უდაბნოში შედგა ბერად. იგი ხმად მღალადებლად უდაბნოსა შინა. ეს ხმა მხარქვეულ ბედუინებს გზას უკვლევდა და ამიტომ „ხსნის ხმა“ შეარქვეს მას.

ერთხელ კაცად გადაქცევა ინატრა. გადაიქცა და ლექსი დაწერა. დაწერა და მოკვდა.

## პატარა ბიჭი და „ლათვი მთვარიან ლაშქარს“

მს მოხდა დიდი ხნის წინათ.

ერთ ქალაქში ცხოვრობდა პატარა ბიჭი. მისი ოთახის ფანჯრები ვიწრო იყო და პირდაპირ ფილაქნის სიმაღლეზე გადიოდა ქუჩაში. თუმცა დღის სინათლე ოთახში ძლივს აღწევდა, ბიჭუნას მაინც ადრე ეღვიძებოდა. თულუხჩის პირველსავე დაძახილზე თვლებს ახელდა. ფანჯარაში ხედავდა საზიარის მიძიმედ მოჭრილ ბორბლებს. მერე გამოჩნდებოდა თულუხჩის ფეხები, გაივლიდა გიგო მეჭლანე, ფუნჯიანი ვედროთი წალასლადებოდა მღებავა ნიკო. შორიდან მოისმოდა თულუხჩის ძახილი: „წყალი მოვიდა, წყალი... ცივი წყალი!..“ მერე ფანჯრის წინ უამრავი ფეხი აირეოდა და ქალაქი თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას იწყებდა.

ერთ ასეთ ჩვეულებრივ დილას ჩვეულებრივად გაიღვიძა ბიჭუნამ. კონკები გადაიქცა, პურის ყუა დაითრია და ქუჩაში გავარდა. მას ყოველთვის ეჩქარებოდა გარეთ გამოსვლა, ეშინოდა, რაიმე სასიერო არ გამოჩნენოდა. მაგრამ იმ დილით ქუჩაში არაფერი მომხდარა. მეჭლანე გიგოს ფარდულთან ჩვეულებრივ რამდენიმე კაცი შეყრილიყო და ყაყანებდა. დაგვიანებული ურმები მიძიმედ მიჭრილებდა ბაზრისკენ. მღებავმა ნიკომ უკან ჩამოიარა ფუნჯიანი ვედროთი. პატარა ბიჭმა კენჭები აკრიფა და დაუშინა. კენჭის მოხვედრას ვედრომ ყრუდ დაიქროლა. მღებავი შეკრთა. ხმა არ გაუღია, არც უკან შიშულად

ხედავს, მხოლოდ თავი მხრებში უფრო ღრმად ჩარგო და ნაბიჯს აუჩქარა. მალე კუთხეს მიეფარა. ონავარი ბაზრისკენ მიმავალ დროგს შეახტა.

ბაზარში ქალაქის გარეუბნებიდან შემოზიდული ხილის, ბოსტნეულისა და გრილი დილის სურნელი იდგა. მზე ღრუბლებს შუა ცნობისმოყვარედ იჭყიტებოდა და ზემოდან დასცქეროდა მოედანზე მოფუსფუსე ხალხს — მშინერსა და მაძლარს, მყიდველსა და გამყიდველს; ვაჭრები აქებდნენ თავიანთ საქონელს, იდგა გნისი. ბიჭმა ორჯერ შემოიარა ბაზარი და ვერაფერი რომ ვერ იხიერა, გაეცალა, ციხის ნანგრევებისკენ მიმავალ გზას დაადგა, თან ხმელ პურს ლოდნიდა უხალისოდ. მერე ქონგურზე შემომჯდარი დიდხანს გააყურებდა პატარა ქალაქს, მღვრიე მდინარე რომ ჰყოფდა შუაზე და ნაპირზე ამოყრილი მორები ახლად ნაბანავები ცხენებივით რომ ბზინავდნენ, პატარა, დიდყურა სახეღარი მხნედ მიბაკუნობდა აღმართში, ბანებზე დიასახლისები ლოგინებს აშუქებდნენ, სარეცხს ფენდნენ და თან ერთმანეთს ახალ-ახალ ჭორებს გადასძახოდნენ. შორიდან მოისმოდა ზარების რეკვა და გავარგარებული, ხრიოკი მთებიდან შუადღის სიციხე მოიზღაზნებოდა.

ბიჭუნას დასცხა და მოსწყურდა, დალალა ციხის გარშემო გაშლილმა სივრცემ და მოლოდინმა — არსად ჩანდნენ მისი ტოლები. სხარტად დაეშვა ხავსია-



ნი კედლებით ძირს და ქალაქისკენ გაეშურა, იმედი ჰქონდა, ბაზარში იშოვიდა რამე სასუსნავს.

ბაზარი ჩამწყნარებულყოფილი. მზით განათებული ადგილები თვალს ისე ქრიადა, რომ უცებ ძნელი იყო ფარდულეების ჩრდილში შეფარებული გამყიდველების ვარჩევა. ისინი დინჯად შეექცეოდნენ ხელადებში ჩაცვივებულ ღვინოს და ზანტად ევაჭრებოდნენ ქოლგიან ქალბატონებს: მხოლოდ ერთი ადგილიდან მოისმოდა: „ვაა-შლი ვაა-შლი!“ შემდეგ ვაჭრკვევლი „ხბრა, ხბრა“ და ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ თავიდან იწყებოდა „ვაა-შლი“..

ბიჭი ხმის მიმართულებით გაეშურა. დახლზე გროვად დაყრილ ვაშლებს უკან, ჩრდილში, კაცი იდგა და ხვრინავდა. უცებ ხვრინავს წყვეტდა და თვალდახუჭული, „ვაშლიო“, გაჰყვიროდა, მერე ისევ ხვრინავდა სძლედა. ბიჭმა დიდ, მოყაწითელ ვაშლს დაადგა თვალი, მიებარა და მაშინდა იაზრა, რაშია იყო საქმე — ვეება გამყიდველი არყით იყო მთვრალი. ბავშვს სითამამე შეემატა, სტაცა ხელი სანუკვარ ნაყოფს და გაიქცა. ვაშლები ბრავაბრუგით დაცვივდა ძირს. ძილბურანიდან ვერგამორკვეული გოლიათი ღრიალით გამოვარდა დახლს იქიდან, საკუთარ ვაშლებზე ფეხი დაუხსლტა და ძირს გაიშლართა. ბაზარი ახმაურდა, ატყდა სიცილი, გნისი და წრუპუნნი... „დაიჭით, არ ვაუშვით, დაიჭით!“ ისმოდა აქეთ-იქიდან. მაგრამ ამ სიცხეში ვინ იყო გამქცევი, მხოლოდ ბიჭუნა მირბოდა დევნილი კურდღლეგვით. უცებ ბრბოს გადააწყდა და პირდაპირ შიგ შერგო თავი. ნელ-ნელა წინ გაიწია და, ჰოი საკვირველებზე! სულ დავეიწყდა შიშით და მღვეარით: ტანმორჩილი ბოშა წრეში დათვს აცეკვებდა. კისერზე ჯაჭვებზე მული ვეება მხეცი დარის ხმაზე ხტოდა და მალაყებს გადადიოდა, ჯაჭვი ეღრიალებდა, ბრბო ხარხარებდა. ბიჭუნა ვაშლს ხარბად კბენდა და დათვის ოინებს გატაცებით უყურებდა. თანდათან ეშხში შევიდა და როცა დათვმა კი-

დედ ერთი მალაყი გააკეთა, თვითონ შეხტა და ვილაცას ჩექმანზე ფეხი დაადგა. ჩექმის პატრონმა თვალები გადმოუბრიალა:

— ჰა, ლაწირაკო! — ქეჩოში ხელი ჩაავლო და უბიძგა. იქ კიდევ ვილაცამ ჰკრა ხელი, მერე კიდევ სხვამ და ასე კინწისკვრით გამოაძევეს წრიდან. ამ ბლარატუნში ვაშლი გაუვარდა და გაგორდა, შავად აეკრა მტვერი ნაკბეჩზე. ბიჭმა ვაგონებული მზერა გააყოლა, მერე ისევ წრეში სცადა შესვლა, მაგრამ ვერ მოახერხა — ხალხი მომატებულიყო. ყრულ ისმოდა დარის ხმა, ზურნის ჰყვიტინი და ბრბოს ხორხოცი. ბიჭუნას ძალიან შეეცოდა თავი, მტვერში ჩაჯდა და ატირდა.

— რა გატირებს, ბალოო? — მოესმა ალერსიანი ხმა, — შენ რაღა დარდი გაგჩენია?

— დათვი მიინდა... — ამოისლუკუნა ბიჭმა.

— წამო, მე მოგცემ. ბავშვმა ჭუჭყიანი მჯილით ცრემლი მოიწმინდა და უნდოდ ახედა უცნობს. „ვაიმე, ახლა კი მცემს,“ — გაიფიქრა და შიშისაგან ადგილზე გაშეშდა — მის წინ მღებავი ნიკო იდგა.

— წამო, ნუ გეშინია! — ჩაიბუბუნა მღებავმა, თითქმის ძალით წამოაყენა და წაიყვანა.

მღებავის სარდაფში გვიროდა. სარკმლიდან მკრთალი შუქი შემოდიოდა.

— შენ მანდ დაქექი, — მღებავმა ჰატარა ბიჭი სკამზე დასვა, თვითონ წინსაფარი აიფარა. ცარცის დიდი ნატეხი ფეხსაცმლის ქუსლით დაფხვნა, ვედროში ჩაყარა, მერე ლილა შეურია, გაბოლილ ლამფის შუშას ჰკარტლი მოაფხიკა და ისიც შიგ ჩაუშვა, ზემოდან წყალი დაასხა, ფუნჯით მოურია და სახატავად მოემზადა.

ბიჭი სკამიდან ჩამოხტა, ოთახში მიყრილ-მოყრილ ნახატებს დაუწყო თვალიერება. ერთ ნახატზე ვირის ხიდთან

თამაშ ჩანახატში  
ზღაპარი



ყარაჩხელებს ქეიფი გავმართათ, მეორეზე სამი გაჯგიმული მოქალაქე სუფრას იჯდა, ხელში ყანწები ეპყრათ. მესამეზე მერეზოვე ეხატა. ბიჭს შეეშინდა მისი გაბურძხნილი უღვაშების, ნახატს მოშორდა, კუთხეში მივდებულნი მუშაობის ნაჭერი აიღო და გაშალა. ზედ შვლის ნუკრი უდარდელად სვამდა წყაროს წყალს. ბიჭს მოეწონა, კედელთან ჩაჯდა და ნახატი მუხლებზე დაიდო.

— აი, შეილო, შენი დათვი. ბაზრისაზე ნაკლები არ გვეგონოს. ეს ჯაღოსნური დათვია. დამდამობით ცოცხლდება ხოლმე და ისეთ მალაყებს აკეთებს, რომ შენი მოწონებულნი!

ბავშვმა უნდოდ ახედა ახმახ მღებავს, ნახატი გამოართვა. დახედა. მთვარიან ღამეში ხეზე ასულიყო დათუნია. ბავშვს მოეწონა ღამეც, მთვარეც და ნანგრევებიც. შეეცოდა მარტოდ დარჩენილი ბელი. ნახატი გულში ჩაიკრა.

კარი რომ გაკაილა, უკან მოიხედა. მთელი თავისი ბედნიერება, მადლობა და სიხარული ერთ ალაღ ღიმილში დაუბნია მხატვარს და შინისკენ მოკურცხლა.

დალაშა. შეწყდა ფანჯრის წინ ნაბიჯების ხმა, ბორბლები სტრიალი. შორიდან ისმოდა დუდუკის კენესა და სიმღერა — „წვალში ვდგავარ, ცეცხლი მივიღია“. პატარა ბიჭს ეძინა. ნახატი სასთუმალთან, კედელზე ეკიდა.

შუალამე რომ შეიქნა, დათუნია ნახატიდან ჩამოვიდა, ბიჭი გააღვიძა და ისინი უჩუმრად გავიდნენ ღამეში.

— სად მივიღვიართ? — იკითხა ბიჭმა.

— ფერების ქვეყანაში.

გზად მღებავი ნიკო შემოხვდათ, ფეხსაცმლის ქუსლით ცარცს ფხვნიდა, ღამეს ჭვარტლს აცლიდა, მერე ყველაფერი ერთმანეთში აურია და წყლით გააზავა, ფუნჯი ღამეს გაუსვა და უცებ ინათა.

ნაწვიმარი ველი მწვანედ ხასხასებდა. დათუნამ მალაყი გააკეთა პატარა ბიჭიც მიჰყვა, ნეტარებით გაგორდა ოჯნავ ნოტიო, სურნელოვან ბალახზე.

მოშორებით, ვირის ხიდან სამი მო-

ქალაქე ქეიფობდა. ამ დროს მერეზოვე გამოჩნდა, ხიდა გადააღაჯა და ვეშა ცოცხით ახვეტა მოქეიფენი. ბიჭს შეეშინდა და გაიქცა. მალე შვლის ნუკრს გადააწყდა, წყაროს დაწაფებოდა მოწყურებულნი. საიდანღაც მინდვრის დედოფალი მოფრინდა. წელზე ცისარტყელა ერტყა და თავთუხისფერ თმაში ყაყაჩოები ებნია. შველმა წყურვილი მოიკლა, შეკუნტრულდა, მსუქანი გავა უჩვენა და გაქრა. ბავშვმა გაიცინა. მინდვრის დედოფალმა ხელი ჩაჰკიდა ბიჭს და დათუნისა და ისინი ერთად გაიქცნენ. მათ წინ მწიფე პურის ყანა ვადიშალა — ყვითელი, ქარვისფერი. ქარის დაქროლავზე დელავდა, წვებოდა, ყაყაჩოებს აჩენდა წითელ-ყვითელს, მერე ისევე სწორდებოდა და ისევე დელავდა. შორს, ზევით მზე წითლად იფოფრებოდა. პურის ყანა გათავდა. გამოჩნდა ცარცოვანი ნაბირი. უფრო იქით კი, გამდნარი ფირუხით სავსე სივრცე.

— ეს რა არის? — იკითხა ბიჭმა.

— ზღვა! — უბასუხა მინდვრის დედოფალმა.

— ზღვა! — გაიმეორა ბიჭმა. — რამხელაა და რა პატარა სახელი აქვს — ზღვა! — ზღვა ლივლივებდა, შრიალებდა, ფერს იცვლიდა. მონანავე ტალღაზე ვერცხლისფერი თევზი ისვენებდა. ბიჭი რომ მიუახლოვდა, შესხლტა და სილურჯეში შთაინთქა. ცარცოვანი ნაბირი თეთრად ეღვარებდა მზის სხივებზე და თვალს სჭრიდა პატარას. მზე ჩადიოდა.

დილით თულუხნის დამახილზე ჩვეულბრივ გაეღვიძა ბიჭს. დათვი სურათზე თავის ადგილას იჯდა. ბავშვი გაესაუბრა. დათვმა ხმა არ გასცა. გული დაწყდა ბიჭს, ასე მალე რომ გათენდა. „ნეტავ სად მიდის დილით ღამე?“ — გაიფიქრა. სწრაფად წამოხტა, გარეთ გავარდა. მეჯღანე გიგოს ფარდულისკენ გაიქცა. გიგოს ბრძენი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი ამ ქუჩაზე, ყველას მრჩეველი და მოთათბირე ის იყო. ახლაც მის ფარდულთან ხალხი შეგროვილიყო.

— ძია გიგო, ძია გიგო! — მექლანემ მოსაქნევად გამზადებული ჩაქუჩი პაერში შეაჩერა, სათვალეს ზემოდან გადმოხედა.

— რა იყო, ბიჭო?

— ძია გიგო, სად მიდის დილით დამე, ჰა?

მექლანემ გაოცებისაგან თვალები დააჭყიტა და ისე დაიბნა, რომ საუცბათოდ ვერაფერი მოიგონა და გულწრფელად აღიარა:

— აბა, მე რა ვიცი. საცა გაეხარდება, იქ მიდის.

— საყვარელთან მიდის, საყვარელთან... — თქვა ჩოფურა ყარაჩოხელმა და საკუთარ ხუმრობაზე გადაიხარხარა. ბავშვმა გაკვირვებით შეხედა. მერე შებრუნდა და თავჩაქინდრული გაეცალა. მექლანე სათვალეს ზემოდან ერთხანს უცქერდა გამხდარ, პატარა ბიჭს, მერე თავი გაიქნია, ლურსმნები პირში გიჩარა და საქმე განაგრძო.

მოუთმენლად ელოდა პატარა ბიჭი დაღამებას.

იმ დამეს ისევ წავიდნენ ფერების

ქვეყანაში ბავშვი და დათვი. შემდეგ დამესაც, კიდევ და კიდევ... ღამით ფერების ქვეყანაში მიდიოდნენ, დილით კი ბიჭი ისევ ეძებდა დამეს.

ერთხელ ბავშვი ძალიან ავად შეიქნა. დედა ცივ ტილოებს ადებდა შუბლზე. წუხდა პატარა: ვაითუ, დათვიმ არ წამიყვანოს ამაღამ ფერების ქვეყანაში, ანდა დედამ არ გამიშვასო.

შუალამისას დედას ჩაეძინა. დათუნია ნახატიდან ჩამოვიდა და ისინი ფერების ქვეყანაში წავიდნენ. გაიარეს მინდორი, პურის ყანა და იმ ადგილს მიადგნენ, სადაც წინათ ზღვა იყო. უკუნი ჩადგრილიყო ზღვის მაგივრად. „აი, თურქე სად მიდის დილაობით დამე,“ — გაიფიქრა ბავშვმა და ხელი გაიწვდინა. დამე ნებას დაჰყვა, ზევით ამოვიდა, შემოეხვია და გულში ჩაიკრა, ისე მაგრადა, რომ ბიჭს სუნთქვა შეეკრა...

ალარ დაბრუნებულა პატარა ბიჭი ფერების ქვეყნიდან. დათუნია კი ყოველღამე ჩამოდის ნახატიდან და თავის მეგობარს რომ ვერ პოულობს, მწარედ ტირის და ძილს უფროთხოვს მუხუგუმის უქნარა დარაჯს...

## მეზალე

მეზო დიდი და მწვანე იყო. სახლები — მაღალი და ერთ თარგზე მოჭრილი. სახლებში ცხოვრობდნენ მოქალაქენი, ეზოში თამაშობდნენ ბავშვები და ვაზონების სიღრმეში ვადაბარჯღელული ხეების ძირას ხარობდა ყვავილნარი. იქ დღენიადგ ტრიალეზდა ჩია ტანის მებაღე. მისი ხელები ხის ქერქივით იყო დაღარული. იასამნის ბუჩქებს შორის ბავშვები ხანდახან ხედავდნენ დიდ ქირსის ჩემებს, მებაღის ზურგს, მზემოკიდებულ, დანაოქებულ კისერს. თვალები როგორი ჰქონდა მებაღეს, ბავშვებმა არ იცოდნენ. ისინი ისევე ვერ ამჩნევდნენ მას, როგორც ხეს ან ბაღის მერხს, რომელზედაც ფეხით შედგებოდნენ ხოლმე უფროსების გასაჯავრებ-

ლად. ისინი ვერ ხედავდნენ მებაღის დიმილს, მათი სიხარულით გამოწვეულს და ვერც იმას, თუ როგორ იქმუნებოდა მისი შუბლი, როცა პატარები წაიჩხუბებდნენ. მათ არ ესმოდათ, როგორ ბუბუნებდა მებაღე, როდესაც ისინი ხეებზე დაძვრებოდნენ — „ე მანდ არ ჩამოვარდეთ, თქვე ცუგრუმელებო, და...“ მათ არ იცოდნენ, რომ მებაღეს ალერსიანი ხელები ჰქონდა. ისინი ნაზად აციოდნენ ზედმეტ ფოთლებს ეკლიან ვარდებსა და სათუთ ყვავილებს, უფხვიერებდნენ ნიადაგს, ამორებდნენ სარეველას. ყვავილებიც მაღლიერნი

თამაზ ჩანტლაძე  
ზღაპრები

იყენენ და წითელი, ყვითელი, თეთრი და ვინ იცის, კიდევ რა ფერი, ნიავის დაქროლავზე ერთმანეთში იხლართებოდა, ერთმანეთს ვალერსებოდა და ქრუანტილივით უვლიდა ყვავილნარს.

მზიანი დღე იყო. წინა ღამით ქარს თუ ვილაც დაუდევარს, მიხაკები გაეთელა. მწვანე ბალახში ჩაწოლილები წითლად ღუღუნენ და სისხლისგან იცლებოდნენ. მებღღემ წამოაყენა, ჭიგოები დაუდგა, ფესვებზე მიწა მიაყარა მალამოსავით. ახლა მორწყვას აპირებდა, რომ ეზოში დიდი ქვივლ-ხვილი შეიქნა. ბუჩქებს შორის მებღღემ დაინახა ბავშვების ჯგუფი და მის ზემოთ მოქანავე ორი დიდი ბუშტი - წითელი და ლურჯი. ბუშტები პატარა თათიას ეკავა ძაფით. სხვები კი ცდილობდნენ, როგორმე მიწოდომოდნენ. ძიძგილაობაში ძაფი გაწყდა და ბუშტები გაფრინდა. თათია ატირდა. თვალები და ცხვირ-პირი დაუსივდა ტირილისაგან.

უცებ მებღღე გაფრინდა. ისე სწრაფად, რომ შეეშინდა, დიდი ჩექმები არ გამძვრეს და ვინმეს თავზე არ დაეცესო.

სად იყო და სად არა, უამრავი ხალხი შეგროვდა. ყველას თავები უკან გადაეგდო და ბუშტებზე ხის ქერქის ნატეხივით ჩამოკიდებულ მებღღეს შესცქეროდნენ.

— ბუშტებმა მოიტაცა!.. — ამტკიცებდა მალალი, ჯოხიანი მამაკაცი. მას

ლაპარაკის დროს ყვრიმალზე... ისე ნერვიულად უთრთოდა, გეგონებოდა, ვილაცას თვალს უკრავსო.

— არაფერიც, — ცხარობდა ფაშფაშა დისახლისი, — თვითონ დავიანხე, როგორ ავარდა ბალიდან, მეგონა, შუშუნა ისროლეს-მეთქი.

— ბუშტები ვერ დაძრავდა, — გასაღების ტრიალით თქვა მძლოლმა, — მაგის ჩექმებს კი ამწეც არ ეყოფოდა, — გაიცინა ბოლოს.

მებღღე კი ნელ-ნელა ეშვებოდა დაბლა. ზემოდან ეს ხალხი დაფნის გვირგვინს, დიდ თაიგულს ჰგავდა, რომლის შიგნითაც წითელ-ყვითელ-ცისფერქუდიანი ბავშვები მიხაკებივით, გვირილე-ბივითა და იებივით გარეულიყვნენ.

თაიგული უცებ გაიშალა და მებღღე მიწას რომ შეეხო, ისევე შეიკრა.

დიდმა ხელებმა გაუწოდა თათიას ძაფის ბოლო. გოგონამ მაგრად ჩაბლუჯა ის და გადაიკისკისა — ძალიან სასაცილო იყო დიდ ჩექმებში ჩაფლული ჩია მებღღე.

— „მართლა გაფრინდით?“.. „როგორ მოახერხე?“ „დიდი ხანია დაფრინავთ?“ „ჩვენც ხომ არ გვასწავლით ფრენას?“ „განა შეიძლება აღამიანი ფრინავდეს, ჩიტი ხომ არ არის?“.. დააყარეს აქეთ-იქედან. მებღღემ მხრები აიჩჩა.

— ბალღი ტირიდა და...



მე შევიშალე —

როილის კლავიატურას ამოვაცალე საღი კბილები;  
სამგლოვიარო განცხადების სევდიან ხაზებს დაემსგავსენ  
გადარჩენილი შავი ბგერები  
და ყვითელმა პენტატონიკამ გადაურა ოთახის კედლებს.

მე შევიშალე —

კნუტის წილი რძე დავლიე მშვიდად  
და მისი დედის —  
სამბრალო კატის მკვლელ ბოროტ ბიჭებს  
შეჭების ნიშნად მაისის ბალი ჩამოვურიგე;  
უცხო ხისაგან ფაქიზი ხელით გამოკვეთილი წყვილი აქლემი  
შემის მხერხავებს გადავუყარე,  
და ბურატინოს — კედლის თეფშიდან რომ მიღიმოდა —  
ჩამოვათაღე ღირსება მისი და სილამაზე —  
მთელ მსოფლიოში განთქმული ცხვირი.

მე შევიშალე —

აკვიატებულ ჭურწა ბალახს ვუწოდე შვილი,  
მერე მოვთბე უმწვანესი ლორთქო ბალახი  
და ჩემს სიგიჟეს დავარქვი ვნება და სიყვარული...

უკბილო ბგერებს სწუნს როიალი,  
უმწეოდ კნავის მშიერი კნუტი.  
და ბლით გამომძღარ კატის მკვლელ ბიჭებს  
ნიშნის მოგებით უცინით სახე,  
და ნაჩუქარი წყვილი აქლემის  
გადახერხილი კუწების სისხლი  
მდინარესავით ჩაედინება  
ცხვირჩამოთლილი ბურატინოს ცრემლების ზღვაში...  
ახლა მამოდებს:  
როიალი, კნუტი, ბიჭები, წყვილი აქლემი, ბურატინო,  
მკვდარი ბალახი...  
თუმცა რალა დროს —  
მე შევიშალე!

მაგრამ რა ვუყო არაშეშლილებს,  
რომლებიც დინჯად, შეუმლეულად ანადგურებენ  
კლავიატურის უნაზეს ბგერებს,

კნუტის რძეს, აქლემს, ბურატინოს ცხვირის ღირსებას,  
და ლორთქო ბალახს ღიღინით გლეჯენ.  
არ იცილებენ ძურწა სურვილებს,  
და ბოროტ ბიჭებს არ ტუქსავენ,  
რა ვუყო იმათ! თორემ მე ხომ...  
მე... შევიშალე.

### ვ ე დ რ ე ბ ა

ო, განშორების გარდუვალობავ,  
შენს გაურკვეველ გლოვას თუ ზეიმს  
აქვს მოწყალების ფერი და გემო  
და ამიტომაც ვარ მუხლმოყრილი.  
ჩემი სიმაღლის დიდი ნაწილი  
განწირულია ჯალათის ხელით.  
წელში გადაჭრილ ფიჭვის ხესავით,  
მტკივა სურნელით სავეს სხეული.

ოღონდაც მალე ჩამორეკე ცივი ზარები  
და მიწყალობე ცაში ახედვა,  
წელგამართული, ჩემი სიმაღლით გაოცებულს  
ჩამოგაწოდებ —

ცისარტყელას შეიდფერა ვირგვინს.  
მე უგვირგვინოდ, მსუბუქად ვივლი...  
ოღონდაც მალე! —  
ველარ ვუძღვებ შიშსა და სევდას,  
დაჩოქილ ვნებას და სიყვარულს ლაფში ამოსვრილს...  
მაინც ხომ უნდა განშორების ვიგემოთ წამი,  
მაინც ხომ უნდა გაიბზაროს დაფა ყინულის...

ო, ჩამორეკე ცივი ზარები,  
თორემ ცოტაც და  
სანუკვარი წკრიალის თრთოლვა  
ველარ გამართავს მოხრილ სილუეტს...  
ოღონდაც მალე!  
ალაპყარი ლამაზი ხელი  
და ჩამორეკე განშორების ცივი ზარები..

### დ ი დ ი

ვიცი კიდევ მოვა წვიმა, ვიცი ასე ვერცხლად მოთოვს.  
მერე ვნებებს შეიწირავს შენსასა და ჩემსას, დოდო.

მანსოვს ყორნისფერი თმები, მარტმა რომ ფიფქებით მორთო,  
ვაითუ მოგონებით თვრები, ვაითუ მელოდები, დოდო.

ჩვენი სისხლის დაცლას ვრივი, სული ამომხადოს ლამის,  
სადღაც თეთრად გამოსჭვივის ორი უილაჯო მკლავი.

იქნებ ბედისწერაც არის, ხშირად ჩვენ რომ არა გვჯერა,  
იქნებ მოვარდნილი ქარის გული არ დამცხარალა ჯერაც,

იქნებ ღობე შევაერთოთ, ყვავილებიც გვერგოს იქნებ,  
იქნებ გადავურჩეთ, ღმერთო, ამ უგაზაფხულო ფიქრებს!

ახლა დადამდება მალე, მალე გაზაფხულიც მოთოვს.  
მამის დამძიმებულ მკლავებს ვაითუ ვენატრებით, დოდო...

### საყვედური

მოხეტიალე მღებავებო,  
რად მოთითხნეთ კოხტა ქალაქი!  
რას გიშავებდათ მწვეანე მესერი  
ასე გულდაგულ რომ შეათეთრეთ,  
ან ცისფერ სახლებს რას ერჩოდით,  
ანდა მოწინწკლულ მათ სახურავებს.  
რისთვის აქციეთ ჭრელი ქალაქი  
ერთფეროვანი სიმღერის ბუდედ...  
მხოლოდ ძველ კედელს ვკლესიასას  
შემორჩენია ის თეთრი ფერი,  
რასაც სისველე თქვენი ფუნჯისა  
მხოლოდ იმიტომ არ შეხებია,

რომ არ გცოდნიათ — თეთრი თეთრისგან  
გამოირჩევა ხშირად ისევე,  
როგორც მზის სხივი — ოქროს ბეჭდისგან...  
გადარჩენილი ერთი კედელი,  
თქვენამდე ჭრელი კოხტა ქალაქის  
შორიდან მოჩანს, როგორც სიწმინდე  
მარად ნათელი და შეურყვანელი.  
იქნებ იმისთვის მოგეტყვებათ  
უნიჭოდ ქნევა სველი ფუნჯების  
სხვა სიქათქათით, რომ დამანახვეთ  
იმ ვკლესიის თეთრი კედელი.

### ო ღ ო ნ დ...

როცა მოვკვდები —  
ანუ როცა გარდავიცვლები,  
ძნელია, მაგრამ ვარ თანახმა დღის გაგრძელების —  
ოღონდ ერთბაშად მწერებივით ნუ ამოვწყდებით  
ამ საუკუნის ურცხვი ომის საშინელებით.

დე, იმ დღეს შესდგეს პრემიერა ყველა თეატრში,  
ჩემს კუთვნილ ტაშს და თაიგულებს კრეფდეს სხვა ქალი,  
და დიდებმა შვილიშვილებს სწორედ იმ დამეს  
უამბონ ყველა მხიარული ქვეყნის ზღაპარი;

როცა მოვკვდები —  
ანუ ჩემი წილი ცის ნაგლეჯს,  
წაეფარება როცა მიწის ბელტის გიშერი —  
დაე, მინდორში საბალახოდ გამოსულ სხვა ცხენს  
ჩემმა ულაცმა გადააჭდოს თბილი კისერი.

## ი ლ ა ჯ ი

(თამარისტული ნოველა)

ზარი რომ დარეკეს, ვანო კივილაშვილი ლოგინიდან წამოხტა, ფოსტლები ფეხით მოძებნა და კარის სამზერში გაიჭვრიტა. უცნობს ხელში მინის ქილა ეჭირა, ხოლო ქილაში ორი წვრილი პლასტმასის ღერო იდო; დაახლოებით ისეთი, კოქტეილისთვის რომ ხმარობენ. სტუმარს ქილა ხელში ისე ეჭირა, რომ მასპინძელს ჭუჭრუტანიდან კარგად გაერჩია.

— ვინ ხარ? — ჰკითხა ვანომ, თან ჭუჭრუტანისთვის თვალი არ მოუცილებია.

— კივილაშვილი თქვენ ბრძანდებით, მატივეციმულო?

— რაშია საქმე?

— სანებიდსადგურებიდან ვართ, თუ შეიძლება.

უცნობი მობოდიშებითა და მოკრძალებით ლაპარაკობდა.

— ახლავე.

ვანო ჭუჭრუტანას მოშორდა, საწოლ ოთახში შეირბინა, შარვალი ჩაიცვა, ხალათი ბეჭებზე მოიდო და სარკეშიც ჩაიხედა, ისე, ყოველ შემთხვევისათვის.

— მობრძანდით, მაგრამ რომ არ მყავს თავგები, საყვარელო?

სტუმარს ახლა ორივე ხელით ეჭირა სინჯარებიანი მინის ქილა და უხერხულად იღიმებოდა.

— ამჯერად თავგებს არ დავიქებთ, პატივეციმულო. პაერი როგორია თქვენს ბინაში?

— რა ვიცი, როგორიც სხვაგანაა. — მასპინძელი ასეთ კითხვას არ ელოდა.

— ღამე ხომ არ გეღვიძებათ ხშირ-ხშირად, ხანდასან თავბრუ ხომ არ გეხმით?

— თავბრუ არა, ღამე, ბრძანეთ, იმისი არ იყოს, ხშირად კი მეღვიძება, მაგრამ ავადმყოფობა მაქვს მე ერთი, უბედური, დიდი ხანია და, იმას ვაბრალე, შემობრძანდით.

უცნობი შემოვიდა და მოსაცდელში ძველი, ჩუქურთმებიანი სარკის წინ გაჩერდა.

— შეგაწუხებთ ამ დილას, გეძინათ იღბათ.

— არა, ბატონო, რა დროს ძილია, ათი ხომ იქნება?

სტუმარმა საათზე დაიხედა.

— ათის ნახევარია, მარტო ცხოვრობთ?

— საერთოდ, არა, ახლა — კი. მუშრინავია ჩემი შვილი და დადის იქეთ-აქეთ მივლინებებში, ასლა კალინინგრადში წასული.

— როდის უნდა დაბრუნდეს? — დაინტერესდა სტუმარი.

— რა ვიცი. ახლანდელი ახალგაზრდებისაგან სწორს გაიგებ რამეს?

ვანომ იცრუა. იგი თხუთმეტი წლის წინათ გაშორდა ცოლს და მარტო ცხოვრობს. ვაჟი, რომელიც ახლა ოცდახუთი წლის არის, დედასთან დარჩა. მანამდეც იშვიათად აკითხავდა. შარშან კი მამაშვილი რადაცაზე შეკამათდნენ და ეს ერთი წელია, ბიჭს ვანოსთან ფეხი არ შემოუღდამს.

სტუმარმა, ეტყობა, ბინაში მყოფთ.

ჩაოდენობის გარკვევა დამთავრებულად ჩათვალა და საქმეზე გადავიდა.

— ქანგბადის დონეს ვამოწმებთ, პატრიცეპულო. ოცდახუთი ბინა შევამოწმე დღეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ადამიანისთვის საკმარისი ქანგბადის დონე მხოლოდ ხუთში აღმოჩნდა.

ვანო შეაძრწუნა ამ ცნობამ.

— რას ლაპარაკობ?! ეს მანქანები გვიშვრება, ბატონო, ყველაფერს. მიწქანამ დალუბა ქვეყანა. მალე ქანგბადის ბალიშების შექენაზე გადავა ხალხი მასიურად.

— ქანგბადის ბალიშები ჯერ არა, მაგრამ ვის ბინაშიც ქანგბადის ნაკლებობაა, ჩვენ დავალბული გვაქვს, ჰაერმწმენდი დავუდგავთ და სულზე თითო ლიტრა რძე უფასოდ ვაძლიოთ.

— ყოველდღე?

— კი, ბატონო!

ამასობაში სტუმარი ოთახებში მიმოდირდა. ქილას მალლა სწევდა და ათვალეირებდა. უბის წიგნაკში რაღაცას იწერდა და იყო ერთ საქმეში.

როცა ქანგბადის დონის შემოწმებას მორჩა, ქილა იატაკზე დადგა, აბაზანაში შვვიდა, ხელები საპნით დაიბანა და ოჯახის უფროსს აუწყა:

— საშიში არაფერია თქვენთან ჯერჯერობით, პატრიცემულო. მერე კიდევ შევამოწმებთ. თუ რაიმე შეიცვალა, დავიკავშირდებით. — კარი გამოაღო და ხმაშემალი გაიმეორა: — ჯერჯერობით საშიში არაფერია, პატრიცემულო!

ვანოს უნდოდა ეთქვა: დიდი მადლობა, იატაკზე ქანგბადმზომი გრჩებათო, ნაგრამ აღარ დასცალდა: ღია კარებში ორი კაცი შემთვარდა, ერთმა რევოლვერი მიაღო ცხვირთან, მეორე უქნიდან ეცა და ხელები გადაუგრიხა.

— ხმა, თორემ ვაგათავებთ!

„მექანგბადემ“ ჩვარი დააძრო პიჯაკის ჭიბიდან.

— პირი გააღე, პატარა ხანს ცხვირით სუნთქვა მოგიწევს.

„ეს ახელა ჩვარი თუ პირში ჩამაკუნშენს, დავიხრჩობი და ის იქნება“,

გაუელვა ვანოს, თავი გვერდზე შეამრუნა და მუდარით უთხრა:

— არ გინდათ ეგ ამბავი, ბიძია, ხმას არ ამოვიღებ.

დაუჯერეს. სასტუმრო ოთახში შეიყვანეს, ხელები ბაწრით შეუჯერეს, სავარძელზე დასვეს და ვაიფრთხილეს.

— ორი კაპიკის გულისთვის ნუ გაიმწარებ, ბიძია, სიცოცხლეს. ხმის ამოღება და ყრონტის გამოჭრა ერთი იქნება!

„სანებილსადგურის წარმომადგენელი“ თავზე დაადგა ვერცხლისფერი ბრალუნივით ხელში, დანარჩენები საწერ მაგიდას ეცნენ და უჯრები თვალისდახამხამებაში იატაკზე გადმოაბირქვევეს. კარგა ხანს ურეის ხელი ქაღალდებში. მერე ერთბაშად შეწყვიტეს ქექვა და მასპინძელს გარს შემოადგნენ.

— რად გინდა ახლა, რომ ავინგრიოთ ეს დალაგებული ბინა. შენზე უკეთ არავინ იცის, სად რაა. მოგვეცი და წავალთ ჩვენ გზაზე. — ეს კარადს მიყრდნობილმა შავკებიანმა, მაღალმა ქურდმა უთხრა.

ვანომ თავით ფეხამდე ათვალ-ჩაათვალეირა მომხდურნი. თუ ცოცხალი დამტოვეს, ამათ გარეგნობა-ჩაცმულობას მილიცია დაწვრილებით გამომკითხავსო.

ქანგბადის გაზომვის ოსტატს თეთრი, მწვანეკაბლებიანი პერანგი ეცვა და მსხვილად განასკვეული კვერცხისგული-სფერი ჰალსტუხი ეკეთა. ბაუები თითქმის ნიკაპამდე წვდებოდა. მისი „პროფესიის“ კაცისთვის არაჩვეულებრივად კეთილი თვალები ჰქონდა და სავარძელში ხელებშეკრული მოხუცის ხვანცალს რომ უყურებდა, ხშირად ღიმილი გადაუტრებდა ინტელექტუალურ სახეზე. მეორე, ტანდაბალი, მუშტებშეკრული რომ აღვა თავზე, მელიორი იყო, თავწვერულეშვიანად ახალი ვაპარსული უნდა ყოფილიყო, ვანოს „კიტჩის

რევაზ მინდიალაძე  
ხუთი ნომრისა



წყლის“ მძალე სუნი ცხვირში უღიტინებდა. ბავშვის დახატული პირატივით გამოკვეთილი უშნო ყბები და ღორჯოსნაირი პირი ჰქონდა. მგლეოვით გაჩიკინებულ კისერზე, თავის ტანთან შედარებით, საკმაოდ დიდი თავი ედგა და რამეს რომ ეტყოდნენ, მთელი ტანით ბრუნდებოდა. შავკეპიანს მარტო ყავისფერი თვალები და კეხიანი ლამაზი ცხვირი უჩანდა. სახეზე შავი წვერი მოსდებოდა, წვერი ყვრიმალებზეც კი ამოსულყო, მარჯვენა ხელის შუათითზე ვერცხლის ბეჭედი ეკეთა.

— რას ექებთ? — რამდენადაც მოუხერხდა მშვიდად იკითხა ვანომ.

— ოქროს. — ღორჯოსპირიანს სუსტი, ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა. — და ფულს.

— არც ერთი მაქვს და არც მეორე. ა, ბატონო, აგერ ხართ სამივე, არსად არ გვეჩქარება, ჩემთან სტუმარი იშვიათად მოდის. დაძებნეთ კარგად და თუ რამეს იპოვით, ალალი იყოს თქვენზე. — თქვა მასპინძელმა.

— რა ხალხში მაქვს საქმე! — თქვა წვეროსანმა, ხელები ერთმანეთს გაუტყაპუნა და ოთახში წინ და უკან დაიწყო სიარული.

— ოქრო არა გაქვს შენ, ვანო კიკილაშვილ? — მომცრო ბანდიტი თავს ვერ იკავებდა.

— არც მქონია მიდღემჩი. — მასპინძლის ხმაში შეუპოვრობამ დაისადგურა.

— ყორყია, გაახურე უთო. ახლავ ევალაპარაკებ ამ ბებერ ტურას. ამასთან ლაილას თავი მაქვს მე?! — პირატი არ ხუმრობდა.

ყორყიამ უთო გამოიტანა, ტელევიზორის ჩამრთველი გამოგლიჯა. უთო იატაკზე გვერდულად დადო და არაბულ სკამზე მოკალათდა.

— უთო რად გინდათ? — დაინტერესდა ვანო.

— უნდა გავუთოოთ. — დაკამყოფილა მასპინძლის ცნობისმოყვარეობა მეყანგბადემ.

— თქვენი საქმე თქვენ იცით. — ჩა-

ილაპარაკა ვანომ და სტუმრებზე ერთხელ კიდევ შეათვალიერა, — „აქაშაშაშაშა“ დები ხართ, მოიქეცით ისე, როგორც ქურდებს ეკადრება. თავს ნუ შეირცხვენთ, ბიძია, რაცხა ორი კაპიკის გულიოსთვის. მე, მალე დარწმუნდებით სამივე, ის კაცი არ ვარ, რომ შემაშინოთ და გული ამიფრიალოთ, პატიოსნად გეუბნებით; ოქრო მე არ მაქვს, გარდა ერთი ბეჭდისა (აგერ მიეეთია ხელზე), და მამაჩემის ნაჩუქარი საათი დევს, მაგერ, ჩემს ლოგინთან, კოლოფში. რაც შეეხება ფულს, ფული მაქვს, როგორ არა მაქვს, მაგრამ თქვენ რომ გგონიათ, არც იმდენი. ხუთასი მანეთი მაქვს მწვანე კოსტიუმის ჯიბეში და იმ წიგნების კარადის თავზე სალაროს წიგნაკი დევს — თხუთმეტი ათასი მანეთი სალაროში მაქვს. ესაა ჩემი სიტყვა. თუ დამიჯერებთ, კარგია, თუ არადა, ქენით, რაც გინდათ. მე სამოცდათორმეტი წლის კაცი ვარ, ჩემი ცხოვრება მოგვამე უკვე. ჩემს შემწინებას ტყუილად ნუ ეცდებით. — ვანო ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდა, რომ მალაღმა უთო გამოერთო და ისევ ტელევიზორი შეაერთა.

— ეგება მართლა არა აქვს ამ კაცს და ხომ არ მოვკლავთ? — სხვისი ხმით თქვა ჰალსტუხიანმა, რვეოლვერი ჯიბეში ჩაიდო, „ყაზბეგი“ ამოიღო და საფერფლეს დაუწყო ძებნა.

— თუ კაცი ხარ, აქ არ მოსწიო. მე თვითონ არ ვეწევი და ვულს მირეცხ პაპიროსის კვამლი. ერთ კვირას ვერ გავდენი მაგის სუნს სახლიდან. — სთხოვა მასპინძელმა და ქურდიც უსიტყვოდ დამორჩილდა, მოკიდებული პაპიროსი ჩააქრო და ისევ „ყაზბეგის“ კოლოფში ჩააბრუნა.

„პაპიროსის ნამწვი არ დატოვა, ჰქვიანი კაცია“, — გაიფიქრა ვანომ.

ამასთანავე ყორყია და მელოტი ენერგიულად მუშაობდნენ. კარადები ამოატრიალეს. წიგნები იატაკზე დაყარეს, უჯრები ამოფერთხეს. მუთაქასაც დაუსვეს დანა.

— შენი სახელი? — ჰკითხა ვანომ „ქანგბადის სპეციალისტს“.

— ბონდო, ჩემო ბიძია.

— ბონდო ბატონო, შეხედე ერთი, არის ახლა ეს კაცური საქმე? მარტოხელა კაცი ვარ, მუთაქების დაჭრა მინდა მე? საიდან ჩამოხვედით, თქვე კაი ხალხო, მუთაქაში ვინ ინახავს ახლა ფულს?

— რა ვიცი, ბიძია. შენ გგონია, ჩემსას გაიგონებენ მაგენი? უბედური ხალხი ყავს გამჩენს. რატომ ის დღე და საათი არ დიწვეა, მე რომ ამ საქმეს მივყავი ხელი. — ხმას დაუწვია და, თითქოს ძველ მეგობარს საიდუმლო უნდა გაანდოსო, ჩურჩულით უთხრა: — თუ გაქვს ოქრო, მე მიიხარო, სად გაქვს, მიიხარო და იმ ოთახში არ შევეღმებ მაგენს. მენდე, ბიძია, ისე მომეწონე, რომ ამ ოხრებს არ ჩაუღვლებ შენს ოქროს ხელში.

ვანოს გაეცინა.

— არ მაქვს, ჩემო ბონდო, თორემ ოქროს დაგიძალავ მე შენ?

— ახია შენს თავზე ყველაფერი! — გაწყრა ბონდო და განზე გაიხედა. — იმ გაუთოებასაც მე გადაგარჩინე, იცოდე. ბატონი არ უნდა გკეთ თქვენ კაცმა! კარგი, იმგენს ატყუებ, მე რაღას მატყუებ, შე კაი კაცო?

— არ მაქვს ოქრო! — ვანო კიკილაშვილს ოქრო მართლა არ ჰქონდა.

ორ საათს დაჰყვეს ქურდებმა ვანოს ბინაში. ყველაფერი გადაქექეს. საკერავი მანქანაც არ დარჩენიათ დაუშლელი, მაგრამ რაც მასპინძელმა თქვა, იმაზე მეტი ვერაფერი იპოვეს. წასვლისას ხელლები შეუხსნეს და მკაცრად გააფრთხილეს; ჩვენი გასვლიდან ერთი საათის განმავლობაში ტელეფონთან არ მიხვიდე და კარი არ გააღო. საღაროდან ფული გამოიტანე და ზეგ, დილის ათ საათზე დაგვახვედრე, რომელიმე ჩვენთაგანი მოვა და წაიღებსო, ჩვენი შენთან ყოფნის თაობაზე კრინტი არავისთან დასძრაო. თუ ამ სამი პუნქტიდან რომელიმეს არ შეასრულებ, სახლს ავიფეთქებთ და შენს მფრინავ ბიჭს შენ თვალწინ გამოვჭირთ ყელსო.

ხოთასი მანეთი, ოქროს საათი და ბე-

ჭედი (თითზე წააძვრეს) წაიღეს. დამშვიდობების შემდეგ ბონდო შემობრუნდა, ქანგბადის საზომი ხელსაწყო გაზეთში შეასხვია (ხომ ძველია ეს გაზეთი, ხომ წაკითხული გაქვსო), მასპინძელს კარგად ყოფნა და ჯანმრთელობა უსურვა და გავიდა.

ვანო ჭეჭრუტანიდან უყურებდა; ორივე ლიფტი გამოიძახეს, ბონდო და ქორცი მარჯვენა ლიფტში ჩასხდნენ, ღორჯოსპირიანი—მარცხენაში, თვალს მიეფარნენ, ვანო სამზარეულოში გავიდა, წყალი დალია და საათს დახედა.



— არც კი ვიცი ახლა, ჩემო ბატონო, კარგს ვწვრები, თუ ცუდს. ეგებ მთლად უარესი შეიქნეს ჩემთვის, რატომ დაგვასმინეო და ეგებ მართლა გამოვპრან ბერიკაცს ყელი. მაგრამ გაბრაზებული ვარ და შეურაცხყოფილიც, სხვათა შორის. ისე, კი არ იყვნენ გლახა ბიჭები. ერთი მაინც, პირველად რომ შემოვიდა, ძალიან მომეწონა. კინალამ ვუთხარი — ამგენთან, ამ მათხოვრებთან საამხანაგო რა გაქვს, ბონდო, შენ-მეთქი. ბონდო მქვიაო და, რა ვიცი, ბონდო ჰქვია? შესახედავად როგორებიც იყვნენ, ქე გითხარით, წაღებთ, იმ ერთ კინკილა ბიჭს ვფიცავ, რაც ჩამოვთვალე, ის წაიღეს. ფულს და ოქროს ეძებდნენ, თვარა კარადა საცხე მქონდა. ახალთახალი კოსტიუმისთვის—მაისში შევიკრე, ორჯერ მეცვა მარტო, — ხელი არ უხლიათ. არ მოვიდოდი თქვენთან, ჩემს სიგლახეს ვამბობ, ზურგს უკან ქიჩმაჩი არ მიყვარს. თუ რამის თავი მქონდა, იქვე უნდა გამეცა პასუხი, მარა სამი კაცის მორევა შემოძლია მე? არ შეგაწუხებდით თქვენც. რა მოხდა, ქურდი და დამცემი იმისაა, რომ ან შენ უნდა მოგპაროს, ან მე. აბა ჩუქებით ვინ რას გაჩუქებს! მაგრამ ნამეტანი მასხრად აწიგდეს მაგენმა და ამაზე ვარ გაბრაზებული. რაც მიგვაქვს

რედაქციაში  
საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მედიის ცენტრი



ზომ მიგვაქვს ახლა (რალაცა ორი კაბი-  
კი მაქვს ნაგროვები შავი დღისთვის,  
ვინ იცის, რა მომელის მარტონხელა კაცს)  
ბანკიდან ფული გამოიტანე და ზეგ და-  
გვახვედრე დათვლილიო. ამასაც კაი,  
ვაპატიებდი, მარა საათის წაღება რაღა  
იყო? ამხელა ფულს გაძლევ ზეგ (ვა-  
ნოს გაეცინა) და მამაჩემის ნაჩუქარი  
საათი მიგაქვს, არ გრცხვენია? რომ კი-  
თხო, ვაქცალები არიან და პატიოსანი  
ქურდები არიან...

მილიციის მეორე ქვეგანყოფილების  
უფროსმა კიკნაძემ მოხუცს ყურადღე-  
ბით მოუსმინა, მერე ერთხანს აქაქუნა  
ფანქარი და როდის-როდის ინება ხმის  
ამოღება.

— რომელი საათი იყო?  
— ათის ნახევარი, თვითონ მითხრა  
ქურდმა, მე, გითხრა სიმართლე, საა-  
თისთვის არ დამიხედავს.

— ვინმემ გაიგო ეს ამბავი? — კვლავ  
დიდი პაუზის შემდეგ იკითხა კიკნაძემ.  
დაზარალებული, ცოტა არ იყოს, გაბ-  
რაზდა, ამის მოფიქრებას რად უნდოდა  
ამდენი დრო, მე მეგონა, ცხელ კვალზე  
დადგებოდა მილიცია, დაფაცურდებო-  
დნენ ყველანი, ეს რალაცა გლახად იჭი-  
მებაო.

— არა. თქვენ გეუბნებით პირველად.  
კიკნაძე წამოდგა. ვასაღებები ააქლა-  
რუნა, სეიფი გააღო და ვანო კიკილაშ-  
ვილს ძველთაძველი, ყდაშემოვლექილი  
ფოტოალბომი დაუღო წინ.

— ნახეთ ერთი, დაათვალიერეთ, თუ  
იცნოთ რომელიმე, იმ სამიდან, თუ ვი-  
ნმეს მიამსგავსოთ, მითხარით.

ვანომ კარგა ხანს ათვალიერა ქურ-  
დების ალბომი, თითქმის ყველა ჭურის  
ქურდის ფოტოსურათს წააწყდა, მისი  
ნაცნობი ბანდიტების გარდა.

— როდის მოვალთო ფულის წასაღე-  
ბად?

— ზეგ დილას, ათ საათზე.

— ტყუილია! — დაასვენა კიკნაძემ  
და ქოჩორი ფანქრით მოიქეჭა.

— რა ბრძანეთ? — წინ გადაიხარა ვა-  
ნო.

— ტყუილია-მეთქი! მაგ დროს არ

მოვლენ, — თითქოსდა დიდხანს  
გააკეთა ქვეგანყოფილების უფროსმა.

— მე მგონია, საერთოდ აღარ მოვ-  
ლენ მავენი, — ჩაილაპარაკა ვანომ.

— მოსვლით მოვლენ, ათი ათასი მანე-  
თის დამკარგავები არიან? მოვლენ, მა-  
გრამ სხვა დროს მოვლენ. შენ სულ რომ  
არ ელი, ისეთ დროს მოვლენ.

— რა ექნა, აბა? — დაბნეულად იკი-  
თხა ვანომ.

— დაწერეთ. აგერ დაბრძანდით და  
ყველაფერი დაწვრილებით დაწერეთ,  
რაც მოხდა. მერე წაბრძანდით შინ, გა-  
მოიტანეთ სალაროდან ათი ათასი მან-  
ეთი, იმიტომ რომ, ქურდებმა უკვე  
იციან, რომელ სალაროში გაქვთ ფული  
და შეიძლება დაინტერესდნენ, მართლა  
გაიტანეთ თუ არა. შეინახეთ ეს ფული  
სახლში და დაელოდეთ ქურდებს. ხვალ  
დილით ჩვენი თანამშრომლები მოვლენ  
თქვენთან. მიუჩინეთ ერთი ოთახი და  
არაეისთან არაფერი წამოგვდეთ, თო-  
რემ ოპერაცია ჩაიშლება. ქურდები  
რომ მოვლენ, კარებშივე არ მისცეთ  
ფული, შინ შემოიპატიეთ, მერე ჩვენ  
ვიცით.

ვანო წამოდგა და ვენტილატორს ხე-  
ლისგული მიუშვირა.

— ხვალ დილით მოვლენ, აბა?

— დიახ.

— რამდენი იქნებიან?

— სამი ან ოთხი.

— რამდენ ხანს უნდა იყვნენ ჩემ-  
თან?

— უნდა იმორიგეონ დღე და ღამე.  
სანამ არ დავიჭერთ ქურდებს.

— ავაშენათ ღმერთმა. — დაამშვიდა  
ვანო. — ერთ მათგანს ვერ მაჩვენებთ  
სახეზე? თორემ ისე ვარ შეშინებული,  
შეიძლება ხვალ დილით კარი არ გავუ-  
ღო.

კიკნაძეს გაეცინა.

— ფაფით შეშინებული დოს უბერა-  
ვდარო, არა? — ღილაკს თითი დააჭირა  
და მიკროფონს ჩასძახა — ხუსკივადე  
მოვიდეს ჩემთან!

ხუსკივადე მაღალი, მხარბეჭიანი

შავგვრემანი სერჟანტი უფროსს გაეჭიმა.

— ეს იქნება ერთი, ბატონო, — ვანოს მიუბრუნდა კიკნაძე, ხომ არ შეგეშლებათ? — თავისუფალი ხარ!

ხუსკიყაძე გავიდა.

რა ვიცი, ღირდა სამამბავოდ ყველაფერი? ახლა დაიკვირენ ამგენს. მერე სასამართლო და გამოძიება. უნდა ვიბრინო აქეთ-იქეთ. ვილაცა ამხანაგები ეყოლებათ და დამიშვებენ აგურს თავში. ესეც რომ არ მოხდეს, მთელმა ქვეყანამ უნდა გაიგოს ჩემი გაძარცვის ამბავი. საათი რომ არ წაეღოთ, ზმას არ ამოვიღებდი, მარა მაგენის ბრალიცაა. წუწკი ტურა ძალღებს რჩებაო, არ უნდა გაწუწკად ქურდი. ქურდი თუ ხარ, ქურდი უნდა იყო!... ბუტბუტებდა გზაში ვანო და არც კი გაუგია, როგორ მიაღწია სახლამდე.



ამის შემდეგ თენახეგარი გავიდა.

ერთ მშვენიერ დღით, ცხრა საათს ხუთი წუთი არც კი აკლდა, როცა მილიციის მეორე ქვეგანყოფილების კარი ხელჯოხიანმა, დაბალმა, შავ კოსტუმთან და ჭილოვის ცილინდრიანმა აკაცმა შეღო. მორიგისთვის არც კი შეუხედავ; პირდაპირ უფროსის კაბინეტისკენ გაუტია.

— მიქალაქე! — დაადგენა უფროსმა.

— რა იყო?! — თითქოს თოკით დაქაჩესო, უცნობი მეყსეულად შედგა და შემოტრიალდა. ცალი ხელით დოინჯი გაიკეთა, მეორეთი ხელჯოხს ნერვიულად აკაქუნებდა. ამკარად აღღვმებული იყო.

— რა იყო და, გამონაცვალ პერანგს ვერ მარტყებ? — თითქოს რაიმე ჰკვიანური თქვაო, თავისევე ხუმრობით კმაყოფილმა მორიგემ უსიამოვნოდ, ფინაგენტით გაიცინა — რა უნდა ყოფილიყო, მე ტყუილად ვზივარ, თუ ატყობ, ამ ადგილას?

— სულ არ მაინტერესებს შენ რა-

ტომ ზიხარ მაგ ადგილას. შენისთანა უზრდელი სამი მიზის სახლში და თუ ძალიან გინდა, იმათაც მოგისვამ გვერდით.

— ცოტა ზრდილობიანად მეღაპარაკე! შენ თვითონ არ მიგასვან ვინმეს გვერდით, იმას ეცადე. შენხელო კაცს ზრდილობა ქე მოეთხოვება!

სტუმარი ერთბაშად მიხედა, რომ მორიგესთან საუბრის გაგრძელება ზედმეტი იყო. ღრმად ჩაისუნთქა, ჯოხი იატაკს გაუკაქუნა და რამდენადაც მოუხერხდა, მშვიდად უთხრა ჩხუბის გუნებაზე დამდგარ მორიგეს:

— უფროსთან ვარ მოსული! — ეს კაცი ვანო კიკილაშვილი გახლდათ.

— არსადაც არ გაგიშვებ! — მორიგე მივიდა და დერეფნის კარის გასაღები გადაატრიალა — თავიდან რომ აღამიანურად გეთქვა, გაგიშვებდი. ახლა იხტუნე რამდენიც გინდა. არ გაგიშვებ პრინციპიანულად. წადი და მიიჩილე! — თავის სამორიგეო სკანზე მოკალათდა და შეეცვლილი ხმით დაუყვირა: — მოქალაქე! მიბრძანდით აქედან, თორემ ძალით მიგაბრძანებთ! — ხმას დაუწვია და ნიშნის მოგებით უთარა: — ჭიმივა როგორ უნდა, მე გაუტრებიანებ ახლა შენ.

სხვა გზა არ ჰქონდა, ვანო მორიგეს გაეცალა, ეზოში გავიდა და სკვერში ძელსკამზე ჩამოჯდა, ვინმე ღვთიანმადლიანი გამოივლის და უფროსთან დავაბარებ, მიმიღოსო.

ერთი საათის შემდეგ იგი კიკნაძის კაბინეტში იყო და სხაპასუხობით ლაპარაკობდა, ჩქარობდა, იმიტომ რომ უფროსმა შესვლისთანავე გააფრთხილა, მოკლედ მომიყვიე, რა გაწუხებებს, სამმართველოში ვარ დაბარებულნი და უნდა გავიქცეო.

— შეიძლება არ უნდა მოვსულიყავი დღეს აქ და არ უნდა ვამბობდე, რასაც ვამბობ. — დაიწყო ვანომ და როცა შეატყო, რომ კიკნაძე კედელზე გაკრულ

რეკავი მონაწილამა  
ხუთი ნოვალა



ლი ძველი ვაზეთის ერთმა სათაურმა მი-  
იზიდა, იატაკს ჯოხი დაუკაეუნა — თუ  
კაცი ხარ, ამ ერთ წუთს ყურადღებით  
მომისმინე. ნუ მიიხედავ გვერდზე. მე-  
ცი პატივი. თვენახევრის წინ ვიყავი მე  
თქვენთან — 18 ივნისს. გაქურდვის სა-  
კითხზე, გემახსოვრებით ალბათ.

— რას ჰქვია „გემახსოვრებათ“, ბა-  
ტონო! — გაწყრა კიანძე — გემახსოვ-  
რებით კი არა, „ბოსტი № 3“ გვაქვს  
თქვენს ბინაში და თავგიც რომ გაფა-  
ჩუნდეს, იმას მახსენებენ ყოველდღიუ-  
რად, გურამიშვილის 11, ივანე კიკილა-  
შვილი ბრძანდებით. მეშლება რაზე?

— არაფერი, ბატონო, ყველაფერი  
მშვენივრად გცოდნიათ. ავაშენათ ღმე-  
რთმა, მაგრამ რაც მაქვს ორი სიტყვა  
სათქმელი, უსათუოდ უნდა გითხრათ.  
სხვა გამოსავალი აღარ მაქვს. უკიდუ-  
რეს დღეში ვარ, ჩემო ბატონო, ასე გა-  
მასხარაგებული, ახლა რომ ვარ — სა-  
მოცდაცამეტი წლის შეესრულები ოთხ  
მარტს, — მიდღემჩი არ ვყოფილვარ.  
დავბეჩავდი კაცი, ილაჯი ვამიწყუდა, ჯერ  
თქვენთან რომ მოვედი, მაშინაც, ხომ  
იციით, ადვილი გადასაწყვეტი კი არ  
იყო — იტყვი და ვუთა, არ იტყვი და ვა-  
იარ. მე სხვანაირად ნაცხოვრები კაცი  
ვარ, ბატონო, და, არ ყოფილა ჩემს ხა-  
სიათში ჩივილი და მაიძუნობა. თქვენი  
სამი თანამშრომელი რომ მოვიდა, თვი-  
თონ გეტყვიან ალბათ, ახლაც ჩემთან  
არიან: ხუსკივაძე, გაზაევი და გელან-  
ტია, შევხვდი თბილად, რავარც ეკა-  
დრებოდათ. მივუჩინე წინა ოთახი. გა-  
ვუშალე ლოგინები, ჩემო ბატონო და,  
აბა თქვენ იცით, შე ვუთხარი, როგორ  
იმარჯვებთ-მეთქი, კარგი ბიჭები ჩანდ-  
ნენ თავიდან, ძვირს ვერ ვიტყვი, ზრდი-  
ლობიანად, წესიერად იქცეოდნენ ის  
პირველი ორი დღე. მე, არ დავიმალეთ  
და, ჩემი მჭირდა. მეორე დღეს, ათ სა-  
ათზე არ უნდა მოსულიყვნენ ქურდები  
ფულის წასაღებად? ვიჯექი ზალაში და  
ცივ ოფლს მასხამდა, რავარი საქმეა,  
მოდის აბრაგი შენთან ვაქცატურად (მი-  
სი საქმე ეგ არის) და შენ, ვანო კიკილა-  
შვილო, ახვედრებ სამ მილიციონერს

ოჯახში. იტყუებ თავს ხაფანგში და  
დული გყავს წინასწარ ცხვარივით. მა-  
გრამ, ვენაცვალე განჩენს, არ მოვიდნენ.  
გეცოდინებთ, რასაკვირველია, ზუსტად  
ათ საათზე დამირიყეს. ტელეფონი, რა  
თქმა უნდა, ჩართული იყო და ყველა-  
ფერი იწერებოდა, დამირიყეს, გითხა-  
რით იმისი არ იყოს: „გამარჯობა, ვანო  
ბიძია, რა ჰქენი ჩვენი ფულისო?“ „მზად  
მაქვს, მე ვუთხარი. აგერ მიწყვიდა და  
მობრძანდით, ჩიობარეთ თქვენი ფული-  
მეთქი“, როგორც ვიყავი დარჩებული.  
ისე, კარგად, ლამაზად... აბა, მოვდივართ  
ამ წუთშიო, ნახევარ საათში შენთან ვი-  
ქნებით და, თუ კაცი ხარ, იმდღევანდელ-  
ოვით დიდხანს არ გაგვაჩერო, ათასი  
საქმე გვაქვს დღესო. ქურდს საქმეს რა  
გამოუღვეს. ექნებოდათ ალბათ ანაი-  
რი საყაჩაღო სადმე რაზე. ერთი სიტყ-  
ვით, გეცოდინებთ, რასაკვირველია,  
ვუცადეთ, მარა იმ დღეს არ მოვიდნენ.  
მეორე დღეს, ასე თორმეტი საათი იქნე-  
ბოდა, დამირიყეს მეორედ. იმის ხმა  
იყო, პირველად რომ შემოვიდა. სიმბა-  
თიური ბიჭი იყოთქვა, მაშინ რომ გით-  
ხარით. ეს ლაპარაკი, ყველაფერი, ჩა-  
წერილია მშვენივრად. ბოლიში მომი-  
ხადეს, რასაკვირველია, გუშინ ვერ მო-  
ვედით, საქმეზე შეგვაგვიანდაო. ახ-  
ლაც ისე ეწყობა ჩვენი საქმე, რომ  
მაქეთ გზა არა გვაქვს და იქნებ გაისა-  
რჯო და გამოგვიტანო ფული ბარათაშ-  
ვილის ხიდთანო. „კი, ბატონო, სიამო-  
ვნებით, შე ვუთხარი (ეს ყველაფერი  
იწერებოდა), ზუსტად მითხარით, სად,  
მოვიდე, არ აცდეთ სადმე-მეთქი“. „ბა-  
რათაშვილის ხიდქვეშ, ავლაბრის მხა-  
რეს, გზა რომ გადის, იქ დადეთი ფული  
ხელში და ჩვენ თვითონ გამოვივლით  
მანქანითო. ხვალ, თორმეტ საათზე მო-  
ხდება ეს ამბავიო“. წავედით, რასაკვი-  
რველია, ყველა გაფრთხილებულია,  
გზები — შეკრული. თქვენი ბიჭები შე-  
იარაღებული ისხდნენ საფარში. მე  
ვდგავარ ფულით ხელში და ცივი ოფ-  
ლი მასხამს. აქ უეჭველად სროლა იქ-  
ნება, — ვფიქრობ, რა შარში ჩავიგდე-  
თავითქვა. ერთი სიტყვით, გეცოდინე-

ბათ. რასაკვირველია, არც მაშინ მოვი-  
დნენ. თორმეტი საათიდან ექვს საათამ-  
დე ვიდრე ბარათაშვილის ხიდქვეშ.  
უსმეღ-უჭმელი, ჩამოვწყდი ფეხზე კა-  
ცი. მაგრამ რისი ქურდი, რა ქურდი!  
დავბრუნდი ხელცარიელი სახლში. შე-  
მოვდგი ფეხი თუ არა, იმ წუთშივე  
დარეკა, იმან ბონდო რომ ჰქვია. მე  
რომ მომეწონა შესახედავად. რასაკვირ-  
ველია, აღამიანს ჰგავდა, რალაცა ღვთი-  
სნიერი სახე ჰქონდა. ასე მომჩვენა  
ყოველ შემთხვევაში მაშინ, თორემ ისე,  
აბრაგი და დამცემია იგიც და სიგლახეს  
სხვებივით სჩადის, რასაკვირველია. და-  
მირეკა და მითხრა! — ბოდიშს გიხდით,  
ვანო ბიძია, რომ გავაცდინეთ დღესო.  
ჩემი ბრალი არ არის, ჩემი ამხანაგების  
ბრალია (ეს ყველაფერი ჩაწერილია),  
მოვდიოდი, მაგრამ არ გამომიშვესო.  
ხომ იცი, რა უბედურ საქმეზე გვიკიდია  
ხელი. წუთი მოცლა არა გვაქვსო. იყოს  
ეგ ფული ცოტა ხანს შენთან. ცალკე  
გახვიე ქალღმრთე და უჯრამი შეინა-  
ხე. ამ დღეებში გამოვიცი და წავიღე-  
ხო. ის დღე იყო და ის დღე, გუშინდ-  
ლამდე, დარ დარეკია, ვცხოვრობთ ეს  
თენახევარია ერთად მე და თქვენი სა-  
მი თან. მშრომელი — ხუსკივამე, ვაზაე-  
ვი და გლანტია. შენმა მტერმა იცხო-  
ვრა ისე, შე რომ ვცხოვრობ და მე რომ  
მოსვენება მაქვს ამ თენახევრის მან-  
ძილზე. სამი უსაქმო კაცი სახლში მზა-  
რთეძოზე წამოწოლილი რავარი ასატა-  
ნია. წესიერი კაცი გათახსირდება ასე  
უსაქმოდ და მაგენს რა მოუვიდოდა?  
დამიოხრეს ყველაფერი, ბატონო. ჩე-  
მი ბინა ბინად აღარ ვარგა. დილიდან  
სადამომდე ნარდის ტკაცუნი რავარი  
მოსასვენია? მერე წყნარად მიინც თა-  
მაშობდნენ, არის ერთი სიცილ-ღორღო-  
ცი. შელაპარაკებდნენ რალაცაზე, დაიწ-  
ყებენ კამათს და მერე ბალოშებს ესე-  
რიან ერთიმეორეს, რომ შეხვიდე იმ  
ოთახში, საქონლის ბაგა გვგონება. ატე-  
ხავენ ბავშურ კამათს რალაც სისულე-  
ლზე. მე შენ გეტყვი, ჭკვიანურს იტყ-  
ვიან ჩამეს. მაგალითად, გუშინ იმაზე  
ჰქონდა ღელვა — კაცობრიობას ციცი-

ლის გაჩენა ჩვენმა ამირანმა ასწავლა,  
თუ ბერძნების პრომეთემო. ამაზე დასც-  
ხეს ერთმანეთს და სულ მაკის სული  
აგინეს. რა გქნა, სად გავიქცი, არ ვი-  
ცი. პირველი ორი დღე ანგელოზებად  
მომჩვენეს თავი, ფეხაკრეფით დადიო-  
დნენ. ახლა ისე დამაჩნდნენ თავზე, რომ  
გინდა მე ვყოფილვარ და გინდა ერთი  
ბუზი. იმ დღეს, დიდი სიციხე რომ იყო,  
წუწაობა გამართეს. შეიძლებოდა გავი-  
ქებულყავით რომ გენახათ, როგორ  
დაშლიგიზობდნენ ვედროთი ხელში  
ოთახიდან ოთახში, გლადიატორების ნა-  
ბრძოლს დაამგვანეს ჩემი ბინა. ახლა  
ყველაფერს ანგარიში აქვს, ჩემო ბა-  
ტონო. მე წუწუარაქ კაცად არ ჩამთ-  
ვალთ, მაგრამ ოჯახი მაქვს, კაცი ვარ  
და იმას ხომ ვერ ვიხამ, მოვიტანო ბა-  
ზრიდან სანოვავე, ჩემთვის გამოვიწყო  
სადილი და სამი ღლაფივით კაცი პირ-  
ში მიყურებდეს. კი, მართალია, მარტო-  
ხელა მქვია, მაგრამ გამოწყვეტილი არ  
გეგონოთ. რა ვუყოთ, ასე მოიტანა ცხო-  
ვრება. ვერ ავაწყე ოჯახი. რალა გავაგ-  
რძელი, — დავდივარ ყოველდღე ბა-  
ზარში, მომაქვს ოთხი კაცის საქმელი.  
ვამზადებ მე თვითონ, მზარეულობის  
გამეგება ცოტა რალაცა და, ერთი სიტ-  
ყვით, ვმასხინძლობ, როგორც შემძი-  
ლია. მე თვითონ, ერთი კაცი რომ ვი-  
ყავი, ხან აგერ წავიჭამდი და ხან ეგერ.  
ვაზი და ქვაბების ხეხვა მინდა მე? მაგ-  
რამ სინდისი მაწუხებს, ეს ხალხი, ვფი-  
ქრობ, ჩემი გულისთვის არის აქ, მე მზა-  
ტრონობენ და როგორ არ ცვე პატივი-  
მეთქი. ამას ყველაფერი ხარჯი უნდა,  
თქვენ შემოგვევლეთ, ჩვენს შორის და-  
რჩეს ეს ამბავი და, ფულს ხიდან კი  
არ ვარეფთ, არც მე და არც თქვენ. ჩე-  
მი პენსიით მოგროვილი რალაც ორი  
კაპიკი ქე შემომეხარჯა ხელში. ხარჯს  
და ანგარიშს ვინ დაეძებს, შენ უნდა  
ნახო, რაფერ იბღვირებიან ცოტა ნაყ-  
ლები სადილი რომ მაქვს. ყოველდღე  
ხომ ვერ იშოვი კაცი შენს გემოზე, რაც

რამაზ მთხვალაძე  
სატი ნოვალა

გინდა. ჩამოუშვებენ ცნვირებს და ისე მიყურებენ, თითქოს მაგათი ვალი მედღოს და არ ეძღვედნენ. ასე ვცხოვრობთ, ჩემო ბატონო. დავბეჩავდი კაცი. ჩემი ასე გაბითურება, მე მგონი, არც თქვენ გაგახარდებდათ. ჯერ სულ პატარა რამე ავიღოთ. დავანებოთ თუ გინდა ყველაფერს თავი, პაპიროსს ნუ მოწვევთ, სუნს ვერ ვიტან, ბიძიათქვა, ცხრაჯერ ვთხოვე. შევალ თუ არა, დამალავენ ბავშვებივით უკან ანთებულ პაპიროსს. არის ოთახი გაბოლილი, გამქვარტლული. რას იტყვი, სახლში შემოსულ კაცს შეურაცხყოფას ხომ არ მივაყენებ, თვარა, გეფიცები მაშის სულს, ერთი ორჯერ გავიფიქრე: შევეარდები ახლა და ამ ჯოხით დავუღწევა სამივეს ცხვირ-პირს-მეთქი. გუშინ დამირეკეს, გეცოდინებდათ, რასაკვირველია, ჩემმა ქურდებმა ერთხელ კიდევ. ჩაწერილია ეს საუბარიც: „შენო, მითხრეს, ვანო ბიძია, არ ყოფილხარ პატიოსანი კაციო. გენდეთ, პატივი გეცით და ასე უნდა გადაგვიხადო სამაგიერო? როგორ კადრულობ შენი ხნის კაცი იმას, რომ მილიცია გყავს სახლშიო. ჩვენი თუ არ გეშინია ღმერთის მაინც არ გეშინიაო?“ „რის მილიცია, რა მილიცია, რავა გეკადრებდათ, მოდიო და ნახეთ, ჩემს გარდა თუ ვინმეა ამ სახლში“, მე ვუბნებდი, შემცდარი ხარო, თქვენ ნუ მომიკვდებით-მეთქი. „თვენახევარია ოპერჯგუფი ხუსკივადის, გაზაფხის და გელანტიას შემადგენლობით შენთან ათევს ღამეს, არც ესაა მართალიო? არ ველოდით ასეთ მუხბოლობას შენგან. შენ სხვა კაცი გვეგონეო“ — მითხრეს და დამიკიდეს ყურმილი. გეკითხებით ახლა მე თქვენ: საიდან გაიგეს ქურდებმა ეს ამბავი? ჩემს ერთადერთ ბიჭს ვფიცავ (მფრინავი მყავს და მაინც ცაზე ჰკიდია ყოველდღე) თუ ჩემი პირიდან ვინმემ იცოდეს, თქვენს გარდა. მეზობლებიც აინუნში არ არიან. რატომ უნდა ცოდნენ ქურდებმა ზუსტად ამ თქვენი ჯგუფის წევრების გვარებიც კი; აქ რალაღაშია საქმე.

პოდა, ჩემგან წავარისია; ამხანაგო კიკნაძე. მე თამაშიდან გვედგურეთ ქურდები, ცხადია, აწი ჩემთან მომსგლეული აღარ არიან და არც თქვენი თანამშრომლების ყურების თავი მაქვს მეტი. ამ სათხოვარზე ვარ მოსული. აი-ღეთ ახლავე ყურმილი, დარკეთ ჩემთან და გამორიწვიეთ უკან სამივე. დიდი მაღლობელი ვარ ჩემი დაცვისა და უკრადლებისათვის, მაგრამ მე ერთი ნერვებმოშლილი ბებერი კაცი ვარ და პატარა თუ არ მოვისვენე ახლა, უკიდურეს მდგომარეობამდე ვარ მისული.

კიკნაძე ჩაფიქრდა. სუფთა ქალაღზე თავისი გვარი ხელის გასაფარჯიშებლად ერთი ათჯერ მოაწერა და ვანოს შეაკებრდა.

— რა ნომერია?

— 2-26-83.

ქვეყანაყოფილების უფროსმა ნომერი აკრიფა და ყურმილს ჩასძახა:

— რომელი ხარ? ხუსკივადეს დაუძახე შენ ერთი. ხუსკივადე, მოხსენი მაგ ბინიდან ჯგუფი და წამოდიოთ ახლავე. ნახევარ საათში აქ იყავით და ყველაფერი წამოიღეთ. პოსტი გაუქმებულია!

— აგაშენათ ღმერთმა. — ვანო კიკილაშვილმა მაგრად ჩამოართვა უფროსის ხელი და ჯოხის კაკუნით ოთახიდან გავიდა.

საღამოს ვაკის პარკში ისერიან. არაჩვეულებრივი სიმშვიდე დაეფულა. თავს ტყვეობიდან დახსნილივით გრძნობდა, გულზე მოეშვა.

შინ მობრუნებულს ერთი სიმღერა აეკვიტა და ვერაფრით ვერ მოიშორა — „ვისაც არ გამოუცდია, მისთვის არაფერია...“ ღლინებდა ქუჩაში, ლიტტში, კარს რომ გასაღები მოარგო, მაშინაც. ის იყო ფეხი შედგა თავის ბინაში და კარის მიგდებას აპირებდა, რომ უკან ვიღაცა ამოუდგა და კარს ფეხი დაუხვედრა.

— მე ვარ, ვანო ბიძია, ბონდო ვარ!

— გიციანი. — ამოიოხრა ვანომ.  
— თუ შემომიშვებ შენთან, დავჯდეთ,  
ცოტა ვილაპარაკოთ. თუ გცალია, რა  
თქმა უნდა.

— მობრძანდი. — დამარცხებული, ფა-  
რხმალდაყრილი კაცის იერით უბასუხა  
ვანომ.  
...და შევიდნენ.

## პანდური

მატარებელი, თითქოს შემოიბა-  
რაო, ძლივგასავონი ტკაცუნით მოირ-  
წეოდა ძელქვიანის ძველთაძველ ბა-  
ჭანზე.

მოიჩვენა მატარებლის შემოსვლის  
გამოცხადება დააეწედა და, კაცმა რომ  
თქვას, არც იყო საჭირო. რა ვადა-  
ტვირთული სადგური ეს იყო. ორად  
ორი მატარებელი ჩამოდიოდა, ამ  
დროს, რვის ნახევარზე — „თბილისი-  
ძელქვიანი“ და ნასადილევს „ტყიბუ-  
ლი-ძელქვიანი“.

მაღალი, თავისფერსკიტრიანი კა-  
ცი, რომელიც ახლა მეთერთმეტე ნა-  
ხევრად რბილი ვაგონის კიბეზე იდგა  
და უმიზნო ღიმილით ვაჭურებდა წვი-  
მას, ძელქვიანში პირველად იყო.

მატარებლის გაჩერებამდე ჩამოხტა,  
საწვიმრისი ღილები გულმოდგინედ შე-  
იკრა, თითქმის ცარიელი, უზარმაზარი  
ჩანთა (ზედ გამოსაჩენ ადგილზე,  
„სსსკ“ (რომ ეწერა) მარჯვენა ხელში  
დაიჭირა და სხეებივით დამხვდური კი  
არ უძებნია, პირდაპირ გასასვლელის-  
კენ გაუტია.

თითქოს მატარებლის ჩამოსვლას  
უცდიდაო, წვიმა მთლად გადაიჩრია.

სტუმარს, რაც მატარებელი აჯამეთს  
გამოსცდა, ყურში მხოლოდ და მხო-  
ლოდ „წვიმა“ ესმოდა, ახლაც, ხომ  
წინ და უკან თავგამეტებით ვარბოდ-  
გამორბოდნენ ჩამოსვლელ-დამხვდუ-  
რნი, თითქოსდა სხვა სალაპარაკო არა-  
ფერი აქვთო, წამდაუწუმ წვიმას ახსე-  
ნებდნენ.

„დიდი ხანია წვიმს აქეთ?“  
„დღეს და გუშინ არ გადოულია.“  
„იქით რას შობა?“  
„გაგიგონია? წიფის გვირახს იქეთ  
ტალახს წამლად ვერ იშვოვი“.

„ყველაფერი უნაირო იცის მაინც ამ  
დასაქტევიში“

„რაყა?“  
„წვიმას დეიწყებს, გადაღება აღარ  
ახსოვს, ქარი დაუბერავს სანამ სულს  
არ ამოგიყვანს ყელში, არ ჩადგება“.  
„სად მიხვალ?“

„მივდგები აგერ, პატარა ხანს, ეგე-  
ბა ცოტა მაინც მოითქვას წვიმამ სუ-  
ლი“.

„მეტი არაა ჩემი მტერი. მაგის იმე-  
დზე ქე დააღამებ ამ სადგურში“.

„მოიცა, ქალო, არ გაგექტევა სახ-  
ლი, ნუ გეშინია“.

„წამოდი, კაცო, წამოდი. არ დაგად-  
ნობს წვიმა! არ გესმის შენ? ბოვებში  
არ მიხახავს ერთი კვირაა, ჩემს ჭკუაზე  
აღარ ვარ ქალი“.

„კაი, ბოვებშია“ შენ არ მომიკვდე,  
ორ ჩაუღვინოს ისხამენ მუტეღში“.

ჩვენმა ნაცნობმა მგზავრმა გადაწყვი-  
ტა, მოედანზე ჩავალ და ტროლეიბუს-  
ში ვტუცავ თავს, სასტუმრომდე რო-  
გორმე მივალწევო. ზემოდანვე შენიშ-  
ნა ლენინის ძეგლის წინ სამი ერთმა-  
ნეთს მიწებებული „ხუთი ნომერი“,  
რატომღაც ტროლეიბუსებში არავინ  
ჯდებოდა. იქვე, გვერდით კი ტაქსის  
რიგში „სათისტონე“ ჯიბიანად ვალუმ-  
პული მგზავრები ერთმანეთს ჯიუტად  
მიპყროდნენ.

შარვალი აიკარწახა და ის იყო კიბეს  
ჩაუყვა, რომ ვილაც წამოეწია, უკნი-  
დან ხელში წვდა, თითქმის ძალით გა-  
მოგლიჯა ჩანთა და კატეგორიულად  
უთხრა:

რევაზ მთვალეაძე  
ხუთი ნომელი



— გაუშვი ბიჭო, ამ ჩანთას ხელი, შენ გელაპარაკები!

სტუმარი ელდნანაცემივით შემოტრიალდა.

— ვანია! შენ აქ რა გინდა?!

— ა, ეცი ახლა ანაირ კაცს პატივი. გამოადგი ფეხი, ხომ ხედავ, ყურებზე ჩანჩქერები ჩამოგდის.

— მე დამხვდი ახლა, ამ დილას, შენ?

— არა, ბაბუაჩემს, პავლე მატარაძეს.

ამასობაში კიბე ჩაათვეს და ოღროჩოლო ასფალტზე გაჩენილ ტბორებს აკრობატებივით ახტებოდნენ.

— სად მიხვალ მაქეთ! — ვანო მატარაძემ წინ წასულს დაადევნა.

— ტროლეიბუსში ჩაეჯდეთ, ცარიელია..

— ახლა არ დამიწყო აქანა — ტროლეიბუსი და ომნიბუსიო. ტროლეიბუსი მინდა ახლა მეე?

სტუმარს გაეცინა.

— სასტუმრომდე არ მიგვიყვანს?

— კიტა, მე ვიცი ჩემი საქმე, შენ თბილისში გეუბნებოდი რამეს? ახლა მე მაცალე. აქანა მე ვარ მასპინძელი.

რა ექნა კიტას, თავსხმაში უიმედო ტაქსის რიგში ბარე არ ეხალისებოდა დგომა, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო.

— რა იცოდი, რომ ჩამოვდიოდი?

— მაგაზე მერე გეტყვი საყვედურს. შენი ჩამოსვლის ამბავი მურთაზია ქაბუციანმა უნდა მითხრას მეე?

— მურთაზი თბილისში შემხვდა, კურსიზე ვარო. ჩამოვიდა, აქ არის?

— ხვალ ჩამოდის, შენზე დამირეკა, ამ დღეებში მივლენებაში ავზავნიანო. სად, ვისთან, როდის?, სდიე ქარს ქუჩაში. მესამე დღეა, მატარებელს ვხვდები.

— ჩემი სიკვდილი. არ მინდოდა შენი შეწუხება.

— მოიცა, ჩვენ ახლა ეს გავარკვიოთ, — დასერიოზულდა ვანო მატარაძე, — გყავს ძელქვიანში ჩემნაირი ძმაკაცი სხვა ვინმე?

— არა, — გულწრფელად მიუთხროს კიტამ.

— აბა, დავამთავრეთ ლაპარაკი, ძელქვიანში პირველად ხარ ხომ?

— კი, — კიტა ბავშვობიდანვე ოცნებობდა ამ ქალაქში ჩამოსვლაზე. ძელქვიანზე იმდენი რამ გაეგო და წაეკითხა, რომ მის წარმოდგენაში ეს იყო მზითა და იუმორით სავსე, განსაცვიფრებლად სტუმართმოყვარე და უაღრესად კოლორიტული ქალაქი.

— ახლა ამ წვიმას მე ხომ არ დამაბრალებ? — ჰკითხა ვანომ და დამნაშავესავით ახედა.

კიტას გაეცინა.

— არა, მართლა, წვიმა ხომ არაა ჩემი ბრალი, გეკითხები? — ვანო არ ხუმრობდა.

— არა, ბატონო, — წვიმის ბრალდება სიამოვნებით მოუხსნა სტუმარმა მასპინძელს.

— აბა, დანარჩენი მე მაცადე. მე ვიცი, რა უნდა გვაკეთო. დავამთავრე ახლა შენთან ლაპარაკი! — ვანო შეტრიალდა და გრძელი შარვლის ფართხუნით გაიქცა მიახლოებული ტაქსისაკენ. შოფერს ყურში რალაცას ჩასძახოდა და მანქანას ფეხდაფეხ მოსდევდა, ბოლოს გულმოსული შემოტრიალდა და კიტას მიუახლოვდა.

— სხვა მოვა ამ წუთას. ტროლეიბუსიო? შენ ძელქვიანში დაგინახე და ტროლეიბუსით გატარებ ახლა მეე? სახლში რავა ხართ?

— ხან ისე, ხან ასე, გავვაქვს თავი.

— ხომ დარჩები ერთხანს?

— მივლინებით ვარ ავტოქარხანაში. ზეგ უნდა გავბრუნდე.

— როდის? — ვანოს სასოწარკვეთილება აღებუქდა სახეზე.

— ზეგ.

— კაცო, შენ მე მაცალე, რაცხას ზეგ გაბრუნდები, იმსაც ვნახავ! ძლივს ჩავიგდე ზელში და აწი ჩემი საქმეა შენი გაშვებ-გამოშვება.

ვანო მატარაძე პედაგოგიურ ინსტიტუტში უმცროს ასისტენტად მუშაობდა. ჩვენი ბაზრის სიიადის ამბავი ხომ

იცით, სამი შვილის რჩენა უმცროსი ასისტენტის ხელფასით საზღვარგარეთ კი არა; ჩვენთანაც კი ჭირს. მაგრამ ვანო მატარაძე მოწუწუნე და ხელმოკლეობით შეწუხებული არავის უნახავს. ეპყაცი იყო. საბანს, როგორც გაწვდებოდა, ისე დაიფარებდა. ავკარვინი ვახლდათ. სამეფობლოს და სამეგობროს არ გამოაკლდებოდა.

ქალაქგარეთ პატარა საბოსტნე ნაკვეთი ჰქონდა და იქ მოწეული ლობიო, ნიორ-ხახვი და ცოცხი წლიდან წლამდე ჰყოფნიდა. იღბლად, მისი ოჯახი ხორცის დიდი მუშტარი არ იყო, და ესეც ხომ უზარმაზარი შეღავათია ხელფასზე მცხოვრები კაცისათვის.

გახსენეთ თქვენს ნაცნობთა შორის ყველაზე გამხდარი კაცი. ახლა იმაზე უფრო გამხდარი წარმოიდგინეთ და ვანო მატარაძის ცოცხალ წონას ძალიან დაუახლოვდებით. სიმალლით მეტრი და სამოცდათორმეტი იყო, ორმოცდათერთმეტ კილოგრამს იწონიდა. ჰაბუკობისას ჭიდაობდა და ერთხელ ინსტიტუტის ჩემპიონიც გახდა. ბოროტი ვნები ახლაც ამბობენ, ვანოს გაჩემპიონება მაშინ მსაჯთა კოლეგიის საეტაპო ხუმრობა იყო, მაგრამ აწინ შემოწმება, რაც დრო გადის, თანდათან უფრო ძნელდება. ყოველ შემთხვევაში, ვანოს მხარ-მკლავის შემყურე, ახლაც და მაშინაც, თავს მოიკლავდა და არ დაიჭერებდა, რომ ეს კაცი ერთ დროს მოჭიდავე იყო.

ვანო ისევ გაიქცა მოახლოებული ტაქსისკენ. გაჩერება არც კი დააცადა, გამოალო კარი და ჩახტა. მინა თვალისდახამხამებში ჩასწია და გალუმ-პულ კიტას გამოსძახა.

— კიტა! გამოიქეცი ჩქარა. არ დაგვიცდის ის კაცი!

— ვინ კაცი?! — შეაგება კიტამ, ჩანთას ხელი დაავლო და ტაქსისაკენ გაიქცა. მაგრამ უკვე გვიან იყო.

მოქალაქეებს მანქანა ალყაში მოემწყვდიათ და ლანძღვა-გინების მძივე არტოტერია დაეშინათ ვანოსა და ტაქსის მძღოლისათვის. უმცროსი ასის-

ტენტი ხაფანგში მომწყვდეული აფთხარით ხტუნავდა, უპასუხოდ არც ერთ „საალერსო სიტყვას“ არ ტოვებდა, მანქანის ღია სარკმელს აწყვდებოდა და რაც შეეძლო, უღრენდა ერთმანეთის მხარდაჭერით გულმიცემულ მგზავრებს.

„სატუმარი არ იცი შენ?“

„ამნაირი კაცი არც ელირსება შენს გვარსა და ჯილაგს!“

„მაგ ორკაპიკიანი ჭინჭის დასველების გულისთვის თავს ჭრი მთელ ძელქვიანს?“

„ო, რა სიდედრი იქნები თუ მეესწარი სიდედრობას!“

ბოლოს რიგის დამრღვევმა მოპაექრეთა მიმართ პროტესტის ნიშნად მინები ბოლომდე ამოსწია და ამ გზით სცადა იზოლირება, მაგრამ ბრბომ თავისი მაინც გაიტანა.

კარი გამოგლიჯეს და ყოფილი მოჭიდავე თითქმის ძალით გადმოაბრძანეს მანქანიდან.

„შენ სწორი ხარ, ხომ იცი, — ინტიმარგატეხილი მასპინძელი სადღაც, განზე იყურებოდა, — სანამ ტაქსის რიგი მოგვიწევდეს, ჩვენი დაგვემართება. არადა, ავენთან ჩხუბი არ ღირს. შეგება არ მიუცია ღმერთს არცერთისთვის. რა უნდა ველაპარაკო, ბნელი ხალხია. ტაქსი რატომ მინდოდა, იცი? ხაშს შეგქამდით ამ დილას.“

— არაფერი არ მინდა, თუ ძმა ხარ. სასტუმროში მივიდეთ. ზეზეურად მძინავს ცხენივით. ჩემს კუბებს წუხელ ყველა ჰანჯიკი მოსაქერი ჰქონდა, — თავი შეაყოფა კიტამ.

— მაცადე-მეთქი არ გესმის, კაცო, შენ?

— არ იქნება, ახლა არსად ხაში, რვა საათია უკვე.

— ე, კილო მისას ლაპარაკობს. შეკვეთა მაქვს მიცემული და გვინახავნ ხაშს, აბა, რას გეუბნები. მე ხალხი მიცნობს აქანა. კი არ ვგლაზაობ ზოგიერთივით, — ისეთი თვითღარწუმებებით

რედაქტორის  
სამსახურს



და დამაჯერებლობით თქვა ვანომ, რომ კიტამ სიტყვის შებრუნება ვერ გაუბედა.

მალე „მხსნელიც“ გამოჩნდა. ნაც-რისფერმა „ჟიგულმა“ („62-48 კალ“) დაამუხრტუა, თმაწარბიანად გამანული მძლოლი ხელის აწევით მიესალმა ვანოს და, თითქოს ამ წვიმამი უმცროსი ასისტენტისთვის საღმის მისაცემად ამრვიდაო, უკან გაბრუნებას აპირებდა.

— რამაზ! — დააწია ვანომ.

ჟიგული შეჩერდა და უკანსვლით წამოვიდა.

— რა იყო, ვანიჩკა?

— ქვიტირში მიგვიყვანე, ხაში უნდა ვქამოთ, — ხმას დაუწია, — სტუმარი მახლავს თბილისიდან, კაი ბიჭია.

— ვანია, მე რომ არ გაგიჩერე და არ გკითხე, სად მიხვალთქვა, ვერ მიხვდი შენით ვერაფერს?

— რა იყო?

— ბენზინი არ მაქვს წვეთი. თვარა ამ წუთას ქვიტირში კი არა, ტრაპიზონში თქვენს არ ჩამყვანს, ოხრად და ბნელად ეს მანქანა.

— წამოდი კაცო, მე ჩავისხამ ბენზინს. — იმედი მისცა ვანომ.

— ტალონი გაქვს? — შიშით ჰკითხა მძლოლმა.

— რად მინდა ტალონი, ვინ მუშაობს ამ დილას?

— ზინაია უბედური.

— ჩაქეი, კიტა, მოდი შენ აგერ, — ვანომ წინა კარი გამოუღო და სტუმარი მიიპატიჟა.

— მე ვეტყვი ზინას. ზინასთან მაინც ვარ კარგად. რად მინდა ტალონი. ტალონი მინდა ზინასთან მე? არც ისე უბედურია, რომ იცოდე, ზინა. ქე იცის მაგან სტუმარი და მასპინძელი, შინაური და გარეული. — თავისთვის ბუტბუტებდა ვანო და პირწმინდად დასველებულ ჰალარა თმოდან წყალს იწურავდა.

ზინამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ყველას პატივს ვცემ, ყველა მიყვარს, მარა უქეთორად წვეთ ბენზინს

ვერ მოგცემთ, თქვენი გულსიტყვის ციხეში ვერ ჩავვდებო.

ხვეწნა-მუდარა არ დაუკლია ვანოს, მაგრამ რომ ვერას ვახდა, მხრებში აწურული ტუჩებგაფითრებული, გუნებაწამხდარი შემობრუნდა მანქანაში.

ისევ რამაზმა იმარჯვა. სპილოს-ძელისფერი „ვოლგა“ გააჩერა, მძლოლს სამი ლიტრი ბენზინი „ესესხა“ და ქვიტირის ვზას რომ დაადგენ, მადლიერმა ვანომ (აქოდა ყურადღებას გამოვიჩინო,) მზრუნველობით აღსავსე ხმით ჰკითხა რამაზს:

— რას შერება შენი თმა?

— რა ვიცი, ამოვო, გოდოუშენდათ ექიმებს პატრონი.

— რაზე გაგცივდა შენ მაგი?

— არ იციან ზუსტად, ვითომ ნერვიულობას აბრალებენ. რა ვინერვიულე ამნაირი, სამი ინფარქტი გადაიტანა ბიძაჩემმა, მარა ბეწვი არ ჩამოვარდნია.

— წამალს ისემა?

— რას შევლის, თვარა კი, ექვსი ვედრა წამალი მექნება დახარჯული. დრო უნდაო, ვითომ ასე ამბობენ.

— დრო ენდომება, აბა, ასე უცებ ხომ არ ამოგივა, ჯერ მარტო კონდარს უნდა ათი დღე, — გული, გაუკეთა ვანომ მძლოლს, თუმცა ხმაზე შეეტყო, რომ რამაზის თმის ამოსვლის ამბავი მაინცდამაინც არა სჯეროდა.

— არაა ხაში! — გამოაცხადა რამაზმა მრგვალი კრამიტით გადახურულ უფანჯრო ფიცრულს რომ მიუახლოვდნენ.

— მოდი, კაცო, ჩაუხვიე, მე ვიცი რაცხაა! — გაწყრა ვანო.

რამაზს გაეცინა.

— ხაში რომ იყო, ვანიჩკა, ასე იქნება? რავე ატყობ? ხომ ხედავ, ერთი მანქანა არ ღვას კართან.

— „მილი“ არ გესმის შენ რას ჰქვია? მიმაყენე კართან და მე დაველაპარაკებო ქვიქას. მეტი კი არაფერი ვიცი მე. რომ ვამბობ, მივიდეთქვა, ალბათ მაქვს იმედი, — ვანო ცოტა ხმაგამზარული, შემცბარი ლაპარაკობდა.

ამ წუთას დაგიძახებთო, 'დაუბარა მანქანაში მსხდომთ და სახაშის ღია კარში გაუჩინარდა. დაახლოებით იმდენ ხანში დაბრუნდა, რამდენ დროსაც ერთი სიგარეტის მოწვევას ანდომებს ერთგული მწვეველი.

სახეზე ეწერა — შემარცხენის, არა აქვთ ხაში ამ ოჯახქორებსო.

ჩაჯდა თუ არა, სტუმარს მიუბრუნდა.

— კიტა, ისე მე კი არ მიყვარს მაინცდამაინც ხაში. ნივრით პირის აქოთებას თავი რომ დავანებოთ, რა იცი, რაგარი გაკეთებულია, ვისი გარეცხილია, ხაშის რეცხვია მთავარი. ამგენის ხაში არაა სანდო. „წინაველი“ მივიღეთ ერთ წამს. უმადლესი რესტორანია. დავჯდებით და კაცურად ვისაუზებებთ. შევაწვევენებ კარგს რაცხას. მე უარს არ მეტყვიან.

— სანდუხაძეა მანქანა ახლა? — იკითხა რამაზმა და სტარტერი ააღულუნა.

— სანდუხაძე მოხსნეს, ახლა მისი ძმია, ჩოთქია თავსივია.

— ჩოთქიაზე გეუბნები. სანდუხაძე არაა იგი? აბა ვინაა?!

— მასე თუ იტყვი კია, მარა მთელი ძელქვიანი „ჩოთქია თავსივას“ ეძახის და მიტომ გითხარი მეც. მოასვენე პატარა, თვარა დაჯდება აკუმულატორი. რატომ შერება? ბენზინი გადააყლაპე ალბათ.

— რატომ ქნა მართლა? ეს არ უქნია ამ მანქანას ჯერ. ბენზონასოსი არ მუშაობს, — ბოლიშის მოხდით უხსნიდა რამაზი სტუმარს, როცა კაი ხნის ჯახირის შემდეგ ძრავა აგუფუნდა და მანქანამ სალონის ტყისკენ აიღო გეზი.

რესტორანი „წინაველი“ ბაღდადისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს. როგორც სატურნი არ აცდებდა თავის ორბიტას, ისე ამ რესტორანს ვერ აცდებდა საირმისა და ზეკარისკენ მიმავალი მგზავრი.

რესტორანი რიონისპირა ქალაშია აშენებული. იგი შედგება მთავარი კორპუსისა (ბუფეტი და სამზარეულო) და

მწვანედ ახასხასებულ ეზოში ვეებერთელა რცხილების ქვეშ მიმოფანტული ხის მაგიდებისაგან.

— სად დავსხდეთ? — ისეთი საქმიანი იერით ჰკითხა ვანომ კიტას, თითქოსდა საქეიფო ადგილის შერჩევას კაცობრიობის მომავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

— ჯერ ჩოთქია ნახე, ადგილის მოძებნა ადვილია, — ურჩია რამაზმა რესტორანთმცოდნეს და უმცროსი ასისტენტის სასარგებლოდ უნდა ითქვას, უთმაწარბო ამხანაგს ამჯერად არ შეკამათებია.

კიტა და რამაზი ხელსაბანთან, ქერტ-გაცლილი ბლისქვეშ იდგნენ და ასეთ სურათს შეჰყურებდნენ:

შეგარდებოდა სამზარეულოს ვიწრო კარში ვანო მატარაძე და სამიოდე წუთში რესტორნის მთავარ სადარბაზო შესასვლელთან გამოჩნდებოდა. მიიხედ-მოიხედავდა, თმას მოიქექავდა და ბუფეტის სარეზერვო კარში ტუცავდა თავს. ცოტა ხნის შემდეგ სახანძრო სარკმელში გაკრთებოდა მისი ჭალარა. ხელებს ფშვინით გამოიორბენდა, ცოტა ხანს დაჰყოფდა ჰაერზე და თითქოს რაღაც ვაახსენდაო, ისევ იმავე მარშრუტით გაქრებოდა.

ბოლოს მდულარეგადასხმულივით გამოეკრდა, მანქანის კარი მიიჭახუნა და ამფსონებს გასძახა.

— მოდით, დასხედით!

კიტამ და რამაზმა ისე სწრაფად მოირბინეს და ისე ერთბაშად დაიძრა მანქანა, რომ სახანძრო რაზმის მეცადინეობა გვეგონებოდათ.

— არა აქვთ არაფერი. შესყიდვა მოგვიხსნესო. რა ვქნა, მე ვუთხარი, კანონს მე ვერ შევცვლი, მე ვუთხარი, მარა ასე ზელაქდეული აპირებთ დგომას აქანათქვა? ახალი ცეკაეშირი დაგვინიშნეს და პატარა ხანს ვაცილით, აბა რას იზამს, რავარ ჰკუფაზე დადგებაო. ერთს ვიტყვი მე! წავიდეთ ჩემთან. ლონდას (ვანოს მეუღლეს ჰქვია)

რამაზ მიუვალაჲ  
ხუთი ნომერა

ხაჭაპურებს გამოვაცხოვრებინებ. ღვანო კაი მაქვს, დღისას ქორწილის ღვინოა. ხორცის მაშინკით სხვა იმ ღვინოს მურთახია ჭაბუკიანმა და მეორე დღეს ქეიყო მშვენიერად, ჩემო ბატონო... — აქ ცოტა ჩაფიქრდა. — რაცხა კიდო ექნებათ სახლში. სულ რომ არაფერი იყოს, ჩაის დავლევთ მარტო. მე ამისი კი არ მრცხენია, რამაზ, — ვანო კიტას მიუთითუნა ბეჭზე ხელი, — ამას სტუმრად კი არ ვთვლი. თბილისში მე ამის ოჯახში ვარ ნახევარჭერ. ძმაკაცი მყავს, უფროსი ინჟინერიათქვა, რომ გლაპარაკობ, ისაა ეს.

— საით წავიდე? — მოწყენილი, ყრუ ხმით იკითხა რამაზმა.

— წადი პირდაპირ. ხონის გადასახვევთან წრე დაარტყი, სტალინის ქუჩაზე გამოდი, არ იცი, სად ვცხოვრობ? — ისე გაიკვირვა ვანომ, რომ რამაზს მართლა შერცხვა. ძელქვიანში დაბადებულმა კაცმა აქამდე ვანო მატარაძის მისამართი როგორ არ ვიცოდო.

ვანოს მეუღლე ჭიშკართან შეეგებნათ. ჟიგულის მგზავრთაგან მხოლოდ ყოფილი მოჭიდავე მიხვდა, რომ იგი სტუმრების შესახვედრად როდი იყო გამოსული.

— სადა ხარ, ვანო, შენ? მოკლედ, ხანძარი რომ გვეკიდოს, ერთს არ მოიხედავ სახლისკენ, ხომ? კაი, ბატონო, მარტო ჩემია, ეტყობა, ეს ბავშვები და მე მივხედავ ჩემს თავს! გამარჯობათ, ბოლინო... — საყვედურებს რომ მორჩა, სტუმრებს ვაუღიმა მკლავებდაკაპიწებულმა, წინსაფრიალმა, მოხდენილმა ქალმა.

— რა გაწყენინათ ამ დილას ამნაირი, ქალბატონო ლონდა? — დაინტერესდა რამაზი.

— რავა რა მაწყენინა, ბატონო. შეიძლება ოჯახის უფროსი ისე გაიპაროს დილით აახლიდან, რომ ერთი სიტყვის ღიისი არ გაგხადოს? ორ ცეცხლშუა ვარ ამ დილით. ჭერ ერთი, მე თვითონ სამსახურში მაგვიანდება, მეორე, ვაკეთილი მაქვს (რატომ არ დაიწვა ის დღე, მე რომ მუშაობა დავიწყე), მეო-

რეც წყლი შეწყდა: აბა რა ვუღელე ბავშვებს. კაცი ხარ დარეკავ, ძიღგებ-ძიღგები. რაცხას იხამ. მე კი არ მეზაოება, ძარავინ დამიგდებს ყურს...

— ქალო, გაფუჭდა ალბათ წყალსადენი. მე რას ვუშვებ. იმგენაა უფრო არ იციან, ხალხს წყალი რომ ჭირდება? მარტო ჩემთვის ხომ არ ჩართავენ. არიქა, ვანო მატარაძის ბავშვები არ დავგრიხეს უჩაოდ ამ დილითო. ამას ვერ იცნობ? — კიტაზე ანიშნა.

ლონდამ, რა თქმა უნდა, ვერ იცნო თბილისელი სტუმარი.

— კიტაა სალუქვაძე, — ყველა კბილი გამოაჩინა ვანომ.

— უიმე, ღმერთო მომკალი! — შეიცხადა ქალბატონმა ლონდამ, — თქვენ აქეთ როდის, ბატონო?!

— მივიღებთა ჩამოსული, ასე ხედები სტუმარს? — ხმა დაიბობა ოჯახის უფროსმა.

— წამოგდენოდა მაინც, კიტა გვესტუმრებო. ვადამობრძანდით, ბატონო — გაიბადრა დისასხლისი.

— წყალი არ მოდისო, გვაჯახე ამ ქუჩაში და, რა უნდა, რომ ვადმოვიდეს. შენი დაყენებული ჩაის დაღვეა უნდოდა, თვარა რესტორანს და პურმარილს არ მოვავლებთ, შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს. წადი, რამაზია, წადი!

— ვადამობრძანდით, მოვა წყალი, აბა, რას იხამს. — ქალბატონ ლონდას სიტყვებში ეკვიპიტანელი გულწრფელობა ჩანდა.

— საით? — მანქანა თეთრ ხიღზე რომ შედგა, მაშინ იკითხა მძღოლმა.

— სასტუმროში მივიყვანოთ, ჭერ დავაბინავოთ ეს კაცი, ხელპირს დაიბანს, დაისვენებს ცოტას და მერე ვისაუბროთ, — მტკიცე გადაწყვეტილებით თქვა ვანო მატარაძემ.

ადმინისტრატორის მაგიდაზე ხუთი-ოდე კაცი გადახრილიყო და თვლემდა.

— არ იქნება ადგილი! — რამაზმა დაასვენა და სტუმრის ვეებერთელა ჩანთა მარმარილოს სვეტს მიყუთდა.

— რაო? ეგ მაკლია ახლა, ძელქვი-

ნის სასტუმროში ადგილი ვერ ვიშოვო! — ვანოს აშკარად შეეტყუა, რომ ნერვებს ველარ იჭერდა, — მომე პასპორტი, კიტა!

უმცროსმა ასისტენტმა პასპორტი ხელისგულს გაუტყაუნა და აღმინისტრატორისკენ წავიდა, მაგრამ, სწრაფადვე შემოტრიალდა.

— ერთიანი გირჩევნია, შენთვის იქნები.

— თუ აქვთ...

— კაცო, შენ მაგას ნუ კითხულობ!

— ვანომ ისევ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და შეჩერდა.

— ტელევიზორიანი, ხომ?!

კიტამ თავი დაუქნია.

— ლუქსი იყოს? ჭე მაინც დაისვენებ, რაევარც საჭიროა.

კიტამ ისევ ღიმილითა და თავის დაქნევით ანიშნა, რომ საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა.

მერე გაიმართა ჩვეულებრივი, მოსაწყენი საუბარი ვანოსა და სათვალისან. ინტელიგენტური იერის მქონე აღმინისტრატორს შორის.

— ადგილიო? აბა, რას უტყდის ეს ხალხი აქანა!

ვანომ გამოიხედა და მოაჯირს ფარდავით გადაეყრდნო, არ უნდოდა ეს საუბარი კიტას მოესმინა. თან აღმინისტრატორს ხმადაბლა რაღაც უთხრა.

— ვაი, ბატონო. მარა რომ არ მაქვს? პროფესორი უგლავა ღირეჟტორის კაბინეტში მეწვა წუხელის.

ვანო კიდევ უფრო გადაიხარა და იდუმალი ჩურჩულით კარვა ხანს უხსნიდა რაღაცას თავმოებურებულ აღმინისტრატორს.

— რავა გეკადრება, ჩემო ვანო. შენ მაინც ვერ უნდა გამიგო, ბუბო? — აღმინისტრატორი თითქოსდა განგებ, ირგველი მყოფთა გასაგონად ლაპარაკობდა. — რა სიკვდილად მინდა ცარიელი ნომერი. ვის შევუწახო, სასტუმრო იმისია, რომ კაცმა იცხოვროს შიგ. არ ყოფნის ამხელა ქალაქს ეს ორი კინკილა სასტუმრო. ყველას აქანა უნდა მაინც. გოდუაძესთან არავეინ მიდის. ცა-

რიელია მთელი სასტუმრო. წაიყვანე, ორ ფეხის ნაბიჯზეა. რითაა ის სასტუმრო ამაზე ნაკლები?

— გოდუაძესთან წასაყვანი კაცი არათქვამ, გაგიმეორო შეათეგერ? ჩახედე კარგად საქმეს. ვანო მატარაძე ვარ მე, არ დაგაიწყდეს! — რაკი აქედანაც უარით ისტუმრებდნენ, ხმას აუწვია ვანომ, — გავივლ-გამოვივლით ჩვენ პატარას და გაგინთავისუფლდება ამასობაში, რაღაც გამოჩნდება. მთლად ნუ გადაგვიწურავ წყალს.

— თუ რამე გამოჩნდა, აგერაა, ბატონო, სახლში არ წავიღებ, — დააწვია აღმინისტრატორმა კარისკენ წასულებს.

გარეთ ახალი უსიამოვნება ელოდათ.

რამაზის „ეტიკულიან“ სქელკისერა, დათვივით მრგვალი ავტოინსპექტორი ჩამუხლულიყო და არასწორი დგომისათვის წინა ნომერს ხსნიდა.

— სად გაჩნდა ეს წიფურია, ასე ხელად, ეს უპატრონო! — ჩაილაპარაკა მანქანის პატრონმა, — სხვა მაინც იყოს. გამოდი აქეთ, ვანია, მოხსნას, სულ ერთია, მაგას მაინც ვერაფერს შეაგნებინებ.

მაგრამ ვანო უკვე ავტოინსპექტორის გვერდით იდგა და ესაუბრებოდა:

— ნუ შეგვარცხვენ, წიფურია, ახლა. სტუმარი გვახლავს, ერთ წუთს შევირბენთ სასტუმროში. არ მოხსნა, თუ ღმერთი გწამს.

წიფურია ამოხედა, ცოტა ხანს უყურა ვანოს და ისევ განაგრძო დაწყებული საქმე.

— არ გესმის, კაცო, შენ? — ვანოს ხმაში ტირილი გაერია, — ეს კაცი პირველადაა ძელქვიანში. რას იტყვის, რა ამბავს წაიღებს. მეტი არა ვართ ჩვენ ერთმანეთისთვის?

წიფურია უხმოდ მოხსნა ნომერი, გაიმართა და მოტოციკლეტისკენ რომ შეტრიალდა, სწორედ მაშინ მოხვდა...

რამაზ მთვალეძე  
ხუთი ნოველა



ძელქვიანში ყოფნის ორი დღის მანძილზე კიტა სალუქვაძეს სამჯერ ჩამოართვეს ჩვენება — კიტამ სამჯერვე სხვადასხვანაირად უამბო გამოძიებელს, თუ რა იცოდა სასტუმროს წინ ვინო მატარაძესა და ავტოინსპექტორ

წიფურისა შორის „მომხდარი ინტენდენტის“ თაობაზე.  
წინასწარმოფიქრებულად კი არ სცვლიდა ჩვენებებს. ამაზე არც უფიქრია. უბრალოდ, რაც ნახა, ყველაფერს ამბობდა, მაგრამ რატომღაც ჩვენება სამივეჯერ სხვადასხვანაირი გამოუვიდა.

## ნამუსის ქალი

ჰშავილიზის მალაზიის კუთხეში ობობასავით მიყურულმა მესაათემ დარაბები რომ ჩამოუშვა, ნოე კაპაბაძემაც აალავა თავისი „დუქანი“ — სკამი დაკეცა და სპორტლოტოს ყუთი ილიაში ამოიჩარა.

— რა ჰქენი? — უხალისოდ ჰკითხა მესაათემ, ყუთი ჩამოართვა და მიწისძვრაში მოხვედრილივით დაღეწილი კარადის ხახაში შეაგდო.

— არ ყიდულობენ. აღარ უნდა ხალხს. აღარც შენი ლოტო უნდათ და აღარც ლატარია. უწინ გეგმას მაინც ვასრულებდი. ახლა ესეც აღარაა. არ ვეთამაშება ის კაცი. არ ლატარიობს შენთან და ძალაა?!

მესაათემ ხმა აღარ გაიღო. ამ ბოლო დროს სპორტლოტოს ბილეთების გამოიდგელი ნოე კაპაბაძე წუწუნს მიეჩვია.

— მთელი დღე ხომ აქ ვიყინები. სახლში მივალ და მერე იქ მელის ერთი პანაშვიდი.

— რაეა?

— გამწარებული იქნება ჩემი დედაბერი. შინ თუ შემიშვა, აღარაფერს დავებებ. ისე კი არ ვამტყუნებ. რავარი დასაჯდომია ცივ ღუმელთან დილიდან საღამომდე.

— რატომ?!

— არ მომიტანა. ეს მეშვიდედ მომბატყუი პარშენია თავსივამ. ორი კვირაა შეშას ვებეწები. თუ არ მოგაქვს, რას მპირდები, შე კაი კაცო. ტყვილად ხომ

არ მინდა, ფულს გაძლევ ეს ოხერი და მუდრევი-მეთქი.

— შეშის იმედზე ხარ კიდევ, ნოე? — დაინტერესდა მესაათე. — ვინლა ხმარობს შეშას ახლა, შე მამაგანათლებულო?

— რა ვქნა, აბა. ქვანახშირს ვერ მივეჩვიე. სუნი აქვს, იმ ოხერს. რალა სიცივეს მოვუკლავარ და რალა გაზს გამოვუხუთივარ.

— ნავთის?

— ნავთის ღუმელზე ამბობენ, არა უშავსო, მარა, ჯერ ერთი, — არ იშოვება არსად და მეორედ, — მეშინია რალაცა. კატუშას ამბავი არ იცი? ზეზეურად სძინავს ხანდახან ცხენივით, რომ ჩაკიდოს თავი და გამოემწვას ეს ბებერი ქალი თავივით სახლში, სირცხვილს სად წაუფვალ, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებო.

ვერც ამ მუსიაფში იპოვა რამე ჭკუისთვის სახეირო მესაათემ, კარს ურღული დაადო და მესპორტლოტოე ქუჩას შეატოვა.

ცივი; უგემური ამინდი იყო.

ისე თეთრად და გრძლად ცრიდა, რომ ვერ გაიგებდი — თოვდა თუ წვიმიდა.

ცა რუხ-შავი ღრუბლებით ისე იყო თავიდან ბოლომდე ამოლესილი, რომ იფიქრებდით, მზე ამ წელიწადში გამომხედავი არ არისო.

ქუჩისპირა კედლები ცხენიანი კაცის სიმაღლეზე საიშვლოდ იყო დამბალ-და-



ნესტიანებული. ლეყები და ხავსი მოდებოდა ჭინჭრებს და ეხოებს.

სოკოებივით ჩანდნენ ქუჩაში თავზე ქოლგაჩამომხობილი, მობუზული მგზავრები.

კარგა ხანს იდგა ნოე გაჩერებასთან. ორჯერ ჩამოიარა ავტობუსმა და არც ერთი რომ არ გაჩერდა, დაასკვნა: სულ ერთია, აქ კაცი ვერ ჩაჯდება, სტალინის მოედანზე გავალ და იქ უფრო თავისუფლად ვიშოვი ადგილსო, ყურებზე ომიდან ჩამოყოლილი დაბამებული ქუდი ჩამოიფხატა და ოპერის თეატრის წინ გზა გადაჭრა.

ნოე კაკაბაძე წელში მოხრილი, კაფანდარა მოხუცი იყო. წვეტიანი გრძელი ცხვირი მზიან ამინდშიც სულ მოწყობილებული და მოსკვლებული ჰქონდა. ბრტყელტერფასავით გან-გან დგამდა ფეხებს და შორიდან რომ შეგეხედათ, გეგონებოდათ, ამ კაცს ორზე მეტი ფეხი აქვსო.

განუყრელი მოლურჯო მოსასხამი ისე მორგებული და ჩამომდნარი ჰქონდა ბეჭებზე, იფიქრებდით, ამ ტანსაცმელს ლოგინშიც არ იცილებსო.

ნაფორტალ ქუდს ვარსკვლავი კარგა ხნის წინათ აძრო, მაგრამ გამოხუნებულ ქსოვილს ხუთქიმიანი ანაბეჭდი ახლა უფრო ეტყობოდა.

თეატრის გვერდით, პარკის კოლონებთან შეჩვეულულ ხალხს მოჰკრა თვალი და იქით გადაუხვია.

ხარხარ-ლორლოცი რომ მოესმა, აბამბულაგებენ ალბათ ვილაქასო, გაიფიქრა და უკან დაბრუნება დააპირა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია და მოზრიალე ბრბოს შეერია.

ამ ქალაქისათვის უჩვეულო და გაუგონარი რომ არც ახლა ხდებოდა. ლერი იოსებაშვილისთვის ქუდი წაერთმიათ და მეძველმანის თავნესვა ბიჭი სამ „მწვალებელს“ შორის ბუზლენითა და ხვეწნით მიმოდიოდა.

უცნობები არც ისინი იყვნენ. ხარლამპია გოგავას, მურთაზ ცუცქირიძეს და კიკია უჩანეიშვილს მთელი ქალაქი

იცნობდა. ნოეს შეტყობით, ლერის ქუდი მითამაშენი შეხარბოშებულკბიუნდა ყოფილიყვნენ.

— მომეცი, კიკია, ჩემი ქუდი! — ლერი იოსებაშვილი სიცივისგან აკანკალებული, გასავათებული იდგა ორმოცდახუთოდე წლის კაცის წინ, რომელსაც შავი, ხელოვნური კრაველისგან შეკერილი ბოხოხი ეკირა და უაზროდ იცინოდა.

კიკიას ყავისფერი ტყავის სერთუცი ეცვა. შავი სქელი წარბები და ქვემოთ ჩამოვარცხნილი შეთხელებული ჭილა-რა თმა ორ ადგილას გაჩეხილ შუბლს უფარავდა. საშუალოზე ოდნავ დაბალი ტანისა იყო. მსხვილი კისერი და ბზიკის ნაებნივით დასივებული, წყალმანკიანივით მოყვითალო სახე ჰქონდა. უფერული, მსხვილი ტუჩებიდან დროდადრო საზარლად გამოაჩენდა ხალგათად ჩალაგებულ, თოხივით შავ-ყვითელ კბილებს.

ბოხოხის პატრონიც არ იყო მთლად ბავშვი, მაგრამ ასაკი, ჭკუაზე რომ არაფერი ვთქვათ, საბერველივით დაბერილ, თეთრყირმიზ ლოყებზეც არ ეტყობოდა. სიმსუქნე ისე მორეოდა, რომ ფეხსაცმლის თასმებს სხვის დაუხმარებლად კარგ ნიძლავზეც ვერ შეიკრავდა. იმოდენა ღაბაბი ედგა ნიკაპს ქვემოთ, რომ პერანგის მეოთხე ღილს თუ დახედავდა, თორემ პირველი სამი ღილის დანახვა მისთვის შეუძლებელი რამ იყო.

— მომეცი, კიკია, ქუდი! — წაიწია ლერი, მაგრამ კიკიამ ბოხოხი თავს ზემოდან აიჭნია და შადრევნის კიბეზე შემდგარ მურთაზ ცუცქირიძეს ესროლა.

ლერი ახლა მურთაზისკენ წავიდა.

— გეყოფათ ახლა, მურთაზ ბიძია, მომეცით ქუდი!

— რომელი ბიძაშენი მე ვარ. ლერიკონა მუდუ, სამი წლით ხარ ჩემზე უფროსი. — დაიღრჩია მურთაზი და ბოხოხი საჩვენებელ თითზე დაატრიალა.

გვამაზ მიხვებლამა  
ხუთი ნომერა



— მომეცი ჩემი ქული, მურთაზია! — ტირილი გაერია ხმაში იოსებაშვილს.

— მითხარი, ვის შეაკერინე და, კი.— შეევაჭრა მურთაზი.

— მომეცი ჩემი ქული! — ბუტბუტებდა ლერი.

— რად გინდა ქული? — ჰკითხა საცოლამ ბიჭს ვილაცამ.

— ნოემ ხმა ვერ იცნო. შეკითხვის მიმცემი უკანა რიგში იდგა.

— მცევა თავზე. — განმარტა ლერი.

— მიეცი, მურთაზია, ტენი არ გოუცივდეს, თვარა დაიღუპა ქვეყანა, — სვეტს მიყრდნობილმა ხარლამპია გოგავამ დაიძახა.

— ჩემნაირი გამოგეზარდა შვილი, — დალოცა ხარლამში ბოხოხის პატრონმა.

— მომეცი, მურთაზია, ქული!

— უთხარი, ბიჭო, სად შეაკერინე და მოგცემს. — ურჩია კიკია უჩანეიშვილმა.

— არ მომიპარავს, ლიას გეფიცები, ბაბაიამ მიყიდა.

— ლია ვინაა, ბიჭო? — დაინტერესდა მურთაზი.

— არ იცი, ვითომ. — თავი გვერდზე შეაბრუნა და მორცხვად ჩაიცინა ლერი.

— კიდო გიყვარს ლია, ლერიკო? — ძალად დასერიოხულდა ხარლამში.

— კიე, — ამოიხვნეშა ლერი.

— რომ გათხოვდა, მაინც გიყვარს?

— შიატოვებს ახლა მალე ქმარს და ჩემთან მოვა. — ღრმა რწმენით თქვა უბედურმა ბიჭმა.

ბრბო ახარხარდა.

— როდის მივატოვებო, რა თქვა? — სიცილისაგან ცრემლს ძლივს იკავებდა კიკია.

— უშაფათო კვირეში. მომეცი, მურთაზია, ქული თვარა, წავალ ასე სახლში და ნახე მერე შენ! — დაემუქრა ქულის წამრთმევს ლერი.

სელაპს რომ თავზე სქელი, უხეში თმა ჰქონდეს, მურთაზ ცუცქირიძის ტყუბისცალი გეგონებოდათ. სელაპის პირი ზომ გინახავთ, ზუსტად ისეთი პირი ჰქონდა და ხმაც სელაპს მიუგავდა. მა-

ლალი იყო, უწარბო, წაქისფერი ღრუბლები ისე ბოროტად უელავდა, მსახიობი რომ ყოფილიყო, განგსტერების და სამშობლოს გამყიდველების როლებს არ მოაცილებდნენ.

აბღველებული ლერი იოსებაშვილი წრეს მიაწყდა, მაგრამ გააკავეს.

— ჰა, კარგი, წაილე! — უთხრა მურთაზმა და ქული გაუწოდა.

— არ მომცემ შენ, მატყუებ. — მუშტით შეიმშრალა ცრემლი სისხლგამშრალმა.

— არ გატყუებ, ჰა, წაილე, დამელალა ხელი, — სთოგა ცუცქირიძემ.

გახარებული ბიჭი ხელებში ეცა, მაგრამ ველარ მოასწრო, ბოხოხი ხარლამისკენ გაფრინდა.

— მომეცი ჩემი ქული! — სასოწარკვეთით იყვირა იმედღააარგულმა ბიჭმა.

— გადაშენდი იქით. ნუ გააწყალე გული, თვარა გაგაყოფიებ იმ რკინებში თავს. — ღობე დაანახა მურთაზმა. — მე მაქვს შენი ქული? გაიგე, ვისა აქვს და იმას ეღრჩევი.

ლერი ხარლამს გახედა და თვალის დახამხამებაში მასთან მიბლაცუნდა.

— მომეცი, ხარლამპია, ქული!

— რომელი ქული? — მზრუნველი კაცის იერით ჰკითხა ხარლამმა.

— რომელიცხა გიკავია ხელში, — არ დაიბნა ლერი.

— შენია მერე ეს ქული?

— ჩემია, აბა, შენია?

— რაზე ატყობ?

— სიფართოზე, — წამოეშველა ლერის ვილაც. — მაგხელა თავი სოფრომძის ბულდოგსაც არა აქვს.

ისევე გაირბინა სიცილმა სვეტებს შორის.

— ცხელია ეს ბოხოხი ნამეტანი, შენ არ გამოგადგება, თავს გავიხურებს. — ურჩია ხარლამმა.

ხარლამ გოგავას წითურ ტურას ეძახდნენ. მსუქანი და დაბალი იყო. ნაყვივილარი, ჩოფურა სახე და წვრილი თაფლისფერი, ერთმანეთს ზომიანზე მეტად დაშორებული თვალები ჰქონდა. გატეხი-

ლი. ბრტყელი ცხვირი ძლიერ ჩნა სახეზე. ღიბზე შემოწყვილ პეზუჯაურის მისიურსა ნეილონის ქუჩა უფრო ვდა ჭინისა უკანა ჯიბეში სანახევროდ ამოწეული „პრიმა“ უჩანდა.

— მომეცი, ხარლამპია, ჩემი ქული, კაცი არა ხარ? — შეევედრა ლერი.

— სად გიყვარს ღია გვითხარი და მოგვემთ, — ხარლამპმა ასეთი ულტიმატუმი წაუყენა.

— აქანა! — სახე გაეზადრა ბოხოხის პატრონს და ყელზე მოიკიდა ხელი.

— იმას სად უყვარხარა? — ჰკითხა კიჭიამ.

— გულში, — საერთოდ, როცა ღიაზე ლაპარაკობდა, ლერის გასაოცრად სერიოზული და ჰკვიანური გამომეტყველება ჰქონდა.

— თუ ნახულობ, რაც გათხოვდა მის შემდეგ? — ჩაერია მურათხი.

— კიფ.

— სად ნახულობ?

— სიზმარში.

— სიზმარში გითხრა, ქმარს ვშორდებიო?

— კიფ.

სიერის მაყურებელთა ღრიანცელი მუხეუმის ფანჯრებს მიაწყდა და საფიჩხის აღმართზე გაიშალა.

ლერიმ ქულის დაბრუნების უფრო აქტიურ მეთოდს მიმართა, გადაწყვიტა, ქული წაერთმია ხარლამპისთვის, მაგრამ გოგავა ისე ოსტატურად უცვლიდა ბოხოხს ადგილს, ისე სწრაფად გადაჰქონდა ზელიდან ზელში, რომ იოსებაშვილის დათვური ბაჯბაჯი და უშედეგო კონწილი სიცილის მეტს არაფერს იწვევდა.

უეცრად წრეში ვიღაც შევარდა. ხარლამპს ბოხოხიანი ხელი დაუჭირა, ძირს დააწევინა და მკაცრად აუწყა:

— მიეცი ახლავე ქული, შენ გელაპარაკები!

ხარლამპმა გადაწყვეტილებას მიღება ვერც კი მოასწრო, ნებით თუ ძალით დაშვებულ ხელში ლერი ეცა, ქული გამოვლიჯა და გაუჩინარდა.

სამარისებური სინთმე ჩამოვარდა.

გოგნებულ გოგავა შემოტრიალდა, რა არამკითხველ ჩამრევისთვის ჰქუა ე-წავლებინა, მაგრამ მის წინ სიბრაზისგან აკანკალებული ჩია მოხუცი რომ დაინახა, გესლიანად ჩაიციინა და ჩაილაპარაკა.

— ნოე ბატონო, შენ ხარ? რა შეგვაშინე, შე კაცო!

და როდესაც ნოე წასასვლელად გატრიალდა, ხარლამპმა თვალისდახმობაში ააძრო ქული თავიდან და კიჭიას ესროლა.

ამას კი აღარ ელოდა ნოე კაკაბაძე. თითქოს ვიღაცამ ყელში ხელი წაუჭირაო, სული ვეღარ მოითქვა, ასი ფუთი ქვა დააწვა გულზე და წელში გადრია. ყურებმა შუილი დაუწყაო და თვალეზე მრუშე, ნისლიანი სიბლანტე აეფარა.

უკანდახვევა გვიან იყო.

იგი წრეში იდგა და თუ რაიმეს არ იღონებდა, სულ მალე ჩავარდებოდა ლერი იოსებაშვილის დღეში.

ცოტა ხანს გაჩერდა, იქნებ ამდენ ხალხში ერთი ქომაგი მაინც გამომიჩნდესო, მაგრამ „შესანიშნავ სამეულთან“ ურთიერთობის გამწვავებას ვერავინ ბედავდა.

ნოემ შუბლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა და კიჭიას მიუახლოვდა.

— კიჭია, პატარა ჰქუას ჩახედე, ნუ აყვები იმ ხვალაგს (ხარლამპისკენ გაიშვირა ხელი), არ ვარ თქვენი ტოლი მე.

— ჩემთან რა გინდა, ნოე ბიძია? — მეჩხერი კბილები გადმოეყარა და გულისამრევად ხითხითებდა კიჭია.

— მომეცი ჩემი ქული. ნუ აგლახავებ ჩემზე ამ ხალხს, არ ვარ შე შენგან მაგის ღირსი.

— მე წავართვი ქული? ვინცამ წავართვა, იმას მოკითხე. შენ რომ რამე ჩაგაბაროს კაცმა, მიცემ სხვას?

ამასობაში ნოე თანდათან უფრო უახლოვდებოდა კიჭიას და როცა გაიფიქრა, ახლა კი მივწვდები ქულს და წავართმევო, კიჭიამ მშვიდად მოისროლა ქუ-

რეზა მინაშაძე  
ხუთი ნოემბერი



დი მურთაზისკენ და ნახტომგაცუდებულ, ხელებაშვერილ ნოეს ხმამაღლა ჰკითხა.

— რას შერებები, ნოე ბიძია, ლოცულობ?

— შენც ამგენის ჭკუის ხარ, მურთაზ? ახლა ნოე მურთაზ ცუცქირიძესთან ეძებდა გზებს.

— არა, მე უფრო ჭკვიანი ვარ ამგენზე. — გაიცინა სელაპ-ადამიანმა და ბრბოდან რამდენიმე სუსტი ნერვების პატრონიც აიყოლია.

— არ ისროლო, გელაპარაკები, მომეცი ჩემი ქული!

მურთაზმა ქული ხელში შეატრიალა.

— ვარსკვლავი გასარემონტებლად ხომ არ მიგიტანია?!

ნოემ იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე, მაგრამ სერიის მოყვარულთა ყოველი ახარხარება ზანჯალივით ესობოდა გულ-მუცელში.

— მომეცი ქული, ვირჩენია!

— რეპანით რომ გამოგიგზავნო დილას, არ მიიღებ? — ვითომ გაიხუმრა მურთაზ ცუცქირიძემ.

— ერთხელ მაინც იყავი კაცი, შე საწყალო! — ხმა აუკანკალდა მოხუცს.

— რა გინდა ამ ძველ ბიჭებს რომ ეტორლიალები. ვინა ხარ, ვინ გამოგგზავნა, ვის ადგილზე ხარ, რას იბოხებ ხმას, ხომ ხედავ, არ გიხდება ძველებიჭობიას თამაში.

— მე დამანებე, ბატონო, თავი. მე წაგართვი ქული, ა?! — მურთაზმა ქული ხარლამპს ესროლა, — მიდი და იმას ელაპარაკე. არ გინდა ჩემთან მასეთი ლაპარაკი, მე არავის არაფერს ვუშავებ. ჩემთვის ვარ, ნუ დამაჯეკით ყველა თავზე. — მურთაზის ხმაში სასოწარკვეთის სიმი აქლერდა.

ნოე ამასობაში ხარლამპია გოგავას დაუბრუნდა.

— გეყოფათ აწი... გვეიცინეთ ხომ? მომეცი ახლა ქული.

— ქული რომ გდომოდა შენ, იქნებოდი წყნარად შენთვის. — ნიშნის მოგებით უთხრა გოგავამ.

— ვის რა დაუღშავე, ხარლამპია, მე?

— აბა, რას ჩამიტო ბუზანკალიანს ქროხასავით შუაში, ვინ გკითხავდა ლერიკონა შტერის ამბავს შენ?

— რომელი ლერიკონა არ ჯობია შენაირ პარაზიტს! — იყვირა ნოემ.

ხარლამპმა გაიცინა.

— როდიდან ვახდი ასეთი მყრალი, ნოე ბიძია, შენ? რამი ხვარ დეიწყო? ვის ეშინია შენი თვალების ქაჩვის აქანა?

— ახლა იმალება მილიცია მაინცდამაინც, ახლა არ ჩანს არც ერთი... — ატირებდა ცოტა აკლდა ნოეს.

— მილიცია ჩვენთან გამოწერთაა. დღეს თუ გამოიწერ, ხვალ მოვა, ისე, სადმე სამართალი რომ იყოს, ერთი მომცრო მილიციელი ქე გეკუთვნის შენ წამყოლ-წამომყოლად.

— მომეცი, შე პარაზიტო, ჩემი ქული!

ნოეს ადამიანის ფერი აღარ ედო.

— ჰა, კიჭია და, მიეცი ამ კაცს მისი ქული, მე სუსტი გული მაქვს და მეშინია, ქულის დაბრუნების დროს გლახა არაფერი ვაკადრო, — ხარლამპმა კიჭიას ესროლა ქული და ნოეს ზურგი შეაქცია.

— კიჭია, არ მაძლევ ქულს? — სანამ ახლოს მივიდოდა, კიდევ ერთხელ მოსინჯა ნოემ კიჭიას პოზიცია.

— მოდი ახლოს და ვილაპარაკოთ.

— რა უნდა გელაპარაკო, ბიჭო, შენ?

— რაც გაგეხარდება.

— გამაგებინე, სად გაიზარდე. ვინ აგიშვათ ასე. ასე რომ გაგათამამათ.

— ხალხო, — მიუბრუნდა კიჭია ბრბოს მართალი კაცივით, — ჩვენ და ლერია იოსებშვილი ვთამაშობდით ჩვენთვის. მევიდა ეს კაცი და კბენა დაგვიწყო. ვართ ახლა ჩვენ რამეში დამნაშავე?

„ხალხმა“ კიჭიას გულწრფელი კითხვა უპასუხოდ დატოვა.

— კიჭია! — ნოე ცივბიანვით ცახცახებდა, — შე გამყიდველო, კიჭია. არ ხარ ახლა შენ ღორივით დნაქლავი?

— რაის გამყიდველი ვარ, რა გავყიდე? ეგება „სპორტლოტოს“ ვასუხარებ შენსავით და ხალხს ვატყუებ?

— სპორტლოტოს მე, ქე მაინც ჩემს დაბეჭდილს არ ვყვიდი, მაღლობა ღმერთს, და შენ შენი ძმაცაცების ცოდვა გადაეცა.

— რომლები? — ხმას აუწია კიჭიამ.  
— რატომ სხედან, აბა, ახლა ხინგავა და მარლიანია ციხეში და შენ რატომ ხარ გარეთ?

— არ ვიყავი იმ საქმეში და იმიტომ...

— ხომ ყველამ იცის, ამდენმა ხალხმა, მთელმა ქალაქმა, შენ რომ იქ იყავი, მარა გამოძევერი თუ გამოგაძვინეს. ახლა კაცი ხარ ვითომ შენც და ქაქუა ბეკითხება?

— კი მარა, ამდენი ბოღმა თუ გქონდა გულში, გამარჯობას რატომ მეუბნებოდით, ნოე ბიძია?

— ბიძაშენობას ბიჭო, გველის ქვის-ლობა სჯობია. გამარჯობას მტერს არ დაუტყვებენ.

— რატომ მეჭიდავები, ხომ იცი, ვერ მომერევი, ნოე ბიძია, შენ. — ამ უკანასკნელ სიტყვებს გამომწვევად ამბობდა კიჭია.

— მორეული არ ვარ? ჩაიხედე კეში. შეხედე შენს თავს, ხომ ხედავ, არც ღმერთი გაყრის კარგ დღეს მაინცდამაინც.

— იმედი გაქვს, ხომ? ამ ხნის კაცს რომ ვერ ჩამოგკიდებთ სარზე, ხელს რომ არ გავისვრით, ამიტომ უნდა მოდგე და ანთხოო ბაღდადი წინ და უკან, ხომ? ნუ გამოგვიყვან მოთმინებდიან, თვარა მოგიწევს ბანაობა ცოც რიონში, მაინაჩემსა აქვს ცხონება! — წონასწორობას კარგავდა კიჭია.

...ნოე კაკაბაძემ წრე გაარღვია და ქუჩას მიაშურა. თამაში უაღვილო ადგილას შეწყდა. ბრბოს აშკარად არ უნდოდა ეს დიდებულად დაწყებული ომი ასე უბრალოდ დამთავრებულიყო. ბევრი უძახეს ხარლამპა და მურთაზმა მოხუცს, დაბრუნდი, წაილე ქუდიო, მაგრამ ნოე კაკაბაძეს უკან აღარ მოუხედავს.

გაჩერებასთან მისულს ცუცქირიძე წამოეწია და ქუდი ძალით ჩამოამხო თავზე, მაგრამ ნოე კაკაბაძემ ცეცხლოკიდებულებით იშვლია თავსაბურღი და ტალახში მოისროლა.

## თარჯიმანი

— ბადაშვილი? — ჩაულაპარაკა მინისტრმა ლევან ხვედელიძემ თავის თარჯიმანს გია ყუბუხიძეს, როცა დამსწრეთა ტაშის გრილში ტრიბუნას მოშორდა და კულისებში სული მოითქვა.

— დღეს კი. — გაუღიმა მთარგმნელმა.

— სადაც გინდა გამომიყვანე და ასეთ ჭამათში ნუ გამომიყვან. საქმეზე აქ ვერ ილაპარაკებ, სტუმარი ხარ. რაღაც ისეთი ხომ უნდა თქვა, რომ ხალხს თავი დაახსომო.

— რასაკვირველია.

— შენ წარმოიდგინე, თავმჯდომარემ ჩემი გვარი რომ გამოაცხადა და რომ წამოვდექი, ერთი სიტყვაც არ მახსოვდა, რა უნდა მეთქვა.

— ხომ გითხარით, სიტყვას წინასწარ გადახედეთ-მეთქი.

— გადავხედე კი არა, მთელი დამე ვიზუალიზირებდი, მაგრამ... ბავშვი კი აღარა ვარ. მე მგონია, მაინც მოვები რაღაცას თავი.

— კარგი იყო, არა უშავდა!

— მეტი რა უნდა მეთქვა. თუმცა სადღეგრძელოსავით გამომივიდა, მაგრამ არც ესაა სწორი, ჩემ წინ გამოსულმა პროცენტებით რომ წაიღო ტვინი.

— რა თქმა უნდა, დაწვრილებით ლაპარაკს აზრი არა აქვს, მაგრამ ერთი უნდა შეგნიშნოთ.

---

რედაქციის მისამართი  
საქართველოს  
წიგნების  
კავშირი



— მითხარი, აბა! — მინისტრმა ყურს ხელი მიახმარა.

— დაწყებისას არ გინდათ ეს ერთნაირი ფრაზები. მე მზიური რაიონიდან ჩამოვედი და მზე ჩამოგიტანეთო, თუ დააკვირდებით, ვინც სამხრეთიდანაა, თითქმის ყველა ასე იწყებს, ან მზიური ქვეყანას ახსენებენ პირველად, ან თოვლიან-ყინულიან მწვერვალებს.

— მერე ეს ცუდია?

— ცუდი როდია, მაგრამ მზით გავაკვირვებთ ჩვენ ამათ? თქვენ უფრო ორიგინალური სიტყვა შეგვიერთ. სხვათა შორის, მზე და ზღვა, ან თოვლი და მწვენი ხოდაბუნი ჩვენი დამსახურება სრულიადაც არ არის — ბუნების მადლია. თავი იმით უნდა მოგვექონდეს, რაც ჩვენ შეგვიქმნია, რითაც სხვებისაგან გამოვიჩივით.

— სწორი ხარ.

— მე მგონი, არც ის იყო საჭირო, ეს ამდენი ხალხი შინ რომ დაგვიბატოყეთ.

— ვიხუმრე, შე კაცო!

— იხუმრეთ. რასაკვირველია, მაგრამ ხომ ნახეთ, ყველას გაოცება გამოეხატა სახეზე. ნუ დაგავიწყდებათ, ვისი სტუმრები ვართ. მუმუმუმის კუნძულზე ბოლო ადამიანი ამ ოთხმოცი წლის წინათ შექამეს, კი მართალია, ახლა კულტურული განვითარების გზას იდგანან, მაგრამ ომბორის გრძნობა ჯერ კიდევ შორსაა მათგან.

— ერთი სიტყვით, შენ უფრო იცი ამათი ამბავი და როცა ისეთს ვიტყვი რამეს, არ თარგმნო, თუ კაცი ხარ, გამოტოვე. გაგიკვირდა თარგმნა?

— სრულიადაც არა.

— ჩქარა ხომ არ ვლაპარაკობდი?

— არა, ბატონო.

— ყველაფერი თარგმნე?

— თითქმის. მართო ერთი ადგილი გამოვტოვე, ვითხრათ სიმართლე, — გემიდან რომ ჩამოვედი და თქვენს კლდეებს რომ შეეხებედი, გულმა რეჩხი მიყო, რომ თქვით.

— რატომ?

— „გულმა რეჩხი მიყო“ კე... ვერ ვთარგმნე.

მინისტრს გაეცინა.

— მართლა, რა სასწაული ენა გქაქვს. რას უნდა ნიშნავდეს ახლა ეს „გულმა რეჩხი მიყო“, ვერაფრით ვერ თარგმნე, ხომ?

ეს სიტყვები მუმუმუმის ენაზე კი არა, მე მგონი, არც ერთ სხვა ენაზე არ ითარგმნება.

— ჰოდა, კარგი გიქნია, რომ გამოტოვე. ხმამალა რომ გაიციენეს, რაზე გაიციენეს, თუ გასსოვს?

— სცენაზე ზელიცა გაირბინა და რეპროდუქტორის ხახაში შეძვრა.

— არ გაამაგიეთ!

— ნამდვილად.

— კიდევ კარგი, რომ არ დამინახავს, თორემ ბრინჯივით დავიბნეოდი.

— ??

— ხელიცის მეშინია ძალიან. ახლა რა უნდა ვქნა. აქ ვიდგე?

— არა. შებრძანდით ახლა პრეზიდენტში.

— ახლა, ამ წუთას?

— ორატორი რომ დამთავრებს, ტაშის დროს შებრძანდით და მესამე რიგში დაჯექით. ა, იმ სათვალისანი ზანგის გვერდით.

— შენ სად იქნები?

— მე აქ დაველოდებით.

— კარგი, აბა. შორს არ წახვიდე, გია, თუ კაცი ხარ.

— არა, ბატონო.

როცა მართო დარჩა, გია ყუბუსიძემ ერთხანს კულისებში დაჰყო, მერე დახვეულ კიბეს ჩამოყვა და ქუჩაში გავიდა, მიტინგი ჯერ არ დამთავრდება და თვალს წყალს დავალევიებო.

მუმუმუმის დედაქალაქში ცხელოდა.

ქუჩაში კანტიკუნტად თუ გაივლიდა თეთრ მიტკალში გახვეული მოქალაქე, რომელსაც თავზე წყლით სავსე უზარმაზარი ქურჩელი ედგა.

გამ პიჯაკი გაიხადა, ჰალსტუხწაყერილ ყელს ცოტა შეგება მისცა და მაგნოლის ხეს შეეფარა.

თარჯიმანი ბედს არ უჩიოდა. მართალია, იგი პირველად იყო საზღვარგარეთ, მაგრამ მუმუმუმის ხალხის ცხოვრების

ითობაზე იმდენი იცოდა, რომ ამ უთავბოლო ქალაქშიც უმეგზუროდ გაივლევდა გზას, თავისუფალი დრო რომ ჰქონოდა.

იცოდა ვიამ, რა საპასუხისმგებლო საქმისთვის ეკიდა ხელი. ამ უცხო ქვეყანაში მინისტრის თარჯიმნობა ხუმრობა საქმე ხომ არ იყო.

ყუბუსიძე ოცდაათს მიღწეული, სანდომიანი სახის, წელში მოხრილი, გამხდარი, სათვლიანი კაცი გახლდათ. ზუსტად ისეთი — კინოფილმებში ზედმიწევნით პატიოსანი, მაგრამ ოდნავ დაბნეული, თავისი საქმის ღრმად მცოდნე, მაგრამ გაუბედავი პერსონაჟები რომ გამოჰყავთ.

ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ კარგა ხანს იარა უმუშევრად, რადგანაც იმ ქალაქში, სადაც ვია ცხოვრობდა, ყოველმა მეორე კაცმა იცოდა ინგლისური და თუ რომელიმე ენის მთარგმნელი სჭირდებოდათ, ყველაზე ნაკლებად ეს ინგლისურის სპეციალისტი გახლდათ.

ერთხანს აბითურაინტები ამზადა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ რეპეტიტორობა მისი მოწოდება არ იყო. ოთხი მოწაფიდან სამს მაინც ცოდნის შეძენა კი არა, მისაღებ გამოცდებზე დახმარება უნდოდა. ვიას კი ეს არ შეეძლო და რომც შეძლებოდა, არ ჩარგავდა თავს ამ საეჭვო და ბინძურ საქმეში.

რეპეტიტორობას თავისი შნო და მარიფათი უნდა.

სამსახურის საძებნელად ინსტანციებში ამო ხეტილით დალილს, ვილაც ღვთიან-მადლიანმა ურჩია, ქალაქში მუშემის ენის მცოდნე არავინაა, ისწავლე ეს ენა და პურს გაქმეცო.

შექსპირის ენამ ვერ მიშველა და მუშემის ენა რა ხერხს დამაყარისო, ხელი ჩაიქნია ვიამ, მაგრამ როცა იმ კეთილმა კაცმა დაამიღდა: რა გინდა, კაცო, შენ ოდნე ეს ენა ისწავლე და სამსახურში მოწყობის პირობას მე გაძღვეო, ყუბუსიძეს ჰკუაში დაუჯდა. ერთი წლის თავზე მუშემიური ურთულესი ენა ისე დასძლია, რომ არა მარტო კითხულობდა

და და თარგმნიდა, რადიოგადაცემებშიც უსმენდა და ამ განვითარებადი ტომის დიალექტებშიც გაიწაფა ენა.

მუშემის კუნძულებთან ურთიერთობას დიდი მომავალი უჩანდა და ერთ მშვენიერ დღეს ვია ყუბუსიძე ტრასისკვრით დანიშნეს კანცელარიის მოხელედ კი არა, მიმოწერის განყოფილების სტილისტად კი არა, — მინისტრის თარჯიმნად.

დანარჩენს მკითხველი უკვე ხვდება. მინისტრი ბავშვივით დამჯერე და ტყბილი კაცია. ვიას ნიქს ძალიან აფასებს და მუშემის ტომის თავისებურ ხასიათზე თავისი თარჯიმნის აზრებს ანგარიშს უწევს.

ხომ ხედავთ, რა უფლება მისცა ახალგაზრდა მთარგმნელს — რაც არ მოგეწონება, ნუ თარგმნიო.

თეატრის შენობიდან გამოვიდა თუ არა, ვიამ შენიშნა, რომ ვილაც გამოჰყვა. ახლა იგი, შავ კოსტიუმში გამოწყობილი, უზარმაზარი მუშემიელი შორიახლო დაბიჯებდა და შეწუხებული, სახით ხან თარჯიმანს შესცქეროდა, ხანაც კისერზე ოფლს იწმენდა თეთრი ცხვირსახოცი.

ვიამ გაუღიმა. ეს ღიმილი მუშემიელმა გასაუბრების ნებართვად ჩათვალა, მიუახლოვდა და ბოდისის მოხდით, ჰკითხა, გამოსვლის მიზეზი.

თარჯიმანმა აუხსნა, გულის უკმარისობა მაცქს და ერთი წუთით გამოვედი, პაერს გადავყლაპავ და შეგებრუნდებიო. თუ სხვა არაფერი გნებავთ, შენობაში ყოფნა გირჩევნიათ, იქ კონდენცირებული პაერია და გრილა კიდევო, მორცხვად აუწყა მასპინძელმა.

ვიას შერცხვა. რა ღმერთი გამოწყრა, უფრო დამაჯერებელი მიზეზი რად ვერ მოვიგონეო, თავის თავს გაუწყრა, პიჯაკი ჩაიცვა და თავიან გამოვალს შეყვა პართენონის სტილზე აშენებულ, მუშემის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში.

**რეაზ მინვალიძე**  
**ბუთი ნოვილა**



ის იყო კულისებში შერგო თავი და შეფხვ გახედა, რომ სხდომის თავმჯდომარე — ქრელი ხილაბანდით თავწაქრული, დაბალი კაცი წამოდგა და დარბაზს მიტირგის დამთავრება აუწყა.

ტაშის გრიალი და ფეხების ბაკუნი კარგა ხანს არ დამცხრალა.

გია კულისებიდან გასკვებოდა; მუმუმუმის მოქალაქეებს არაჩვეულებრივი სიხარული და კნაყოფილება ეხატათ სახეზე.

თარჯიმანს მოეჩვენა, რომ დარბაზს სხვა რამეზე უფრო მეტად ამ გავიანურებული და მოსაწყენი სხდომის დამთავრება უხაროდა.

გასასვლელეებში და პარტერის წინა რიგში თეთრხელთათმნიანი პოლიციელები იდგნენ და დარბაზს იდუმალი ყურადღებით ათვალიერებდნენ. რათა ამ აჟიოტაჟსა და ღრიანცელში ვინმეს სიყვარულით სცენისაკენ ქვა არ ესროლა.

პრეზიდენტში მსხდომნი სათითაოდ, დარბაზისთვის ზურგისუჩვენებლად, პანეროვანი კოცნის გზავნითა და ყურებამდე ღიმილით გამოლაგდნენ კულისებში.

მინისტრმა გიას უხმო და ოთხად გაკეცილი ქაღალდი გადასცა.

- რა წერია, ერთი ნაბე.
- გიამ უსტარი გაშალა და ჩაიკითხა:

„ბატონო მინისტრო, საღამოს შვიდ საათზე თქვენ მიწვეული ბრძანდებით მუმუმუმის კულტურისა და შავი მეტალურგიის მინისტრთან მიღებაზე“.

- კი, მაგრამ, ეს ხვალ არ იყო? — შეიცხადა ლევან ხვედელიძემ.
- პრეზრამით ხვალ იყო გათვალისწინებული, შეცვალეს ალბათ.
- როკელ საათზე?
- შვადზე.
- ეს ჩვენი დროით რომელია?
- გიას გაეცინა.
- ბატონო ლევან, ჩვენი დროითაც შვიდი საათია.
- რანაირად?
- ხომ ვითხარით, ჩვენსა და ამათ

დროში განსხვავება ოცდაოთხი საათია ჩვენ ოცდაოთხი საათით წინააღმდეგ.

მინისტრმა საათზე დაიხედა. მზე კარგა ხნის გადასული იყო და ქუჩის ორსაყენიანი თერმომეტრი მხოლოდ ორმოცდაცხრა გრადუსს უჩვენებდა, როცა მინისტრი და თარჯიმანი ბამბუკის ხუთსართულიანი სახლის კიბეს მიუყვებოდნენ.

გიამ დათვალა; გრძელ დერეფანში ერთიმეორის მიყოლებით შვიდი კარი გაიღო. თვითელი კართან მიაბლოგებოდას ორი ფრაკიანი მუმუმუმეილი გამოხტებოდა, სტუმრებს თავს დაუკრავდნენ და შემდეგი კარის გასაღებად ტყაპატყუპით გარბოდნენ.

თარჯიმანს გაეცინა. ლაქიებს ფეხებზე ხის ქოშები ეცვათ. იმისათვის ხომ არა, გრძელ დერეფანში მათს თავაწყვეტილ ოღს მეტი ხმაური რომ გამოემწვია?

როგორც იქნა, მიადწიეს კულტურის და შავი მეტალურგიის მინისტრის კაბინეტამდე.

მასპინძელი კარშივე შეეგებათ. გიას გაუკვირა, მუმუმუმის მთავრობის წევრს ყვითელი აბრეშუმის გრძელი სარაფანი ეცვა. წითურ, ხუჭუჭა თმაში ლურსმნისხელა ბრჭყვილა ქინძისთავები ჰქონდა გარკობილი, ხოლო ტუჩები ხუთჯერ უფრო სქელიც რომ ჰქონოდა, მაინც ვერ დაფარავდა მის ჯანმრთელსა და ბასრ კბილებს ავის მაუწყებლად წინ გამოშვებრილთ. გიას მოეჩვენა, რომ ეს კაცი პროვინციულ თეატრში ოტელოს როლის შემსრულებელს ჰგავდა.

თარჯიმანი უუტდგა და ლევანი წინ გაატარა, ერთმანეთს რომ მიუახლოვდნენ, მასპინძელმა გულზე ხელები აიფარა და თავი მუხლებთან მიიტანა, „კოცნა არ გინდათ“, — წასიურჩულა გიამ ხვედელიძეს, მაგრამ უკვე გვიან იყო, ლევანს კისერზე შემოეხვია ხელი დაბნეული მასპინძლისთვის და გაშმაგებით ჰკოცნიდა ხან მარჯვენა და ხან მარცხენა ლოყაზე.

კულტურისა და შავი მეტალურგიის მინისტრი უხერხულობისგან იმმუშნენ-



ბოლა. ვერაფრით ვერ აეხსნა სტუმრის გულაჩუყების მიზეზი. უშველებელი ტუჩებით რაღაცას ბურტყუნებდა და ხანდახან თავის გვერდზე შებრუნებით აგრძნობინებდა სტუმარს, რომ იგი ამდენი ფერებისა და გულში ხუტების ღირსი სრულიად არ იყო.

მისალმების ცერემონიალი რომ დამთავრდა, ლევან ხვედელიძემ თარჯიმანს ხელი დაუქნია.

მასპინძელმა ირველივ ოთხი ბალიში შემოიწყო და სტუმარს ერთ-ერთ თავისუფალ ბალიშზე მისთითა.

მინისტრმა შენიშნა, ფართოტუჩება დამხედური სულს ძლივს იბრუნებდა. თუ მეტი გამძლეობა არა აქვს, ვინ დანიშნა ამოდენა უწყების უფროსადო, გაიფიქრა ხვედელიძემ და გვერდზე აწეპებულ თარჯიმანს ჩუმად (ისე რომ მასპინძელს არ გაეგონა) ჰკითხა: „რა გქნა ახლა?“

— დაბრძანდით ამ შემოთავაზებულ ბალიშზე. კედელთან რომ ორი მუთაქაა, ერთით ზურგი გაიმავრეთ, მეორე მუხლებზე დაიდეთ, რათა იდაყვებით დაეყრდნოთ.

მინისტრმა თარჯიმანის რჩევა უშეცდომოდ შეასრულა. მერე, ბალიშზე მოკალათებულმა, თავის ჰკვიან მთარგმნელს ამოხედა და ჰკითხა:

— სწორად ვზივარ?

ვიამ თავი დაუქნია. მუმუმუის მხარის წარმომადგენელმა ხელის მტევნები ერთმანეთს მიატყუა, თვალეები ჰერს მიაპყრო და სიტყვა წარმოსთქვა.

იგი შეუჩერებლად ლაპარაკობდა, მაგრამ ვი აუბუსიძე თარგმნას თავისუფლად ასწრებდა, რადგანაც კულტურისა და შავი მეტალურგიის მინისტრი ყოველ მესამე წინადადებაში პირველ წინადადებას იმეორებდა.

„თქვენი ჩამოსვლით უადრესად ბენიერი ვარო. გზაზე ხომ არ დაიღალეთ, კუჭის მოქმედება ხომ ნორმალური გაქვთო, თქვენი ჩამოსვლა ახალ ფურცელს გადაშლის ჩვენი ხალხების ისტორიაშიო, ძალიან გვიჭირს, მაგრამ

თქვენი დახმარების იმედი გვაქვსო. მუმუმეილი კაცი უღალატო და გამტანია, მაგრამ როგორც კი შეატყობს, რომ ატყუებენ. მართალსაც კი აღარ დაიჯერებსო. ერთოლიანობის ლიკვიდაცია უცვე მოვანდინეთ, მალე საყოველთაო დაწყებით განათლებაზე გადავალოთ. შავი მეტალურგია, მართალია, ჯერ არა გვაქვს, მაგრამ თქვენი სახელმწიფო დახმარების ხელს გვიწვდის და, იმედია, მალე მეტალურგიული ქარხნების კომპლექსი გვექნებაო. შავი მეტალურგია მრეწველობის პურიო. შავ მეტალურგიას და საფეიქრო მრეწველობას თუ თავი მოვებით, მერე ფერად მეტალურგიაზეც ვიფიქრებთო.

ჯერი ლევან ხვედელიძეზე მიდგა. სტუმრის საპასუხო სიტყვა მოკლე და დაბნეული, მაგრამ გულწრფელი იყო.

ორ მარტივ წინადადებას რომ იტყოდა, ღრმად ამოისუნთქა და იმედიან მზერას ესროდა თავის თარჯიმანს. სანამ ყუბუსიძე იმ ორ წინადადებას თარგმნიდა, მინისტრი ახალ ფრაზას აკოწიწებდა თავში. კაცმა სიმართლე უნდა თქვას და, ვიას ცოტა ჯაფა როდი აღგა ლევან ხვედელიძის აბლაბუბა ნათქვამში ლოგიკის ნაპერწკალი შეემჩნია და ასატან ღონემდე მიანიც შეელამაზებინა.

მუმუმეილი ყურადღებით უსმენდა. ხანგამოშვებით კმაყოფილებით ჩაიკრუსუნებდა და მიწის თხილს დაწვდებოდა.

სიტყვათა ოფიციალური გაცვლა-გამოცვლა რომ დამთავრდა, მასპინძელი გაიზმორა და განმკლავმიღებულმა ხვედელიძეს გაუღიმა, რითაც აგრძნობინა, ჩვენი შეხვედრის ეს პირველი ეტაპი ხომ წარმატებით დავამთავრეთ, ახლა შინაურულ მუსაიფზე გადავიდეთო.

— რა უნდა? — ჰკითხა თარჯიმანს მინისტრმა.

— თავისუფლად ვიყოთო. რაზეც გინდათ, ვისაუბროთო. შემეკითხეთო,

რედაქციაში  
ხუთი ნოვემბერი

რაც გაინტერესებთ და სიამოვნებით  
ვიპასუხებთ.

— ავაშენა დემერტომატო, — გული  
მიეცა მინისტრს, — შენ ეს მითხარი,  
გია, ხომ შეიძლება ეს მიწის თხილი  
რომ ავიღო?

— კი, ბატონო.

— რომელი თეფშიდან, თვითონ რომ  
იღებს იმიდან, თუ აქეთ რომ დგას?

მასპინძელი, თითქოს ნათქვამი გაი-  
გოო, თეფშს დაწვდა და მინისტრს გაუ-  
წოდა.

ხვედელიძემ ერთი ცალი აიღო და  
თეფშთან ნახევრად მოკეცილი ხელის  
მიტანით გულუხვ მასპინძელს მადლო-  
ბა გადაუხადა.

— ჰკითხვ ერთი პროტექციონიზმი  
თუ არის თქვენში, — სერიოზული  
სახით უთხრა მინისტრმა თარჯიმანს.

გია გაწითლდა.

— უხერხულია, ბატონო ლევან, ჯერ  
ესენი ამ დონემდე არ მისულან. შეიძ-  
ლება ამ სიტყვის მნიშვნელობაც არ  
იცოდეს.

ლევანი შეიშმუნა.

— მაშინ ასეთი რამ ჰკითხვ: ჩვენ პი-  
რველი რომანი ათას ხუთასი წლის წი-  
ნათ გვექონდა და თქვენ რომელი საუკუ-  
ნიდან გაქვთო. კულტურის მინისტრ-  
რია, უნდა იცოდეს.

გამი არც ეს შეკითხვა მიიღო სათა-  
რგმნელად.

— ბატონო ლევან, ამათ რომანი ახ-  
ლაც არა აქვთ.

— ვიცი, რომ არა აქვთ. — მინისტრი  
აიმრიზა, — სწორედ მაგიტომ ვე-  
კითხები. რომ ვავაგებინო, ჩვენ ვინ-  
ვართ და რას წარმოვადგენთ.

— ძალიან ვთხოვთ, ბატონო ლევან,  
— ყურებამდე გაწითლებულ თარჯი-  
მანს ტუჩები უთრთოდა: — შეურაცხ-  
ყოფად მიიღებს ამ შეკითხვას. უხერ-  
ხულ მდგომარეობაში ჩავარდება. თქვენ  
გგონიათ, ძალიან ესიამოვნება, ჩვენ  
რომ ათას ხუთასი წლის რომანი გვაქვს  
და, ესენი რომ გუშინ გამოვიღონენ ჯონ-  
ვლიდან?

— კი მაგრამ აბა, რაზე ველაპარაკებ  
შენი ჰკითვ? — წყრომა გაერისა  
ლევანს.

— რაზეც ვნებათ, თქვენი ნებაა. მე,  
თუ მიბრძანებთ, ამ კითხვებსაც ვთარ-  
გმნი, მაგრამ უხერხულია. — თავი და-  
ხარა ყუბუსიძემ.

კულტურისა და შავი მეტალურგიის  
მინისტრი ხან ლევანს შეჰყურებდა და  
ხან გაას. იგი ხვდებოდა, რომ მინისტ-  
რი და მისი თარჯიმანი რალაცაში ვერ  
რიგდებოდნენ.

— ჯამრთმოკიეოვტა? — სიჩუმე  
დაარღვია მასპინძელმა.

— რაო? — ყუბუსიძეს მიუბრუნდა  
ლევანი.

— ხომ არ დაიღალა ჩვენი სტუმარ-  
რიო? ხომ არ სურს, ყავა მოვატანინო,  
ან ბაღში გავისეირნოთო.

— გმადლობთ, ახალი ნავახში ვარ-  
თქო, მოახსენე.

— ბუბუტოჩანოკვანა — დაუმარცვ-  
ლა თარჯიმანმა მუმუმიელს.

მასპინძელი დამშვიდდა.

ცოტა ზანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— ისტორიული ძეგლების რესტავრირ-  
ებისა და მოვლა-პატრონობის საქმე  
რა დონეზე გაქვთ დაყენებულიო, კი-  
თხე ერთი, თუ კაცი ხარ, — მორიგე შე-  
კითხვა მოიფიქრა ლევან ხვედელიძემ.

გიას სიფიქტეს ბოლო არ უჩანდა.

— ვერ ვკითხვ ასეთ რამეს, ბატონო  
ლევან!

— რატომ ვითომ?! — ცოტა არ  
იყოს, ხმამაღლა მოუვიდა ნათქვამი მი-  
ნისტრს.

— ამათ ისტორიული ძეგლები საერ-  
თოდ არა აქვთ და, რა რესტავრირება-  
ზეა ლაპარაკი!

მინისტრს ყელში ბურთივით რალაც  
მოაწვა. მესამე შეკითხვაც უვარდება.  
ამის მოთმენა უკვე აღარ შეიძლება.

— კაცო, შენ რასაც გეუბნები, ის  
უთარგმნე და ჩემს ჰკითხვას სწავლებას  
დაანებე თავი. ბიჭო!... — ვითომ თავი-  
სთვის ჩაილაპარაკაო, განზე გაიხედა  
ლევანს.



რა შეეშალა მუმუმიის კუნძულზე თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

თუ მკითხველიც ვერ ხვდება, მაინც აღარ ყოფილა საშველი და ეგება.

გია ყუბუსიძე მუმუმიიდან დაბრუნებისთანავე გაანთავისუფლეს სამსახურიდან. თარჯიმანი ვერაფრით ვერ მიხვდა,

## გ ზ ა

იღბალი არ გინდა? ამ დედაბერმა წელან ვაგონის ნომერი მკითხა, სათვალურ არ მივარგა და ვერ ვხედავო. იმ ერთი წუთის განმავლობაში, სანამ კიბეზე ამოჩოჩდებოდა, მოასწრო ეთქვა ჩემთვის: დასთან ვიყავით ულგოროდში სტუმრად, ქალიშვილი გაათხოვა და დაბრუნების პურ-მარილი გადაიხადაო. ჩემმა კაცმა დამის მორიგეობა მოიმჩხეხა და არ წამოვიდა. აღარაფერი აღარ უხარია, ოღონდ სახლიდან ნუ გაიყვან და, რა გინდა შენო. კაცი ასე დაგლახავებულებო, არ მინახავსო. ავდექი და მარტო წამოველ, აბა, რას ვიზამდიო. ტანია ჩვენს ხელში გაიზარდა სანახევროდ, ქორწილში ვერ წავედი და ახლა დაბრუნებისას შევიტყვევებდი თავსო?

ბოდიში მომიხდია ყველა ამ ხნის ქალის წინაშე, მაგრამ, სამოცის ახლომახლოს რომ ეძებინა, იმ ასაკის ქალბატონებს, ვიღას დავუშალო და, ბევრი ლაპარაკი უყვართ, ღვთის წინაშე, თუ გულდაგული მსვენელი შეხვდათ. ნეტავ იმას, ვის კუბეშიც შენ მოხვდები-მეთქი და მაინცდამაინც ჩემს კუბეში არ აღმოჩნდა?

მეთერთმეტე ადგილი ჩემია, მეცხრე ამ დედაბრისა. დათვისქურქიანმა ყმაწვილმა შემოიხედა. იქნებ ცოდვას ჩავდივარ, მაგრამ შეზარხოშებულის ნამდვილად იყო. ჩვენთვის ყურადღებაც არ მოუქცევია, ზედა საწოლზე შეხტა და ქურქგაუხდელად დაიძინა. ფშვინავს გემრიელად. ბედნიერი კაცია, აბა, რა არის.

ვაგონ-რესტორანში მოწამვლის თავი არა მაქვს. მე შენ გეტყვი, სუფთა თეფშზე დასხმულ წესიერ კერძს მოგაწვდიან. დერეფანში გავიდე? რამდენ

ხანს ვიდგე მერე ფეხზე ცხენით? სხვა გზა არა მაქვს, უნდა ვუსმინო. თითქოს საკულტო რიტუალს ასრულებდეს, რა კარგად ეწყობა, როგორ ემზადება სამუსაიფოდ, ეს დალოცვილი. ლეიბ-საბანი გაიშალა, წელზე თავშალი შემოიხვია. ბალიშს ზურგით მიეყრდნო. პირსახოცი ოთხად გაკეცა და ლეიბქვეშ ამოღო. ჩანთიდან შალის წინდები ამოიღო და ჩაიცვა. მერე ჩემკენ გამოიხედა და წყნარი, მშვიდი ხმით, თითქოს ძველთაძველ ნაცნობს ელაპარაკებო, დაიწყო:

— საკუთარი ქმრის ძვირს როგორ უნდა ვამბობდე, მაგრამ გავმწარდი, შეილო, და წამომცდა. სიბერის ბრალია ალბათ. აღარც ჩემიანი უნდა და აღარც მისიანი. გამომიშვა ეს ინვალიდი ქალი. ბრმაზე საცოდავი არის რამე, ბატონო, ამ ქვეყანაზე? ბრმა ვარ, აბა, რა ვარ! ამ თვალთ სულ ვერ ვხედავ და აქეთა თვალში მარტო ოცი პროცენტი მაქვს მხედველობა. გართულებული კატარაქტიამ, თუ რაღაც ჯანდაბა, საოპერაციოდ მაქვს საქმე. ა, თქვენ ახლა ბუნდოვნად გხედავთ. შავი ულვაში გაქვით, მგონი, და აქცენტზე გეტყობათ, რუსი არ უნდა იყოთ. ბრმა კი არა, თვალახელოლი ძლივს აგნებს ახლა, ამ თრომეტრიალში. ზოგ კარს მარტო „შესასვლელი“ აწერია, ზოგს „გამოსასვლელი“. კარი იმიტომაც კარი, რომ თუ ღიაა — გინდა შეხვალ და გინდა გამოხვალ. არაო, მაინცდამაინც აქედან უნდა შეხვიდე და იქედან უნდა გამოხვიდეო. სალაროს მე ვერ მივაგენი. მიაგენი, თორემ ერთბაშად ურიგოდ არ გაგიშვან.

რამაჲ მიხვალაჲი  
ხუთი ნოჲვილა



ბრმა ვარ, ინვალილი ვარ-მეთქი, მართლ-  
 ლა ინვალიდი ვარ მესამე ჯგუფის, პირ-  
 ველი მეკუთვნის, მაგრამ შეგნებულად  
 არ ვღებულხარ. ვმუშაობ ჯერ კიდევ,  
 პენსიაზე ვახლაყვართ, მაგრამ მაინც  
 ვმუშაობ, დამის ტელეფონისტად ვარ  
 ფოსტაში. პირველი ჯგუფისას რომ ავი-  
 ლებ, მერე მუშაობა აღარ შეიძლება. სა-  
 ხლში ჯდომას მე ვერ გავუძლებ. მაშინ-  
 ნვე მოგვკვდები. მთელი ცხოვრება  
 შრომაში და წვალებაში გავატარე. თუ  
 ბრმა ხარო, აქამდე როგორ მოხვედიო.  
 არაფერი ბრმა შენ არა ხარ, ნუ მაიმუ-  
 ნობ, თვარა მილიციაში მიგაბრძანებთ  
 ახლავეო. ბრმები ქალაქიდან ქალაქში  
 უპატრონოდ არ მოგზაურობენ, სახ-  
 ლებში სხედანო. ჩამოვწყდი ფეხზე.  
 ჩვენი რიგის ამბავი ხომ იცი. წამომყე-  
 ვი, შე კაცო, თვალი მაინც გიჭრის, კა-  
 ცი ხარ, რაც არ უნდა იყო. მეტი გამა-  
 ელობა გაქვს, მეტ ყურადღებას მოგაქ-  
 ცევენ-მეთქი, არა! არ უნდა და მოკალი.  
 მთელი ცხოვრება ასე სიჯიუტეში გაა-  
 ტარა. მის ჰკუთხე უნდა ყველაფერი.  
 ქმრის ძვირს როგორ უნდა ვამბობდე,  
 მაგრამ ოცი წელიწადია მაგის მოტანი-  
 ლი მანეთი არ მინახვს. სევამს. თავისი  
 ხელფასი ფლანგოს არაყში, ჯანდაბას  
 მაგის თავი და ტანი, მაგრამ ჩემსასაც  
 რომ ზედ აყოლებს?! რაღაც ორ კაპიკს  
 მოვიჩუმათებ კუთხეში შავი დღისთვის.  
 რა იცი, რა დღე გეღის აღამიანს, სიბე-  
 რემდის სიჭაჩლეო. ველოდი დაბრმავე-  
 ბას? ქორის თვალები მქონდა, ახლა ვა-  
 გონის ნომერსაც ვერ ვნებდავ. ესეც არ  
 იყოს, ხან გზა შეგხვდება კაცს, ხან ჰი-  
 რი, ხან ლხინი, მომსვლელი - წამსვლე-  
 ლი. ვერსად ვერ დავუშავე! მიაგნებს  
 და მომპარავს. მომპარავს და მოვა გა-  
 ლეწილი. შეაყარე კედელს ცერცვი, არ  
 მეჩხუბოსო და, აქვთ იბღვირება. მე-  
 რე ლაპარაკის სადერდელს აიშლის და  
 ლაქლაქებს გაუთავებლად. რაღაცას მე-  
 დაეება, რაღაცით უკმაყოფილოა, რა-  
 ლას მემართლებს, ვერ ვაფიქვ. დავიკობ  
 ყურებში თითებს, გავალ სამხარეულო-  
 ში, იქნებ რამეს გული გადავაყოლო-  
 მეთქი. მოგეშვება? ფეხნადებ მოგდევს.

ყურში ჩაგჩხავის ყვავივით. სახამოეო  
 თონ არ გასადათლება და შენ ჰკუიდან  
 არ შეგშლის, თავს არ დაგანებებს. ერთი  
 ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის: რო-  
 გორ შემოიყოლია, როგორ გამაბრძოლა:  
 შვილი არ მოგვცა გამჩენმა, ავიყვანოთ  
 და გავზარდოთ-მეთქი. დღეს-ხვალ,  
 დღეს-ხვალ და ამასობაში ქე დაებერ-  
 დით. ახლა რაღა დროსია. ჩემი ბრალიც  
 არის. არ უნდა დამეჭვებინა.  
 მე თვითონ უღვგოროდში ვარ დაბა-  
 დებული. მართლმადიდებელი ვახლავარ  
 საეკლესიო გლეხები ვიყავით. საწყალი  
 მამაჩემი მიწის მუშა იყო, ჩვენი ხუტო-  
 რი—ოგოროდნაია უკვე გავიარეთ. ბო-  
 ლო დროს ცხენებს მომეგულად დანი-  
 შნეს მამაჩემი. კანტორის ცხენებს უე-  
 ლიდა. კოლმეურნეობის და საბჭოს თა-  
 ვემჯდომარეები გვერდიდან არ იცილებ-  
 დნენ. იმ დამესაც იმათ წაჰყვა, მერე  
 თვალით აღარ მინახავს. შემოვიდა, მა-  
 კოცა და მოთხრა, კატია, არ შეგეშინდეს,  
 ხვალ, შეიძლება, გერმანელები მოვიდ-  
 ნენ და მე უფროსებს მივყვებით ტყე-  
 ში, პარტიზანებთან. შენთან იმათ საქმე  
 არ ექნებათ, იყავი შენთვის. კარტოფი-  
 ლი და პურის ფქვილი ცოტა ხანს გეყო-  
 ფა, ამასობაში ჩვენც შემოვალთო. ჩე-  
 მი ღები (ხუთნი ვიყავით) უკვე ევაკუ-  
 ირებულები იყვნენ. სულ თორმეტი წე-  
 ლია, რაც ერთმანეთი ვიპოვეთ ვაზეთე-  
 ბით. მე ცოცხალი აღარ მეგონა არც  
 ერთი. მე რატომ არ წავედი? ჩემი სია-  
 რული არ შეიძლებაოდა. ახალი ნამშო-  
 ბიარევი ვიყავი. ქმარი, რა თქმა უნდა,  
 ფრონტზე იყო. ვინერვიულეთ თუ რა  
 მომივიდა, რა ვიცი, უდღეური გოგო გა-  
 მიჩნდა და ერთ კვირაზე მეტ ხანს ვერ  
 იცოცხლა იმ უბედურმა. მე, ვთქვი,  
 მგლები ხომ არ არიან, შემოვლენ, წაი-  
 ლონ, რაც უნდათ, მე რა საქმე მაქვს  
 გერმანელებთან, მე რა დავუშავე ბო-  
 ლოსდაბოლოს, ხომ არ შემეპყენ-მეთ-  
 ქი.  
 დილით მოვიდნენ. მოტოციკლეტის  
 ხმა რომ გავიგონე, გული ამიფართხალ-  
 და. ორი ჯარისკაცი და ოფიცერი შემო-  
 ვიდა. კარი გავაღე და ლოგინში ჩაწექი,

არ შემეძლო ფეხზე დგომა. ჩაწოლილი რომ მნახეს, სიცილი აუტყდათ, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარკეს, მელოდებიან. ოფიცერმა ჯარისკაცები გარეთ გაისტუმრა, თვითონ ჩემს საწოლს მოადგა, საფეთქელთან ორი თითის მიტანით მომესალმა და მითხრა: „უკვე ვრემია, ესტავი, ესტავი!“ ავუხსენი ავად ვარ, ჩემი ადგომა არ შეიძლება-მეთქი. ვერ დაგტოვებ, უფლება არა მიქვსო, ჩანთადან ქაღალდი ამოიღო და ცხვირწინ ამიფრიალა. თვითონ გამოაქვს კარადიდან ჩემი ტანსაცმელი და ლოგინზე მიყროს, ეს ჩაიცვი, ეს ჩაიცვი, დაბამბული შარვალი ჩაიცვი, თბილად იქნები და ნუ გეშინიაო.

კოლმეურნეობის კანტორის სარდაფში შეგვერეკეს მე, ტელეფონისტი გოგონა ნატაშა და საბჭოს თავმჯდომარის ცოლი — ვერა. ამ ვერას, ამ უბედურს, ბარგის ჩალაგება და გაქცევა ვერ მოესწრო. სოფლის ბოლოს დავეჩირათ. ნატაშა სად წავიდოდა, დღელდამე ტელეფონთან უნდა მჯდარიყო, ასეთი ბრძანება ჰქონდა. მთელი დამე დაკითხვაზე გავატარეთ. გამომძიებელს და მის რუს თარჯიმანს თვალი არ მოუხუჭავთ. სად არიან პარტიზანებიო. მე თვითონ არ ვიცოდი და რომც მცოდნოდა, როგორ ვეტყვი, შვილო. რომელი სულელი ეტყვის — ეგერაა მამაჩემი და დაიჭირეთო. ვერასა და ნატაშასა ვერაფერს გეტყვი. სარდაფში რომ შემოგვაბარუნეს, ორივე იმას ამბობდა — არ ვიცით, ღმერთო, რჯულით. მერე, ეტყობა, დაკითხეს სხვებიც. სოფელში ვინც იყო, ყველას გამოკითხეს ჩვენზე. ყველა კი არ ებრძოდა, შვილო, გერმანელებს. ზოგი პურ-მარლით ხელდამშვენებული ეახლა, ხომ იცი, დათვი თუ მოგერიო, ბაბა უნდა უთხრაო. ასე ფიქრობს ზოგიერთი. მოკლედ, მესამე დღეს ნატაშა და ვერა ჩამოაღრჩეს, მე გამანთავისუფლეს. ალბათ, გაიგეს რომ მეჩინების ქალიშვილი ვიყავი და მთავრობის საქმეები ნაკლებად მეკითხებოდა. გამათავისუფლეს, სახლში ღამის გათევის უფ-

ლება მომიცეს. დილით უნდა გამოეცხადებულყავით ყველა — მოხუცი თუ ახალგაზრდა, ვისაც ფეხზე დგომა შეგვეძლო. გერმანელი გავგანაწილებდა: ზოგს სამზარეულოში გვიკარავდა თავს, ზოგს — სამრეცხაოში, სხვებს გზაზე თოვლს გვაწმენდინებდა. ორი თვე ამ ყოფაში ვიყავით, ორი თვის თავზე, გამთენიისას, გამოგვერეკეს სახლებიდან, ბაზზე გავვაშქარივს, გადავვარჩიეს და დახურულ, შუა მანქანებში ჩავგვსხეს. დანარჩენებს უბრძანეს, სახლში შებრუნდითო. სად მიგყავართ-მეთქი, თარჯიმანს ეკითხე: ნუ გეშინიათ, სამუშაოდ სხვა რაიონში გავანაწილეს, იქ უკეთეს პირობებში იქნებითო.

რა ვიყავი მაშინ? ოცი წლის გოგო. თვრამეტი წლისა გავთხოვდი. შესახედავადაც არა მიშავდა, მაგრამ ცოდვას ვერ დავიდებ, შვილო, ორი თვე ხომ ასე ვიყავით, სამი წელი და ხუთი თვე მაგდებურგში, კონცლაგერში გავატარე. კონცლაგერიო, მერე ვავიგე ეს სიტყვა ომი რომ დამთავრდა, თორემ რა ვიცოდი, რა იყო. მტერს ნუ ანახოს ის დღე, რაც ჩვენ გავიარეთ. მუშაობა ვირის — ჭამა ბედურისა. გაძელი თუ ბიჭი ხარ. რას მოვყაოლე ახლა ეს? ჰო, ოცი წლის გოგო ვიყავი-მეთქი, და რატომღაც ყველამ ასე ვიცოდით ქალებმა: გერმანელები რომ შემოვლენ, თუ ცოცხალი დაგვეტოვებს (რაც ძალიან საეჭვო იყო), ნამუსის ახლა ხომ ზელში გვაქვს დიდიან-პატარიადაო. ჩვენ, ქალები, კონცლაგერში, რა თქმა უნდა, ცალკე ყაზარმაში ყვავდით, ჩვენს მეთვალყურეებად ძირითადად ხეიბარი ოფიცერები და ბებერი გერმანელები იყვნენ. ვისაც ჯანი და სიმართლე ჰქონდა, ფრონტზე იბრძოდა. იყო ჩვენთანაც, როგორ არ იყო, გაუპატიურების რამდენიმე შემთხვევა, მაგრამ, ახლა რომ ვუფიქრდები, იქ არც მთლად ჩვენი დაი იყო მამა აბრამის ბატკანი.

ომის დამთავრებისას გაცოფდნენ

რემკა მიხველაძე  
ხუთი ნოველა



უფრო გერმანელები. კრახანებზე იკ-  
ბინებოდნენ. ღორებს და შუქთამკამე-  
ლებს გვეძახდნენ. სამი წლის განმავლო-  
ბაში გარჩინეთ, შეგინახეთ და მადლო-  
ბერიც არა ხართო. შიმშილით დაწყებ-  
ბოდითო. წარმოგიდგენია? მადლობე-  
ლი თურმე ჩვენ უნდა ვყოფილიყავით.  
ომის დამთავრების შემდეგ კარგა ხანს  
ქექებს ჩვენი საბუთები. გვეკითხებოდ-  
ნენ: ტყვედ რანაირად ჩავარდით და გე-  
რმანელებს რა სამსახურს უწევდითო.  
რა სამსახურს ვუწევდით, ვირის მუშე-  
ბად ვიყავით. ვუთხარი ყველაფერი,  
რაც ვიცოდი და რაც გადამხდა. ტყუ-  
ილის შოფიჭრების თავი მაქვს კი არა,  
მართალსაც ვერ ვამბობ სწორად. ერ-  
სი წელი გერმანიაში გვამსახურეს, მე-  
რე აქეთ დაგვაბრუნეს.

ჩემი ქმარი ომის ქარცეცხლს გადარ-  
ჩენოდა, დაბრუნებულყო სოფელში.  
ჩემი ასავალ-დასავალი გაეკითხა. ვინ  
ეტყოდა? ვინ რა იცოდა. ომი რომ დამ-  
თავრდა და არ გამოჩნდი, დაღუპული  
ვეგონე და ცოლი შეერთო. რომ ჩამო-  
ვედი, უკვე შვილიც ჰყავდა. ორი თვის  
ბიჭი ეჭირა მის ცოლს. რას ვიზამდი?  
ახალმა ცოლმა თავში წაიშინა ხელი, ნუ  
გაშინია, არ წავართმევ ქმარს, ცოტა  
ხანი გამოიყვეს სალაპარკოდ-მეთქი.  
არყიანში გავედით სოფლის ბოლოს.  
დავჯექით და ვიტირეთ ორივემ. ღილე-  
ბი დაიგლიჯა და დაჭრილი ნადირივით  
ბლაოდა. გაეამხნევე, დაეამშვიდე, კო-  
ცნით ამოვუსრე ცრემლი და გავუშვი  
სახლში. ახლა მივხვდი, არ უნდა გამე-  
შვა. ჩვენ ერთმანეთისთვის ვიყავით და-  
ხადებულნი. სიყვარულში დათმობა არ  
შეიძლება. ჩემთან რომ მყოლოდა, ახ-  
ლა ცოცხალი იქნებოდა. ორი წელია,  
რაც აღარ არის. მთვრალი მოსულყო  
და ცოლს გარეთ გაეგდო — გამოფხიზ-  
ლდები და შემოგიშვებო. კიბზე ჩამო-  
მჯდარიყო, ჩამოსძინებოდა და ასევე მი-  
ეზარებინა ღმერთისთვის სული. დასაფ-  
ლავების მესამე დღეს შუალამისას მი-  
ვედი საფლავზე. ვიტირე და ვიტირე,  
მეტს რას გავუკეთებდი, სხვა რა შემეძ-  
ლო.

ეს ჩემი ქმარი ათი წლით უფროსი  
უცოლო ბიჭი იყო, მე კარგა ორმოცს  
მიტანებულ ვიყავი. გადამეკიდა. საშ-  
ველი არ მომცა. თუ არ გამოიყვები,  
თავს მოვიკლავო. ავდექი და გავყვი.  
განა მიყვარდა? ხატრის გულისთვის გა-  
ყვევი. თავს არაფერი მოსწონს-მეთქი,  
შემეცოდა და გავყვევი. კარგა ხანს იყო  
ჰქვიანად. ამ ბოლო დროს აურია, კი  
არაფერს აშვეებს, მაგრამ სმა უყვარს.  
ეს მომგონდა წყველილი არაყი კი ისე-  
თი რამაა, მშობელ მამას დაგავიწყებს.

ორი დღის წუთისოფელი დამრჩა და  
ღმერთს სამღურავს როგორ ეკადრებდი,  
გავაჩოჩიალდები ჩემს წუთისოფელს,  
მაგრამ ამ ბოლო დროს გული გამიტყუ-  
და, შვილო. ოთხი წელია საოპერაციოთ  
მაქვს თვალი. ოთხი წელია მატყუებს  
ჩვენი სავადმყოფოს მთავარი ექიმი.  
არადა, ჩემი თვალი არ იცდის. დღითი  
დღე უარესდება. ოთხი წლის წინათ  
რომ გაეკეთებინათ ოპერაცია, ჩემს  
ბედს ძალი არ დაჰყვებდა. ჯერ მიძი-  
ხა: არ გჭირდება ოპერაცია, თავისით  
გაივლისო. მერე რიგში უნდა ჩადგე,  
სტაციონარში ადგილები არა გვაქვსო.  
ოთხი წლის განმავლობაში აღარ მოვი-  
და ჩემი რიგი? ავდექი და რაიონის ცე-  
ნტრში ვიჩილე. მე, ომის მონაწილეს,  
ასე აბუჩად მივდებენ, საავადმყოფოში  
ადგილი ვერ მომიძებნეს-მეთქი. რაიო-  
ნის ჯანმრთელობის განყოფილების გა-  
მგემ ჩემი საჩივარი იმასვე გამოუგზავ-  
ნა, ვისაც ვუჩიოდი. ხომ გაგიგონია, ვის  
უჩივი და ბატონსაო, ვისთან ჩივი და  
ბატონთანაო. მივედი: ოჰ, შე ასეთო და  
ისეთო, საჩივრების წერა დამიწყეთ?  
ინტრიგანი და დამსმენი ვახლიო? რა  
ოპერაციას და მკურნალობასაც შენ მაგ  
ჩივილით მიაღწიო, ჯალაბში დაიტრახა-  
ხეო. პრინციპის გულისთვის არ გიკე-  
თებ ოპერაციას, ურტყი თავი კედელსო.  
ნერვები მომეშალა, ავკანკალი, მე  
ვთქვი, თავში სისხლი არ ჩამექცეს-მე-  
თქი და გავეცალე. ის დღე და ის დღე,  
ექიმთან აღარ მივსულვარ. რავარცხა  
იქნება, გავძლებ, სანამ მთლად დავბრ-  
მავდებოდე, გული მიგრძნობს, მალე

წავიღებ წერილს მისვლით კი, ტყვი-  
ლით ხორცს რომ ვიგლეჯდე, იმ ექიმ-  
თან არ მივალ.

მოგაწყინე, ალბათ, ჩემი ლაქლაქით  
თავი. შენ შენი საფიქრალი და გასაჟი-  
რი გეყოფა. ყველას თავის საქმე აქვს.  
რამდენჯერ დავიფიცე, არ მოვყვები ამ  
ჩემს ამბავს-მეთქი, მაგრამ რომ დავიწყ-  
ყებ, თავს ველარ ვიკავებ. სიბერის ბრა-  
ლია. ზოგი რომ მოყვება, გულზე მოეშ-  
ვება, მე პირიქით ვარ, გადმოვალაგებ  
ჩემს გასაჟირს და მერე მთელი ღამე  
ველარ ვიძინებ. ყურებში მიშუის და  
თავის ქალა მიხურს. მახატოე, შენი ჭი-  
რბი, გავჩუმდები. ხმას აღარ ამოვი-  
ღებ. ძილი ნებისა.

●  
გათენებისას რალაც უსიამოვნო  
გრძნობან გამოამაღვიძა. პერანგის საყუ-  
ლოში ჩაუვლია ჩემთვის ხელი და მან-  
ჯღრევს. წამოვხტი.

— ცუდად ვარ. ბოდიშს ვიხდი. პალ-  
ტოს ჯიბეში ვალიდოლი მაქვს! — მი-  
თხრა მიღებული ხმით.

სინათლე ავანთე, აღამიანის ფერი  
აღარ ადევს. ვალიდოლი რომ მოვუქებ-  
ნე, გავვარდი და წყალი მოვუბრუნინე.  
არ დალია. სუნთქვა უჭირს. ეტყობა,  
წამალმა არ იმოქმედა. შუბლზე და  
ცხვირის ნესტოებთან თფლმა გამოყო-  
ნა.

მაჯა ხელში მიჭირავს, ხელის ზურგს  
ვუსრეს. ასე ჩემს ცხოვრებაში არ დავ-  
ბნეულვარ.

— ნუ გეშინიათ, ქალბატონო.

— ჯანდაბას ჩემი თავი. მე იმას ვწუ-  
ხვარ, თქვენ რომ შეგაწუხებთო. არ

უნდა წამოვსულიყავი, ჩემი წოწიალ-  
აღარ შეიძლებაო.

მობოდნეების დროა ახლა?

ხელი რომ გაუცივდა და სუნთქვას  
მოუხშირა, ვაგონის გამცილებელთან  
შევევარდი. ორმეტრიანი, ზონზროხა ქა-  
ლი იყო.

— მერე რა ვქნა მეო. მატარებელზე  
ექიმი არ გვეყავს, ერთ საათში კალინინ-  
სკიაში ვიქნებით და სანიტარულ სამ-  
სახურს ვაცნობებო. — ამით ჩემთან სა-  
უბარი დამთავრებულად ჩათვალა და კე-  
დლისკენ გადაბრუნდა.

— ძალიან ცუდად არის. იქნებ ერთ  
საათს ველარ გაატანოს! — გავცოფ-  
დი.

წამოჯდა და დამიბღვირა.

— რამდენი მგზავრიც ავად გახდება,  
მატარებელი გავაჩერო? ზომ არ მიბრ-  
ძანებთ, ასე მოვიქცე?

ამასთან ლაპარაკს აზრი არა აქვს.

აქეთ ვეცი, იქეთ ვეცი, კარს ბრახუ-  
ნი ავუყენე. სხვებმაც გაიღვიძონ. იქნებ  
ჩვენს შორის ექიმიცა, იქნებ რამე ვუშვე-  
ლოთ ამ უბედურს.

...კალინსკიაში საკაცით რომ ჩაყავ-  
დათ, მატარებელი დაიძრა და ავადმყო-  
ფი კინალამ მატარებლის ბორბლებში  
ჩაუვარდათ.

ფრთხილად-მეთქი ისე ვიყვირე, რომ  
მთელი სადგური მომაჩერდა.

— Чтож вы выступаете, кто вам  
она такая?. უკან ვაგონის გამცილებე-  
ლი მომდგომია.

— Мать! უკანმოუხედავად მივუგე  
და თვალის ფსკერზე მოწოლილი ცრემ-  
ლი რომ შემეკავებინა, ტუჩზე ვიკბინე.



## პარჰი ფსოველი

### ფოველდე

ხედავ: ყოველდღე რაღაც იცვლება.

აჰა: ტელევიზორის ეკრანიდან გადმოსულა  
და „სოიუსპენატის“ ჯიხურის ვიტრინაში ბორიალობს  
ლანდი ელიზაბეტ ტელიორისა.

„იფ, იფ“ — ჩაივლის მეფეზე აზიზა ცოცხით —  
ქარხნების ჭვარტლთან,  
სმოგის ლექთან,  
მჭენარ ფოთლოვანთან  
და სიგარეტის ნარჩენებთან მებრძოლი მეფე...

მიჰყვება პრესპექტს პროცესია, შავით მოსილი,  
ვიდაც წავიდა... ხოლო სხვები თავაწეულნი  
მოდინ აქეთ —  
მოირხევა წერწეტი ქუჩა...  
ეტიკეტების გამოფენა...  
ოკეანე ფერუმარლის...

ათასწლოვანი კედლების გვერდით  
ცათამბჯენის საძირკველს ჭრიან —  
და ხორციელის ოფლი იღვრება,  
დაუშურველი, მუშური ოფლი...


რაღაც იცვლება... შეუცვალებლად  
ფერისცვალების მიკვლე ქამი მოდის და მიდის...

### უსათაურო

სალამი, ჭრელი ჩიტების მხარე!

აჰა: ბეტონის ქვაბულებს შიღმა  
და რეკლამების თაიგულებსა  
და ელემტრონულ ყვავილებს იქით  
კიდევ ანათებს ხოხბის ფრთების კოცონი სისხამს,  
კვლავ ყელყვლაობს ველის ყვავილი  
და განთიადის  
გზაზე მგზავრი მიეშურება  
და თვალს აღხენენ გარეშემონი...


ალისო ზიქლაური



ჯამბაზი

გათიკო

საქართველოს  
საბავშვო  
საზოგადოებრივი  
სამსახური





დემოკრატიული მოტივი






დედაშვილობა



მანანა

ფიგურა



ფიგურა  
შეხვევა

ოზარ ღურშიაშვილი



ნატარამობი

ჩემი ქოლ



ნატარპორტი  
ჩიბუხით




მედიკალი  
გერმანიის



პერსპექტივის ქუჩა

ნატურმორტი  
ხაჭიტი



ეროვნული  
გალერეა



ზინო ხორამიდი

გოგონა ხალლით

საქართველო  
სახელმწიფო



ჩაიკოვსკის ქუჩა

გაუქმებული ეკლესიის ძველისძველ ზარებს  
რეკავენ: ცეკვავს, კუდზე დგება ბრინჯაოს გველი,  
ყურის მღვიმეთა კედლებს ლოკავს...  
და მოქნეული  
ირმისფხვება ცეკვავს ცეკვავს, მთვარის წამწამთა  
ვერცხლისთალოვან დარბაზების სიმღერის ხმაზე...  
ცეკვავს, ცეკვავს კუდსდაბჯენილი...

ხმა ჟრუანტელად ეფინება ჩათვლემილ ქალაქს —  
დაზგებზე დახრილს, რიგში ჩამდგარს,  
მოლოდინის ჯაგრით შემოსილს...  
ხმა —  
რომლის ცაზეც მეციხოვნის სისხლის ქაფია,  
დამარცხებულთა სიმღერების ხმელი ფოთლები  
სადაც ჰკიდიათ ხეებს, ცისკენ ხელებაწვდილებს...

ხმა — რომლის თაღზეც გაყინულა  
უხსოვარი დროის ფენისხმა —  
როგორც ნახშირზე გვიმრის თითთა ანაბეჭდები —  
პრეისტორიულ კართოტკეების  
უფსკრულებიდან რომ ამოაქვთ — წარღვნის სამხილი.

რეკავენ: ცეკვავს, კუდზე დგება ბრინჯაოს გველი  
და იყალყება ავტოსტრადების,  
მოჭრიამულე ბაზრების და ქარხნების ზემოთ...

ცეკვავს, ცეკვავს და ყელზე ეხვევა  
თვალემმოხატულს, სიგარეტის კვამლში გამომწვარს —  
გაუქმებული ეკლესიის ფუძის ანგელოზს.

**მთავი მიმავალა კვლავ ვინასულა  
უპისთავის ტა**

ჩაუდიოდა დრო უდაბური  
ამ ცისფერ ქვაბულს დასაბამიდან...  
ვლიდნენ ვარსკვლავნი მწუხრის კარზე, ხოლო ჟამიჟამ  
ხორციელის ხმა აკუწავდა ღამის მდინარეს,  
დაეცემოდა ქვეზე ჭლარუნით,  
გადაკაწრავდა მწუხრის ხეობებს...

ამოდიოდნენ, ჩადიოდნენ მნათნი... ყოველი  
ვლიდა თავისთვის:  
ჟამიც, ღამეც, ხმაც ხორციელის...  
მარტოდენ იგი: ეული თვალი,

სამყაროს ჰერეტად მიქცეული, ცას შეგყურებდა  
და ცივი მზერით მიაპობდა ჟამთა უღრანებს,  
ცად მაცქერალი დასაბამიდან.

### სურათი, როველსაც ვერ ვხედი

მიწისპირი: ბაგედამსკდარი,  
ხორციელის კვალს რომ იშორებს,  
გაქვავებული მდინარის ტანი,  
და ამოშვერილ ტალღის ლოდებზე  
გადაჩეხილი მთვარის თვალი, დაუბრუნებელ  
ქარებს რომ მისდევს,  
უხსოვრობიდან  
წამოწეული აჩრდილები, ჩამოფლეთილი  
ცა —  
ამ ღარიბულ სურათს ვყიდი,  
ამ მოსაწყენ პეიზაჟებს გთავაზობ, მგზავრო...

მიწა: დამსკდარი,  
დაფლეთილი მდინარის ტანი  
და ქალაქების მუნჯ კედლებზე აწებებული  
ლამდარენილი აჩრდილები, გადაბუგვილი  
და გამოჭმული ხეობები და უბალახო  
ველები —  
სადაც ქარიშხალი გაიფინება  
და განწირულთა  
შორეული ძახილის ეჭო...

„მოდით, ინებეთ,“ — ამ ღარიბულ სურათებს ვყიდი,  
ამ მოსაწყენ პეიზაჟებს გთავაზობ, მგზავრო..

### პილიპი: ინფარქტი

უღრანს, უღაბურს, უსიერს ტყეში  
მუხას დაემართა ინფარქტი...  
ფსევებდამწყდარი გაიშხლართა ხეების ფერხით.

ირბინეთ,  
ჩასჩინებდა თხმელა-ექიმი...  
მაგრამ, აბა, როგორ ირბენდა —  
მიწაში მუხლებამდე ჩარჭობილი,  
წვერით თავანზე აჩხვერილი...

ფსევებდამწყდარი გაიშხლართა ხეების ფერხით...

შენ კი, ცანცარავ,  
ჩირგვში მჯდომელო,  
რომ გაგადვიდა დაცემის ხმამ და შიშისგან ლამის გათავადე,  
რას ელოდები —  
მოისხი ქურჭი...  
ირბინე, კურდღელო, უშველე თავს!

გამორთე ტელევიზორი...  
გაებუტე ლიფტს...  
დაივიწყე აეროდრომი —  
თითქოს ზღაპარში გაგეგონოს ყმაწვილობისას...  
ზურგი აქციე მატარებლებს, ავტომობილებს..  
ერიდე ღვინოს და სიგარეტს, კურდღელო,  
ირბინე, ირბინე, უშველე თავს!...

უღრანს, უდაბურს, უსიერს ტყეში  
მუსა წვეს ნაინფარქტალი...



გიორგი გორგოქი

## ორშაბათი

„მზემ აიწია ფეხის წვერებზე,  
მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა“.

ანა ბალანაძემ

ნომებრის ქარი მთელი ღამე აშრი-  
ოლებდა გამზარი ალვის უღონო ტო-  
ტებს ფანჯრის წინ.

კარგა გვიანი იყო, მას რომ გაეღვიძა,  
უგემურად ეძინა, მთელი ღამე ტრუსე-  
ბის ამარა იბორილა „ბორჯომის“ ძებ-  
ნაში. გათბობა ჯერ არ ჩაერთოთ და  
სიციფე ეკვე იგრძნობოდა, ლოგინში კი  
სასიამოვნოდ თბილოდა, იწვი და წუ-  
ხანდელი სიზმრის გახსენებას ცდილა-  
და, რაღაც უაზრო, უცნაური სიზმარი  
ნახა და ვერაფრით ვერ იხსენებდა.

რადიოს ხმა შემოესმა, ეტყობა, სამ-  
ზარეულოს კარი გააღეს. აშკარად აგვიან-  
ებდა, თან ორშაბათი ყოველთვის ხუთ-  
წუთიანი თათბირებით იწყებოდა. ნე-  
ტავ ვინ ოხერმა მოიგონა! არადა, მზ-  
სი ხამსახური „თბილწეორადნილობს-  
ტანკონსერვი“ ქალაქის მეორე ბოლო-  
ში იყო. თავს ძალა დაატანა, საბანი  
ერთბაშად გადაიძრო და წამოხტა. სა-  
წოლთან მდგარ ცარიელ „ბორჯომის“  
ბოთლს ფეხი წამოჰკრა, ბოთლი ხმაუ-  
რით გაგორდა. „მგონი დგება, როგორ  
მოუვიდა?“ — მოესმა სამზარეულოდან,  
რატომღაც ბრაზი მოერია, უცებ დანიშ-  
ნა, ჩაიკვა და რადგან ჰამას ვეღარ ას-  
წრებდა, კარი ხმაურით მიიჯახუნა და  
კიბე ჩაირბინა.

სადარბაზოსთან მისი მეზობელი გივი  
თავის „ეივლს“ ელოლიავებოდა. აბა-  
ლი გამოყვანილი ჰყავდა და ძალზე  
უფრთხილდებოდა. გივი ერთი შავი, მე-  
ლოტი, მრგვალი კაცი იყო. ავტონისპე-  
ქტორად მუშაობდა. ბავშვობაში რომ  
ყულაბა ჰქონდა, იმასა ჰგავდა. ყულაბა  
ზუსტად შუაზე იხსნებოდა, ქამართან,  
და როცა გივის უყურებდა, ასე ეგონა,  
ქამარი რომ შეეხსნათ, გივიც შუაზე გა-  
დაიხსნებოდა და ხუთმანეთიანები გად-  
მოცვივდებოდა გივი ხელს აწევით მი-  
ესალმა. „უჰ, ერთი მაგის!“

ღრმად ჩაისუნთქა დილის ჰაერი, შე-  
მდეგ მიჯაკის გულის ჯიბეში შენახუ-  
ლი „კოლხეთის“ ღერი მოიძია და გა-  
აბოლა, ყველაზე გემრიელი დილის პი-  
რგელი სიგარეტი, მაგრამ აბლა, უზ-  
მოზე, არ ესიამოვნა, ცალი ხელი პალ-  
ტოს ჯიბეში ედო, თეორეში სიგარეტი  
ეკავა თითებშუა და ნელ მიუსყვებოდა  
ქუჩას, თუმცა აშკარად აგვიანებდა. ქუ-  
ჩა ნომებრის სუსხნარევი ჰაერთა და  
უღონო, მაგრამ მაინც სასიამოვნო მზის  
სხივებით იყო სავსე.

ქალაქი აფუსფუსებული, აწრიალე-  
ბული და საქმიანი ჩანდა. მღაზიების  
ვიტრინები და რძის რიგში მდგომ ხალ-  
ხის ბაღურებში ჩაწყობილი ცარიელი

ბოთლები უცნაურად ირეკლავდნენ დილის მზეს. ხანგრძლივი წვიმით გუნება-ვაგებურებული და შემოდგომის ატალანტებულ ქუჩებს შეჩვეული ხალხი ერთთავად ძირს, ფეხებქვეშ იყურებოდა და გამალბული მიიჩქაროდა. ვიღაც დაეჩახა „ფუტბოლოკოევიში“ თავჩარგული და შუამდე მოწეული სიგარეტი გადაადგდებინა. ახლის ვინმესათვის თხოვა შეეხარა და გზა გაავრძელა.

გაჩერებასთან უამრავი ხალხი იდგა, იცლებოდა და იგებოდა ტროლეიბუსები, მაგრამ ხალხი არ კლებულა. ჯიბე მოიხსრიკა და ტაქსების გაჩერებისაკენ გაუხვია. ლამაზმა გოგონებმა ჩაუარეს, რაღაცაზედ იცინოდნენ გულიანად მისდა უნებურად თვალი გააყოლა, ცოტა გამოფხიზლდა, გამოცოცხლდა. ტაქსის რიგშიც ბლომად იდგა ხალხი. ზოგიერთებს უძინარი სახეები და დაწითლებული თვალები ჰქონდათ. ზაში გაახსენდა და ნივრის მწველი სურნელება იგრძნო. სიგარეტი სთხოვა გვერდით მგდომს. „პრიმა“ აღმოაჩნდა, ამჯერად უფრო მადიანად გააბოლა.

დიდხანს ელოდა მანქანას, ბოლოს ვიღაც ინვალიდმა გაუჩერა „ზაპოროეცი“. სავარძელი ძალიან დაბალი ეჩვენა, დრმად ჩაეფლო და ფეხები წინ მიაბჯინა, ესიამოვნა. ინვალიდი დიდხანს ქოქავდა მანქანას.

— ბენდექსი მალატობს!

— ტრამბლიორი რას შერება? — უაზროდ შეეკითხა, ყური ჰქონდა მოკრული გვიისაგან, რომ ტრამბლიორი მანქანის რაღაც ნაწილი იყო.

— ტრამბლიორი პრი ჩომ? — გაუკვირდა მძღოლს.

საუბარი არ აეწყო. აღარ გამოლაპარაკებია. „კვარტალის მიმოქცევის ხარჯები მაქვს გასაეთებელი“, — უცებ გაახსენდა და გუნება წაუხდა. „ზაპოროეცი“ მდორედ მიდიოდა მანქანების დიდ ნაკადში. რუხი ფერი დასდებოდა ქალაქის ირგვლივ აფერდებულ მთებს და გორაკებს. შემოდგომის დაღალული მზე ველარ ათბობდა სკვერებში დაცარიელებულ ხის სკამებს, ჰადრების ტო-

ტებზე გასუსულ უშნოდ გასქელებულ, ჭუჭყიან ბედურებს. დიდი, ყვითელი მზის სხივები სამკაულებივით დაკიდებული იყო ქალაქის თავზე.

ცენტრალურ ქუჩაზე გაუხვია, ახლა მზე პირდაპირ თვალებში უყურებდა. თვალები მილულა, მზე თბილად, ძალიან თბილად და სასიამოვნოდ ედგასახეზე. ჯერ ნარიჩქისთრად, შემდეგ კი წითლად, ზღაპრულად კარგ წითლად ჩაედგარა თვალებში... და სულ სხვა მზე გაახსენა... დიდი, უდიდესი, უზარმაზარი, ნათელი, თაქარა... ბათუმის მზე ივლისში ზღაპარივით შორეული — თვალწუფდენელი ზღვის უცხო სილურჯე და სინაზე...

თბილ სილაზე იყო გაწოლილი, პირით ზღვისა და მზისკენ, ზღვის პრიალა, წყნარ, სილურჯეს და მზისაგან გაელენთილ სივრცეს გასცქეროდა. მზე ოქროსფრად იწვოდა მალა. ყველაფერა, სულიერი თუ უსული — მოქცეულიყო უნაპირო, ლურჯი, უძრავი ცის ქვეშ, საღდაც, მალა თვითმფრინავმა გრძელი თეთრი ზოლი დატოვა, რომელიც თანდათან მიმქრთალდა და მერე სულ გაქრა. თვალები მილულა — უსაზღვროდ სიამოვნებდა მაგნოლიების სურნელით შეზავებული ზღვიდან მონახერი ჰაერი. უდიდესი სიამოვნების ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, რადგანაც წარმოუდგენლად ლამაზ წითელ სიზმარს ხედავდა...

სახეზე ჩრდილი დაეცა და თვალი გაახილა. ისიც მზისფერი იყო, მზითა და ღიმილით გაბრწყინებული... მზით გატკიცინებოდა თბელი, ვარდისფერი ყურები. წვრილი, მზემოკიდებული მკლავები ჰქონდა, ოდნავ შეზნექილ ლოყებთან ჩამოშლილი თმა მზის სხივებს ირეკლავდა. სულ ახლოს დაწვა, თითქმის მის გვერდით. მთელი სხეულით გრძნობდა ქალის სიახლოვეს. ქალი რაღაცას უყვებოდა, მერე ლექსი უთხრა, ორი

გიორგი გორგოძე  
მოთხრობები



სტრიქონი დაამახსოვრდა განსაკუთრებით:

და მზის ოქროსფერ დიდ სალოცველში,  
კოცონს დაანთებს ქერუმი ცისა.

ლექსივით მშვენიერი იყო გულაღმა მწოლარე, ლურჯი ცისაკენ მკერდაზნე-ქილი, მისი ხორბლისფერი თმა სავსე იყო მსუსხავი სიმხურვალით. მერე ერთბაშად წამოდგა და მზისაგან თვალემ-მოჭრილი და აღმურდამდგარი ზღვისა-კენ წავიდა. უკვე ნელ-ნელა იბურცებოდნენ ტალღები, ამოიბურცებოდნენ და გაქრებოდნენ, ამოიბურცებოდნენ და გაქრებოდნენ... და მხოლოდ თეთრი, თეთრი ქაფი სათუთად ევლებოდა პლაჟის ქვებს. დგაფუნობდა თბილ, უკიდევანო ზღვაში, მოალერსე წყალს მკერდში იხუტებდა, მერე მოუტრიალდა და გაუღიმა დიდრონი ბრწყინავი თვალებით... თითქოს მეორედ გათენდაო...

მანქანამ მკვეთრად დაამუხრუჭა, მოგონებებში წასულმა თავი ვერ შეიმაგრა და წინა პარპრიზს შუბლით მიეჯახა. კინაღამ ვიღაც გაიტანეს, მძლოლი ხმამაღლა იგინებოდა.

— ვაჰ, აი, გინახამს ეგეთი სხვაგან? ნახე, კაცო, ვისაც სადა აქვს ხოში, იქ გადადის! ესა, ეს ნახე შენ სადღა გეჩქარება, ბაბუშკა, შენც სვიდანიაზე აგვიანებ ერთბაშად! ნა ტოტ სვეტ სპეშიში! გინახამს ეგეთი სხვაგან?.

მირტუ ქულ შუბლს ისრესდა და მძლოლისათვის არ უპასუხია.

— სხვაგან ვერცა ნახამ! — ნიშნის მოვებით განაგრძო მძლოლი, — მე აი, სოჩამი დავდივარ რა, ყოფელ წელს, ცოლ-შვილი მიმყავს, რაზუმეეტსა, მანქანით — საუეს ორივე ხელი დაარტყა ალერსიანად, — კაცო, აი, ეს მიკვირს: მიღეთის ხალხი ჩამოდის იქა და, რო ნახო, გაგოედები! ყველა აკურატნად; კულტურნად გადადის ქუჩაზე! აი, მართო ჩვენა, რა, ქართველები ვართ ეგეთები...

კიდევ რაღაცას ყვებოდა, რომ აღარ გამოელაპარაკენ, ბოლოს მოსწყინდა.

ნელ-ნელა ისევ შემოიჭრა ქალაქის ხმაური, მანქანების, ტროლეიბუსების

და ავტობუსების გრილი, ხაზბეჭედიანი, რომელიც ამდენ ხანს შორიდან დაგუბულად ესმოდა. ერთბაშად გაქრა ბათუმი, ზღვის, პლაჟის, ბულვარის, ზაფხულის შხაპუნა წვიმის, მაგნოლიების, აჩმამაკარინის, ახლად დაფქვილი ყავის და კიდევ რაღაც ძალიან კარგის სურნელთან ერთად.

შემოდგომის მზე მთელი გამზირის გასწვრივ ჯგროდ მდგომი უსახო, მაღლივი კორპუსების მიღმა დაიმალა, ახლა ცხვირი მოისრისა. „კიდევ კარგი, ცხვირი არ მივატყვი, ჩემს ცხვირს კიდევ ეს უნდა?“.

„ზაპოროჟეცი“ ხუთსართულიან რუხ საუწყებო შენობასთან გაჩერდა, მძის სამსახურის წინ გამუდმებით რაღაცას თხრიდნენ, ფრთხილად გადააბიჯა.

„საქმეთრადხილბოსტანკონსერვი“ მე-ხუთე სართულზე იყო. არ ჩქარობდა, თათბირზე მინც დაავიანა უკვე. ლიფტის გვერდით, სადალაქოში, არტაშას მიესალმა — თავის დალაქს.

— სტრიქო თუ მართო წვერი?  
— წვერი მართო, შესვენებაზე ჩამოვალ.

— ისე სტრიქო ძიან დაგავიანდა, აი!

ლიფტს დიდხანს ელოდა, მერე მასავით დაგვიანებული ქალები ვაატარა — „თბილწვერკომპოტის“ თანამშრომლები და მისთვის ადგილი აღარ დარჩა, სამაგიეროდ მეორე რეისზე სიხალვათე იყო. ლიფტში ისევ ვახსენდა „უჰჰ, კვარტალის მიმოქცევის ხარჯები მაქვს გასაკეთებელი“.

პელო ბაზო, მელიფტე, გამომცდელად დააკვირდა:

— კიდევ პახმელიაზე“ ხარ?  
— რათა კიდევ? — ეწყინა ეს „კიდევ“.

პელომ ხელი ჩაიქნია და ესლა ბაბუცას გამოელაპარაკა, უცნაურად მოჩითული თავსაფარი მოუწონა, რომელზეც ავიაციის გარიყრაისდროინდელი აეროპლანები დაფრენდნენ უხვად.

ბაბუცა ფულარია მეოთხე სართულზე მუშაობდა, სახელმწიფო საჯიშე და სანამყენე მეთესლეობის ზონალური სა-

ცდელ-ექსპერიმენტული პრობლემური  
ლაბორატორიის ლაბორანტად. იაფფა-  
სიან სუნამოს მძაფრ სუნს აფრქვევდა,  
სულხანი რომ ეძახდა: „Очень даже  
может быть“. სურნელოვანი აერო-  
პლანები მეოთხეზე ჩამოვიდნენ. პელო  
ბაბომ კულტად შეხედა:

— ისე, ერთი სართული ფეხით რომ  
აირბინო, ძაან მოგიხდება!

ერთხანს ფეხი არ მოიცვალა, დაანა-  
მესა, მერე შეწყვიტა უაზრო წინააღმ-  
დეგობა და ფეხით აუყვა მეხუთე სარ-  
თულს. სამუშაო ოთახი არითმომეტრე-  
ბის გამალებული ჩხაკუნით შეეგება,  
ყველა საქმეში იყო ჩაფლული. სამსა-  
სურთან დაჯავშირებით თუკი რამ უსი-  
ამოვნო შეგრძნება ჰქონდა, მისთვის  
ყველა ამ უსიამოვნების ნივთიერი გა-  
ნსახიერება ეს დაწყვეტილი „ფელიქსი“  
იყო. არადა, მესამე სართულზე რომ „სა-

ქპურფუნთუშტრესტია“, აგერ უკვე მე-  
ორე წელია „ბისტრიცაზე“ მუშაობენ,  
მარტო ამ „ხილბოსტანკონსერვს“ არ  
დაადგა საშველი!

მძიმედ დაჯდა საკუთარ სამუშაო ად-  
გილზე, მაგიდის კალენდარი ორშაბათ-  
ზე გადაფურცლა და პირველი, რაც  
თვალში მოხვდა იყო „ორშაბათი, გამო-  
დის 21<sup>40</sup>, მეორე კორპუსი, მეხუთე აუ-  
დიტორია“.

ფანჯარაში მზემ შემოიხედა, ნათელ-  
მა, ალერსიანმა მზემ. ფანჯრის მოპირ-  
დაპირე მაგიდასთან იჯდა და ახლა მი-  
სი მზერა აწვალბდა მზეს.

„იმედია, არ გააცდენს, სემინარი  
აქვს, როგორ გააცდენს? არა, არ გაა-  
ცდენს... ნეტავი არ გააცდინოს!..“

მაგიდის ქვედა უჯრა ღონივრად გა-  
მოსწია, არითმომეტრი ამოიღო და ხე-  
ლში მხიარულად შეათამაშა.

## შესვენებაზე

წამდაუწუმ საათზე იხედებოდნენ.  
შესვენება ახლოვდებოდა.

სულხანმა გაზეთის კითხვას თავი მი-  
ანება და საფუძვლიანად დაამთქნარა.  
სტენდს ამოფარებული ზუმბულიძე  
და გრიგოლია ჰადრავს თამაშობდნენ.  
ლიზიკო წიგნის კითხვით იყო გართუ-  
ლი.

— მომაწვივინე შენი „კოლხეთი“,  
ლიზა! — დაადგა თავზე სულხანი. —  
და საათიც გვითხარი რომელია.

ლიზიკომ წიგნი გვერდზე გადადო.  
— რამდენჯერ უნდა გთხოვო, ლიზას  
ნუ მეძახი, — „როსონის“ სანთებე-  
ლას გაჰკრა და მოუკადა. — ათი წუთი  
დარჩა და გეშველებას!

— უჰ, ასე უკიდებდა ავა გარდნერი  
გრეგორი ჰეკს.

- ცოტა გიკლია გრეგორი ჰეკს!
- ერთი-ორი ღერიც მომიცი.
- სულ წაიღე, კიდევ მაქვს...
- ჰო, ძალიან კარგი... ახლა წავედო,  
შესვენების შემდეგ დამაგონდება

ალბათ. კუხალიეშვილმა თუ მიკით-  
ხოს, იცი, რა უთხარი?... ჰო, კომისა-  
რიატში იყო დაბარებულიქო.

დერეფანში მისალკინი წეეჩება:

— ახალგაზრდავ, შესვენებამდე  
ჯერ კიდევ შვიდი წუთია!

სულხანს პასუხის გაცემა შეეზარა,  
კიბე ჩაირბინა და ქუჩაში გავიდა.

— დიდუბე! — მიძახა ტაქსის  
მძღოლს.

- რა ადგილას?
- ლუდის ბართან.
- დაჯექი.

მანქანაში უკან ორი ქალი იჯდა,  
გამალებით საუბრობდნენ.

მანქანა წითელ შუქზე გაჩერდა.  
მძღოლმა სულხანს გვერდით მდგომ  
მანქანაზე ანიშნა.

— იი, ახლა დააკვირდი, ეს ტაქსიც  
მეორე ატეკადანაა და ჩემიც. მე არ

---

გიორგი გორგოჯი  
მომხრობებაი



ვიცნობ, მაგრამ რადგან ერთი ატე-  
კადან ვართ, ნახე, როგორ მომესალ-  
მოს! ევგენი წესი ვვაჭქვს.

მართლაც იმ მძლოლმა მისაღმების  
ნიშნად საკმაოდ სასაცილოდ ასწია ხე-  
ლი. სულხანს გაეღიმა. მისი მანქანის  
მძლოლმაც მიამსგავსა საპასუხო სა-  
ლამი.

გზა გაიხსნა.

სულხანმა მძლოლი ინტერესით შეა-  
თვლიერა. საერთოდ, მძლოლები რაღა-  
ცით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, რაც  
უცებ გეცემა თვალში. ამ მძლოლს კი  
ის „რაღაც“ არ ჰქონდა, ნამდვილად  
არ ჰქონდა. ასე, ორმოციოდე წლი-  
სა იქნებოდა, თმა საკმაოდ შეთხლე-  
ბოდა. სულხანმა იმასაც მიაქცია ყუ-  
რადლება, რომ მას ძალიან გემოვნე-  
ბით და სუფთად ეცევა.

სიგარეტი ამოიღო და მძლოლსაც  
მიაწოდა. მან თავი გააქნია ღიმილით,  
უჭრა გამოსწია და სულხანს ამერი-  
კული „ლაკი სტრაიკი“ შესთავაზა.

— აი, ეს არის ნამდვილი შოფრული  
სიგარეტი. — უთხრა და კიდევ ერთ-  
ხელ გაუღიმა. უცნაური ღიმილი ჰქო-  
ნდა, მარტო ტუჩებით იღიმებოდა ოდ-  
ნავ, თვალებით კი ცივად, ყურადლე-  
ბით გაკვირდებოდა.

სულხანმა სიგარეტი გამოართვა, ას-  
ანთი გაჰკრა და მძლოლსაც მოუკიდა.

ტაქსი უკანიდან ვიღაც სიგნალებს  
აძლევდა, მერე ახალმა, თეთრმა „ვო-  
ლგამ“ გაუსწრო და წინ ჩაუდგა. „ვო-  
ლგადან“ კარგად ჩაცმული, საფეთქ-  
ლებთან ოდნავ ჰალარაშერეული შუა-  
ნისს კაცი გადმოვიდა. სულხანის  
მძლოლმა მანქანა გამართო და თვითონ  
იცად გადვიდა, ერთმანეთს მიესალმ-  
ნენ, ტაქსის მძლოლი ოდნავ უფრო მა-  
ღალი იყო. სულხანმა ყურადლება მია-  
ქცია იმას, რომ მანქანის მფლობელი  
ხაზგასმული მოკრძალებით და პატი-  
ვისცემით ელაპარაკებოდა ტაქსის  
მძლოლს. ის კი იმ თავისი რაღაცნაირი  
ღიმილით უსმენდა. მერე „ვოლგის“  
პატრონს მზარზე ხელი მოუთათუნა და  
მანქანისაკენ წამოვიდა. ჰალარაშერეუ-

ლმა ერთხანს თვალი გამოაჭრია და  
მდეგ ჩაჯდა და ნელა დაძრის მანქანა  
აღვილიდან.

ტაქსის მძლოლი არ ჩქარობდა. სი-  
გარეტი ამოიღო და ხელში აწვალე-  
და.

— აბა, რასა ჰგავს თქვენი საქციე-  
ლი, ხალხი ტაქსში იმისათვის ჯდება,  
რომ აგვიანდებთ, ალბათ. — გაკაპას-  
დნენ უკან მსხდომი ქალები. მძლოლს  
ქალებისთვის ყურადღებაც არ მიუქ-  
ცევია, ასანთს ეძებდა ჯიბეებში, იპო-  
ვა და მერე, როგორც იქნა, დაძრა მან-  
ქანა, ქალებმა თემა შეცვალეს და ახლა  
მძლოლების უკულტურობაზე ლაპა-  
რაკობდნენ. მანქანა მალე „დეზერტი-  
რების“ ბაზართან შეჩერდა. ერთმა ქა-  
ლმა თუმნიანი გაუწოდა.

— ხურდა არა მაქვს, დაახურდა-  
ვეთ...

ქალები ბუზღუნით გადავიდნენ.  
როგორც კი კარი მიხურეს, მანქანა  
აღვილს მოწყდა. მძლოლმა სულხანს  
აღმაკერად გადახედა, ეტყობოდა,  
რაღაც აწუხებდა, რაღაცის თქმა უნ-  
დოდა. როგორც იქნა, მოუკიდა სიგა-  
რეტს და სულხანსაც მიაწოდა.

— ჩემი კლასელი იყო, რომ შემგზ-  
და. დიზინერია. ახლა იაპონიაში ყო-  
ფილა სიმპოზიუმზე... ჩვენი სკოლის  
დამთავრების ოცი წელი სრულდება და  
ბანკეტს აწყობენ.

მძლოლმა ისევ გადახედა სულხანს  
და ყურადლებით დააკვირდა. მერე გა-  
ნაგრძო:

— ერთ კლასში ვიყავით... ხატვის  
გაკვეთილზე მე და ერთი ჩემი მეგობა-  
რი მთელ კლასს გარეთ გავყრიდით ხო-  
ლმე, დაჯვადებოდი მარტონი ხატვის  
კაბინეტში და ეხატავდი... ზოგჯერ  
მთელი დღე ექ ვისხედით, მაგათაც  
ჩვენ ვუხატავდით... მერე ის ჩემი მე-  
გობარი მოკვდა. მეც წლები დამეკარ-  
ვა...

ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა. სუ-  
ლხანმა მარცხენა ხელის მაჯასთან  
ამოსვირინგებულნი ინიციალები დაინა-  
ხა. „ალბათ იქნა“, — გაიფიქრა.

— ჰოდა, თუცა ბანკეტი აქვთ თურმე არადა, ჩემი კლასიდან ორი დოქტორია, ორიც კანდიდატი, ერთი პოეტობს, ერთიც „გლავნი“ კონსტრუქტორია, „გლავნი“ შოფერი მაინც ვიყო, — იანვლა.

სულხანს რალაცის თქმა უნდოდა. არ იცოდა, რა ეთქვა. მანქანა ლუდის ბართან გაჩერდა.

— ლუდს ხომ არ დალევთ?

— არა, გმადლობთ.

ფული სავარძელზე დადო და გადმოვიდა. ცარიელ ტაქსს ხალხი ეტაკა.

— გარაჟში მივიდივარ!

მანქანა ადგილს მოწყდა. სულხანმა თვალი გააყოლა და ნელ-ნელა აჰყვა კიბეს.

ლუდის დარბაზი აზუსტუნებულ სკას ჰგავდა. სულხანმა ძლივს მიაღწია ბარის ბოლომდე, სადაც კუთხეში ლუდის კასრთან ვაჟა მიმჯდარიყო.

— რა დამეავებული სახე გაქვს? — გაუკვირდა ვაჟას და კათხა მიუჩოჩა.

— პირველი წამალივით წავა.

სულხანმა სულმოუთქმელად დალია, ერთი ამოისუნთქა და მეორე კათხას მიადგა.

— ნახევარი წყალია, მაგრამ მაინც კარგია ამ სიცხეში.

მათ პირდაპირ მდგარი მაგიდიდან ხმაშალილი საუბარი და ყყყანი ისმოდა. სუფრას საკმაოდ შემოვრალი ხალხი უჯდა. სულხანმა თვალით რალაცას დაუწყო ძებნა და მიაგნო: მაგიდის ქვეშ, ერთ-ერთი მოჭიფეთის ფეხთან, სამი ცარიელი არყის ბოთლი იდგა.

— გუშინ ღვინო დავლიე და ნეტა არ დამელია, — დაიწყო ისევ ვაჟამ. — ამ სიცხეში მარტო ლუდი უნდა სვა ან ცივი შამპანური...

— ვილაც ამბობდა „ლოკომოტორზე“ ჩეხური ლუდიაო...

— არ დაიჯერო...

მეზობელ სუფრაზე ნაადრევად გამელოტებული, წითელპერანგიანი ახალგაზრდა წამოდგა და ხელი საკმაოდ რელიეფურ ღიბზე მიიტყაპუნა.

— არა. ძმაო, საქართველოში წელში

გამოყვანილ პერანგებს მომავალი არ აქვს! — თავის ნათქვამზე ყველაზე მეტად თვითონ იხორხოცა, მერე გვერდზე მჯდომ წითურთმინს ხელი გადახვია და ჭიქა ასწია:

— ჩემს ძმას და მეგობარს, ჩემს ბადრის გაუმარჯოს! კაი ბიჭია! კაი ქართველი! ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ძმაო! ჩემმა ბადრიმ ერთი პატარა საქმე წამოიწყო და პატარა პურის ფულს შოთლობს ამ არეულ დროში. კაი ვაჟაკაცია, არაფერი ეშლება. დამრტყმელი, პურის მკამელი! შენი პატარა ლაშათი, იმას ვენაცვალე! რა ბიჭი ჰყავს, იცი? წელს წავა პირველ კლასში. ჰიდაობაზე ატარე, ძმაო, ვაჟაკი ხალხი გვეპირდება, აბა როგორ?!

სულხანმა ახალი კათხა აიღო, ლუდი ძველში გადაასხა და ააქაფა. სვენებს-სვენებთ სვამდა.

— იუზგარ, ერთი მოგვაწვეინე! — დაუძახეს მეზობელ მაგიდიდან. წითელპერანგიანი იყო.

სულხანმა მიაწოდა.

— ორ ლერს ავიღებ, თუ არ გეწყინება.

— აიღე, აიღე!

წითელპერანგიანმა ჯერ მიახაზე და ჰკრა ხელი, „მოუტრა“ და მერე თილო ვაჟას გაეცინა. წითელპერანგიანმა წითურთმინს მიაწოდა ერთი ლერი, ასანთი გაჰკრა და წასჩურჩულა:

— შამში კუბარავს ხომ უყურებ? ჩვენ დაბადებული არ ვიყავით, ეგ რომ მუშათა მომარაგების სამმართველოს უფროსი იყო. თხუთმეტი წელი იმუშავა! ქერის ორმოში იყო, ძმაო, ჩვენი წონა ახლა მავს ოქრო ექნება მართო!

— ხინკალი ავიღო თუ ქაბაბი?

სულხანი გამოერკვა. ვაჟა ეკითხებოდა.

— სულ ერთია.

— კაი, აბა, რომელიც იქნება, იმას ავიღებ. — ვაჟა ძლივს გამოძვრა კუ-

**გიორგი გორგოძე**  
მოთხრობები



თხიდან და მოფუსფუსე რიგს შეუერთდა.

სულხანმა გუჯას ადგილზე გადაინაცვლა და კათხა ახლოს მიიწია. ახლა პირდაპირ უყურებდა მეზობელ სუფრას. საღღევრძელოს ისევ წითელპერანგინი ამბობდა.

— ამ კიქით ჩვენს საქმეს გაუმარჯოს, ჩვენს მარჯვენას, ჩვენ რომ გვარჩენს, ჩვენს ოჯახებს რომ არჩენს...

სულხანი აღარ უსმენდა. ტაქსის მძღოლის სახის გახსენებას ცდილობდა, მის პირდაპირ, სუფრასთან შამშე კუპრავა იჯდა, იგი ნელ-ნელა შეექცეოდა ხინჯალს მერე კიქა აიღო, ყველა სმენად იქცა.

— გაუმარჯოს თქვენს საქმიანობას! — მძიმედ, დაპარცვლით თქვა, — მე, ბიძიებო, ფილოსოფიური დავამთავრე უნივერსიტეტში. — ჩაიციხა. — ხუთი წლის განმავლობაში ინსტიტუტში ნასწავლ ფილოსოფიას, მუშაობას რომ დაიწყებთ, ერთ წელიწადში ნასწავლი ცხოვრების ფილოსოფია გერჩივნოთ. ზოგიერთი ჩვენისთანა ხალხთან ჯდომას თავილობს, ყაჩაღებს და ქურდებს გვეძახის, მარა ერთი დაიხსონეთ, ბიძიებო. როცა ძალა გახდები და წარმატებას მიიღწევ, არავინ დაიწყებს იმის ჩხრეკას, თუ როგორ გახდი და რას მიიღწიე. თუ დაიწყებს ჩხრეკას და ცდილობდა ჩაჩუმებ, როცა ძალა ხარ. მთავარი ის კი არაა, რას აკეთებ... — უეცრად ერთიანად წამოწითლდა, ეტყობოდა, რაღაც მნიშვნელოვანს ამბობდა, — არამედ ის, თუ როგორ აკეთებ და, კიდევ რაც მთავარია, ის, თუ რას დაარქმევ იმას, რასაც აკეთებ!

ბატონი შამშე ოდნავ დამშვიდდა, საქმეების ძირითადი ნაწილი უკვე ითქვა და ახლა მსმენელებს გადახედა. წითელპერანგინი თავს აკანტურებდა თანხმობის ნიშნად, წითურთმიანი აღტაცებული თვალებით მიშტერებოდა.

— არა, ისე მორალიც საჭიროა ცხოვრებაში, მარა მორალი სჭირდება საცოდავებს, დაჩაჩაჩებულებს, ვინც ვერაფერს მიიღწია ცხოვრებაში, ცხო-

ვრების კუდაბზიკა მაჩანჩალებს... დედათ მორალი... დოუჯერეთ, ბიძიებო, შამშე კუპრავას, მე ორჯერ დავამთავრე ფილოსოფიის ფაკულტეტი... როგორც მიყვებით საქმეს, საქმეც ისე გიბასუხებთ. ნელ-ნელა გაიგებთ ყველაფერს, იმ ხალხს უნდა გაუგოთ, ვისთანაც საქმე გექნებათ, თორემ ისე კაპიკია თქვენი ფასი, არაფერი გამოგივათ. ჰო, საქმე და მოთმინება და ყველაფერი იქნება! — მოულოდნელად დაამთავრა კუპრავამ და სასმისი სვენებ-სვენებით დაცალა.

წითელპერანგინმა აღტაცებით გადახედა წითურთმიანს და ყურში რაღაც წასჩურჩულა. მერე ბატონი შამშეს გვერდით მჯდომმა აიღო კიქა. აქამდე იგი ჩუმად იყო, ეტყობოდა, უფროსებში იჯდა და იმიტომ, მაგრამ ბოლოს სასმელში ისიც ალაპარაკა:

— ერთ კარგ რამეს გეტყვით, შამშე ბატონო! კურდღელმა თქვა, თავი უნდა დაეიხრჩორო... რაღაო, ჰკითხეს. ვაჰ, ყველასი მე მეშინიაო. წავიდა, რაღა, მდინარესთან. ის-ის არის უნდა გადახტეს და, ამ დროს „კამიშებიდან“ ბაყაყები სკუპ წყალში! გაეხარდა კურდღელს, ესე იგი, ჩემიც შინებიათო და აღარ გადახტა. ვაჰ, ეგრეა ჩვენი საქმეც, რას იზამ! მოდი გაუმარჯოს ჩვენს საქმეს, გამარჯვება და ხეირო!

— საღოლ, ნობილე, საღოლ, — მოუტყაპუნა ზურგზე ხელი ღიპინამა, რომელიც თამადაობდა, მერე ბადრის მიუტრიალდა: — ნობილე იტალიელი არ გეგონოს, სომეხია, დიდი შებერტყილი ვინმეა.

სულხანი ცდილობდა ნობილეს იგავური ნათქვამი გაეგო, მაგრამ ვერ ჩაწვდა. თამადამ ტემპი არ დააგდო და ახალი საღღევრძელო წამოიწყა:

— ახლა ერთი განსხვავებული საღღევრძელო მინდა ვთქვა, აი, რას გაუმარჯოს, იცი, ბადრი, ყველაფერ პირველს, რაც მაგრად გახსოვს: პირველ დალევის, პირველ ჩხუბს, პირველ ქალს და პირველი ფულის შოვნას, ოთხივე ტყბილი რამეა მოსავონებლად.

შამში კუპრაგამ ჩაილიმა და გრძელი მუნდსტუკით გააბოლა. სადღეგრძელომ დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ბატონი შამშეს გარდა, ყველა ერთად ალაპარაკდა.

— ერთი „ბლანდინკა“ მყავდა ტიხორეცკოვი... — დაიწყო ნობილემ.

— დუ-იაქე ვავაკეთეთ, ციკქა და შამპანური... — ამბობდა თამადა.

— გოგოსთან ერთად ვარ და როგორ არ დავარტყა, ვფიქრობ... — წითურთმიანი ძველ ბატალიებს იხსენებდა.

კუპრაგა ჩუმად იჯდა, ჩაფიქრებულადაა, ალბათ თავისი პირველი ფულის შოვნა გაახსენდა...

— მომხმარე, თორემ გამოვიარდა!

ვაქას ერთ ხელში კათხა ეჭირა, მეორეში ხინკალით სავსე თევში. სულხანმა ხელი შეაშველა. ვაქამ ახლა წიწყას დაუწყო ძებნა, ბოლოს მიაგნო: გვერდით მაგიდაზე ედგათ ბიჭებს, მათ სუფრაზე უწესრიგოდ ეყარა ვაცივებულ-გამოვებული ხინკალი, საჭმლის ნარჩენები და ლუდის კათხები. მაგიდასთან-სამნი იდგნენ: ერთს ფერმკრთალი სახე, უწესრიგოდ ჩამოშლილი ქერა თმა და უაზრო თვალები ჰქონდა, იგი ვიღაც ვოვას აგინებდა. მეორე, მსუქანი, რომელსაც გრძელი ხუჭუჭა თმა სულელურ გამომეტყველებას აძლევდა, სიცილით კვდებოდა. მესამე, ერთიანად გამხდარი, ცხარობდა და ამტკიცებდა, რომ ის ქერა, სახელად პაატა, ნაღდად არ იყო მართალი. პაატას არც კი შეუხედავს-ვაქასთვის, ლაპარაკი განაგრძობს.

— წაგებულს მოტანა უნდა-მეთქი, ვეუბნები...

— მერე, რა ვითხრა? — დაინტერესდა ხუჭუჭთმინი.

— არ მინდა და არ გაძლევო.

— მერე ვერ წამოართყი ერთი?

— იცი, რას მეუბნება? „ნოქსირონის“ ასაღებად მივდივარ და იმიტომ არ გაძლევო...

ვაქამ ბოთლში ჩაყრილ წიწყას ხელი დაავლო და წამოიღო. ხინკალს მოყარა, ბევრი მოუვიდა, ხელს ისე იქნევდა, თითქმის ვილიაცას ურტყამსო. ბო-

თლი უკან აღარ წაუღია. სულხანს ახედა.

— იცი, რა მინდა ხოლმე ხანდახან? დავიჭირო ეგეთები და იმდენი ვურტყა, რომ... — ლუდი მოსვა. — ეგეთებს ვერ ვიტან!

სულხანმა სვენებ-სვენებით დალია და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა:

— ბოლო დროს დაწერე რამე?

— ჰო, ცოტა.

— როდის წამაკითხებ?

— აქ ხომ არ მოგიტანდი. კვირას სახლში ხარ?

— ჰო.

— მაშინ კვირას გამოგიტან.

საუბარი ცოტა ხანს ვერ აეწყო.

— შენ რას შვრები, როგორა ხარ?

სულხანმა არაფერი უპასუხა, ხარბად დაარტყა ნაფაზი.

— ბაბუტა დ დოდო როგორ არიან?

— არა უშავთ. ბაბუტა ავადმყოფობს, დოდო ბავშვს ელოდება.

— მართლა? როდის?

— ნოემბერში.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ვაქა ლუდის კათხას ათვალეიერებდა გულმოდგინედ.

— დავიღალე ვაქა, ძალიან დავიღალე. — დაიწყო უცებ სულხანმა, — აღარაფერი აღარ მინდა. ისე დაგრძალე. ეს დღეები სულ მარტო გიყავი, ბაბუტაც ავად იყო, მაგრამ ეგ კი არაა შიზიზი, ისედაც, დავიღალე... ვარეგნულად თითქმის ყველაფერი ისევ ისეა, მაგრამ აი, შიგნით რაღაც ჩამიწყდა. არაფრის ხალისი აღარ არი. დავიღალე...

ვაქას თავი არ აუწევია, ისევ კათხას აწვალებდა ხელში.

— აი, ნელ-ნელა რაღაც ინგრევა, რაღაც ინგრევა და მე ვერაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ შევანერო. ის სამყარო ინგრევა, რომელშიც ვცხოვრობდი და მტკივა, თითქმის ხორცს მაგლეჯენო... შეიძლება მე გამოგონილ სამყაროში

**გიორგი გორგოძე**  
მოთხრობები



ვცხოვრობდი, ახლა თითქოს თვალები მეხილება... და უფრო და უფრო მეტ ცუდს ვამჩნევ, ვხედავ, რომ ამ ხალხს ერთმანეთი ფეხებზე ჰკიდია. თუ თვითონ რაიმე სარგებელს არ გამოეღიან, ერთმანეთს ფეხს უდებენ და ჰამენ... შენთან ერთად როცა ვარ, ცოტა მომეშვება ხოლმე. ბაბუტასთან მიჭირს ძალიან, ხომ იცი, როგორია, სულ მამჩნევს ყველაფერს, მე კი არ მინდა ვაგრძობინო და ძალით თავს ვიშხიარულებ, ვმაიმუნობ, მაგრამ ძნელია გამოაპარო. სახლში გვიან შევედივარ, არ სძინავს ხოლმე, მე მელოდება, გასაღები ჩემი მაქვს, მაგრამ კარს ყოველთვის ის მიღებს, ფეხის ხმაზე მცნობს...

სულხანმა ლუდის ბოლო, სავეც კათხა აიღო, ცარიელში გადმოასხა, ააქაფა.

— ბევრჯერ გინატრე, შენი ნაწერის წაკითხვა მომიხდება ხოლმე...

ვაჟა ერთხანს ისევ კათხას აწვალა და ხელში, მერე ალაპარაკდა ისე, თითქოს დიდი ხნის წინ დაწყებულ საუბარს აგრძელებსო:

— მიჭირს, სულხან, ძალიან მიჭირს ხოლმე, ხანდახან სიტყვების პოვნა, აი, მინდა ვთქვა, თუ ვინა ვართ ჩვენ — მე, შენ, გოგო, თემო, რა გვინდა, რა გვაინტერესებს, რა გვაწუხებს... მინდა ვთქვა თუ რისთვისა ვართ, რატომ მოვედით ჩვენ და ყველაზე მეტად კი იცი, რა მინდა? ვინმე ჩვენიათ, იცი, როგორი ჩვენიათ? ჩვენსაგან რომ წუხს და უხარია, აი, როცა ჩემს გულის-თქმას წაიკითხავს, გაგვიგოს, რომ ათასიდან ერთმა კაცმა მიინცა გავვიგოს ჩვენ და ამავე დროს საკუთარ თავსაც...

ყელი გაუშრა და ლუდი მსვია. სულხანი ვაჟას არ უყურებდა, ისე უსაუბროდა, ვაჟამ კათხა დაცალა და განაგრძო:

— არ გამოგივლია ისეთი გრძობა, როცა ხანდახან ნაღდ წიგნს კითხულობ და ხედავ, რომ რაც შენ გაწუხებს, რაზეც დიდი ხანია ფიქრობ, იმას გიყვება და მერე როგორ გიყვება... — ვაჟამ ახალ სიგარეტს მოუკიდა — და ეს შენც იცი, დიდი ხანია გინდოდა გეთქვა...

ასეთ დროს გინდა ნახო ის უცნობი კაცი, ვინც ასე მოურიდებლად და თანაც ასე ფაქიზად შენს სულში ჩაიხედა, გინდა ნახო და გადაეხვიო.

სულხანმა ისე მოსწია სიგარეტი ბოლომდე, ვერც კი იგრძნო თითები რომ დაეწვა.

— ხანდახან, როდესაც დიდ უსამართლობას, სიმდაბლეს და სიბინძურეს ნახავ და მოშხამული ხარ, გადაშლი წიგნს და ვილაც ბუმბერაზი, დიდი და უსაზღვროდ კეთილი გულის ადამიანი ისევ დაგიბრუნებს რწმენას, შენი თავის რწმენას, სიკეთის რწმენას და შენც უსაზღვროდ მადლობელი ხარ...

ვაჟა გაიშუმა, რაღაცას იხსენებდა. სულხანი დამწვარ თითებში ახალ სიგარეტს სრესდა. მეზობელ შავიდაზე კი ვილაც პაატა ვილაც ვოვას დედას ავიწყებდა, მაგრამ ვაჟას არაფერი ესმოდა.

— ერთ ამბავს გეტყვი... პაუსტოვსკი ყვება ანდერსენზე: ერთხელ ანდერსენი დილიჯანსით იტალიაში მგზავრობდა. გაზაფხულის დამე იყო. მთავორიან ვიწრო გზაზე ტყისა და ღამის დიდებულ სიჩუმეს მარტო ცხენების ფრუტუნი და ფლოქვების ხმა არღვევდა. ხომ იცი, რა გემრიელად წერს ასეთ რამეებს პაუსტოვსკი... დილიჯანში ანდერსენთან ერთად სოფლელი გოგონები მგზავრობდნენ, ისე ბნელდა, რომ ერთმანეთის სახეებს ვერ არჩევდნენ. რაღაცაზე საუბრობდნენ, მერე ანდერსენმა დაიწყო მოყოლა, ჯერ ხუმრობით, მერე გატაცებით... ყვებოდა ამ სოფლელ გოგონებზე, როგორც ზღაპრულ პრინცესებსა და ფერიებზე, ეუბნებოდა მათ, ერთ მშვენიერ დღეს მოვაო თქვენი უფლისწული... ყოველ გოგონას თავისებურად მშვენიერა და ბედნიერი მომავალი უწინასწარმეტყველა. გოგონები სულგანაბლნი უსმენდნენ. მერე ერთ-ერთმა სთხოვა მას აეწერა საკუთარი თავი. ანდერსენი უღამაზო იყო, მაგრამ ახლა ყვებოდა ფერაქრთალ, ტანად ახალგაზრდაზე, რომლის გული მოუთმენლად ძვერს სიყვარულის მოლოდინში... დილიჯანსი გაიერ-

და ერთ ბნელ, პატარა დაბაში, სადაც გოგონები ჩადიდნენ. ჩასვლისას ყველამ გადაკოცნა უცნაური მთხრობელი და ანდერსენმა იგრძნო მათი მაღლობის ცრემლები... დილიანსი დაიძრა, ცხენები ისევ მიჰქროდნენ ღამეში. ანდერსენისათვის ეს ალბათ ყველაზე ბედნიერი წუთები იყო...

ვაჟა გაჩუმა. სულხანიც ხმას არ იღებდა.

— არა, ისე, რომ მოგაწვეს, ვერ გამტყუნებ! — უმტყიცებდა გვერდით მაგიდაზე უსიამოვნო წვრილი ხმით თვალბზაკვენილი ქერათმიანს.

— მომაწვეს, რა!  
— ხომ იცი, რა მიმწოლია!

— მაგაზე ნაკლები მიმწოლის, ჩემდათავად!... არა, სად წამივა, მაგის კუბოს დავდგამ...

სულხანმა ცარიელი კათხა, რომელსაც ხელში აწვალებდა, ისე გამეტებით დაარტყა კასრს, რომ გატეხა, კათხის ნამსხვრევებმა ხელი დაუსისხლიანა. ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა: სულხანმა იმათ მაგიდას ფეხი ჰკრა და გადაატრიალა. კათხები და თეფშები, მაგიდის ქვეშ მოყოლილ ხუჭუჭთმიანსა და თვალბზაკვენილს დაეცათ. ქერათმიანმა სულხანს ხელი მოუქნია. მან აიციდინა და გასისხლიანებული ხელი კბილებში ჩაართვა გამეტებით. ხუჭუჭთმიანი ძლივს გამოძვრა მაგიდის ქვემოდან, მაგრამ ამ დროს ვაჟამ წიხლი ჰკრა და ისევ მიაგდო. ხალხი ადგილიდან არ იძვროდა.

ვლაცამ იყვირა: მილიციანო. ვაჟამ სულხანი ძლივს გამოათრია. ხალხმა უცებ გაატარა ბიჭები. ორივენი ქუჩაში გაკვიდნენ და მანქანას წინ გადაუტრბინეს. ტაქსმა მკვეთრად დაამუხრუ-

ჭა, ვაჟამ კარი გამოაღო და ჩახტა, სულხანიც მიჰყვა.

— ვა, ეგრე სად გეჩქარებათ? სულხანმა გაჭრილი ხელი შოისრისა, თითებზე ნაკბილარიც აჩნდა.

— საით? — კიდევ ერთხელ იკითხა მძლოლმა.

— პირდაპირ!  
მძლოლმა ბიჭები ინტერესით შეათვალიერა სარკეში და მანქანა დაძრა.

— აი, გუშინ თქვენსავით ორი ჭეველი ჩამიჯდა მრგვალ ბალთან. საით წავიყვანოთ შვილებო-მეთქი, ვუუხნები. მიდი, მიდი, სიმონ, შენი გზა ნახეო!.. ვუუხნები, მე სიმონი არა მქვია! იმან კიდევ: ჩაართვი მზე გოიმსო!.. მამინ კი ვავაჩრეო ლამაზად, ვადმოვდი, აბა, ვადმოდით-მეთქი, ეე, ცენტრიაო, იძახიან. რო დავითრიე, სულ თავები ვარტყმინე ერთმანეთზე. მერე გარაქში შეველი, მანქანა ჩემ „სმენას“ დავეტოვე და სახლში აველი. ჩემი ბიჭი დავიჭირე, იმოტოლაა რა, ისიც, ჰოდა ვურტყი და ვურტყი, მაგრად ვცემე. რად მირტყამ, მამო, მეუბნება; იმიტომ გირტყამ, შე მამაძაღლო-მეთქი. ცემა წამალია, აბა, მაგისთანა გაიზარდოს?! მაგისთვისა ვწვალბ დღე და ღამე?! არა, აღრე, როზგები რომ იცოდნენ გიმნაზიაში — კარგი რამე იყო: სულ კულტურული ხალხი დაიზარდა!

— ნაღდად! — დაეთანხმა სულხანი. მძლოლს გაეხარდა.

— არა? — ახლა ვაჟამ მიუტრიალდა.

— ეგრეა! — ვაჟას სიცილი აუტყდა. სულხანიც აჰყვა. მძლოლმა კიდევ გაიმეორა:

— ეგრეა, ეგრე... — და თვითონვე გულიანად გაიცინა.



## ნოდარ ჯალალონია

### ქალაქის ბაღადა

„ქალაქი, სუფთა ზამთრის ველივით“...  
ბალატიონი.

გოგონა 230 ქალაქის წეროს გამოჭრის  
შემდეგ გარდაიცვალა.

#### I

ცაზე ვკიდევარ ძაფზე ასმული  
წეროდ ქვეული თეთრი ქალაქი,  
როგორც კვილი მწარე წარსულის  
და უბალახო მიწის ღაღადი.

საცოდავი ვარ ალბათ ყველაზე  
და არაფერი არ მიხარია.  
ძაფზე კი არა სახრჩობელაზე  
ვკიდევარ უკვე დიდი ხანია.

შიჭირს ამგვარი ხვედრის ატანა  
და ყველა ბავშვის ნახვა მაშინებს.  
რადგან იმედი, ო, იმ პატარას  
იმედი ვეღარ გადავარჩინე.

რა საჭიროა ცრემლი პილატეს,  
თავის მართლება ან დანაწება.  
ხიროსიმაზე ცოდვილ პილოტებს  
მე ვაქეზებდი:  
მერქვა „ბრძანება“.

ეს, მე,  
პირველმა  
სიტყვა „ათომი“  
ვამცნე ქვეყანას დიდი ხმაურით.  
და მე გგონია თანავეტორი  
ვარ  
იმ საშინელ დანაშაულის.

ბევრმა ხომ ჩემი ხელით იწვინა  
ერთგულება და მწარე ღალატით  
ამქვეყნად ბევრჯერ მე გამოცია  
გვირგვინიცა და გიჟის ხალათიც.

ყველაფრის მომსწრე დრო მოწამეა,  
რომ მკერდზე მტვერიც ბევრჯერ მეყარა.  
მაგრამ მეც ბევრჯერ შემიჭამია  
კაცი კი არა  
ზოგჯერ ქვეყანაც.

მე კი ყოველთვის მქონდა სურვილი  
სიკეთისა და  
გული მტკიოდა.  
და იმ უმწურო ბავშვის სულივით  
პასუხს მეცა ვთხოვ კაცობრიობას.

შურიტ, სიბნელით თუ გულგრილობით  
ეს დედამიწა ბევრჯერ დაობლდა.  
და ხიროსიმას როგორც ჭრილობას  
ვარევენებ ყველა  
დროს და თაობას.

#### II

სიყვარულის და სიცოცხლისათვის  
გაჩენილი ვარ მე იმ თავითვე.  
და გეხვეწებით,  
ღვთის გულისათვის  
სხვების ცოდვა-მადლს მე ნუ დამითვლით.

ფიჭრის, ოცნების გადასარჩენად.  
დავიბადე და ქვეყნად მოვედი.  
მარტო იმისთვის ღირდა გაჩენა  
გადამერჩინა სიტყვა პოეტის.

მხოლოდ სიკეთის ფასი ვიცოდი,  
ვიყავ მფარველი კეთილ სსოვნათა.  
მარტო იმისთვის ღირდა სიცოცხლე  
ვყოფილიყავი „მთვარის სონატა“.

ასე ჰანგებად და სტრიქონებად  
გულზე სიკეთის შუქი მეფინა.  
მხოლოდ იმისთვის ღირდა ცხოვრება,  
ცაში იმედის წეროდ მეფრინა.

ჩემი საწუთროს აღმართ-დაღმართზე  
კიდევ ვწუხდი და კიდევ ვღელავდი:  
არ არის სწორი, თითქოს ქალაღი  
ვიტანდე ყველას,  
ანდა,  
ყველაფერს.

როცა მამუზღრის ხელში გავივლი  
თეთრი ქალაღი უფრო ვფიქრობდი, —  
და ყველა ასო მჩხვლექტს ეკალივით  
გამოყვანილი მისი თითები.

როცა გესლსა და ბოღმას მატანენ  
უფრო დიდ სასჯელს ვინ მომიგონებს.  
როგორც მძიმე ტვირთს ისე ვატარებ  
ბოროტი კაცის ნაწერ სტრიქონებს.

ჩემთან ჭიღილში, ჩემთან დავაში,  
ბევრს უტირია, ბევრს უკვებისა.  
მგოსნებო!  
ზოგჯერ ჩემთან თამაში  
ცეცხლთან თამაშზე უარესია.

და თქვენც ძლიერნო ამა ქვეყნისა,  
თქვენც ხშირად ხდებით ჩემი არჩივი,  
ხალხში გამოსვლა თუკი მეღირსა,  
თუ მოვიცილე მტვერი არქივის.

მაგრამ თუ ვინმე მაქცევს ნოტებად  
ისევ ტყეში ვარ, ისევ ფიჭვი ვარ.  
ბულბულის ხმა და ვარდის მოტივი  
ამღერებული ტოტით მიჭირავს.

განაზებული სული მიჯნურის  
როცა მე მანდობს თავის გულისთქმას.  
სევდას გაყრილი და გამიჯნული  
სტრიქონს, სტრიქონებს ჩუმაღ ვურითმავ.

არცერთი სიტყვა არ მემძიმება,  
უფრო ვნათღები თეთრი ქალაღი.  
როცა მაცვივა მკერღზე მძივებაღ  
შეყვარებული სულის ღაღაღი:

სიტყვა „ძვირფასო“ და „სიღამაზე“,  
„სიყვარული“ და სიტყვა „სიცრცხლე“  
და უფრო დიდი ჯიღლო ამაზე  
მე არ მჭირღება  
თქვენ რომ იცოღეთ.

### III

თითქოს ხიშტების წვერით დამსერეს  
ღაბნეული და სასომხიღილი.  
სახეზე „ომი“ რომ დამაწერეს,  
რომ დამახატეს ტანზე სიკეღილი.

საველე ფოსტა და მისამართი...  
მაშინ გავთავღი, მაშინ დავღამღი,  
სახლებს სიცილი როცა წავართვი,  
როცა მიწოღეს „შავი ქალაღი“.

ო, ის ცრემღები ახლაც არ შრება,  
რა დამავიწყებს აბა იმ სურათს.  
როცა ოჯახში მშოიერ ბავშვებთან  
მამის დაღუბვის ცნობაღ მიგესულვარ.

ომმა გარენის დღე მაწყვეღინა  
ბავშვის ცრემღები არ მამყოფინა.  
თმში მოკლული შვიღის წეროღად  
ყოფნა  
ტანჯავაზე  
მეტი ყოფიღა.

თუ იყო, ის დრო იყო სასტიკი,  
თუკი მიჭირღა მაშინ მიჭირღა.  
როს შებორკიღი შავი სვასტიკით  
სიაღ მაქციეს სიკეღიღმისჯიღთა.

მაგრამ ვიყავი „პურის ბართიღ“  
გაღაგარჩინე ბევრის სული მე —  
ციხის დიღეგებს როცა ვპარავღი  
სიკეღიღმისჯიღთა ბოლო სურვიღებს.

ვიყავ ძახიღი და მოწოღება  
და ცივე სანგრებში მეც მიბრძოღია.  
კაცის წუხიღით, დარღით, ცოღებოღით  
მეც მიტირია, მეც მიძრწოღია.

ცაში ვუშვებღი მეც იმ ბავშვიღით  
იმეღს,  
— ცხოვრების ნოეს კიღობანს.



და გათელილი მაშინ დაემშვიდდი,  
რომ დამაწერეს სიტყვა „მშვიდობა“.

IV

განა ვიყავი მართო ქალადი  
სიყვარულისთვის რომ იბადება.  
თავისუფლების სულს ვინახავდი,  
და მეც ვიდექი ბარიკადებთან.

მაშინ სიცოცხლე ვარდის ფერია;  
მაშინ სიკვდილი არ მიწერია,  
(თუმცა სიკვდილიც არაფერია)  
„თავისუფლება“ თუ მაწერია“.

თუ მაწერია „რევოლუცია“  
ვიცი ჭირივით ვძულვარ ჯალათებს.  
მაგრამ ჩემს მოსვლას გულით უცდიან,  
ვინც ებრძვის ტირანს და მოძალადეს.

თუ დრო დაფარავს, წლები გაფანტავს,  
სიმატლეს ისევე მე გამოვიტან.  
უღირს ძველთან და ბოროტ საფლავთან  
ალვიმართები გილიოტინად.

მევე ვიქნები თავშესაფარი  
ყველა მართალი კაცის ფიქრების.  
მივიწყებული ძველი საფლავის  
უკვდავება და ძველი ვიქნები.

მგონის გულისტქმას, ბავშვის იმედებს  
მოვლა ჭირდება იცით თავადაც.  
ასე ადვილად ნუ გამიმეტებთ,  
ასე გულგრილად ფეხს ნუ დამადგამთ.

უცოდველი და სუფთა დამტოვეთ  
ბავშვების ფიქრებს რომ ვუპატრონო.  
არ დამაწეროთ სიტყვა „ატომი“  
არც ხიროსიმა არ გამაგონოთ.

მაქციეთ ძმობის წიგნის ფურცლებად  
მიჯნურის ლოცვად და ბარათებად,  
ოღონდაც არა —

ბავშვის კურცხლებად,  
ოღონდაც არა —  
დედის დარდებად.

ოღონდაც არა —  
მოწმედ სხვის ცოდვის,  
ოღონდაც არა —  
მონად სიბევის.

მაქციეთ მხოლოდ ჰიმნად სიცოცხლის,  
მაქციეთ მხოლოდ ხოტბად სიკეთის.

გულს დამასატეთ რამდენიც გსურდეთ:  
ყვავილი, მთვარე, ია, ბალახი,  
ზეთის ხილის ხე, ჩიორას ბუდე,  
თავთუხი, თოვლი, წვიმა, კალმახი.

სილით მოთხვრილი ბავშვის თითები  
და მზე,  
ბევრი მზე  
რაც მთავარია.

ტყე დამასატეთ საესე ჩიტებით,  
მაგრამ არასდროს — ჩიტის გალია.

ბავშვის ოცნება, დედის სურვილი,  
მიწის სიუხვე, ცის სილამაზე,  
ოღონდ სიკვდილის ან სიძულვილის  
განაჩენს

გულზე  
მე ნუ დამაწერთ.

ვთხოვთ, გვედრებით, აღამიანებს,  
მაქციეთ წკროდ,  
ანდა,

მტრედებად.  
დამინაწილეთ, ამახმიანეთ:  
ლექსად, სიმღერად და იმედებად.



## გ ა ტ ა ც ე ბ ა

შუადღია...

ავვისტოს პაპანაქებს გაუთანგავს სოფელი.

პაპანაქმა თითქოს შედედებული სიცხე დაბორილებს და სხეულში ძნელად გადასაყლამ ლუქმასავით ჩადის...

• • •

სოფლის ცენტრში უზარმაზარ მუხის ჩრდილს შეფარებთან ავტობუსის მომლოდინე მგზავრები და უინტერესოდ, სიცხისაგან ილაჯაწყვეტილნი თითო-ორთა სიტყვას თუ გადაუგდებენ ერთმანეთს.

ცოტა მოშორებით, გზის გასწვრივ ჩამორიგებულან კოლმეურნეობის სკოლის, კლუბის ნენობები... პირდაპირ საავადმყოფოა.

ასიოდ მეტრს იქით ხიდის თეთრი მოაჯირი მოჩანს. აქ ანკარა ხობისწყალი მოედინება... ხიდას ქვეშ კარგი საბანაოა, მთიდან სამი-ოთხი კილომეტრი სულ რაგრაგით მსრბოლი ჩხერი-მელა წყალი აქ ჩამოივაცებს და, თითქოს შეისვენაო, უკვე მღორედ, დაქანცულივით მიედინება.

ორივე ნაპირიც კარგა ფართოდ შეუსილავს მდინარეს. პოდა, მეტა რაღა უნდათ სოფლის ბიჭებს. პატარებს და მოზრდილებსაც აქ მოუყრიათ თავი. იხვებივით ჭყუმპალაობენ წყალში და ნაპირზე აღარ გამოდიან.

...მუხასთან კი ისევ სიჩუმეა. ავტო-

ბუსი აგვიანებს. ერთი ჩოფურა, ლოყებაფორაჯებული კაცი უკვე ნერვიულობს, ბოლთას სცემს და თავისთვის რაღაცას იქადნება. მერე შედგება, ყურს მიაპყრობს იქით, საიდანაც ავტობუსი უნდა გამოჩნდეს, მაგრამ სანუგეშო არაფერი ესმის და უკვე ხმაილა აცხადებს: — არა, ბატონო, ასე სანამ უნდა გაგრძელდეს? — მერე თითს მუქარით აქნევს: — მე, ვაგას ვუჩვენებ სეირს! — ანბობს, გამწყვრალ თვალს თანასოფლელებს მიმოავლებს და რატომღაც დიდინს იწყებს.

სხვები ეკვის თვალთ შესცქერიან. ალბათ ფიქრობენ, ავტობუსი რომ მოვა, კინიტსაც არ დაძრავს და მანქანაში ასვლასაც ყველას დაგვასწრებსო...

მგზავრებს შავებში ჩაცმული ორი ქალი შემოიფერთდა. კარგა მოზრდილი ტომარაც მოათრიეს. ერთ-ერთმა, რომელიც უფრო ძალაგაზრდა ჩანდა, სრულიად მოუჩრიდებლად და უბოდიშოდ იქვე დაიწყო წინდების სწორება. ორსამ მამაკაცს თვალი მისკენ გაექცა.

...უცებ, ხიდის მხრიდან მანქანის საყვირის გამბული ხმა მოისმა. მგზავრები შეჩოჩქოლდნენ, შეიქნა მიწვევა-მოწვევა. ქალებმა ტომარას სტაცეს ხელი, ორმა კაცმა თითქოს მიშველიებაც დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრეს და უბრალოდ ადგილი მოინაცვლეს.

მანქანის საყვირი კი არ ჩუმდებოდა, დასაკლავი გოჭივით ჭყვიროდა.



— რას აყვირებს თუ იცი?! — გაბრაზდა ისევე ჩოფურა, კისრიდან ცხვირსახოცი მოივლივა და გაწურა.

— ფუჰ, ფუჰ!.. - - დაიჭყანა, საიდანღაც შეუმჩნეველად შემომატებული სოფლის ინტელიგენტი, რომელსაც ამ გავანია სიტყვებში ყელაქედ შეკრულ პერანგს შავი ჰალსტუხი უმშვენიებდა.

მგზავრების ვასაკვირად, მანქანა ავტობუსი არ აღმოჩნდა. „კოლხონიკი“ სოფლის ცენტრში შემოვარდა და საავადმყოფოს წინ ღრჭილით დაამუხრუჭა.

მანქანის ხმაურზე დაფეთებული ძაღლები აყეფდნენ, აკრიახდნენ ქათმები, აქრთქოთდნენ ინდაურები...

მანქანის ორივე კარი ერთდროულად გაიღო. პირველად მძღოლი — შალაი, ქერა, გაფითრებული ბიჭი ვადმოხტა და ასფალტზე საშინელი ღრიალით დაემხო.

ხალხი ჭერ კადევ ვერ მიმხვდარიყო ჭერაფერს...

უცებ ქალის კვიღმა იქაურობა შეძრა...

მანქანას წინიდან შემოუარა და მუხის ძირას გაშეშებულად ადამიანებასაკენ წამოვიდა ტრუხების ამარა, სულ მთლად გასისხლიანებული ბიჭი. საცობდად მოფარდატებდა და უაზროდ აცეკვებდა თვალებს. მარჯვენა ხელის ადგილას ზორცის ნაფლეთები ეკიდა.

მერე შედგა... თვალები ხალხს მიაშტერა... და ნელ-ნელა ჩაიკეცა...

— ბექარ, ბექარ! — ეს რა დაგმართნა, ბიჭო! — პირველი გამოერკვა ჩოფურა, საზარელი ხმით აყვირდა, ბიჭისაკენ გაქანდა... ხელში ბავშვივით აიტაცა და საავადმყოფოსკენ წაიღო...

...სულ კვიღ-კვიღილით გამოირბინა სოფლის ორღობე ბექარის ბებია და როცა საავადმყოფოსთან მიიჭრა, მის კვიღს ბარე ხუთმა-ექვსმა ქალმა აუბა ხმა.

მზე უკვე ქვემოთ, ქალის პირს ამწვანებული ცაცხვების კენწეროებს ჩა-

მოეკონწიალა... სოფელში ოცნდებოდა მთის ნიავმა ჩამოინავარდა და ჰაერი აყვანივით დაარწია. საავადმყოფოსთან სოფლელები შეგროვილიყვნენ და ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. ყველას შეწუნებული სახე ჰქონდა.

ავტობუსი უკვე რაიონული ცენტრიდან მობრუნდა.

ბევრი მგზავრი არ ჩამოუყვანია, ათიოდე კაცი თუ იქნებოდა. ყველამ უცებ საავადმყოფოსკენ ქნა პირი.

— რა აუო, რა მოხდა?

— რაიონში ვავაგე, ბექარს ხელი მოწყვეტიაო, — შეერია საავადმყოფოს ღობესთან შეგუფულ ახალგაზრდებს მალა-მალაო, ხმელი ბიჭი.

— გუშინ ჩამოვიდა ბექარი ბებია-მისთან თბილისიდან და... ხომ იცი, მაგისი ამბავი, ანკეს დაავლო ხელი. ხობისწყალზე წასულა ნაშუადღევს, ერთი თევზი რა არას, წამლად ისიც კი ვერ დაუჭერა.

— აუ, პავას სულ თევზები ახსოვს... მერე?

— ჰოდა, საღამოს ცინოში მოვიდა. მე და შურმანი ერთად ვისტედიო. დაგვიწყო აქეთურ-ქითური. ბოლოს მაინც თევზაობაზე ჩამოგვიღო სიტყვა. ექვსი კაფსული მაქვს, მდინარას სათავისკენ წავიდეთო. მე არ მეცალა ღღეს, მექის ვაზის შეწანელაში ვეხმარებოდი. შურმანი დაითანხმა. დილას თავმჯდომარე წაიყვანა ზუგდიდში, დათხოვია მერე და ბექართან ერთად წასულა სათავისკენ.

— ამონალი ვინ მისცათ?

— გახუს მიუცია, ცინდელიანს.

— გახუ არ იცი და... შურმანს ვუჩვენებ სვირს, მერამდენედ აკეთებს ამას. ხომ გახსოვს, დინამიტით თევზაობის გულისთვის კრებაზე სულ ბღღვირი რომ ავადინეთ! — ცოტა სიამაყე შეეპარა ახალმოსულს ხმაში, — ახლა დამაცადოს! — დაიქანდა ბოლოს.

— შენი კომკავშირის კრება კი არადა... მწარედ ჩაიციხა ამბის მომყოლმა, — მილიცია ჩამოვიდა რაიონიდან, ახლა იქა ჰყავთ, აბა, ჩემო ვაზო!

ბიჭები ერთხანს ჩუმად იდგნენ.

— როგორ გავარდნია? — იკითხა ისევე ვახომ.

— მოკლე პატრუქი გაუქეთებია, გვადის ხილთან რომ მორევი, იქ უნდაღათ სროლა. კიდევ კარგი, ხელის მოქნევა მოუსწრა, თორემ თავსაც წააცლიდა.

— ეჰ! — ამოიოხრა თოხის ტარზე დაყრდნობილმა, აქამდე ჩუმად მდგარმა ბიჭმა. — საწყალი, არ გადაყვა ამ თევზებს? კოსტა ქირურგმა სულ ძირში მოხერხა მკვლავი...

— მურმანის მამა იყო აქ, შენ გეძებდა, მილიციას კომკავშირის კომიტეტის დახასიათება უთხოვია.

ახალმოსულმა ხელი ჩაიქნია და სავადმყოფოს შესასვლელისაკენ გაემართა.

— კაი მოგეცა, კაი დახასიათებას მისცემს მაგი... — ბოროტად განოსტრა კბილებში თოხის ტარზე ჩამოყრდნობილმა.

ბიჭებმა მოწყენილი მზერა გააყოლეს კომკავშირის კომიტეტის მდივანს.

\*\*\*

— ბექარ...

— გისმენ, ქეთინო...

— ესე იგი, მაინც მიდიხარ ამ საღამოს?

— ჰო, ქეთინო, უნდა წავიდე, ძალიან მომენატრა სოფელი.

— მერე, მე?

— შენ? შენც ხომ ვერ წავიყვან?

— არა, მაგიტომ კი არ მითქვამს... რატომღაც შგონია, რომ ვეღარ გნახავ.

— კარგი, რა ქეთი... არ გამაცნო, რაებს შეუბნებო! სასიკვდილო ჭერ არაფერი მჭირს...

— ნუ დამცინი, რა, ბექარ. მართლაც ცუდი წინათგრძნობა მაქვს, — აქეთ ჩემი ძმის მისაღები გამოცდები, იქით შენი გამგზავრება... ღმერთო, რა ცუდი სიზმარი ვნახე წუხელ!

— ჰა-ჰა ა-ჰა...

— უსინდისო!..

— დიდი მადლობა!

— გაგაცილო?

— აბა, რა.

— რომელ საათზე გადის ზუგდიდის მატარებელი?

— ათზე...

ვერ მოახერხა ბექარის გაცილება ქეთინომ, მთელი საღამო წვიმდა თბილისში გადაუღებლად.

\*\*\*

ბექარი მარტო წევს პალატაში. ფანჯრებს ღამის სიბნელე მოსწოლია. ხანდახან ღრუბლებში გამოკრთება მთვარე და მკაფიოდ გამოიკვეთება მუხის ტოტები. ნიავე უბერავს და აშარიშურებს ფოთლებს.

ბექარი თვლებს ხუჭავს, იშმუშნება.

— რა იყო, შვილო?

ბექარს ბეზიამისის ხმა თრთქოს შორიდან ესმის.

— დავიდუბე, ბებო?..

— არა, გენაცვალე, პირბქით... გადაჩი. — მოხუცი ქეთინს ვეღარ იკავებს და შვილიშვილის ფეხებთან საბანში რგავს თავს.

\*\*\*

საბილიარდოში ხალხმრავლობაა. ბექარს ყველაზე ძლიერმა მოთამაშემ — გივმ შესთავაზა პარტია. ბექარს თავის სიცოცხლეში არ უთამაშნია ალბათ ასე კარგად, მაგრამ არც გივი უღებს ტოლს. ორივეს თამაშს მთელი საბილიარდო შესცქერის. აი, ორი ბურთულაა დარჩა მაგიდაზე. ერთს ვინც ჩააგდებს, მოგებულია.

გივი ურტყამს და ბურთულა ლუზაში ეჩხირება. მხოლოდ წაქარებაა საჭირო და თამაში მოგებულია... მაგრამ ეს რა არის? ბექარი მარჯვენას ვერ იშორჩილებს, წვალობს, კიას ხელშიც ვერ იღებს. მარცხენითაც ცდილობს, მაგრამ, არა... არაფერი გამოდის, მარცხენაც გაშეშებია. უკვე კბილებით ცდილობს, კია აიღოს, ვერ იღებს. მაგიდა-

ზაზა ღარასელი  
მკითხველი

ზე გადაემხო, განწირული, გაფართოებული თვალები საცაა ბუდიდან ამოუვარდება... ბურთულა გაჩხერილი რჩება ლუზაში...

გივი უცნაური ხმით ხარხარებს.

უქანასკნელ ძალას იკრებს ბიჭი, იქნება... მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის.

• • •

ბექარი საწოლში ბორბავს. რაღაცას ყვირის, ვიღაცას ემუქრება. ორი ექთანნი ფეხებსა და მხრებში ჩაფრენია და აკავებენ, ექიმმა რაღაც სითხე შეუშხაპუნა. ნელ-ნელა იძირება ბიჭის გონება სიცარიელეში...

წყალში ყურყუმელაობს.

სისხლისფრად დაწინწყალული კალმახები ლაღად სრიალებენ მის გვერდით, თითქოს ბექარს ეჯიბრებიან სიმკვირცხლეში. ამ დროს წყლის სიღრმეში დინამიტი ეშვება შიშინით და ნაპერწყლების ყრით. კალმახებმა არ იციან, რა საშინელებაა ეს... პირიქით, ცნობის მოყვარე თევზები გარს ეხვევიან დინამიტს, ბექარმა კი იცის, რაც შეიძლება დინამიტის აფეთქებას მოჰყვეს. პირს აღებს, უნდა კალმახები დააფრთხოს, დაიყვიროს, მაგრამ პირი წყლით ევსება და ხმის შავივრად რაღაც ბუყბუყი ამოსდის. მაშინ ხელებით ერეკება აქეთ-იქით თევზებს, ისინი მაინც ცელქობენ... უცებ დინამიტი აფეთქდება...

ბურუსი იფანტება. კალმახები აღარ ჩანან. ცარციტ გაუთეთრებიათ ირგვლივ თითქოს ყველაფერი. ამ სითეთრეს ფხრეწს და მისკენ მიიწევენ რაღაც უზარმაზარი, ნახშირივით შავი... თევზის ფორმა აქვს, არა, უფრო ურჩხულის, აი ისეთის, ზღაპრებიდან რომ ახსოვს. ურჩხული პირს აღებს და...

— ააა!... — არაადამიანური ხმით ღრიალებს ბექარი და თვალებს აჭყეტს.

გათენებულა...

მისთვის ფეხები შეუბორკავთ და საწოლზე დაუკრავთ.

• • •

— თევზაობა და ბალიარდი, აი, ჩემი უსაყვარლესი გასართობი, უამისოდ ძალზე მოსაწყენი იქნებოდა ჩემი ცხოვრება.

— კი, მაგრამ, სულ თევზებზე რომ ლაპარაკობ, ჭამით ხომ მაინც არ ჭამ? ვერაფერი გამიგია...

— ქეთი, იცი რა? უბრალოდ, თევზაობა მონადირული ქინია, ბილიარდი — სპორტული... ორივეს დიდი ნებისყოფა სჭირდება. თევზს რომ დავიჭერ, ხელში რომ ამისხმარტალდება... ან შორიდან ბურთულას მარჯვედ რომ ჩავაგდებ ლუზაში, თითქოს სიცოცხლის წლები მემატება.

— შენს საკონკურსო ქანდაკებას როდის ამთავრებ?

— აი, სახელოსნოს შოფიყვან წესრიგზე და... მთავარია, შთაგონება მოვიდეს. ჩემი ხელების იმედი მაქვს.

— მეც მაქვს შენი იმედი... — თმობს ქეთინო პოზიციებს. მას არც ბექარის დაქერალი კალმახი უნახავს და არც ლუზაში ჩაგდებული ბურთულა. ახალგაზრდა შემოქმედთა გამოფენაზე კი ბექარის ქანდაკებებით მოჭადოებულნი დარჩა...

• • •

— შინმოუსვლელთა ძეგლს ამთავრებდა ელენეს შვილიშვილი, თურმე ჩვენი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უთხოვია, — ჩურჩულებენ ერთმანეთში საავადმყოფოს ექთნები.

— უსასყიდლოდ, გვიკეთებდა, თუ?.. — კითხულობს პირველი.

— უსასყიდლოდ. ბაბუამისიც ომში არ დაიღუპა, შე ქალო?! — უდასტურებს მეორე.

— მაშინ კი...

— საწყალი ბიჭი. რა უნდა აკეთოს ახლა მაგან ცალი ხელით?

— რატომ, ხელოვნურ პროთეზს ხომ გაუკეთებენ? — გულუბრყვილოდ კითხულობს მესამე ექთანი.

— სულელია ეს უპატრონო. ხის ხელით რა უნდა აკეთო?! — დამამცირებლად უხსნის პირველი ექთანი, — წადი, საქმეს მიხედე.

ორნი რჩებიან.

— ნეტა დედ-მამამ თუ გაიგო თბილისში?

— შეატყობინებდნენ!

— საცოდავები...

— აბა... ეს ერთი ბიჭი ჰყავთ.

— რას შერება ახლა, გამოვიდა მდგომარეობიდან?

— კოსტამ ახლახან შეუხვია ჭრილობა. მორფი გავუყეთე. სძინავს ალბათ...

— ახსენით მაინც?

— კი!

• • •

გახუ ცინდელიანს ჩაუქინდრავს თავი ბექარის საწოლთან და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლულულუღებს.

— ჩემი ბრალია. მე საცოდავს მინდოდა წამოგყოლოდი. იმისთანა სათევზაო ადგილები ვიცი ხობის წყალში, რომ... რად გვინდოდა დინამიტი?!. რა გქნა, რა პასუხი გავცე თქვენებს?..

— გახუ... — უცნაურად უცმიძიმებს ოჯალები ბექარს. — თუ ძმა ხარ, ერ-

თი კალმახი დამიჭირე და მომიყვანე, ვხლავე, ცოცხლად მომიყვანე!

— დედა! რად გინდა, ბიჭო, ერთიანად გამწყდარა ყველა.

— გახუ, შენი ჭირიმე, მომიყვანე!..

— ბექარ, ხომ არ გავიქედი... გინდა ჩამქოლოს სოფელმა?..

— გახუ, გეხვეწები!..

ბექარი მთლად მიიღულა საწოლში. ცრემლები ახრჩობს.

• • •

მეორე დღეს რაიონულ გაზეთ „კომუნურნის ცისკარში“ დიბეჭდა პატარა წერილი. აი მისი შინაარსი:

„გუშინწინ ორი „მეგობარი“, მურმან კ. და თბილისელი ბექარ ნ. დინამიტებით „შეიარაღებულნი“ ხობის წყალზე უმწეო თევზებს დასახოცად ეკვეთნენ. ბრაკონიერებს, როგორც იტყვიან, კოკა წყალზე გაუტყდათ. ბექარ ნ-ს დინამიტი ხელში აუფევეტდა და მარჯვენა წაგლიჯა. იგი მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს სოფლის საავადმყოფოში. ხოლო მურმან ნ. დაელოდება მეგობრის გამოჯანმრთელებას იქ, „სადაც ჭერ არს“ და ერთად წარსდგებიან სახალხო სასამართლოს წინაშე. სწორედ ამაზეა ნათქვამი: „რაც მოვივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

## სული სიზმარი

— ნანკა! იცი, ვინ იქნება დღეს ჩემთან?

— ვინა?

— აბა, თუ გამოიცნობ.

— ააა!..

— ჰოო...

— როგორც იქნა, ძლივს არ გავიცნობთ შენს ნიუშას?!

— ჯერჯერობით არც ჩემია და...

— არც ჩემი! — გადაიკისკისა ნანამ.

— იცი, რა ბიჭია!

— აზრზე ვარ... მაღალი, სიმპათიური, გიტარაზეც კარგად უკრავს...

— მოკლედ, ბიჭია ბიჭური. ნახავ, რა...

— ბევრი ხალხი გეყოლება?

— ისე, რა, მარტო ახლობლები...

— რომელზე ვიკრიბებით?

— შევიდისთვის. წავისადილებთ და დალამდება კიდევ... მერე ვიცეკვით... შენ რა, ისევ ზაფხული ხომ არ გგონია. სექტემბერი თავდება. იცოდე, არ დაგვიანო. ყველა გვაფრთხილე — ზუსტად შეიდ საათზე ვსწდებით.

---

ზაზა ღარასანიძე  
მომხირობება

— ცოტას დაევიგვიანებ, რაა...  
 — არავითარი... იცოდე არ შემოგიშ-  
 გებ!  
 — კარგი.  
 — ნახვამდის.  
 \* \* \* \* \*  
 — თამუნა ხარ?  
 — აბა, არა?!  
 — შე უსინდისო, სულ მე უნდა გირე-  
 კავდე?  
 — ხო იცი, არა...  
 — კარგი, კარგი. დღეს შეიდ საათზე  
 ჩემთან ვიკრიბებით.  
 — ბლომად ხალხია?  
 — ჩვენი... და ნიკუშა...  
 — აჰ! ნი-კუ-შა? ძლივს დაგვაყენე  
 საშველი!  
 — არც მე მინახავს ბიჭვინთის მერე.  
 გუშინ დამირეკა. მოსკოვში ყოფილა თა-  
 ვის პროფესორთან და...  
 — კაი ტიპია, არა!  
 — გლი-ჯავს!  
 — რამდენი წლისია?  
 — შარშან დაამთავრა სამედრცინო...  
 — ოცდაოთხის იქნება?  
 — ჰო, რა, ეგრე იქნება.  
 — ვნახოთ, ვნახოთ...  
 \* \* \* \* \*  
 — სალომე, შე „სალომე“, შენა... რო-  
 გორა ხარ?  
 — ძა-ლი-ან მოწყენილი...  
 — აბა, იცოდე, დღეს ეგ არ გამავო-  
 ნო, იცი, ვინ იქნება ჩემთან?  
 — ვინა?  
 — აი, რომ გეუბნებოდრ, ბიჭვინთაში  
 გავიცანი-მეთქი... ექიმი. მოსკოვში რომ  
 დაამთავრა.  
 — რა ჰქვია?  
 — ნიკუშა... არ გახსოვს, რომ გიყვე-  
 ბოდრ?  
 — ჰოო, მახსოვს. გადარეული რომ  
 იყავი, მაგარი ბიჭიყო...  
 — ოო!..  
 \* \* \* \* \*  
 — წავედრ, დედა!

პრიალა ვარდისფერ ხალათში გამოწ-  
 ყობილი, წითლად თმაშეღებილი, მსუ-  
 ქანი, ჯერ კდევე ახალგაზრდა რომ

ეთქმოდა, ისეთი ქალი, ოქროსფერნი ქაშაქი  
 შების ბაკუნით გამოგოგმანდა შემოსა-  
 სვლელში.

— ნიკა, დამენახვე ერთი, რა გაცვია?  
 ნიკას ჯინსის პერანგი და ჯინსისავე  
 შარვალი ეცვა. სარკეში თმას ისწორე-  
 ბდა.

— აბა, შენ იცი, ნიკუშა, — ქალმა  
 ყურადღებით აათვალიერა-ჩაათვალიერა  
 ბიჭი. — ხომ იცი, პროფესორ ცოტინა-  
 შეილის ოჯახია. ყველა შენ დაგაკვირდე-  
 ბა, თავი ისე დაიჭირე, რომ...

— კარგი, კარგი... — გააწყვეტინა ბი-  
 ჭმა. — ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე.  
 არ დამიწყო ახლა...

— ნუ უხეშობ, ნიკა!  
 ქალმა თითი მუქარით დაუქნია. — მა-  
 ნქანას გამოიყვან?  
 ნიკამ მხრები შეიშმუშნა...

\* \* \* \* \*

ნიკა მიდიოდა და მოწყენილი შესც-  
 ქეროდა გამვლელებს. ბიჭებიც და გო-  
 გონებიც, ქალებიც და მამაკაცებიც ყუ-  
 რადლებას აქცევდნენ მაღალ, სიმბათი-  
 ურ ახალგაზრდას, რომელსაც ეფექტუ-  
 რი ჩაცმულობა კიდევ უფრო შესამჩ-  
 ნევს ხდიდა. ნიკა კი, ვითომც აქ არაფე-  
 რიო, დაიჭერდა თუ არა ვინმეს დაკვირ-  
 ვებულ, ზოგჯერ დაუფარავად აღტაცე-  
 ბულ მზერას, იქვე გულგრილად თვალს  
 აარიდებდა, თავის უპირატესობაში და-  
 რწმუნებული.

ფეხით ჩაუყვა ვარაზის ხეცს. შორს  
 არც მიდიოდა, თერთმეტსართულიანი  
 სახლისკენ ჰქონდა გეზი აღებული.

ვარაზის ხეცში ხალხი, საერთოდ, არ  
 ჩანდა. მოპირდაპირე მხარეს მოჰკრა  
 თვალი ორიოდ წყვილს და ცოტა ეწყი-  
 ნა კიდევ, ყურადღება რომ მოისაკლი-  
 სა.

ნაბიჯს აუჩქარა... თბილისს მოკრია-  
 ლებული ზეცა ეფარა. ირგვლივ ჩიტე-  
 ბის ყრიაშლისაგან ყურთასმენა აღარ  
 იყო.

— მეგობარო! — შემოესმა უცებ.  
 ტანმა რაღაც ცუდი უაზრა, ვითომც  
 ვერ გაიგო, ნაბიჯი არ შეუწუნებია.

— მეგობარო! — დაუძახეს ისევ, უკვე ახლოდან.

შედგა.  
მისკენ დაბალი, ვაწრიბული ბიჭა მოდიოდა.

— გამაჩოვბა! — გაუცინა ბიჭმა.  
— ვაგვიჩოვოს!

ისევ ცუდი უგარძნო ტანმა.

იმ ბიჭს მიტკლისფერი ედო, თვალის უბეები ჩაშავებოდა, საოცრად არამეტყველი სახე ჰქონდა.

„კაცი არ ვიყო, თუ პირველად არ ვხედავდე“.

— როგორა ხარ? — დაცინვით, ხრინწიანი ხმით შეეკითხა ბიჭი...

„არავის არ მაგონებს... ჩემზე უმცროსიც ჩანს... ვინ უნდა იყო? არ ვიცნობ...“

— როგორა ხარ-მეთქი?.. — ისევ ვაუმერა ბიჭმა და ჯერ ცხვირი მოიქაფა, მერე კი თმაზე ჩამოისვა აქანკალებული ხელი.

„კაეფშია?“

— არა მიშავს, შენ როგორა ხარ? — თავისი დაჭიმული და მთრთოლვარე ხმის ვაგონებამ კიდევ უფრო აანერვინულა ნიკა.

— უყურე შენ... მიცანი? — ისევ დაცინვით გაიკვირვა ბიჭმა და გაიკრიჭა. წინ ერთი კბილი აკლდა.

ნიკამ დაძაბულად, მაგრამ მაინც მოახერხა გაღიმება.

უცებ ბიჭმა ძალიან სერიოზული სახე მიიღო.

— ვერა, ძმაკაც, ვერ მიცანი. ძაღლიან ცუდია... ერთი, აქეთ მიიწი! — სკვერში შეიწვია ყესტით.

ნიკას ბიჭი მხრებამდეც ვერ სწვდებოდა. ცოტა გული მოიცა.

— რა იყო! — ჰკითხა და, ასე თუ ისე, თვალი გაუსწორა ბიჭს.

— არაფერი. წამო, დავსხდეთ! — პატარა სკვერის სიღრმეში სკამზე მიუთითა და იქითკენ გასწია.

ნიკამ იხტიბარი აღარ გაიტეხა.

ბიჭი მოტრიალდა. ნიკას დაუცადა და მერე ხელმკლავი გამოსდო.

ნიკამ ხელის განთავისუფლება სცადა და.

იმან კი ჯიბიდან სწრაფად ამოიღო გაშლილი დანა და მუცელზე მიაჭირა.

— წამო... ნუ ჯიუტობ!

ეს უკვე აშკარა მუქარა იყო. გააცია.

— რა გინდა? — ძღვს ამოიღულულულა ნიკამ.

— წამო, კაცო, აგერ ჩამოვსხდეთ, ვილაპარაკოთ... არაფერი არ მინდა, რა უნდა მინდოდეს? — ისევ მშვედობიან კილოზე გადავიდა ბიჭი.

ჩამოსხდნენ.

ბიჭმა დანა დამალა.

— აი, ასე... რა გქვია, მეგობარო?

სასოწარკვეთილს, ლაპარაკის უნარიც დაეკარგა.

— რა გვარი ხარ? — ჩავსმა ისე, თითქოს ძილში ყრფილიყო.

— მილორავა! — ამოღერდა.

— ვაჰ! მეგრელი ხარ?

— ჰო!

— ჰო, კი არა დიახს! — გაუსწორა.

— სიგარეტი გაქვს?

— მაქვს! — ჯიბეზე მოისვა ხელი და გაუშეშდა, იქ მასაც დანა ედო.

— ჰა, ამოიღე, რაღა! — შეუტია ბიჭმა.

ნიკამ სწრაფად ამოიღო „მარლბორო“ და გაუწოდა.

— შენ ისეთი ბიჭი ჩანხარ, ზაქიგალკაც გექნება.

ნიკამ სანთებელაც ამოიღო.

ბიჭმა ორივე გამოაჩრთია. სიგარეტს მოუკიდა. მერე კოლოფიც და სანთებელაც ხალათის გულის ჯიბეში ჩაიტენა და ბოროტად მოწყურა თვალები.

— სად ვაგჩერდით! — შეეკითხა მასწავლებელივით, — ჰო, სად მიდიოდით?

— ამხანაგთან.

— რა გინდოდა?

— ისე, რა, არაფერი.

— მოიცა, ერთი არ ვამაგიკო! — ცოტა გამოცოცხლდა ბიჭი, — ამხელა კი-

---

ზაზა ღარასხელი  
მოთხრობები



ცი ხარ და არაფერი არ გინდა, ისე მიდიხარ ამხანაგთან?

— არ მინახავს დიდი ხანია.

— ეგრე თქვი, შე კაცო...

— თუ ძმა ხარ, აგერ ოცდახუთი მანეთი მაქვს... — ნიკამ ფული ამოიღო და ხელში მიიჩეჩა.

იმას, თქვენც არ მომიკვდეთ, წარბიც არ შეუხვრია. აუღელვებლად, დინჯად ჩაიღო ფული გულის ჭიბეში და მერე მოულოდნელად სტკიცა სილა ლოყაში.

ნიკას წამოხტომა უნდოდა, მაგრამ დანის აპრიალებული პირი დანახა და კისერმოწყვეტილივით უიმედოდ ჩაქინდრა თავი.

— რაშია, ძმაო, საქმე? დაგიშავე, რამე? — ნიკას უკვე მუხლებიც უკანკალვებდა.

— არა, არა გენაცვალე! — გაუღიმა.

— აბა?

— სონი ექ? — ჰკითხა უცებ მეგრულად.

— მარგალური გიჩქუნო? — გაუხარდა ნიკას.

— ააა... ალაპარაკდი?! — უხეშად, სიძულვილით შეაწყვეტინა. — ახლა რომ გამოგდაშვო, დღისით-მზისით, რას იზამ? ხომ არ შეშინდები?

ნიკამ მხოლოდ მხრების შემშუშნა შეძლო.

— გეშინია, თუ არა?

— გეშინია! — გამოტყდა მაინც.

— მშიშარა! — გველურად გაიცინა, სხვანაირად, ხომ იცი, რაცა ხარ?

— არა!

— ვითხრა თუ დაგანებო თავი? — დაინტერესდა ცინიკურად.

— შემეშვი, თუ ძმა ხარ! — ისევ ცოტათი გამოცოცხლდა იმედმოცემული, — ჩემი გაჭირვება მეყოფა.

— შენი გაჭირვება? — დასცინა ბიკმა. — რა გაჭირვება, ვიყოთ აქ ცოტა ხანს. ვისაუბროთ.

„უჰ, შენი“, — გულში ამოიკენესა ნიკამ. უკვე დაკარგა თავის დახსნის იმედი და ბედს დაემორჩილა.

ბიკმა სულ აუშვა აღვირი. თმამხეხველი გადაუსვა.

— ეს ჭინსები სად „დაიადე“?

— რაო?

— ჭინსები მომწონს!.. — ჩაფიქრებით თქვა და დადუმდა. მერე თითქოს სულ დააეიწყა თავისი მსხვერპლი, ფეხით მიწას დაუწყო ჩიჩქნა.

— ნიკა! — დაიძახა ვილაკამ ქუჩიდან.

გონებადაფანტულმა გაიხედა. სკვერში ზურა ჭანჭლავა იხედებოდა და ხელს უქნევდა.

— მოიცა, — უბრძანა ბიკმა. — ხმა არ გასცე!

ზურა სკვერში შემოვიდა და მათკენ გამოემართა.

— რა იყო, ბიკო, ხმას რომ არ იღებ? — შეეკითხა მოახლოებული ნიკას და ბიკს ეჭვიანად გადახედა. შეეტყო, არ მოეწონა.

— რა ვიცი! — როგორც იყო, წამოღდა ნიკა და გამოწვდილი ხელი ჩამოართვა.

ბიკიც ადგა.

— ვინ არის ეს? — ჰკითხა ჩუმად ზურამ.

— ჩემი ამხანაგია.

ზურა გაოცებული შეჰყურებდა.

— ვერ გაიარე შენთვის? — ბოროტად გამოსცრა კბილებში უცებ ბიკმა.

— რაო? — გაიკვირვა ზურამ ასეთი უცერემონიო მომართვა.

— რაო და, ის! შოტსვი აქედან! — მთლად ჩაეხრინწა ბიკს ხმა და ჭიბისკენ გააქანა ხელი.

ზურამ უცებ მოწყვეტით გაიქნია მარჯვენა და ნიკაში სთხლიშა.

ბიკი სკამზე გადაეშხო.

— ზურა, ფრთხილად, დანა აქვს!

— ამისი დანაც და ამისი!... — მიაცოლა ზურამ შეიდსართულიანი, ბიკის ადგომას დაელოდა და დანავაშიშვლებულს ფეხი ჩაახილა მუცელში.

ბიკი ახლა უკვე მიწაზე „წამოწვა“, ყველაფერზე ეტყობოდა, კარგა ხანს აღარ აპირებდა ადგომას.

— წამო, წავიდეთ აქედან... თუ ღარ-  
ჩები? შენს „ამხანაგს“ ექიმი სჭირდე-  
ბა.

ზურამ ყოყმანით გადახედა ნაძირა-  
ლას, რომელიც მუხლზე წამოჩოქებდას  
ლამობდა...

— შენ რა, რა გგონია... ამის დე-  
დაც! — ნიკამაც უცებ ფეხი ჩაჭკრა  
მუცელში.

— წამო, წამო, ბიჭო. არ მოკლა...

• • • • •

— სად მიდიხარ?

— ღამის ცვლაში ვმუშაობ...

— სწავლა?

— მე ხომ დაუსწრებელზე ვარ...  
წელს ვამთავრებ...

— ძაან გაგვრძელბია, აი?!

— რას იზამ, ძმაო, თან ვმუშაობ, თან  
ვსწავლობ. ორივე ერთად, ხომ იცი,  
ცოტა ძნელია.

— შრომა აკეთილშობილებს აღამი-  
ანს! ხომ გაგიგონია — ნიკას უკვე რი-  
ხი მისცემოდა ხმაში, თავსაც უფრო  
მსუბუქად გრძნობდა.

— ასეა! — გაიცინა ზურამ. — ისე,  
მე რომ არ გიკითხო, არც კი გავახსენ-  
დებო.

— აბა, ჯადოქარი ხომ არა ვარ, მო-  
სკოვიდან უცებ, როცა შენ მოგენატრე-  
ბი, აქ გაგჩნდეს.

— შე კაცო, — ეწყინა ზურას. —  
ყოველ არდადეგებზე თბილისში ჩამო-  
დისხარ. ორი წელია სულ არ გიკითხი-  
ვარ.

— დედაჩემი მეუბნებოდა შენს ამ-  
ბაგს!

— ისიც კი არ იცი, ინსტიტუტი რომ  
არ დამამთავრებია და...

— კარგი, კარგი, — შემწყნარებელი  
ღმილით დაეთანხმა ნიკა, — წავედი,  
თორემ... მიცილიან, პო, მართლა, — გა-  
ახსენდა უცებ, — როგორ მომაგენი?

— დედაშენმა მითხრა, ჯერ ვარაზის-  
ხევი ჩავლილი არ ექნებაო. და... გამო-  
ვიქეცი.

„რომ არ გამოქცეულიყო?“ — გაუ-  
ელვა ნიკას და ისევ შიშმა მოიცვა.

— პა, შე ძველო, რა მოგივიდა? —  
შეაჯანჯლარა ზურამ.

ნიკა გამოერკვა.

გაიცინა.

— „ქაროჩე“, ცოტაც და, მივასიკვ-  
დილებდი იმ ნაბიჯვარს, შენ უშველე.

— უჰ, მაგის!.. ეგრევე უნდა გეგლი-  
ჯა.

— ცოტა ვაცადე, შემეცოდა მაინც,  
სული ძლივს ედგა... — საკმაოდ დამა-  
ჯერებლად იცრუა ნიკამ.

ზურამ მეგობრულად ჩაიკრა გულ-  
ში.

— აბა, შენ იცი! დაგირეკავ ზვალ.

— ზვალ? ზვალ შეიძლება სახლში არ  
ვიყო... ხომ იცი, ნათესავები... მერე  
ჩემი მოსკოველი ქართველებიც მელი-  
დებიან, მანქანაც ვერა მაქვს წესრიგზე.  
რალაც-რალაცეები მოსაჭერია...

— ზედ დაგირეკავ!

— ზეგ? მაშინ დილას დარეკე. სა-  
ღამოს კათედრის გამგესთან ვარ... სა-  
ლაპარაკო გვაქვს. გნახავ რა, მოკლედ!

— კარგი, კარგი... ეცი შენი ნახვა...

— არა გრცხვენია, სიმონ?

ზურამ მეგობარი გადაკოცნა და ჩა-  
მომდგარი ავტობუსისკენ გაიქცა. და-  
ბალი, გამხდარი, ნაადრევად გამელოტე-  
ბული ბიჭი იყო. თეთრი უბრალო პე-  
რანგი და პოლონური ჯინსი ეცვა.

• • • • •

— ლიკა, შენმა ნიკუმამ დახურა!

— რას გეუბნებოდი!

— როგორ უნდება გიტარაზე დაკე-  
რა. კაი სიმღერებიც სცოდნია...

— მოკლედ, ბიჭია ბიჭური.

• • • • •

— სალომე! როგორა ხარ შე „სალო-  
მე“, შენა!

— ძა-ლი-ან მოწყენილი.

— ბიჭი როგორ მოგწონა?

— სიმპათიურია, მაგრამ „ჩერესჩურ“  
ხომ არ იჭიმება?

— იცი, ამ ღროს რა უბრალოა?!

ზაზა მარასმლი  
მონასრობიანი



— მე მგონი, ცოტას წაიძველებიკებს კიდევც...

— რა ვიცი, აბა!

• • • • •

ნიკა იმ ღამეს და მეორე ღამესაც ყვირილით წამოახტუნა ფეხზე კოშმარულმა სიზმარმა. დედამ სედუქსენი დააღევიანა.

მესამე ღამეს უკვე მშვიდად დაეძინა.

მერე კიდევ ერთხელ დაესიზმრა ცუდი სიზმარი, მაგრამ აღარ წამომხტარა. ისევ დაუბრუნდა მშვიდი ძილი. ეს იყო, ვარაზის ხევი შეიძულა.

მანქანით რომ ჩაივლიდა, შეშინებულ ბით, მალულად გააპარებდა ხოლმე თვალს სკვერისკენ.

ორიოდე თვეში ის შემთხვევაც გადაივიწყა.

• • • • •

ერთ საღამოს ტელევიზიის გადაცემას უყურებდა.

რამდენიმე ფოტო ანახეს.

ნიკამ ერთ-ერთში „ის“ ბიჭი იცნო.

„ოთხი წელი მიუსვიათ“.

ნიკას უკვე საბოლოოდ მოეფონა გულს.

## იუბილე

სახბატაში რვეულები გამოეტანათ. ბავშვისთვის მიწოდდა მეყიდა. დიდხანს ვიდექი რიგში. გვიან მივხვდი, რომ ჩეკიც უნდა ამელო. სალაროსთან ათი კაცი შეინც იდგა... და გადავიფრქე.

ამ დროს ყველგან ასეთი ამბავია, რა გასაკვირია, პარაკეცია, სამუშაო საათები დამთავრდა.

„ოჰ, ნეტავი დღეს ამ საქმეს მოვრჩენილიყავი... ორშაბათამდე ცდა არ გინდა?“

— რას ბუტბუტებ. ბიჭო, შენთვის, ხომ არ აურიე? — შემანჯღრია მიწისქვეშა გადასასვლელთან ვიღაცამ.

— ააა... — მივესალმე რეზო კალანდარიშვილს.

— როგორა ხარ? თქვენები როგორ არიან... ახალი რა არის?

— ისევ ისე... ძველებურად ვართ...

— ინსტიტუტში? ექსპედიციაში როდის მიდიხართ?

— რა ვიცი, ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

— ჩვენებიდან ხომ არავინ შეგხვედრია?

— არა.

— იცი, ვინ შემხვდა? ნინო ლეკავა. ოკეანოლოგი... სანაპირო ზოლის გამაგრებაზე მუშაობენ ანაკლიაში. ზღვას კი-

დევ ოცი სანტიმეტრით წამოუწვდია წინ... მაგარი თავსატეხი ამბავია, ჰა, რას იტყვი?

— ჰოო...

— მოგიკითხა.

რეზო ერთხანს შეწუხებული მაკვირდებდა.

— იყავი კალათბურთზე გუშინ?

— ტელევიზორში ვნახე.

— „ცსკას“ დამარცხება როგორ მოგწონა? რა ითამაშეს ჩვენებმა!

— მართლაც.

— შენ, რა?

— რა იყო?

— მარწუხით უნდა ამოგგლიჯო სიტყვები? — ხელი ჩაიქნია: კარგადო, გადმომიგდო წყალბასავით და წავიდა. ოპერის თეატრთან ტროლეიბუსში ავედი.

ჩემს ბედზე, ადგილი განთავისუფლდა. ფანჯარასთან მოხერხებულად მოვკალათდი.

„ჩვენი დირექტორი სადღა დაიკარგა დღეს? მასაც ხომ აწუხებს ჩვენი ცეოლიტების ექსპედიციის ამბავი? წავიდა სამინისტროში და აღარ მობრუნებულა. ორშაბათს კი დაიწყებს ჯაჯღანს, უჩემოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ...“



ტროლეიბუსი აძაგძაგდა, აზრიალდა.  
 „ესე იგი, ასე!“ — დავირტყი ხელი  
 მუხლზე. გვერდით მჯდომმა მანდილო-  
 სანმა გაავიროვებთ შემომხედდა. სახე  
 ფანჯრისკენ მივებარუნე.

„ორშაბათს ჯერ გელოგიურ სამმარ-  
 თველოში წავალ, სანამ ფულს არ გადა-  
 მირიცხავენ, ფეხს არ მოვიცვლი იქი-  
 დან. მერე, უკვე სამინისტროსაც მივა-  
 კითხავ, მთავარია, სახსრები გვექნეს, იქ  
 უარს ვეღარ გვეტყვიან...“

„...თავს იმშვიდებ, არა?“  
 სიმწრით ჩამეცინა.  
 ისევ დავიჭირე მანდილოსნის გაოცე-  
 ბული გამოხედვა.  
 „ოჰ, ერთი ამ ექსპედიციასაც დაად-  
 გეს საშველი...“

ტროლეიბუსი ხალხით გაიჭედა.  
 ძლივს დავიძვრინე თავი და უკვე დაძ-  
 რული ტრანსპორტიდან ჩამოვხტი ჩემს  
 გაჩერებამთან. თავი ვეღარ შევიმაგრე  
 და ინერციით მოხუც კაცს მივხვალე.

— ბოდიში, ბატონო! — შევწუნდი  
 გულწრფელად.  
 მოხუცმა ნატყენ მხარზე ხელი მოის-  
 ვა, ერთხანს მკაცრად მიუტრა და მერე  
 ზურგი შემეპყცა.

დამნაშველავით ვიდექი... უცებ მზა-  
 რმარცხნივ ვიდაცის დაჯინებული მზე-  
 რა ვიგრძენი.

— მიცანი? — გაშიცინა ქალმა.  
 — ლანა?! — გული პატარა ჩიტკით  
 შემეფრთხილდა...

\* \* \* \*

— სულ არ გამოცვლილხარ... — მო-  
 ვიშველიე თავში გაღლებული გაცვე-  
 თილი კომპლიმენტი.

— კარგი ერთი, ხუმრობა არ დავგი-  
 წყებია, — გაეცინა.

— ესე იგი, არც მე გამოვცვლილვარ.  
 — გამიხარდა.

— ჰოო?.. — წარბი შეიკრა რატომ-  
 ლაც...

— სხვა, როგორა ხარ? — სასწრა-  
 ფოდ შევცვალე საუბრის თემა.

— არა გვიშავს!  
 — შენი მეუღლის დაწინაურების ამ-

ბავი გაზეთიდან შევიტყვე, მომილო-  
 ცავს.

— ლანას არაფერი უპასუხნია...  
 — ბავშვები?

გამოცოცხლდა.  
 — გოგონა მყავს. უკვე რვა წლისაა,  
 მეორე კლასში სწავლობს. შენ?

— მეც გოგონა მყავს. მალე ხუთის  
 გახდება...

მერე ცოტა ხანს დაბნეული ვიდექი.  
 ფეხს მალიმალ ვინაცვლებდი.

მისი ავტობუსი ჩამოვდა.  
 — ნახვამდის!

— მოიცა... — ავწრიალდი, რადაცის  
 თქმა მინდოდა...

— ნახვამდის! — გამიმეორა და ავ-  
 ტობუსისკენ ვაემართა.

ისევ ის გამომწვევი მიხრა-მოხრა...  
 ოცნებით მივაყოლებდი თვალს მის  
 აშხვართულ ტანს, სანამ კარში არ მი-  
 იმალა. მერე გაფაციცებით ვექებდი უკ-  
 ვე ავტობუსის სალონში... მწყალობელ-  
 მა დიმილმა მტრედევით ჩაიფრინა ავ-  
 ტობუსთან ერთად.

კარი ჩემმა გოგონამ გაიღო.

— მამიკო მოვიდა, მამიკო მოვიდა!  
 — შესახა გახარებულმა.

დავინარე და ლოყაზე ვაკოცე. სას-  
 ტუმრო ოთახში შევარდა.

— ხელები დაიბანე და ისადილე, სა-  
 და ხარ აქამდე? — გამოძახა მაიამ სა-  
 მზარეულოდან. სასტუმრო ოთახიდან  
 დედამ გამოიხედა. კაბის კალთაზე თა-  
 შრიკო ებლაუტებოდა.

— გამარჯობა!  
 — გამარჯობა, გურამ! აი, შენ რომ  
 გიყვარს ის ლექსი თამრიკომ ზეპირად  
 ისწავლა, ხომ, თამრიკო?

ბავშვმა დაიმორცხვა და ბებიას  
 ზურგს ამოეფარა.

— ყოჩაღ!  
 — ისადილე, გურამ, და ლექსს მე-  
 რე გეტყვი!

...მაია მაგიდასთან ჩამოვიჯდა.  
 უხმოდ ვხვრებდი ჩიხირთმას.

ზაზა დარასელი  
 მოთხრობები



— რა არის ახალი ინსტიტუტი? ხე-  
ლფასი ხომ არ ყოფილა?

— არა, ორშაბათს იქნება.

...მაიამ მეორე კერძი მომიტანა:

— გაზეთები ამოიტანეთ?

— კი. ამ საღამოს საღამე ხომ არ გაე-  
სულეიყავით? რამდენი ხანია კინოში არ  
ვყოფილვარ.

— ვნახოთ.

— ხასიათზე არა ხარ?

— ისე, რა...

— აბა?

— რამდენი ხანი გავიდა?..

— კინოში რაც არ ვყოფილვარ?

გონებაში უმალ გამოვიანგარიშე.

— ათი წელი...

— ათი წელი? — ეჭვით შემომხედა  
მაიამ, — რაო?!..

საწერ მაგიდასთან სავარძელში ჩავ-  
ჯექი. „ლიტერატურული საქართველოს“  
კითხვა დაიწყო.

— ახლა კი სცენაზე ვთხოვთ თამრი-  
კო ჰეიშვილს! — გამოაცხადა დედაჩემ-  
მა.

გონებაგაფანტულმა მოვიხედე. ჩემ-  
მა გოგონამ ნაწნავები უკან გადაიყარა,  
წელში გაიმართა და დაიწყო.

ენკი-ბენკი, სიკლი-სა

ენკი-ბენკი-ბა...

დღენი სიყმაწვილისა

გა-ვი-და...“

„გა-ვი-და ათი წელი... ნუთუ ამდენი  
ხანი გავიდა?“

...მოდრი კვლავინდებურად

დავეუაროთ გარს.

არა თქვან, სიჭაბუკეც...

გა-ვი-და.

ცოლმა და დედაჩემმა ტაში დაუკრეს.  
ძალისძალად გავიღიმე.

— მე კიდევ ვიცი, მამიკო, ახალი ლე-  
ქსი, — ატიკტიკა თამრიკო და ჩემს  
მუხლებზე შესკუბება მოინდომა.

— ახლა მაცალეთ. გაზეთებს წავიკი-  
თხავ და მერე!... — ცოტა არ იყოს, უხე-  
შად ვთქვი.

— დავასვენოთ მამა, დადლილია, ალ-

ბათ, თამრიკო... — ირონიულად მოხედა  
მაიამ, ბავშვს ხელი მოხვია და  
დან გავიდნენ.

დედამ ფეხი აითრია...

— პოხონდრიამ მოგიარა? ცუდი ხა-  
სიათი სამსახურში უნდა დაგეტოვები-  
ნა! — თითი მუჭარით დამიქნია.

განრისხებულმა ის-ის იყო პირი და-  
ვადე და კარიც მოივცა.

სიგარეტს მოვეუკიდე. სავარძლის სა-  
ზურგეზე გადავწექი და მზერა ფანჯრი-  
საკენ გამექცა. დღე ნელ-ნელა იწურე-  
ბოდა. მკრთალ ქარვისფერ ზოლს გაე-  
რღვია მთაწმინდაზე წამოშლილი ღრუ-  
ბლები...

„...დაბადების დღე (ვილაცი)...“

სუსტი, ცისფერი შუქი დგას ოთახ-  
ში. მავნიტოფონი უკრავს და წყვილე-  
ბი ცეკვავენ...

პეპინო დე კაპრი... „ტამე... ტამე-  
რო-ო...“ იტალიური, ლამაზი ქალაქის  
აბჯანყებული მელოდია...

შე და შენ...

— შეიძლება გაგაცილოთ?

— არა, მეგობრები მაცილებენ...

...უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსის  
ეზოში სამწუბრო მეცადინეობა გვაქვს  
სტუდენტებს. ფანჯრებიდან უცხო ენე-  
ბის ფაქულტეტის გოგონები გადმოგვე-  
ქერიან. იცინიან.

— ნალეე-ვო!... ნაპრაა-ვო!..

წუთით შენი თვალებიც გამოჩნდება  
ფანჯარაში.

ამას ველოდი დიდიდან... დერეფან-  
ში ერთმანეთს დიდი მოწიწებით ვესა-  
ლმებით: მიხარია, სამხედრო სწავლე-  
ბაზე ყოველთვის პირგაპარსული რომ  
უნდა მოვიდე.

— ...გურამ, ხვალ ჩემი დაბადების  
დღეა... შენ და რეზოს გელოდებით,  
იცოდე, ხომ მოხვალთ?

— ახლავ დაფურეკავ რეზოს! — აღ-  
ტაცებას ვერ ვმალოვ.

შენი მეგობარი ქეთინო კი გულიანად  
კისკისებს ტელეფონში. ხეირიანად არც  
კი ვიცნობ, უნივერსიტეტის საახალწ-  
ლო საღამოზე გავაცანა.

...ისევე სუსტი, ცისფერი შუქი ოთა-



ხშირ-შაგნიტოფონი და წყვილები. საოცარია, მერვენება თუ ნამდვილად გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ის საღამოები ერთმანეთს?

მე და შენ... და პეპინო დე კაპრი. „ტამე, ტამერო-ო, — ტამე, ტამერო-ო.“

— მამიკო, მღერი?

— რაო? — გამოვერკვიე ფიქრიდან. თამარიკოს შემოუყვია კარში თავი.

— თამარიკო, მაიკლე ცოტა ხანს, ხომ ხელავ, სიგარეტს ვეწევი. არ შემოხვიდე!

„დღეამისმა შემოაგზუნა ალბათ“, — მინდა ჩემივე თავი გავიმართლო, ბავშვს რომ ასე მკაცრად ვეჭკევი.

... — შეიძლება ვაგაცილო?

და სანატრელი თანხმობის ნიშნად, თავის უხმოდ დაქნევა...

გზაში თოვლი წამოგვეწია და შენს სახლამდე მიგვაცილა.

მერე სულელივით პირღია მოვსრიალებდი თეთრად გადაპენტილ ტროტუარზე და მოწყურებულივით ვცლაპავდი ფანტელებს...

სახლში დედა გაბრაზებული მიღებს კარს...

— სადა ხარ, ბიჭო. აქამდე?

ტელეფონის ხმა ისმის.

— სადა ხარ, ბიჭო? — შენი ვაკვირვებელი კითხვა.

...პირველი კოცნა... კიროვის ბაღში ოფოფის სავარცხელივით აშლილი ნაძვის ძირას...

გაცდენილი ლექციები...

ცარიელი აუდიტორიები...

მეგობრების გაოცებული კითხვა: — „სად დაიკარგე, ბიჭო?“

და... ეს იყო და ეს...

ვცდილობ ვავისხენო... ვერ ვიხსენებ... რატომ? რისთვის?..

რა მოხდა?

„სად დაიკარგე, ბიჭო?“

მაშინ პირველად „დავიკარგე“ სამი

დღით. ესე იგი, არც დამირეკია, არც შეგხვედრივარ.

— სად იკარგები, ბიჭო?..

უკვე ერთი კვირით „დავიკარგე“.

...იმ პირველი კოცნიდანვე ვატყობდი, როგორ იფერფლებოდა ჩემი გატაცება.

ვიტანჯებოდი, როცა შენს სითბოზე ყალბი გრძნობით უნდა მეპასუხნა.

ბოროტი არასოდეს ვყოფილვარ... პირიქით, რაც შემეძლო, ვცდილობდი, რომ გული არ ამცრუებოდა შენზე, „დამეჭირა“, „დამეზა“ ის... რასაც შენდანი თავიდან ვგრძნობდი... მაგრამ არაფერი გამომდიოდა.

და კვლავ...

...სად დაიკარგე, გურამ... არა გრცხვენია, სულ მე უნდა გირეკო?

შენს წინაშე დიდი დანაშაული მიმიძლოდა... ჩემი თავი თვითონვე მეზიზღებოდა და მინდოდა შენც შეგძულეზოდი.

უბადრუკი მიზეზები:

„ყველას უნდა აკოცო, ვისაც შეხვდები?“

შენ არც ერთ ნაცნობს აღარ კოცნიდი შეხვედრისას.

„რამდენ სიგარეტს ეწევი დღეში, ქაღალტონო?“

სიგარეტს თავი დაანებე. ყოველ შემთხვევაში, ჩემთან აღარ მოგვიწვია. უკვე გრძნობ ჩემს სიცივეს.

„რა არის ასეთი მოკლე კაბა? ლერწამივით რატომ იხრები სიარულისას?.. სულ ასეთი გამომწვევი გინდა იყო?“

მოთმინებით იტან ჩემს უხეშობას...

„გუშინ ვის „ფიატში“ იჯექი?“

(აი, ყველაზე ხელსაყრელი „მიზეზი“).

— ჩემი ძმის მეგობარია, გიზო სიხარულიძე. ეს უკვე მეორედაა, რომ მაკითხავს უნივერსიტეტში — ნიშნის მოგებით მეუბნები. ალბათ მოგწყენდა ჩემი გაუთავებელი ბუზღუნა.

— მანქანამ გაგაგო?

ზაზა ღარასილი  
მოთხრობები

ჩემი მწარე სიტყვები უპასუხოდ ჩნდება.

— ბილეთები მაქვს მარინო მარინის კონცერტზე, წამოხვალ? — ამას ისე თბილად მეუბნები, რომ გული მილღვება.

— რა თქმა უნდა.

— როდის შეგხვდეთ?

— სპორტის სასახლესთან, შეიძლება საათზე.

— კარგი.

და მე არ მოვსულვარ... შენც უკვე თავმოყვარობამ შეგაწუხა...

ხანდახან უნივერსიტეტში თუ მოგვრავთ ერთმანეთს თვალს.

„როგორა ხარ?“ შეკითხვები გაბუტული თვალებით.

„რა მიშვეს. სადა ხარ, როგორ დაიქარგე, ასე უნდა?“

თავი მეზიზღება, ახლა ჩემს სიყალბეს რომ ვიხსენებ...

„დაგირეკავ ამ დღეებში“.—და ხელს ხელზე მაგრად გიჭერ, ვითომ ძველი არ დამვიწყებია.

რისი დარეკვა... როგორ მოგარიდო თვალი, საღ დაგემალო, იმას ვცდილობ. სინდისი კი მქენჯნის, მქენჯნის...

...თქვენი „გაპარვის“ ამბავი რომ გავიგე, გულიდან თითქოს დიდი სიმძიმე ჩამომეხსნა. და მაინც, მეწყინა კიდევ, რატომღაც.

— ბიჭო, ამბობენ ლანა კი არ გაიპარა, მოიტაცა იმ ვიზომო... — მიფხრა რეზომი.

თავი იჭვნეულად გადავაქნიე.

— მაგრამ, არა მგონია. ძნელი, ჯერ ერთი, რას უჯდებოდა მანქანაში? მარტონი ყოფილან. თანაც, გურიაში, ამ სიშორეზე რამ წაიყვანა, ძალით რომ გაეტაცნა, რა, მახარაქმდე ჩაიყვანდა? კაცი საუკესთან იყო. მართალი ყოფილხარ, მაგის იმედი რომ არ გქონდა.

რეზომ რომ მკითხა, რა მოხდა შენსა და ლანას შორისო, ვიცრუე. იმედი არა მაქვს, რომ წამდვილად ვუყვარვარ-მეთქი.

დიდად არ მეპიტნავა ჩემი „სიმართლე“ ახლა.

რამდენჯერმე ვილაღ უცნობმა „მეგობარმა“ გოგონამ დამირეკა, მამრთელობის მდგომარეობას „შეეწუხებინა“ ლანას გაპარვის შემდეგ.

და ის საღამო...

„გისმენთ“

გულმა რეჩხი მიყო.

„გურამ, არ შემიძლია... — სლუკუნებ ტელეფონში. — ახლავ, ფებს დავკრავ და შენგან გამოვიქცევი... იცოდე, თავს მოვიკლავ... შენთან მინდა... ხომ ვიცი, რომ გიყვარვარ...“

ელდა მეცა. ყურმილი კინაღამ ხელიდან გამივარდა რა უნდა მეთქვა?.. მეორე დღეს ხელს აწერდით, ქორწილი გქონდათ. წარმოვიდგინე, რა შეიძლებაოდა ამას მოჰყოლოდა...

„არ მიყვარხარ! — ვთქვი ცივად და მტკიცედ სიმართლე, — ეს მხოლოდ გატაცება იყო, გაიგე? გატაცება!“ — ახლა კი ნამდვილად უნდა დავეჯერებინა.

სლუკუნი შეწყდა.

ყურმილი დაგდე.

მერე კანტიკუნტი მითქმა-მითქმაც შეწყდა და, როგორც ყველაფერი საერთოდ, ეს ამბავიც დავიწყებას მიეცა...

ერთხანს ბოლთას ვცემდი ოთახში. მერე სამზარეულოში გავედი.

— გვეშველა! — გამოაცხადა ჩემს დანახვავზე მაიამ.

დედაჩემი ბავშვს ჩაის ასმევს.

— გავიარა პოხონდრიაში?

— კი! — ვუქნევ თავს სერიოზულად.

ბავშვმა გაიცინა.

წინკარში გავედი და ლაბადა ჩავიცვი.

— წავედი მე... მალე მოვალ! — და კარი მოვიჯახუნე.

„როგორ დღემყავდება სახე მაიას!..“

ერთხანს ჩაფიქრებული მივხეტიალობდი.

„ბოლოს გადავწყვიტე და ორკაპოციანი ჩავეშვი ტელეფონ-ავტომატში. ნომერიც რომ არ დამვიწყებია!

— მიცანი?

— გიცანი.

— რატომღაც მეგონა, რომ სახლში იქნებოდი.

— ჰო, გიზო მივლინებაშია, და...

— როგორ ხარ? — ხმას ვერ ვიმორჩილებ, ველავ.

\* \* \* \*

— ლანა, ერთი თხოვნა მაქვს.

— გისმენ, გურამ.

„გურამ... გურამ... გურამ...“

— არ შეგიძლია, ხუთი წუთით შემხვედ?

— არა!

— სულ ხუთი წუთით, თუ გინდა შენს სახლთან მოვალ.

— მე არაფერიც არ მინდა!

\* \* \* \*

— ერთი წუთითაც არ შეგიძლია?

— არა, გურამ.

— ასე?

— როგორ, თუ ასე?

— კარგი მამინ, შშვიდობით!

— შშვიდობით!

ყურმილი არ დაკიდოს, მეშინია და ისევე ვეხვეწები:

— რა მოხდება, სულ ერთი წუთით, ძალიან გთხოვ.

— ბავშვები ხომ აღარა ვართ, გურამ...!

„ბავშვები ხომ აღარა ვართ... ბავშვები ხომ აღარა ვართ, ბავშვები ხომ აღარა ვართ...“

— სულ ერთი წუთით, ძალიან გთხოვ, გესმის?

— რა დროს ეს არის?

— მაშინ... უბრალოდ, ფანჯარაში გამოიხედე და მე გამოვივლი, შეგხედო მინდა, მეტი არაფერი.

\* \* \* \*

— ესეც დიდი ამბავია? უბრალოდ ფანჯარაში გამოიხედე... ძალიან გთხოვ...

— კარგი!

— ხუთ წუთში მანდა ვარ.

\* \* \*

ძალზე ნაცნობი, ახლობელი ქუჩა ყოფილა ჩემთვის. ლამპიონები არ ანთია. ბნელა. ასევე ბნელოდა მაშინ პირველად... უნივერსიტეტში საახალწლო ნაძვის ხის კარნავალიდან ახალგაზრდობილი ლანა რომ გამოვაცილებე მე და რეზომ. მერე მისი ფანჯრების წინ დავდიოდით და ვმღეროდით:

„ახ, ტურფავ, ტურფავ... ნუფუ ვერა გრძნობ... გადარეული დავი-არე-ები“.

ძმამ გამოიხედა. ვინა ხართო, ბრაზით შემოგვეძახა.

ჩუმად გავიძურწეთ.

პირველ სართულზე შუქი არ გინთია.

და მაინც შორიდანვე, გარკვევით ვარჩევ ლანდს ღია ფანჯარაში. შორიდანვე მხედველობას ვძაბავ, სიბნელეში მიჭირს სახის დანახვა, მერე თვალი ეჩვევა სიბნელეს...

— გამარჯობა!

— გამარჯობა!

— გმადლობთ, რომ გამოიხედე, ლანა... — ლანა ეტყობა, ყოყმანობს, ვერ გადაუწყვეტია, მივასუხოს თუ არა. — მას შემდეგ, რაც გაჩერებაზე გნახე... შენზე ვფიქრობდი...

\* \* \* \*

კინალამ გავგიჟდი, თურმე აფი წელი გასულა... როგორ გაირბინა წლებმა?!...

\* \* \*

ბოლოს მაინც ვატყედა.

— აბა, — მასაც უკვირს, — თურმე, ათი წელი გასულა თვალისდანამხეპებაში.

— ჰო!

— ერთად რომ ვყოფილიყავით, რა ტანჯვა-წვალეობით, კუს ნაბიჯით გავიდოდა ეს წლები! არა, გურამ?

---

ზაზა მარასილი  
მოთხრობები



— ესე იგი? — უცებ ვერ მივხვდი. ლანა ჩაიცინა.

— ესე იგი, მეც დიდ მადლობას გიხდით... გახსენებისათვის!

— სხვანაირად არც შეიძლებაოდა. ყველაფერი ხომ რაღაც კანონებით ხდება. ათი წლისთავის დღეა დღეს — იუბილე გვაქვს. ამიტომაც ვერ ავცდით ერთმანეთს.

იცინის...

მეც ვიცინი...

— შშვიდობით...

— მომავალ იუბილემდე! — იხტიბარს არ ვიტყვ მე.

\* \* \*

თავისუფლად ამოვისუნთქე.

ქუჩაში თავქვე დავეშვი.

ვიღაც კაცი მოემართება ჩემს შესახებდრად, მგონი, ნაცნობი უნდა იყო.

— ოჰ, გაუმარჯოს თენგიზს! — თენგიზიც გეოლოგია, მხოლოდ სამშენებლო მასალათა სამმართველოში მუშაობს. შარშან ერთობლივ ექსპედიციაში ვიყავით.

— აა... — შესალმება თენგიზი.

— რას შერები, როგორა ხარ?

— ისე, რა...

— ტელეფონი რომ მაქვს, იმიტომ არ მირეკავ?... — ვიცინი, თენგიზი უხერხულად იშმუშენება.

— ახალი რა არის, ცოლი არ მოგიყვანია? რას აპირებ?

— რა ვიცი, აბა?

— ველზე როდის გადიხართ... ე, ბიჭო, გვიანდება... ზაფხული მოგვადგა კარს...

— ჭერ ხომ იცი, ვჩალიჩობთ...

ძველებიდან ხომ არაინ შეგხვედრია, ზურა, ლალი, თორნიცე ისევ ჭგუფში გყავს, თუ?

— კი.

— არ შევხვდეთ ერთმანეთს, მომენტარეთ თქვე კაი ხალხო...

თენგიზი შეწუხებული მიყურებს.

— უყურე გუშინ კალათბურს? — რა კარვად თამაშობდნენ ჩვენი ბიჭები, არა? „ცსკ-ას“ თუ დაამარცხებდნენ, გეგონა?

— რა იყო, შე კაცო, ავად ხომ არა ხარ?

— რას მატყობ?

— აბა სიტყვა ვერ ამოგათქმევინე. ხასიათზე არა ხარ? კარვად...

— მიააა! — გახარებული შერბივარ სახლში.

— ჩუ... დედა ბავშვს აძინებს! — გაბუტული, საყვარელი თვალებით მიყურებს მია. — სად იყავი, გიფიფით რომ გავარდი?

— საღამოს „თბილისი“ მინდოდა მეყიდა, — გადავდივარ ჩურჩულზე და ვუბნები ჯირ კიდევ გზაში მოფიქრებულ მიზეზს. კინოში წავიდეთ, „რუსთაველში“ ახალი ქართული ფილმი გადას, „მიმინო“.

გაზეთს ეჭვის თვლით დაჭყურებს და ნელ-ნელა სახე ეხსნება.

— ლევან ნიკოლაევიჩმა დაგირეკა, მაგის ექსპედიციის საქმე გავაჯდნო, ძალიან წუხდა და ახარეთ ეს ამბავი.

— ჯარვია! — თიფქმის ეყვიჩი მე და მერე მახსენდება, ბავშვი რომ იძინებს. სასწრაფოდ პირზე ხელს ვიფარებ.

მია თავს შეწუხებული ღიმილით აქნევს აქეთ-იქით.

— რა აწეწილი კაცი ხარ, გურამ!

— რას იზამ, ძალიანაც მინდა დაღაგებული ვიყო, მაგრამ...

ქუჩაში მია მხარზე მეკვრის და საყვედურით ჩუმად მაპარებს: — დიდი ხნით მიდიხარ ექსპედიციაში?... ხომ აღმოაჩინეთ ეს ცეოლიტები, მეტი რაღა ვინდათ?

— მეტი გვინდა, მია, მეე-ტიი...



## ბანკაულის ბუხაბი

ექვთიმეს ასლო ურთიერთობა არ ჰქონდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის ყოფილ მესვეურებთან, მაგრამ, შინ და გარეთ, ისინი ძალაუნებურად ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ყოველი შეხვედრის დროს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსა და მის განძეულზე საუბრობდნენ. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს, როცა ექვთიმე ნოე ჟორდანიას შინ ეწვია, მასთან სტუმრად იყვნენ ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი და ერთი სამხედრო პირი. ჟორდანიას ძალიან დაღლილი და სულიერად ვატებილი ჩანდა. არც დანარჩენი ორი განოიყურებოდა მხნედ. ისინი, ეტყობა, ბუბდნენ ჩამოგდებული მთავრობის პერსპექტივებზე და, როგორც კი ექვთიმე შევიდა, ძალაუნებურად საუბარი განძეულობაზე გადაიტანეს.

— განძეულობის შენახვის ხარჯები ძალიან მეძვირება. წელიწადში ორი ათას ხუთასი ფრანკის გადახდა ჩვენისთანა ბოვანოებს წელში გასტეხს. რამდენ წელიწადს უნდა ვიხადოთ ასე დიდი თანხა, სადღა უნდა ვიშოვოთ ამდენი კაპიტალი? — სწუხდა ექვთიმე.

— როგორ ფიქრობთ, დიდხანს მოგვიწევს პარიზში ლოდინი ხელისუფლების დასაბრუნებლად? — ჰკითხა ამის

პასუხად რამიშვილმა და გამომცდელი თვალებით შეხედა პროფესორს. ჟორდანიაც დაინტერესდა, თუ რას იტყოდა მართლის მთქმელი ექვთიმე.

— ლოდინს ვინღა ჩივის, საერთოდ, გვეღირსება კი სამშობლოში დაბრუნება?!

— სულ მალე ქართველი ხალხი ელჩებს გამოგვიგზავნის ხელისუფლების ჩასაბარებლად, — ეს ჩხენკელის მორიგი მკვესრობა იყო.

— ფუჰი ოცნებაა. ქართველი ხალხი ჩვენ სამუდამოდ გაეანაწყენეთ: გაუძარცვეთ ეკლესია-მონასტრები, ყველაფერი წავართვით, რითაც თავი მოჰქონდა, მერე ბედის ანაბარა მივატოვეთ და გამოვიქეციოთ!..

— ექვთიმე, როდის შემდეგ გახდი ბოლშევიკი?! — წამოდგა და მხარზე ხელი დაჰკრა ჟორდანიამ, — ეს ბოლშევიკების რადიო გაჰკივის დღითა და ღამით. — მენშევიკებმა უსირცხვილოდ გაზიდეს ევროპაში საქართველოს ავლადიდებთ. ჩვენ გასაყიდად კი არ წამოგვიღია განძეული, გადასარჩენად წამოვიღეთ.

— გეთანხმებით, გადასარჩენად, მაგრამ რით შევინახოთ, რა სახსრებით? რამდენიმე წლის ქირის გადაუხდელობის გამო კი განძეულობაზე იურიდიულ უფლებებს ვკარგავთ.

— ოდონდ კარგად ვიყოთ და, სახსრები გამოინახება. ერთ ხანს სახაზინო

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 3, 4, 5.



ნიეთებისა და ვერცხლულის რეალიზაციით მიღებული თანხა შეგვეშველება, მერე კიდევ გამოჩნდება რაიმე საშუალება, — ანუ გეშა ეორდანიამ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი პროფესორი.

ამ დროს ეორდანიას მოახსენეს, ნიუიორკის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი გეახლათ და თქვენს ნახვას თხოვლობსო. ეორდანიამ უცერემონიოდ მიიღო იგი — მაღალ-შაღლი, ოდნავ გამხდარი, შუახნის კაცი.

— მეტროპოლიტენ მუზეუმის დირექტორი ჰერბერტ ჯონსონი! — პათეტიკურად გამოეცხა სტუმარი ეორდანიას და მდაბლად დაუკრა თავი. ეორდანიაც თავაზიანად მიესალმა; მერე სავარძელზე მიუთითა.

— მოხარული ვარ თქვენი სტუმრობით, თუმცა სულაც არ მოგელოდით. რით შემძლია გემსახუროთ? — ჰკითხა.

— უფრო აღრეც მინდოდა თქვენს სანახავად ჩამოსვლა, მაგრამ გზად შევეცოვნი. მაინტერესებს, რით ცხოვრობს თქვენი აღმატებულება, რა სახსრები გაგაჩნიათ სამშობლოდან გადმოხვეწილებს არსებობისათვის?

— ცოტათდენი კაპიტალი სამშობლოდანაც წამოგვეყვა. ვარდა ამისა, გვეყავს მოყვრები, კეთილისმყოფლები, მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ კმარა და ხელმოკლედ ვცხოვრობთ, — უპასუხა ეორდანიამ.

— მაგ მდგომარეობას შეგინსუბუქებდით, თუ მინაქრების განქეულს მოგვიყვლიდით!

— გაყიდვაზე ლაპარაკი ზედმეტია! — ყველას დაასწრო ექვთიმემ. — ნერვიულობის გამო ხელუბაკნალებულმა და სახეგაფთორებულმა მოურიდებლად თქვა: დიდი ხნის ამბავია, მაგრამ არ შეიძლება არ გახსოვდეთ ვინმე საბინგუსის ოინებო. ამ ავადმოსავონარმა კაცმა ეგზარქოსის ნებართვით მოიპოვა უფლება განეახლებინა ძველი შემკულობა საქართველოს ეკლესიათა ხატებზე. მან ბოროტად გამოიყენა ეს უფლე-

ბა, მოსპო ბევრი ძველი ხატები მინაქრისანი მედალიონები და აღექსანდრე მესამის ერთ-ერთ დიდ მოხელეს, კოლექციონერ ზენიგორსკის, რომელმაც სწორედ დღევანდელი ჩვენი სტუმრის „მეტროპოლიტენ მუზეუმის“ დირექტორისაგან მიიღო ორასი ათასი დოლარი. ეტყობა, მუზეუმის დირექტორს ძალიან მოეწონა ჩვენებური მინაქრები და სურს ქართული მინაქრების კოლექციის შევსება ახალი ექსპონატებით. მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ და პირში სული მიღვას, უსიკვდილოდ არავის დავანებებ ამ განქეულობას. ეს მარტო განქეულობა კი არ არის, ჩვენი პასპორტი, სინდის-ნამუსი, იმედი და ნუგეშია. ასე იოლად არ დაითმობა ჩვენი მამა-პაპათა შარავანდელი! — ეორდანია კარგა ხანს შეჰყურებდა ექვთიმეს, მერე დამშვიდებით უთხრა:

— შესაძლია მართალი ხარ, თუ ძალიან არ გავევიორდა, სამუზეუმო ან საეკლესიო განქეულის გაყიდვას უნდა მოვერიდოთ, მაგრამ უცხოელის მიმართ ტაქტიანად მოპყრობაც არ უნდა დავიფიყოთ.

— მასაც არ აწყენს ამგვარ ტაქტუე ფიქრი, — მიახალა ექვთიმემ.

ამერიკელი ბიზნესმენი დაინტერესდა პროფესორის ნათქვამით, ეორდანიამ კი ბანზე აუფლო სიტყვა და სულ სხვა რამეზე ჩამოუფლო საუბარი.

ეორდანიასა და „მთავრობის“ სხვა წევრებთან ერთად დიდ ხანს ბჭობდა მუზეუმის დირექტორი, მაგრამ რაკი სასურველ შედეგს ვერ მიიღწია, მათ ასეთი ვარიანტი შესთავაზა:

— თუ მომცემთ პირობას იმაზე, რომ გაყიდვის შემთხვევაში ამ ნიეთებს ჩვენს ვარდა, არავის დაუთმობთ, წინასწარ გაესხებთ დიდ თანხას.

„მთავრობის“ წევრებმა ერთმანეთს გადახედეს. ჩანს, მოეწონათ მუზეუმის დირექტორის წინადადება და მზად იყენენ შეთანხმებოდნენ, მაგრამ სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, კვლავ ექვთიმემ დაასწრო:

— რა პირობა უნდა მოგცეთ? ყოველ პატიოსან კაცს მოეთხოვება ელემენტარული სინდისიერება, რომ მიბარებული ნივთი ხელუხლებლად შეინახოს. თქვენ კი..

მერე ექვთიმე მენშევიკური მთავრობის ყოფილ მესვეურებს მიუბრუნდა: — ვალს აღება ადვილია, ვადახდა კი — ძნელი. ვინც მაგისთანა პირობას ვთხოვთ, კარგად იცის, რომ ფულის გადახდა არ შეგიძლიათ და ბოლოს და ბოლოს ამ ვალს არ შეგარჩენს.

რაკი ექვთიმე წინააღმდეგი წავიდა, ეს კომბინაცია, რა თქმა უნდა, ჩაიშალა.

შემდეგ ბრიტანეთის მუზეუმმა დაუწყო მოლაპარაკება საქართველოს ყოფილ მთავრობას, ქსნის იმ განქეულებიდან, რომელიც უშუალოდ ექვთიმეს მიერ იყო შეგროვილი და მუზეუმისთვის შექმნილი, ერთი რომელიმე ნივთი დაეთმოთ ბრიტანელებისათვის; სამაგიეროდ, მუზეუმის მესვეურები პირობას იძლეოდნენ, საქართველოს მთელი განქეულობა უსასყიდლოდ შეენახათ და ამ განქეულობის ალბომებიც გამოეცათ.

მოსალაპარაკებლად ლონდონიდან პარიზს გამოგზავნეს ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი, ქართველოლოგი ალენი. მან შუაქაცად ერთი ემიგრანტი პროფესორი მიუგზავნა ექვთიმეს. ექვთიმემ, რა თქმა უნდა, უარი უთხრა, ნივთები კერძო მუზეუმების კუთვნილებაა. ამრიგად, კვლავ ჩაიშალა სამუზეუმო განქეულის გაყიდვის ცდუნება.

ბრიანის მთავრობის პოლიტიკამ, რომელმაც ვერ უბრუნველყო რეპარაცია გერმანიასთან, გამოიწვია საფრანგეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის უკიდურესი რეაქციული ძალების უკმაყოფილება. ეს უკმაყოფილება კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა ბრიანი დათანხმდა მოწვეულიყო გენუის ეკონომიური კონფერენცია საბჭოთა რესპუბლიკების

მონაწილეობით. ცხრაას ოცდაორი წლის თორმეტ იანვარს ბრიანის კაბინეტი დაეცა.

ახალ მთავრობას სათავეში ჩაუდგა რეაქციონერი ზაიმონ პუანკარე, ხოლო ბრიანმა დაიკავა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. პუანკარეს მთავრობამ გააძლიერა შეტევა მუშათა კლასზე, პირველ რიგში კი მის მოწინავე რაზმზე — კომუნისტურ პარტიაზე. გამოიცა დეკრეტი ფლოტში რეასათიანი სამუშაო დღის გაუქმების შესახებ. ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა საგაფიცო მოძრაობის მონაწილეებს. ყველაფერი ეს მიმართული იყო არა მარტო კომუნისტების, არამედ ქვეყნის მთელი დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ.

პუანკარეს მთავრობა უკიდურეს ანტისაბჭოთა კურსს ატარებდა. გენუისა და ჰააგის კონფერენციებზე, ცხრაას ოცდაორ წელს, საფრანგეთის დელეგაციას აშკარად მტრული პოზიცია ეჭირა საბჭოთა კავშირის მიმართ. სწორედ ამან განაპირობა ჟორდანის დაახლოება პუანკარეს მთავრობასთან. პუანკარე შინ და გარეთ, რაზმავდა რეაქციულ ძალებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და თან პარალელურად აგრძელებდა ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონიის კურსს. პირველ რიგში მისი ღონისძიებები მიმართული იყო გერმანიის დასუსტებისაკენ. ცხრაას ოცდასამი წლის დამდეგს საფრანგეთის ჭარბმა, ბელგიის ჭარბთან ერთად, ვითომ რეპარაციის დაჩქარებისა და გადავილების მიზნით, დაიწყო რურის საბადოების ოკუპაცია, რამაც გამოიწვია გერმანიაში რევოლუციური გამოსვლები, დიხხურა შახტები, გერმანიამ შეუწყვიტა საფრანგეთს ნახშირის მიწოდება, თანდათან ეცემოდა ფრანკის კურსიც.

საფრანგეთის კომპარტია მარსელ კანენის მეთაურობით აწარმოებდა რურის დაპყრობის წინააღმდეგ გადამწყვეტ

ელიზაბა უხილავა  
ბანაძელის ბუხარი

ბრძოლას და ამხელდა საფრანგეთის იმპერიალიზმის დაპყრობით პოლიტიკას. მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ციხეში ჩასვეს მარსელ კაშენი და მისი თანამოაზრენი.

რურის ოკუპაციამ გააუარესა საფრანგეთის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა. საფრანგეთი იზოლირებული აღმოჩნდა. მასთან მტრულ დამოკიდებულებაში იყო ინგლისი, რამაც გამოიწვია საფრანგეთის ფინანსური კრიზისი.

რურის ავანტიურის ჩაშლამ და შინაგანმა სიძულეებმა საფრანგეთი ცხრას ოცდაათს წელს „ნაციონალური ბლოკის“ კრასამდე მიიყვანა და ჰუანკარეს კაბინეტი გადადგა.

პარლამენტის არჩევნებში გაიმარჯვარა დიკალ-სოციალისტების ბლოკმა და მთავრობას სათავეში ჩაუდგა რადიკალ-სოციალისტი ედუარდ ერიოს. ერიოს მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირთან. ახალი მთავრობა, მართალია, ზოგიერთ პროგრესულ ნაბიჯს დგამდა, მაგრამ შიგადაშიგ ანტისაბჭოთა ელემენტებსაც აჭეზებდა.

ჰუანკარეს ყურადღებით განვიხირობულმა ქორდანია მჭერად ერიოსა და მაკდონალდის მთავრობას მიმართა თხოვნით ეკისრათ შუამდგომლობა და ჩარეულიყვნენ საქართველოს საქმეებში. ქორდანიას მთავარი საზრუნავი იყო დაკარგული ხელისუფლების აღდგენა საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის გზით, რასაც ის ზეპირ თუ წერილობით გამოსვლებში ქადაგებდა.

ერიოს საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდებოდა, მაგრამ ქორდანიას „მთავრობასთანაც“ სიმპათიურად იყო განწყობილი და ამიტომ დახმარებას დაჰპირდა, თუმცა რაიმე კონკრეტული ნაბიჯი არ გადაუდგამს. ქორდანია ერიოსთან მოლაპარაკებით არ დაკმაყოფილდა. კედიას ჯგუფი ვაგზავნა პოლონეთსა და კობურგში დიდ

მთავარ კირილე ვლადიმერის მეშვეობითაა მოლაპარაკება გაემართა ქორდანია და საბჭოთა ური დახმარების საკითხზე. თავისი დიდი მოკავშირის, საფრანგეთის საამებლად პოლონეთმა შედარებით უხვად გაიღო მოწყალეობა ქორდანიას „მთავრობის“ ფინანსურად უზრუნველყოფისათვის. ასე რომ მენშევიკები რუსი მონარქისტების წყალობასაც არ თაკილობდნენ, ოღონდ თავი გაეტანათ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამხოვად მიმართული შეიარაღებული აჯანყებისათვის მორალურად თუ მატერიალურად მხარი დაეჭირათ.

ექვთიმე უმოწყალოდ აღმხედრდა ქორდანიას იმის გამო, რომ პოლონეთიდან მიღებული თანხა მას ქართული ხელნაწერებისა და მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ნივთების შესასყიდად არ მისცეს.

ლეველსა და პარიზში დადიოდა ხმები, აი, ამ თვის დამლევს თუ არა, ამ თვის დასაწყისში მაინც წავალთ საქართველოშიო. ასეთი ჭორები ბევრჯერ სმენია ექვთიმეს, მაგრამ არასოდეს ყური არ უგდია უსაქმურთა და ფანტაზიოთა ნალაყბებისათვის. ექვთიმეს თბილისიდან მეგობრები უგზავნიდნენ ქართულ გაზეთს, რომელიც იუწყებოდა საქართველოს მშრომელთა უმაგალითო წარმატებებს, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერებას. ამ გაზეთების წაკითხვის შემდეგ პეწი უხუნდებოდა პროვოკატორთა ყოველგვარ მონაქორს, რა საკავშირთაც არ უნდა ყოფილიყო იგი შენელებული. მაგრამ ცხრას ოცდაათნი წლის ზაფხულში ანტისაბჭოთა კამპანიამ პირდაპირ აღვირი აიწყვიტა და ექვთიმესაც საფიქრალი გაუჩინა.

ექვთიმე ლევლის ქართულ ეკლესიაში წავიდა, თავის თანამემამულეებს რომ გასაუბრებოდა.

— ახალი ამბავი თუ იცი, ექვთიმე ბატონო? — ეკლესიაში შესვლისთანავე მიახარა კათოლიკე მღვდელმა გრიგოლ ფერაქემ, რომელსაც შავი მანტია წამოესხა და დილის ლიტურგიისათვის ემზადებოდა.

— სწორედ ახალი ამბის გასაგებად გეახელი, ჭორებით ყური მაქვს გამო-  
პედლილი, იწამე ღმერთი, გრიგოლ ბა-  
ტონი, მითხარი თუ რამე იცი ახალი!

— ახალი ის არის, რომ საქართველო-  
ში შეიარაღებული გამოსვლები დაიწყო,  
ოღონდ არავინ იცის, რით დამთავრ-  
დება.

— კიდევ ახალი სისხლისღვრა? გაუ-  
გონარი უგუნურებაა! — თქვა მოთმი-  
ნებიდან გამოსულმა ექვთიმემ.

— რატომ ბრანებთ ასე, ბატონო ექ-  
ვთიმე? თუ ვინმეს სწყურია სამშობლო-  
ში დაბრუნება, ვფიქრობ, უპირველეს  
ყოფლისა, თქვენ. მეგონა, გაგახარებ-  
დით.

— ვის არ სწყურია სამშობლოში და-  
ბრუნება? ვინ იქნება ისეთი უღმერთო  
და უგუნური თავისი მიწა-წყალი არ  
უყვარდეს, ან არ ენატრებოდეს, მაგ-  
რამ თუ აღამიანები ერთმანეთს დახო-  
ცავენ, მამინ ოხრადაც კი დარჩეს ცარი-  
ელი მიწა. თქვენ მაინც, ბატონო გრი-  
გოლ, საიდან გაქვთ ეს ცნობები?

— გუშინ პარიზში გახლდით, დიკე-  
ნისის ქუჩაზე ერთი მეგობარი უნდა მე-  
ნახა, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ  
დაბრუნდა ვარშავიდან. რა დაგიმალო  
და, ადრე თუ გვიან, ვარშავაში ვაპირებ  
გადასვლას, იქ ბევრი ნაცნობი მყავს და  
გულთთ მეპატიეებიან.

— ვარშავიდან ჩამოსულმა მეგობარ-  
მა გაიბოთ საქართველოს ამბები?

— არა, იქიდან დაბრუნებულს, პარ-  
ლამენტის შენობის წინ, მოედანთან, ევ-  
გენი გეგეშკორი შეხვდა. როგორც ეტ-  
ყობოდა, საგარეო საქმეთა სამინისტრო-  
ში მიდიოდა, ექაჩებოდა, მაგრამ ორი-  
ოდე სიტყვა მაინც დამიტოვა, — ემზა-  
დე, მალე მოგვიწევს საქართველოში წა-  
სვლა, იქ აჯანყება დაიწყო.

— არ მჯერა, რომელი აჯანყების წა-  
მომწყვებნი არიან ახლა დარბეული მენ-  
შევიკები?

— ისინი მარტონი ხომ არ არიან! მათ  
ზურგს უმაკრებენ მემარჯვენე სოციალ-  
დემორალისტები და ნაციონალ-დემოკ-

რატები, ვაქრები, ნაწილობრივ გლეხო-  
ბაც.

— არც ბოლშევიკებია მარტო. მათ  
მიეშველება სომხეთი, აზერბაიჯანი და  
მთელი რუსეთი. რით უნდა გაუმკლავ-  
დე ამ ძალას?

— ეს იოლი საქმე არ არის, მაგრამ  
რაკი დაიწყეს, უთუოდ რაღაცის იმე-  
დი აქვთ.

— ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო, —  
თქვა ექვთიმემ და გაბრუნდა.

შინ დაბრუნებულს ცოლისძმა —  
ილია პოლტორაკი დაუხვდა. ილია თა-  
ვის დას სიზმარს უყვებოდა საქართვე-  
ლოზე. სანამ ექვთიმე საქართველოს  
ახალ ამბავზე დაიწყებდა საუბარს, ნი-  
ნომ პაექტი გაუწოდა. ბარათი ლონდო-  
ნიდან იყო. დიდი ბრიტანეთის მუზეუმი  
აუწყებდა ექვთიმეს, რომ ლონდონში  
ეწყობა მინანქრიანი ხატებისა და პედუ-  
რი ხელოვნების გამოფენა, ხომ არ ისუ-  
რებდა მისი აღმატებულება პროფესო-  
რი თაყაიშვილი, მონაწილეობა მიეღო  
ამ გამოფენაში საგანძურიდან შერჩეუ-  
ლი ექსპონატებით?

ექვთიმეს ლოყები ვარდისფრად შე-  
ეფაკლა. ნინოს დაცდილი ჰქონდა, რო-  
ცა მისი მეუღლე ასე გაწითლდებოდა,  
რაღაცაზე ბრაზობდა.

— რა იყო, ექვთიმე, რა ეწერა იმ  
ბარათში?

— ყორანი შტორის სუნს რომ იკრავს,  
ცხრა დღე-ღამე იფრენს და მანამ არ  
მოისვენებს, სანამ ლეშს არ დაძლდება.

— რაზე ამბობ ამას?!

— იმაზე, რომ ყორნები მარტო სა-  
ქართველოში კი არა, აქაც, ევროპაშიც,  
ბლომად ყრფილან. აქაოდა, ქართველებ-  
მა სამშობლო დაკარგეს, იქნებ განძეუ-  
ლიც დავტყუოთო, სად არ გვეპატიე-  
ბიან გამოფენებზე — ნიუ-იორკში, ლო-  
ნდონში, ფილადელფიაში, მაგრამ ჯერ  
არ მომხდარა ევროპულ დიპლომატიას  
აზიური სიბრძნისათვის ეჯობნოს. ლონ-

---

ვლინობარ შანილაშა  
ბანამულის ბუმბარი



დონში ჩემი განძეული რომ გამოვფინო, ნახევარი არ წამომყვება უკან.

— ბატონო ექვთიმე, ჩემგან არ გესწავლება, მაგრამ აჯობებს ყორღანის მეთეთაბირთ და ისე გადაწყვიტო ეგ საკითხი; — ურჩია ილია პოლტორაკი.

იმავე დღეს ექვთიმე ნოე ყორღანისა ეწვია.

მასპინძელი დივიანზე წამოწოლილიყო და წიგნს კითხულობდა. ექვთიმეს ფეხზე წამოდგომით მიესალმა და სავარძელზე მიუთითა.

— რაღაც საინტერესო წიგნს კითხულობთ, ნოე ბატონო!

— ძალიან საინტერესოა, ყორღანის სიტყვების კრებულია, ახლახან გამოიცა პარიზში. უკეთესი პუბლიცისტი და ორატორი ახლა ევროპას არა ჰყავს.

— პირადად იცნობთ?

— არა, პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მისი გამოსვლა ბარე ორჯერ მომისმენია.

— რა ამბები გეცხით საქართველოდან? — ექვთიმემ სხვა თემაზე ჩამოუგდო საუბარი.

— რამდენიმე დღის წინათ თბილისიდან მივიღე გრიგოლ ლორთქიფანიძისა და სიმონ ჯუღელის ბარათი. იწერებიათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი იწყებს შეიარაღებულ გამოსვლებს. მეოთხე წელია ემზადებიან და, როგორც ჩანს, მომენტს ეძებენ გამოსვლების დასაწყებად.

— ავი დაიწყესო?

— ვინა თქვა?

— ევგენი გეგეკორს უამბნია ჩვენი ლეგიონელი მოძღვრისათვის.

— ევგენი პარიზშია. შესაძლოა ჩემზე უფრო ახალი ამბები იმან იცოდეს. ის დღეს უნდა შეხვედროდა მაკლონალდს. ხვალ მე და ევგენის ოფიციალური ვიზიტი გეექნება ელჟარდერიოსთან. ყველა ეს ჩვენი შეხვედრა რუსეთ-საქართველოს ამბებთანაა დაკავშირებული. საფრანგეთის მთავრობას სურს და არც სურს ჩვენს საქმეებში ჩარევა. პუ-

ანკარე უფრო გადაჭრით ექვემდებარება, ვართ კი ფრთხილი დიპლომატი აღმოჩნდა — ჭრის და ევრაგს. ჩვენთანაც კი კაცი უნდა იყოს და საბჭოთა რუსეთთანაც. არ ვიცი, ასეთი პოლიტიკა რას მოგვიტანს ან სანამდე მოგვიყვანს. ჩვენ გვინდა რეალური დახმარება. ჩვენს თანაშრახველებს საქართველოში უჭირთ ფინანსები და იარაღი. ირგვლივ აღორძინებული საბჭოთა რესპუბლიკების გარემოცვაა. თვერაციების დაწყება დააგვიანდით. საექვოა, ამ აჯანყებიდან რაიმე გამოვიდეს. ჩვენი საქმე მაშინ იყო დაღუპული, როცა სამშობლო დავტოვეთ და ევროპაში წამოვედით. რისი და ვისი იმედით მოვდიოდით — ძმების, მამების თუ ბაბაშვილების? კაპიტალისტი მაშინ გიმშობილდება, როცა შენგან რამეს გამოელის. ჩვენგან კი რას ელის საფრანგეთის ბურჟუაზია? არაფერს, მაღლობელი უნდა ვიყოთ, რომ თავშესაფარი მოგვცეს. ეკონომიურად ძლიერები რომ ვყოფილიყავით, იცოცხლე, მხარს მოგვეცემდნენ, მაგრამ არც კაპიტალი, არც შეიარაღება, არც პერსპექტივა, — ვის რაში სჭირდება? — ჩვენი საქმე დაღუპულია, — ყორღანიამ ხელი ჩაიქნია.

— დაღუპული მაშინ ვიქნებით, განძეული თუ დავკარგეთ.

— ვითომ რატომ უნდა დავკარგოთ?

— ჯერ ერთი, შენახვის ვადასახადს ვერ ავუთავდებით, მეორეც, ნაშეტანი ბევრგან გვიწვევენ გამოფენაზე. ახლაც ბრიტანეთის მუზეუმი გვეპატიება, — ექვთიმემ პაკეტი გაუწოდა ყორღანისა, — რას ნიშნავს ეს? ჩვენი განძეულით მოიხიბლნენ, თუ შორიდან გვხვებრავენ და ნიდაგს ამზადებენ იმისათვის, რომ გვიყლონ და ქონება დაგვცინცლონ? ყორღანიამ ბარათი წაიკითხა, დაკეცა, კონვერტში ჩაღო და კვლავ ექვთიმეს გაუწოდა.

— აქ საგანგაშო არაფერია, გვეპატიებებიან, შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ, შეგვიძლია — არა; ჩვენზეა დამოკიდებული. თუ მიგაჩნიათ, რომ გამოფენაზე გატანა ჩვენს განძეულს ზი-

ანს მიაყენებს, თავაზიანად უპასუხეთ, რომ ამ ეტაპზე არ შეგვიძლია ვიყოთ მათი უდიდებულესობის სასიამოვნო სტუმარი...

ტელეფონის ზარმა გაიწყვიტა. ქორღანიამ ყურმილი აიღო.

— ბატონო ნოე, გელაპარაკებათ აკაკი ჩხენკელი. თუ შეუძლოდ არ ბრძანდებით, კარგი იქნება, ჩამობრძანდეთ პარიზში, ჩვენს საელჩოში!

— ახალი ხომ არაფერია?

— საქართველოში დაიწყო ის, რასაც დიდი ხანია ველოდით!

— კონკრეტულად რა შეგიძლიათ მითხრათ?

— ბევრი რამ. ჩვენებმა ხელთ იგდეს რამდენიმე დიდი ქალაქი და სისხლისმღვრელი ბრძოლები წარმოებს თბილისის ასაღებად. ბევრი პასუხისმგებელი ბოლშევიკი დატყვევებულია.

— როდინდელი ცნობებია?

— გუშინდელი.

— ნაადრევ თვითკმარაფილებას ნუ მივეცემით. კარგად გავერკვეთ სიტუაციებში და ისე ვიმოქმედოთ. მე მალე ჩამოვალ.

ქორღანია წასასვლელად მოემზადა, ექვთიმეს პირველ სართულზე დაემშვიდობა, ეტლში ჩაჯდა და აგვისტოს პანაქება სიციხეში პარიზს გაემგზავრა.

დასასრული იქნება



# საზოგადოებრივი

თომას მანი

## ბ რ უ ნ ე მ ა ლ ტ მ რ ს

პასიფიკ კალიფორნიის, 1946 წლის 15 სექტემბერი

### ძმირუასო მემობარო

რაც ოცდაათხუთმეტი წლის მკაცრ გამოცდას გაუძეულით, დაუტკივთ, რომ ამერიკიდან „შენობით“ მივმართავდით ერთმანეთს, მოლა, აი, გიგზაუნი კიდეც დაბადების დღის მისალოც წერილს, რომელშიც, ძალზე ხაწუენია, მაგრამ ეს მშვენიერი სიახლე ვერ მპოვებს თავის გამოხატულებას, ვინაიდან ამ დაწვევით, მეთისმეტად ცივილიზებული ინგლისურზე საკუთარ ძაღლსაც „ყოფი“თი მიმართავენ. რა გაეწყობა ამხანაგური ვრწმობები, რომლებითაც შენდამი ვარ განმსკვალული. საზეიმო გულითადაც, რითაც მოგხალღები ცხოვრების მწვერვალადან, „სამოცდაათის“ მწვერვალადან, ჩემდა გასაოცრად, თვითონვე რომ მივადწიე ამ ცოტა ხნის წინ, იმედია, მპოვებენ გამოხატულებას ამ ჩვენ შორის უკვე წაშლილ მიმართვის მრავლობით ფორმაში, — ჩვენთვის და ყველასათვის, ვინც რამენაირად მონაწილეობს ჩვენს უოფირებში, ოდესღაც მასთან სიახლოვე უგრძვნია, მისი შთაბეჭდილების ქვეშ უოფიდა: თუკი ყველას ჩამოვთვლით, ვინც ჩვენი არსებობა იცის, რომელთაც ჩვენ, თვითუღმა თავისებურად, რაღაც შევუთხზეთ, ჩვენი ცხოვრების ზოგ-ზოგე მაგალითი ვურჩენეთ, ბოლის და ბოლოს, დედამიწის მოსახლეობის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი აღმოჩნდება.

გასაკებაა, რომ უდიდესი წილი შენზე მოდის. ამის მიზეზი, თუკი ვივარაუდებთ, რომ შენ ხარ ნაქმე, უბრალოდ, არა მარტო უკეთესად გააკეთე, ვიდრე მე ჩემი, შემდგომი უნდა ვეძებოთ: შენი ხელოვნება, მუსიკის ხელოვნება, თითქოსდა საზოგადოდ უფრო მისაწვდომია, მოჩვენებითი კეთილშეოფრელობა ახასიათებს მას „ტკბობასთან“ მიმართებით,

საზოგადოებრივი ზემოქმედება ახასიათებს და მისი უმაღლესი გამოვლენაც კი ემოციური, ვრწმობადი, სენტიმენტალური, „ამაღლებული“ თანამოქმედებით აჭილღოებს ბრბოს. მუსიკა „ბავშვებსაც, კი მთავრობებს“, — მაგრამ ძალიან ახლოს, ჩვენში რომ ვთქვათ, არ მიიქარებს შათ. იხ, თავისი არსით, ისეთივე ჩაკტილია, ისეთივე ცივი და უკარგბაა, როგორც ნებისმიერი ხელოვნება, როგორც საკუთრივ დეტაბრიცობა. მიზმიდევლობისას არ კარგავს სიმკაცრეს, ხუმრობს და მიიწვინებოდა რჩუნებს ფორმას, სევდა დაგუბებულა მასში. რაც ამა ქვეყნის ყველა უზუნაისის ხედვრია. ვინ იყო რომ იკითხა: „თქვენ იცნობთ მზიარულ მუსიკას?“ ვგონებ, ეს შეუბრტყი უნდა უოფიდიყო, „მზიარული“, „ოქროსუღლებიანი“ შეუბრტყი, ვინც ლიტერატურული ტექსტების არჩევანი იღუმალი და სიყვლილის ღანდგადაფარებული მარტოობის სფეროსადმი საოცარ ლტოლვას ამჟღავნებს.

მოკლედ, მის თქმა მინდა, რომ სახუმარო ნაქმე როდის, იყო მუსიკის რჩეული, მუსიკოსად დაბადებული, და კაცისათვის ეს მინიჭებულ იყო მოწოდება და ჭილღოა. ქემშარტად უფრო ბედნიერი, ვიდრე სხვა რომელიმე სტეციფიური და იშვიათი ნიში მის წინაშე მზიარული განცვიფრებით მუსიკის იდრეკს მთელი სამყარო. ახლახან ზომ გვარუქმე, ძვირფასო მეგობარო, შენი მოგონებანი, შენი ცხოვრების ზღაპარი, ნამდვილი ზღაპარი, დიდი და პატარა ბავშვები ეგზომ სიამოვნებით რომ მიუღებენ ყურს, საშუალო ბურჟუაზიულობიდან აღმოცენებული და მსოფლიო წარმატების ზღაპრული მწვერვლებისაკენ აღმავალი დიდება, რაც წყალობაა იმ ნიჭისა, რომელდაც ფერიამ რომ დგანათლა

აკანში სერგოშვილი ღიმილით, ვინ იცის, რატომ მაინცდამაინც შენ, დიას, იმ ჭადონსური ნიჟისა, „მუსიკა“ რომ ჰქვია.

მაშასადამე, დასახელებული სტროფის პირველი და მეორე ტაბეზი წმინდა ასტრონომიული შინაარსის მატარებელია და დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს (მეტაფორული პლანის აშკარად მოხსნილია). იმინა ანალოგიის ვარგულ, მათი პირდაპირი, ასტროლოგიური მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, რადგან ორივე მნათობს (მზესა და მთვარეს) ახასიათებს როგორც ასტროლოგიურ სხეულებს და ემსახურება ერთ მიზანს: მზესთან სისორე-სიახლოვით დააკონკრეტოს მთვარის განათებისა და მცხრალობის მიზეზი. თინათინისა და ავთანდილის დაშორება კი მთვარეშის ანალოგიის საპირისპიროდ „ვარდისა და „მზის“ მეტაფორიზაციით არის ვაღმოსცემული. წერილში „ქვედა პლანეტები“ გ. თევზაძე იხილავს პლანეტების (მერკური, ვენერა) საკუთარ მოძრაობას და ხაგანგებოდ გაბასვებს, რომ რუსთაველი მთვარისა და მზის მოძრაობას განახსვავებს პლანეტების საკუთარი მოძრაობი-

საგან. მზისა და მთვარის გადაადგილება სივრცეში წინსვლითა და სხვადასხვა სიჩქარეებით სრულდება.

მთვარე ზოდიანოს სარტყლის ერთსელ გავლას დედამინის გარშემო ერთ თვეს ანდომებს, მზეს ამისათვის თორმეტი თვე სჭირდება. და თუ რუსთაველი მაინც ერთად განიხილავს სხვადასხვა სისწრაფით მოძრავ ამ ორ ციურ სხეულს, მხოლოდ იმისათვის, რომ მათი მოძრაობის ხასიათი ერთგვაროვანი: მუდმივი წინსვლა და შეუწყვეტილი, შეუჩერებელი მოძრაობა.

მესამე წერილში ავტორი ასახულებს, რომ ქვედა პლანეტების (მერკური, ვენერა) გარდა წინსვლითი მოძრაობისა, ახასიათებთ აგრეთვე დგომა, შეჩერება, უკანსვლა და გაუჩინარებას პერიოდები („წვავ“).

იმის აღიარებით, რომ მთვარე და მზე მოძრაობენ დედამინის ირგვლივ, ზოლო დედამინა მოთავსებულია სამყაროს ცენტრში, თავისთავად გამოვლინდებოდა დასკვნა, რომ რუსთაველი გეოცენტრისტიკა. პოემაში არც ერთი სიტყვით არაა მინიშნებული, რომ დედამინა ბრუნავდეს არა თუ მზის, არამედ თუნდაც თავისი ღერძის გარშემო.

რუსთაველილოგიაში იყო ცდა „ვეფხისტყაოსანში“ პელიოცენტრისტული სისტემის გარკვეული ნიშნების აღმორჩენისა. ამ ნიშნების გამოწვევითი მეკლევიარო რუსთაველს პელიოცენტრისტიკად კი ნათლავდა, ძირითადი დასაყრდენი მათთვის პოემის შემდეგი სტროფი იყო:

ოტარილო, შენგან კიდე  
 აბრის მიგავს საქმე სხვასა  
 მზე შაბრუნებებს, არ გამოშვებს,  
 შემიფრის და მიმცემს წვასა (963).

ცნობილია, რომ მერკური მზესთან ყველაზე ახლო მდგომი პლანეტაა, რის გამოც იგი მუდამ მზის სხივებშია ჩაფლული და ვერ სცილდება მას — ნიადაგ მზის გავლენის ქვეშ იმყოფება. მაგრამ წერილებში ავტორის მართებული აზრით, მხოლოდ მერკურის მზის გარშემო მოძრაობის დაშვებით ვერ გადაწყდება რუსთაველის პელიოცენტრისტობის საკითხი. ამისათვის უპირველესად უნდა ვაირკვეს ის, თუ როგორ აქვს წარმოდგენილი რუსთაველს თვით მზის საკუთარი მოძრაობა. მეორე წერილში ავტორმა უხუცი მასალის მოხმობის საფუძველზე დაამტკიცა, რომ რუსთაველის წარმოდგენით მერკური და ვენერა ეპიციკლურ მოძრაობას კი არ აწარმოებენ, არამედ ნამდვილად ბრუნვენ მზის ირგვლივ, ზოლო მზე თავისი თანამშავარებით (მერკურითა და ვენერით) — დედამინის გარშემო. რუსთაველი რომ პელიოცენტრისტი იყოს, მაშინ „ვეფხისტყაოსანში“ სამყაროს ცენტრად მზე უნდა იყოს აღიარებული და არა დედამინა. მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ მზისა და მთვარის წრეული გე-



ბის ცენტრში დგას დედამიწა და არა მზე, რაც იმის უდავო მოწმობაა, რომ რუსთაველი ნაადრევად გეოცენტრისტის ტყვეობაში მოხდა. თუმცა პოემის მონაცემებით ისევ კარგად ჩანს, რომ მზე განაგებს პლანეტების მოძრაობას. მზეში „ვეფხისტყაოსნი“ საფულისხმევია ისეთი ძალა, რომელიც შეიქმნა „არ გაშვებ“ ან „შეერა“ და მისი. ეს კი თავისთავად ეწინააღმდეგება გეოცენტრულ თვალსაზრისის სამყაროს აგებულებას, რადგან პტოლემეოსის სისტემით მზე არ შეიძლება იყოს ასეთი თვისებების მქონე. მაშასადამე, ერთი მხრივ დადგინდა, რომ რუსთაველი გეოცენტრისტია, მეორე მხრივ, პოემაში გამოკვეთილი ასტროლოგი მოვლენების ახსნა შეუძლებელია პტოლემეოსის გეოცენტრული სისტემის მიხედვით. რუსთაველი რომ მხოლოდ ამ თეორიის მიმდევარი ყოფილიყო, გ. თევზაძის თქმით, იგი ვერ დაწერდა ზემოთ დანახვებულ სტრიქონებს ოტარიდას (მერკურის) მოძრაობის შესახებ. ამიტომაც, რომ მკვლევარი საგანგებოდ მსჯელობს ამ სტრიქონების ქემზარტი აზრის გახსნებზე და გამოაქვს დასკვნა, რომ მერკურის ორბიტალურა მოძრაობის ცენტრი არის მზე და არა დედამიწა. გამოდის, რომ გეოცენტრისტია პოეტი უშვებს მზის მოძრაობას დედამიწის ირგვლივ. ხოლო მერკურისა და ვენერასას კი — მზის გარშემო. ქვედა პლანეტების მზის გარშემო ბრუნვის დამუშავებით რუსთაველმა ფაქტობრივად უარყო პტოლემეოსის მადრ შემოდებელი პლანეტების ეპიკიკლური სისტემა და დაუშვა ამ პლანეტების წრიული — თანხარი მოძრაობა მზის ირგვლივ.

მესამე წერილში ავტორი იხილავს აგრეთვე ერთ-ერთ პრინციპულ საკითხს, რომელიც ეხება პლანეტათა თანმიმდევრობაში მზის ადგილის გარკვევას. როგორც ვიცით, პტოლემეოსის სისტემაში მზეს ეკუთვნის მეოთხე ადგილი. „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილის მნათობისადმი ვედრებაში მეოთხე ადგილზე მზე არ მოხსენიება. ამიტომ რუსთაველილოგიაში გამოითქვა მისაზრება, რომ მზე ედრებაში ამოვარდნილია ამ რიგიდან. მკვლევართ მიანდათ, რომ პოეტმა მზე გადაიტანა პირველ ადგილზე მისი განსაკუთრებული (სოფიერის) მიხედვით — ასტროლოგურად მნიშვნელობის გამო. გ. თევზაძე ხაზგასმულად მსჯელობს ამ საკითხზე და სახეობის დამაჩერებლად ასახულებს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ყველაფერი რაგზეა, რომ მზეს ავთანდილის ედრებაში მიჩნეული აქვს მისთვის კუთვნილი ადგილი და რომ ადრეც ამ რაგში შეიტანა არა რუსთაველმა, არამედ რუსთაველილოგებმა. ავტორი აანალიზებს მკვლევართა მიერ შექმნილ გაუგებრობის მიზეზებს და სრულიად მართებულად ასკვნის, რომ მზის პირველ ადგილზე (ე. ი. რუსთაველის რიგით სატურნის წინ) გადატანა სინამდვილეში ნიშნავს მზის არა

პირველ, არამედ უკანასკნელ ადგილზე მოთავსებას, ე. ი. პლანეტათა თანმიმდევრობაში მზის თვის ხოლო ადგილის მიკუთვნებას. და არა რატომ. „ვეფხისტყაოსანში“ დასახელებულ პლანეტათა შორის სატურნი დედამიწიდან ყველაზე უშორესი პლანეტაა. მზის მოთავსება სატურნის წინ სინამდვილეში ნიშნავს მისი დედამიწიდან უფრო შორ მანძილზე მოთავსებას. ავტორის დაკვირვებით კი რუსთაველს მზე მეორე ადგილზე ჰყავს დასმული დედამიწიდან სიახლოვის მიხედვით. ასე რომ არ იყოს, მას ზომ იმ თვისებებს ვეძარ მივაწერდით, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ მიხედვით მიეწერება მზეს სივრცეში მისი რეალური მდებარეობის გამო. ამის დადგენისას მკვლევარი ამოღის მნათობთა განლაგების განსაზღვრულ კრიტერიუმად ფარდობით სიჩქარის ეფექტის აღიარებიდან. ზედა პლანეტების ადგილის განსაზღვრა სივრცეში ყუველთვის უმტიკინელოდ ხერხდებოდა მარსის, იუპიტერისა და სატურნის ერთმანეთისაგან სატურნობლად განსხვავებული სიჩქარეების გამო. შესაბამისად, ზედა პლანეტების რაგი ერთხელ და სამუდამოდ იყო დადგენილი ყველა დროსა და ეპოქაში, საყოყნანო და საკამათო ასტრონომიაში მუდამ მზისა და ქვედა პლანეტების (მერკურს, ვენერა) ადგილის განსაზღვრა იყო. ამიტომაც, რომ ჩვენამდე მოღწეულ პლანეტათა თანმიმდევრობის ამსახველ ცნობილ სიბში ზედა პლანეტების რაგი ყველან ერთნაირია, ხოლო ქვედა პლანეტებისა კი ერთადერთად. საქმე ისაა, რომ მზეს, მერკურს და ვენერას, სამივე ეს ციკლი სხეული, ერთი წლის განმავლობაში ასრულებენ სრულ შემოვლას ცის სფეროზე. სწორედ ეს თანხვედრა აქნებდებოდა მათთვის ერთხელ და სამუდამოდ დაქონებული ადგილის მიჩნებას (ცალკე დგას მთვარის საკითხი, რადგან იგი ამ შემოვლას ერთ თვეს ანდომებს).

თუ პლანეტათა რიგის განსაზღვრავად მნათობთა სიჩქარეთა ეფექტის კანონიდან ამოვალთ, მაშინ პლანეტათა თანმიმდევრობა რუსთაველის პოემაში ასე უნდა წარმოვადგინოთ: მთვარე, მზე, მერკურს, ვენერა, მარსი, იუპიტერი, სატურნი. ხოლო თუ პლანეტათა დედამიწის მოძრაობიდან — მაშინ ჩამოთვლა ზემოდან იწარმოებს (ე. ი. შემბრუნებით), რითაც არჩებითად რიგი არ დაირღვევა. „ვეფხისტყაოსანში“ სწორედ ამ უკანასკნელი ნიშნითაა განსაზღვრული სივრცეში პლანეტათა თანმიმდევრობა, ანუ: სატურნი, იუპიტერი, მარსი, ვენერა, მერკურს, მზე, მთვარე. ასეთი თანმიმდევრობის მოცემით, ფაქტობრივად, ისიცაა ახსნილი, თუ რატომ დაიწყო მნათობთა ჩამოთვლა რუსთაველმა უშორესიდან უახლოესისაკენ. თუ

გაიბ მამბაგაშვილი  
რუსთაველის კოსმოლოგია



რუსთაველი დაუშვებდა (და რომ დაუშვა, ეს უკვე დავინახეთ ზემოთ), რომ მერკურის და ევ-  
ნერა მოძრაობენ შვის გარშემო, მაშინ რუსთა-  
ველს მნათობთა დასახელებული რიგიც უნდა  
მიეღო პლანეტების მოძრაობის კინემატურის  
წესის თანხმად.

პლანეტათა რიგის დადგენის შემდეგ ავტორი  
განვიხილავს იმ რეალურ პირობებს, რა დროის  
განმავლობაში და როგორ უნდა შესრულდებულ-  
იყო მნათობებისადმი ავთანდილის მიერ წარმო-  
თქმული ვედრება. მისი აზრით, იგი აუცილებ-  
ლად უნდა შესრულდებოდეს იმ პირობის  
დაცვით:

1. მნათობთა რიგი უნდა ყოფილიყო დაქვე-  
მდებარებული მათ სიჩქარეთა ეფექტის კანონზე  
(რანეტე უკვე გვეცნობა ზემოთ საუბარში) და  
2. ვედრების წარმოქმნა უნდა მომხდარიყო  
რეალურ პირობებში.

გ. თევზაძის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ შესა-  
ბამ ადგილას ორივე ეს პირობა მკაცრად  
დაცულია. პლანეტების რუსთველიური რიგით  
მზე ისეთ კონტაქტშია მოქცეული, რომ მისი  
მიერე ადგილი გარკვეულია პლანეტათა დასა-  
ხელების რიგში. ვედრება შვის მიმართ კი უფ-  
რო ადრეა წარმოთქმული რიგის დასახელების  
დაწყებამდე, ე. ი. მაშინ, როცა მზე რეალურად  
იხილვებოდა ცაზე.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორს ა  
რიგის სისწორეში, თუმცა თქმა იმისა, რომ  
პლანეტათა ასეთი თანმიმდევრება ახალია და  
ორიგინალური, გამართლებული არ იქნებოდა  
ისტორიულად. სხვა რომ არა იყოს რა, თვითონ  
ავტორი გვიხატვლებს პლატონის ბორბლების  
სისტემას, რომელიც უხტად ისევა განლაგებ-  
ული, როგორც პლანეტათა რუსთველიური რი-  
გი. სხვა საკითხია, რომ თანამედროვე მეცნიე-  
რებს არ შეუძლია ამ სისტემის პლატონისეული  
დასაბუთება, ხოლო „ვეფხისტყაოსნში“ ამ რა-  
გის კანონზომიერება რუსთაველის ასტროლოგია  
წარმოადგენების გათვალისწინების მიშვეობით  
სავსებით მტკიცდება. და მაინც, ის ფაქტი, რომ  
რუსთაველის თანადროული ასტრონომიუ-  
ლი მეცნიერებისათვის სრულიად ახალი და უც-  
ნობი იყო პლანეტათა ეს რიგი (თუნდაც იმი-  
ტომ, რომ საყოველთაოდ ბატონობდა პტოლე-  
მეოსის სისტემა) საფუძვლს აძლევს ავტორის  
მტკიცოს, რომ ეს რიგი ხელახლა შევსდებოდა  
და დადგენილი რუსთაველის მიერ.

მეოთხე წერილი ეხება შვის მოძრაობას და  
ციურ სხეულებზე მისი გავლენის დახასიათებას.  
ავტორს მზე ამჭრდაც აინტერესებს როგორც  
ციური სხეული, აინტერესებს მისი მოძრაობის  
ბუნება და ხასიათი, მისი ძალის თვისებები და  
ამ ძალის შემოქმედება დანარჩენ პლანეტებზე.  
„ვეფხისტყაოსნის“ სათანადო სტრუქტურების ამ  
თავლასრბისით შესწავლისა და განალორების  
საფუძვლზე გ. თევზაძე ასკენის, რომ მზე,

პოემის მიხედვით მნათობთა შორის უპირველეს-  
სია თავისი სიდიდით, სიკაშკაშით, სიბრწყინველ-  
თლის ენერჯის სიუხვით და მაგიური თვისე-  
ბებით. მზე პოემაში დახასიათებულია რო-  
გორც „მნათობთა უკეთესი“, „ღმის დასა-  
ბადი“. მზეში არის ის ძალა, რომელსაც ემორ-  
ნილებიან ციურნი „ერთი იოტის წახინად“:  
ამ ძალას აქვს უსაზრულო დიდ მანძილ-  
ზე (სამყაროს კიდემდე) გავრცელების უნა-  
რი, მისთვის დამახასიათებელია ნიადვ ურუვე-  
ტლავე ქმედობა; მზე მნათობთა მამაგრებელია  
ცაზე: „მოიმაღლებს მზე მნათობთა მამაგრობ-  
ლად“, მას აქვს მონადელობის ძალა „მზე მა-  
ბრუნებებს, არ გამოშვებს“ და სხვა და სხვა.  
შვის ძალის სიდიდე ბერად აღმეტება სხვა  
მნათობებში არსებულ ძალებს (ამიტომაც იგი  
აღიარებული რუსთაველის მიერ „შემძლესთა  
მძლეთა მძლედ“), თუმცა ავტორი საგანგებოდ  
განაზავს, რომ მზეში არსებული ძალა პოემის  
მიხედვით მარტო შვის თვისებას არ წარმოად-  
გენს — ყოველი ციურ სხეულში არსებობს შე-  
საბამისი სიდიდით ამგვარივე ძალა, რომლითაც  
ისინი მოქმედებენ ერთმანეთზე.

ავტორის მიერ პოემაში გამოვლენილი შვის  
ძალის ეს თვისებები წარმოადგენს დღეს უკვე  
საყოველთაოდ ცნობილ გრავიტაციული ძალის  
თვისებებს.

მესუთე წერილში შესწავლილია ზედა პლანე-  
ტების მოძრაობა, დახასიათებულია შვის ძალის  
გავლენა ამ პლანეტებზე და მათი მოძრაობის  
ბუნება. ჩამოთვლილი საკითხების შესწავლის  
შედეგად ავტორი დაასკენის, რომ ქვედა პლა-  
ნეტების მსგავსად, ზედა პლანეტებიც (მარსი,  
იუპიტერი და სატურნი) შვის გარშემო უნდა  
მოძრაობდნენ „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით.  
ეს დასკვნა ავტორს გამოაქვს ძირითადად შვის  
ძალის ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების საფუ-  
ძველზე. იგი დამაგრებლად არკვეს, რომ შვის  
ძალას არ ემორჩილება მხოლოდ დედამიწა და  
მთვარი. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით შვის  
ძალის მოქმედება, ავტორის თქმით, ვრცელდება  
ვარსკვლავებსა და პლანეტებზე. შვის ძალის გა-  
ვლენა ვარსკვლავებზე გამოისატება იმაში, რომ  
მზე მათ უნარჩუნებს ცაზე უძრავ მდგომარეო-  
ბას, რის შედეგადაც ცაზე მათი განლაგება  
უცვლელია და მარადიული.

როგორიღაა შვის „მძლეთა-მძლეობა“ და მისი  
გავლენა ზედა პლანეტებზე? ამაზე პირდაპირ  
მართლაც არაა მინიშნება პოემაში. მაგრამ რაკი  
ჩვენ ვიცით შვის ძალის უძლევლობა და მისი  
უსაზღვროდ გავრცელების უნარი სამყაროს  
კიდემდე, აქდან ავტორი ასკენის, რომ შვის ეს  
ძალა, გარდა ქვედა პლანეტებისა, უთუოდ ზე-  
და პლანეტებზედაც უნდა ვრცელდებოდეს. მა-  
შასადამე, ხუთივე პლანეტის ორბიტის ცენტრ-  
ში მზე იმყოფება და ეს პლანეტები წარული  
თანაბარი მოძრაობით ბრუნდენ მის გარშემო.



მეტყურისა და ვენერას მოძრაობა მზის გარშემო ჯერ კიდევ ანტიკური მსოფლიოსათვის იყო ცნობილი ე. წ. საერთო „ეგვიპტური სისტემის“ სახით (მაგრამ ამაზე ქვემოთ). ამ წარმოდგენების განვითარება და მისი გავრცელება ზედა პლანეტებზე ეკუსთვის რუსთაველს, რომელმაც ცნობილი ეგვიპტური სისტემისგან განსხვავებით ახსნა თვით მნათობთა მოძრაობის გამოწვევები მიწაზე. გ. თუქაძის შტრიხებით, რუსთაველმა მზეში არსებული ძალა მიიჩნია ამ მოძრაობის გამოწვევე მიზეზად. ამასია სწორად, მისი აზრით, რუსთაველის უდიდესი დაძაბურება.

მეექვსე წერილში დასახიათებელია მნათობთა დღე-ღამური მოძრაობა. ადრე ავტორი ეკვდივდა მნათობთა მოძრაობის პირველ სახეობას, მათ საკუთარ ანუ წლიურ მოძრაობას. ამ წერილში კი აღწერილია მათი დღე-ღამური მოძრაობა. მნათობთა ხილული დღე-ღამური მოძრაობა პოემის წარმოდგენილია არისტოტელეს მოძღვრების მიხედვით. არისტოტელეს სფეროთა თეორიის თანახმად, მათ ეკუთვნის პლანეტას განეკუთვნება საკუთარი ციური სფერო, რომლებიც ერთმანეთში კონტრასტულადაა ჩაღებულნი, ხოლო მათ ცენტრში უძრავადაა მოთავსებული დედამიწა. ცის სფეროები მოძრაობენ ამ უქრავი ცენტრის ანუ დედამიწის გარშემო. არისტოტელეს ამ თეორიამ უცუქლად იარსება თითქმის XVII საუკუნემდე.

რუსთაველმა პლანეტების საკუთარი მოძრაობის ეპიციკლური ხისტემის უარყოფით და მის ნაცვლად მზის გარშემო პლანეტების მოძრაობის აღიარებით (ამასთან სრულიად ახალი წესების შემოღებით) არისტოტელეს მიერ შექმნილი პლანეტათა დღე-ღამური მოძრაობის წარმოდგენა შეინარჩუნა და ამით ბტოლემეოსის გეოცენტრულ თვალსაზრისს დაუპირისპირდა. მაგრამ რუსთაველი აქ არ შეჩერებულა. იგი ბევრად გასცდა ბტოლემეოსის თვალსაზრისს. მზის ძალის თვისებების ჩამოთვლით და დასახიათებით რუსთაველმა ფაქტურად დაგვიხსიათა დღეს კარგად ცნობილი გრავიტაციული ძალის ფენიკსები.

თავი რომ მოუფუარათ დღნიშნულ წერილებში დაძაბულ და განხილულ საკითხებს, ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგები შეიძლება ერთ მთლიან დასკვნაში გავერთიანოთ: რუსთაველმა „უფესხიკყოსანში“ მოგვცა სამყაროს აგებულების ასალი კოსმოლოგიური მოდელი; მზის სისტემა შემოსაზღვრულია ვარსკვლავთა ცის სფეროთი, რომლის ცენტრში უძრავად დგას დედამიწა. მის ირგვლივ საკუთარ ორბიტალურ მოძრაობას მთვარის შემდეგ ასრულებს მზე, რომლის გარშემო თანაბარი სიჩქარით მოძრაობენ წრიულ ორბიტებზე პლანეტები დასახლებული რიგით. ამ მოდელში ნაგულისხმევა ორი ცენტრი: I — სამყაროს ცენტრში

დგას დედამიწა და II — პლანეტათა მოძრაობის ცენტრია მზე.

შიური სისტემის ამ მოდელს დღეს გეოქელიოცენტრული სისტემა ეწოდება.

ნიშანდობლივია, რომ ძველ მსოფლიოშივე ჩაეყარა საფუძველი სამყაროს აგებულების ისეთ სისტემას, რომელიც გეოცენტრულიდან ჰელიოცენტრული საკენ გარდასვლად საფუძვრს შექმნიდა კოსმოლოგიაში. ასეთი სისტემებს მართლაც შექმნა და არა ერთი. ერთ-ერთი მათგანის შექმნა მიეწერება ანტიკური სამყაროს უდიდეს წარმომადგენელ ჰერაკლიდ პონტოელს, რომელმაც შემდეგ პირობათადა იტვიპტური სისტემის“ სასილწოდება მიიღო, რადგან ფიქრობდნენ, რომ ჰერაკლიდ ამ მოძღვრებას ეგვიპტელებს დაესხსა. მერაკლიდეს მიხედვით, დედამიწა ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო, ხოლო მზე და მთვარე და ზედა პლანეტები — მის ირგვლივ; ქვედა პლანეტების ბრუნვის ცენტრია მზე. საბოლოოდ ისინიც, როგორც უჩის თანამზავრები, მოძრაობენ დედამიწის გარშემო.

მერაკლიდ პონტოელის ამ სისტემის გვერდით არსებობდა ე. წ. ეგვიპტური სისტემა, რომელსაც ჰერაკლიდეს მოძღვრებისგან ერთგობი მომენტი განასხვავებდა. ეგვიპტური კოსმოლოგიური მოდელის თანახმად, დედამიწა უძრავად იყო მოთავსებული სამყაროს ცენტრში (იგი არ ბრუნავდა საკუთარი ღერძის გარშემო).

აღსანიშნავია, რომ კოპერნიცი, ტიპო დე ბრაჰე, რემიერსი და სხვა ცნობილი ასტრონომები შეხანიშნავად იცნობდნენ ამ თეორიებს და დიდი გულბისუბნითაც ეკიდებოდნენ მათ სამყაროს აგებულების სხვათაი სისტემებისა და მოდელების შემოშაებების დროს. ასე მაგალითად, მერაკლიდეს სისტემა 2000 წლის შემდეგ აღორძინდა ტიპო დე ბრაჰეს მოძღვრებაში. ქვედა პლანეტების (მეტყური, ვენერა) მოძრაობა ტიპო დე ბრაჰემ განავრცო სხვა პლანეტების მოძრაობაზეც და გამოაცხადა, რომ მთვარე და მზე მოძრაობენ დედამიწის გარშემო, რომელიც უძრავად დგას სამყაროს ცენტრში, ხოლო დანარჩენი ხუთი პლანეტა კი — მზის გარშემო.

ამრიგად, ტიპო დე ბრაჰეს თეორია, რომელიც ასე საოცრად დემონსტრა რუსთაველის კოსმოლოგიურ წარმოდგენებს, შემოშაებულა მე-16 საუკუნეში იეგვიპტური სისტემის“ შემდგომი განვითარების შედეგად. ცის ამ უდიდესმა დამკვირვებელმა კოპერნიკის აღმოჩენის მიუხედავად მაინც ვერ ახსნა დედამიწის მოძრაობით გამოწვეული მოდენები, რის გამოც დაიხია უკან და საერთოდ უარყო დედამიწის მოძრაობის თეორია.

მანი აგვამავშილი  
რუსთაველის კოსმოლოგია



დღემიწის მზის გარშემო მოძრაობით გამოწვეული მოვლენების ახსნა ვერცერთმა მეცნიერმა ვერ მოახერხა (თვით კოპერნიკის ჩათვლითაც). ეს იყო ძველი მეცნიერებასთვის ვალუტრადი პარადიგმა, რამაც განაწილა არსებითად გეოცენტრული სისტემის შედგენის აუცილებლობა, ე. ი. დედამიწის მოძრაობის უარყოფაც. ამდენად, მისუნიდავად თავისი პროგრესულიობისა (რაც ძირითადად გამოხატება მოიხდოდა პტოლემეოსის სისტემასთან მიმართებით) ტიპო დე ბრაჰეს მოძღვრება მაინც უკანდაბეკა იყო კოპერნიკის გეოცენტრული თვალსაზრისითან დაკავშირებით. ამის ვერ ვიტყვით რუსთაველთან დაკავშირებით თუნდც იმიტომ, რომ კოპერნიკის აღმოჩენა რუსთაველის ეპოქიდან ოთხი საუკუნის შემდეგ მოხდა. ესეც რომ არა, რუსთაველი მაინც ვერ შეიძლება დედამიწის მზის გარშემო მოძრაობის დოქტრინას, რადგან ამ მოძრაობით გამოწვეული მოვლენების აღმოჩენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ და მხოლოდ ოპტიკური იარაღების საშუალებით მე-16 საუკუნის გარეობაში.

„რუსთაველის კოსმოლოგიაში“ დასმული პრობლემების შესწავლის შედეგად ავტორი სახსებთი დამატებებლად ცხადყოფს, რომ მე-12 საუკუნის ქართულ პოეტურ თხზულებაში, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ჩამოყალიბებულია მწუხრი და თანმიმდევრული ასტრონომიული სისტემა, რომელშიც ციური სამყაროს მოძრაობის ანტიბურ წარმოდგენებთან ერთად მოცემულია აგრეთვე მზის ძალის თვისებების დახასიათებაც. მზის ძალის ამ თვისებების დადგენა და კვლევა ციური მექანიკის უდიდესი და ურთულესი საკითხია, რომლის მეცნიერული გადაწყვეტა მხოლოდ მე-17 საუკუნეში გახდა შესაძლებელი მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონი.

გ. თევზაძის მიერ შემოთავაზებული ეს უმნიშვნელოვანესი დასკვნები ბუნებრივად ბადებენ კითხვას, სად უნდა ვეძებოთ რუსთაველის ასტრალური წარმოდგენების სათავეები, რა მათი წყარო, უნდა მივიჩნიოთ ისინი პოეტის ცაზე უშუალო დაკვირვების შედეგად, თუ განვიხილოთ როგორც იმდროინდელი საქართველოს ასტრონომიული მეცნიერების განვითარების მაღალი დონის პროდუქტად; სხვაგვარად, „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი ასტრალური სამყარო ჩავთვალოთ ამ უკანასკნელის გამოძახილად და ვიტიქროთ, რომ რუსთაველმა, დიდმა პოეტმა და მოაზროვნემ თავის პოემაში ასახა ობიექტურად არსებული ცოდნის სამყაროს აგებულების შესახებ და მოგვცა ისეთი კოსმოლოგიური მოდელი, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე გაბატონებული პტოლემეოსის გეოცენტრული სისტემა ძირფესვიანად შეარყია.

შევეცადოთ პირველის დასაბუთებას. რუსთაველი რომ თვითონ დიდად უნდა ყოფილიყო

განსწავლული ასტრონომიისა და ასტროლოგიის უმჯობესი, ამის საფუძველს, „ვეფხისტყაოსანში“ ვხვდებით და, ძილვცა საკუთრივ ის დავტოვოთ ცოდნა, რომელიც იმ დროს საყოველთაო სახილვს ატარებდა როგორც კაცობრიობის კონსტრუქციული მონაწილეთა. თავისთავად ცხადია, რომ შუა საუკუნეების მსატკავარ-მოაზროვნეთა შემოქმედებაში ეს ცოდნა სავსებით ბუნებრივად აისახებოდა. „ვეფხისტყაოსანში“ თვალსაჩინოდ ვლინდება რუსთაველის ბრწყინვალე ასტრონომიული განათლება, რომელსაც ეს ასე მარჯვედ იყენებს თავისი თვალგაიური კონცეფციის განაშლებლად. პოემაში ასტრონომიულ-ასტროლოგიური სურათები რუსთაველის რეალური და ფილოსოფიური შეხედულებებთან უშუალოდ კონტაქტში წარმოგვიდგება. ღრმა ფილოსოფიური, რელიგიური და ასტრალური-ასტროლოგიური განათლება რუსთაველს აძლევდა იმის საშუალებას, რომ საკუთარ პოეტურ ბრძანებში გამოეტარებინა კაცობრიობის მთელი არსებობის მანძილზე მოპოვებული ეს უზარმაზარი ცოდნა სამყაროს აგებულებისა და ვარსკვლავთების ცის შესახებ, კრატეულად მისდგომოდა მას და შეეშუაშებინა ახალი, პროგრესული თვალსაზრისი. რუსთაველი, ჩანს, კარგად იცნობდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის როგორც ძველ, ასევე მის თანადროულ ასტრონომიულ აზრს, იცნობდა ძველი და ახალი დროის ასტროლოგიებისა და პოეტების სხვადასხვა თეორიებსა და წარმოდგენებს ციური სამყაროს სტრუქტურის შესახებ. უფრო მეტიც, პოემიდან ისიც ჩანს, რომ რუსთაველს პირადად უნდა ეწარმოებინა უშუალო დაკვირვებები ცაზე, თავად შეესწავლა ციურ სტრუქტურა მოძრაობა, მათი თვისებები და ურთიერთდაკავშირება. ამის ნათელი დადასტურებაა ავთანდილის მიერ შვიდთა მნათობაში წარმოქმნილი ვედრება. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ შუა საუკუნეების აღმოსავლური პოეტების ისეთი წარმომადგენლები, როგორებიც არიან ნიზამი განჯელი და ომარ ხაიამი. ნიზამის „ხოთეულის“ თითოეული პოემის ამ თვალსაზრისით განცხადება ცხადყოფს, რომ მისი ავტორი ასტრონომიის უხალხო მკვლევარია. ბრწყინვალედ დაუფლებული თანამედროვე არაბულ ასტრონომიისა და ასტროლოგიას.

ნიზამის შემოქმედებაში ასახული ასტრალური სამყარო არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ პოეტის ასტრალური წარმოდგენები მისი ცოდნის მექანიკურ რეალიზაციად და ობიექტური შემხარბიტების პოეტურ სახეში გადატანის უბრალო ცდად მივიჩნიოთ. ილილი და შექნუნში აღწერილი „ღამის სურათი“ იმის მოწმობაა, რომ ამ სურათის შემოქმედი მარტოაღწე თეორიულად კი არ არის განსწავლული ასტრონომიაში, არამედ თავად არის ციური სტრუქტურის უშუალო შემსწავლელი და დამკვირვებელი.



სხვა საქმეა, რომ ეს დაკვირვებები ემთხვევა არაბული ასტრონომიის შუასაუკუნეობრივ ცოდნას და ვერ სცილდება იმ დროს საყოველთაოდ გაბატონებულ პტოლემეოსის გეოცენტრულ თვალსაზრისს.

ვაცილებით უფრო მეტი პროფესიონალიზმით ხასიათდება ოპარ ზაიაშის განსწავლულობა ამ დარგში. ზაიაშს სპეციალური ტრაქტატებიც კი ეკუთვნის მათემატიკაში, ფილოსოფიაში და ასტრონომიაში. მარტო მის მიერ შედგენილი მელიქშაძის კალენდარი იქმარება ამის საიდუმტრაციოდ. და მოუხდავად ამისა, ვერც ზაიაშისა და ვერც ნინოში განჭეღის პოეტურისა და ასტრონომიულმა ქმნილებებმა ვერ შეარყია პტოლემეოსის მოძღვრების საფუძველი (მათ ამ სისტემის კრტიკაც კი არ უცდიათ). ამ დროს რუსთაველი მის მიერ შემუშავებული მწერბრი ასტრონომიული სისტემით უპირისპირდება პტოლემეოსის მოძღვრებას, ახახუთებს მის მცდარობას, არღვევს მას და გააძლევს საქუყაროს აგებულების სრულად ახალ პროგრესულ კოსმოლოგიურ მოდელს გეო-ჰელიოცენტრული სისტემის სახით.

ზემოთ უკვე ვთქვამ, რომ რუსთაველს უფუოდ უნდა ხცნობოდა ანტიკური ხანის უძველესი თეორიები და შეხედულებები ცოურ სხეულისა მოძრაობისა და სამყაროს აგებულების შესახებ. როგორც ჩანს, ის განსაკუთრებით კარგად იცნობდა პითაგორას, ფილოლაოსის, პლატონის, არისტოტელეს, ჰერაკლიდუ პონტოელების და სხვათა მოძღვრებას. ძველთაგან მემკვიდრეობით მიღებული ცოდნიდან ცალკე გამოყოფის ღირსია ე. წ. იმეგისტური სისტემა, რომლის მიღებისა და განხარების შედეგად დაუპირისპირდა, ფეიქრობთ, რუსთაველი პტოლემეოსის გეოცენტრულ თვალსაზრისს. უფუოდ საკუთარი, პირადი დაკვირვების შედეგი უნდა ყოფილიყო მერკურისა და ვენერას შვის გარშემო ბრუნვის ეგეიპტური წარმოდგენის სისწორის დადგენა, შემდგომ ამ თვალსაზრისის გავრცობა ზედა პლანეტებზე და აქედან სრულყოფილი გეო-ჰელიოცენტრული სისტემის შემუშავება. სრულყოფილი იმიტომ, რომ მოყოლებული არისტოტელედან, ვიდრე მე-17 საუკუნემდე პლანეტების მოძრაობის მიწეში, როგორც ამას ზ. თევზაძე ამტკიცებს, რუსთაველის გარდა არავის აუხსნია.

რაც შეეხება თვით სისტემას, რუსთაველის ეპოქიდან ოთხი საუკუნის შემდეგ დანიელობა ასტრონომია ტიპო დე ბრაჰემ შემოგვთავაზა ზუსტად ამგვარი გეო-ჰელიოცენტრული სისტემა. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ თითოეულმა მოგანმა დამოუკიდებლად შეიმუშავა ეს სისტემები. ეპრომეორისაგან სესხების შესაძლებლობა გაორიგებულია, მაშასადამე, არსებობდა ხერეთო წყარო, რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლება ყოფილიყო და,

ფეიქრობთ, არის კიდეც. ე. წ. იმეგისტური სისტემა, რომელიც ერთხარად მისაწვდომი და ნაცნობი იყო როგორც მე-12 საუკუნის ქართველი პოეტისათვის, ასევე მე-16 საუკუნის დანიელი ასტრონომისათვის.

ჩვეულებრივ, როდესაც პოეტის (ან ნებისმიერი მოაზროვნის) მსოფლმხედველობას იკვლევნ, არასდროს არ წყვეტენ მათ შემოქმედებას იმ კულტურულ გარემოს და იმ ეპოქას, რომლის დეჰლი შეიღებინდნ ისინი არიან. რუსთაველის მსოფლმხედველობის შესწავლისასაც მის რელიგიურ, ფილოსოფიურ თუ სხვა შეხედულებებს ამ ფუნქციას, პირველ ყოვლისა, შესასუკუნებობრივ ქრისტიანულ აზროვნებაში ეძებენ. ახვეე იყო მოსალოდნელი ახლაც; მაგრამ, როგორც ცნობილია, ასტრონომია საოცრად თავისუფალი მეცნიერება მისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „კოსმოლოგიური“ ბუნების გამო, ასტრონომიისათვის ეწეროა ეროვნული და სარწმუნოებრივი (თუ ფალოსოფიური) ჩარჩოები. იმიტომ ამ შემთხვევაში არ შეიძლება მხოლოდ ქრისტიანული აზროვნების ბუნებითა და ხასიათით შემოფარგვლა. საქირო და აუცილებელიცა ამ საზღვრებიდან გახიჭება და ანტიკური ხანყაროს ასტრონომიული მეცნიერების ორბიტაზე გახვლა.

როგორი იყო საკუთრივ ქართული ასტრონომიული აზრი რუსთაველის ეპოქაში, რა ხასიათის ცოდნა უნდა არსებულებოდა ამ დროს საქართველოში, ამის შესახებ არც პირდაპირი და არც ირიბი ცნობები არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ მე-12 საუკუნეში საქართველოში ინტენსიურად იქმნებოდა და ითარგმნებოდა როგორც მხატვრული, რელიგიური, ახვეე ფალოსოფიური ხასიათის თხზულებები და რომ საზოგადოდ, ეს ეპოქა ხასიათდებოდა უდიდესი კულტურული აღმშლებით. ერთადერთი ძველი წმინდა ასტრონომიული ხასიათის იტტობა და შეიღება მნათობათაქს, მეცნიერება ვარაუდით, მე-12 საუკუნეში უნდა იყოს თარგმნილი არაბული ასტრონომიული ძეგლიდან. ნიშანდობლივია, რომ ამ ტრაქტატში გატარებულია იმ დროისათვის ოციციადური, ორთოლოქსალური თვალსაზრისი სამყაროს აგებულების შესახებ, სხეანარიად, პტოლემეოსის გეოცენტრული მოძღვრება. მეორე მხრივ, „გეოფიზიკალსაში“ ასახულ ასტრალურ ცოდნას თუ გავივადილსენებთ, ქართველებს უნდა ჰქონდეთ ამ ცოდნის შესაბამისი დიდი და მდიდარი ასტრონომიულ-ასტროლოგიური ლიტერატურა, თუნდაც თარგმნითი ხასიათისა, რომელშიც ყოველთვის როდი იქნებოდა გატარებული ხანყაროს აგებულებაზე იმდროისათვის ერთადერთი მისაღები და გაბატონებული თვალსაზრისი. ამის უტყუარი

გნაბა მამატაშვილი  
რუსთაველის კონსოლოგია

საბუთი თვით რუსთაველის პოემა და მასში ვა-  
დმოცემული ასტრალური შეხედულებები.

„რუსთაველის კოსმოლოგიის“ ავტორმა და-  
გვანამა, რომ ახალი კოსმოლოგიური მოდელების  
შემუშავებით გენიალურმა ქართველმა პოეტმა  
არსებითად დაარღვია სამყაროზე ძველი თვალ-  
საზრისი, ქვეყნიერებაზე ერთხელ და სამუდა-  
მოდ დადგინილი დეტალები, ბიბლიურია წარ-  
მოდგენები, რაც რაღა თქმა უნდა, ხავსებით სა-  
კმარისი შეიძლება გამხდარიყო იმისათვის, რომ  
ქრისტიანულ სამყაროში ამ წარმოდგენების ვა-  
მზიარებელი დიდი ქრისტიანი პოეტიც კი ერე-  
ტიკოსად მოეხთათ. თავისთავად უკვე ესეც  
გაფიქრებინებს, რომ საქართველოში რუსთა-  
ველის დროს უნდა არსებულიყო სათანადო  
ასტრონომიული ცოდნა, რომლითაც შეიარაღე-  
ბული მკითხველი გაერკვეოდა „ვეფხისტყაოს-  
ნის ერესში“. რუსთაველის „ერესი“ რომ გამო-  
აშვარავებულიყო, ცხადია, პოემის ქართველ  
მკითხველ საზოგადოებას უნდა ბქონოდა სათა-  
ნადო ასტრონომიული ცოდნა და მომზადე-  
ბა, რათა რუსთაველის პოეტურ სახეებში ამოეკით-  
ხა გამბატონებული ასტრონომიული თვალსაზრი-  
სის ხაწინააღმდეგო აზრები და წარმოდგენები,  
რომ მკითხველს შეეგნო „ვეფხისტყაოსანში“  
ხშირად შეუარვით და აღდგორიულად გამოთ-  
ქმული აზრებისათვის, გაეხსნა ეს პოეტური  
სახეები და შემდეგ გამოეტანა თავისი მსჯავრა.  
რაკი მსჯავრა გამოიტანეს, მასხანადამე, რუსთა-  
ველს მყოლია ღირსეული მკითხველი საზოგა-  
დოება, რომელსაც არ გამოეპარა „ვეფხისტყა-  
ოსნის“ ასტრალის ქვეშეარტი არსი. ვფიქრობთ,  
ყველაფერ შემოთქმულთან ერთად, წერილების  
ავტორის დიდი დამხმარება ამის ჩვენებაცაა.

დაბოლოს, გვინდა შევეხოთ ერთ საკითხსაც,

რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა და მისი  
შინაარსის სწორად გაგებასა და ამოკითხვას  
უკავშირდება. შესაძლოა, პოემის ტექსტის ამა  
თუ იმ ადგილის ავტორისეული სწორი ასტრო-  
ნომიული ინტერპრეტაცია რომელიმე სკეპტიკ-  
ოსმა მკითხველმა საეველდ მიიჩნიოს მხოლოდ  
იმის გამო, რომ დღესდღეობით „ვეფხისტყაო-  
სნის“ მეცნიერული, აკადემიურად დადგინილი  
ტექსტი არ არსებობს და იგი დადგენის პროცე-  
სშია მხოლოდ. რაკი ჩვენ არ მოგვეპოვება პო-  
ეტის ხელიდან გამოსული ტექსტი, ასეთი ეჭვი  
თეორიულად საფუძველს მოკლებული არაა.  
მაგრამ ამრიორი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ  
ჩვენამდე ყველაზე შეურყენელი სახით უნდა  
მოეღწიათ, ჩვენის ფიქრით, „ვეფხისტყაოსნის“  
სწორედ იმ სტროფებსა თუ სტრიქონებს, რომ-  
ლებიც თავისი ხასიათით ასტრალური შინაარ-  
სისანი არიან. პოემის ტექსტის გადამწმუნხავების  
თუ ინტერპოლატორების ასტრონომიული ცოდ-  
ნის უქმარობით, აღბათ, უნდა გამოირიცხოს მათი  
ენერგიული ჩარევა პოემის ტექსტში (ყო-  
ველ შემთხვევაში, ამ რიგის სტროფებში ეს  
ჩარევა უფრო ნაკლებაა მოსალოდნელი. თვით  
ინტერპოლაციის ხასიათიც ზოგადად ამაზე მო-  
გვანიშნებს). თუ ეს ასეა, მაშინ ასტრალური ში-  
ნაარსის შემცველი სტრიქონების ხასით ჩვენ  
ხელთ გვაქვს ყველაზე სანდო და ძველი ტექს-  
ტი. აღბათ, ამიტომაა, რომ „რუსთაველის კოს-  
მოლოგიის“ ავტორიც ასეთი ნდობით ეკიდება  
პოემის ასტრალური შინაარსის გამომხატველ  
კონტექსტებს. თავის მხრივ, მათი ასტრალური  
შინაარსის გახსნით ავტორი უეჭველს ხდის ამ  
სტრიქონების უტყუარობას და უფრო მკვიდ-  
რად მიუჩენს მათ ადგილს „ვეფხისტყაოსნის“  
ტექსტში.



### მკრიკა ოქელი

## გალაკტიონის ორი ლექსის ისტორიისათვის

თოვლი იყო ირიბი, აღმაცერი,  
 დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება.  
 ელვარებს ღუმელი. ვფიქრობ, საცაა  
 ცეცხლიც ჩამიქრება.  
 გაიღო ფანჯარა: თოვლი იყო ირიბი,  
 აღმაცერი.  
 იფანტება თეთრი ფიქრები, იფერფლება  
 ხელნაწერი...  
 ნუ ჩამიქრები... და იქაც, შიგნით, სულში...  
 თოვლი იყო ირიბი, აღმაცერი.

ღამეა, საცაა სანთელი ჩამიქრება.  
 ოცნება წარსულზე და ღვინის ფარები,  
 საცაა სანთელი ისევ ჩამიქრება.  
 უცერად გრეგალია დაალო კარები  
 და ბინა პოეტის გაღივდა ქვითინად,  
 ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ,  
 ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ.  
 შე თელთლი ვერხვლი ზამბახის პრინცესას,  
 მწყურთლია ცისფერი ვარდები.

წმირად გალაკტიონ ტაბიძე 1925 წელს. გალაკტიონს რთული ასოციაციური წარმოსახვები ახასიათებს. მართალია, ეს წარმოსახვები თითქმის ყოველთვის რომელიმე რეალური ფაქტიდან ან სურათიდან გამომდინარეობენ, მაგრამ მათი ემოციურ-მხატვრული კავშირები შორს სცილდებიან ფაქტის ვიწრო ჩარჩოებს. ისინი აღძრავენ თავისებურ ემოციურ თუ სულიერ მდგლვარებას. ამ შემთხვევაში პოეტი ცნობილი ინგლისელი მწერლის ჩარლზ დიკენსის ნაწარმოების მხატვრული ატმოსფეროს გასხვინებით იწვევს ფრიად განსხვავებულ სულიერ განწყობილებას. გალაკტიონის ლექსი მოგვაგონებს დიკენსის სურათებს:

ინგლისური ზამთრის სუსხიანი ღამე... თავის ბედზე მწარედ ჩაფიქრებული ჭონ პირიბინგლი აგიგოვებულ ბუხარს მისჯდომია. ბუსრიდან გამოდის ფერია — პრივიზობელა. იგი ახსენებს ჭონს წარსულ ბედნიერ დღეებს და ცდილობს გაუქარწყლოს მის ნადევლა.

ეს აბარა ეპიზოდი დიკენსის ერთ-ერთი საშობაო მოთხრობიდან. დიკენსის გმირისათვის უჩვეულო არ არის საკუთარ თავთან განმარტობა და ცეცხლთან ჩაფიქრება. ამ სურათს, ჩანს, ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია გალაკტიონს ტაბიძემ. 1927 შექმნილ ლექსში იგი კვლავ უბრუნდება დიკენსს:

ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ  
 ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ  
 დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება.

აქ პოეტი რთულ ემოციურ კავშირებს აღძრავს.

„შარლ დიკენსი ყოველდღე რამდენიმე საათით კარჩაკეტილ ოთახში იმყოფებოდა და იხე სწერდა თავის რომანებს“ — ვკითხულობთ ფურნალ „მოამბის“ (1905 № 1) ფურცლებზე, რუბრიკაში „მწერალთა უცნაურობანი“.

აღბოთ, თავდაც უფვარდა დიკენსს ცეცხლთან განმარტობა. იქნებ იმ კარჩაკეტილ ოთახში, სწორედ ბუხართან ჩაფიქრებული ხატავდა იგი თავის გმირებს, იქნებ სწორედ ამიტომაცაა მის მიერ აღწერილი „ცეცხლთან ჩაფიქრება“ ამდენად შთამბეჭდავი და მეტყველი.

„არ ვიცი რის გამო, შეიძლება იმიტომ, რომ თითქმის მთელი ღამე, გათენებამდის ვკითხულობდი დიკენსის „დიდ მიდებს“, გამოშედვიდა გვიან, მზე კარგა მანძილზე იყო დაშორებული ჩვენი სახლის აღმოსავლეთით მწყობრად ჩამწყრივებულ ალვის ბეებს, შვე მთელი თავისი ახალი და დიდი ელვარებით, პირდაპირ ჩემს ფანჯარაზე მომდგარიყო. არასდროს არ დამაინიწყებდა მისი იმდევანდელი შუქი: რალაც აუწერელმა სიხარულმა ამიტაცა და მთელ სხეულში ფრუანტელად დამიარა და ისიც ასე უმიზეზოდ, ასე უფცრად, ასე მოულოდნელად, ანგარიშწინაუცემლად მივვარდი ფანჯარას, საიდანაც მზის შუქი შემოდისოდა და დავუწყე კოცნა ფანჯრის მიწებს, თითქოს გონებადაკარგული ვყოყნიდი დიდხანს მზის შუქს.“

— შეილო, შეილო, შეილო! — მომხმბა გაცივებული დედის მხა, — ვადაირიე შეილო?

მე შევკრიბი. იმ წუთშივე უდიდესი სიხარული უფრო დიდი ღაუბსდენის გრძნობად შემეცვალა.

ან რატომ ვერ ვაღივებ, რომ ოთახში დედა შემოსულიყო, კარები ზომ უხმანუროდ ახასხაროს არ იღებდა...

ვიღებო დედის წაშ, როგორც უდიდეს დანაშაულობის ჩადენაზე წასწრებულს. დიდხანს თავი მადლა ვერ ამეღო. წელს, ცალი ხელით ნიკაპზე, მეორეთი ეფლავზე დადებული ხელით, ვიგრძენი როგორ მიწევდა უკან თავს დედაზემი, სურდა ჩემს თავლებში ჩაეხედნა.

— შემოხმებდე გატუნა, შეილო, რა მოგვივიდა? — აღერხიანად მერუნებოდა დედა, მაგრამ მე ხმას არ ვიღებდი. რა უნდა მეთქვა? ვანა შეიძლებოდა ხიტყვებით იმის გამოთქმა, რასაც განიცდიდი და რის გამოხატაც სრულიად არ შემეძლო? — რა? — ბოლოს ძლივსა ვთქვი.

— „დიდი იმედება“...

— რაო, რას ამბობ, შეილო!

— „დიდა იმედება“, დედა. „დიდი იმედება“. დედას იმ წამშივე გული შეუწყუნდა. მეკრღვე მიიღო ზელი და ტახტს მიეხვეწა. ასე ემართებოდა ყოველთვის, როდესაც რაიმეს მძლავ-

რად განიცდიდა. „გული შეუწყუნდა, მარტო მე ვარ“, — გავიფიქრე. გავხედე ფანჯარას შიგნით. შუკი ცხლა აღარ მერჩენა ისე მიმზიდველად.

გაცდა ჩვენს ფანჯარას ის მზის შუქიც...  
ვინ იცის დაბრუნდება ისევ თუ არა.  
! იმედი...  
1929 წელი.“

ეს ჩანაწერი გალაკტიონ ტაბიძის დღიურების № 11-ის ბლოკნოტშია მოთავსებული. მისი სათაურია „დიდი იმედები“.

ამ ჩანაწერიდან ნათელი ხდება, თუ რა რიგ განსწავლვებია აოტეს მოულოდნელად თავს წამომდგარი დედის წინაშე სიტყვით გამოხატა დიკნის „დიდი იმედების“ წაკითხვით გამოწვეული უზრუნველო სულიერი განცდა.

ზემოხსენებული ორი ლექსისა და დღიურის ჩანაწერის საფუძველზე, ცხადი ხდება, რომ გალაკტიონ ტაბიძე განაზოგადა დიდი ინგლისელი მწერლის რეალისტური მოღუსი.

ამ ორი შემოქმედის ერთგვარი სულიერი ნათესაობის დადგენა კიდევ უფრო გვაახლოვებს ნათთან..



# ლემკარა ნაკრუშვილი

## ფერადი პედი

პოეტის პირველი წიგნი პირველი განდობილი საუბარია ახალგაზრდა შემოქმედისა მოყვასთან, მთელ ქვეყანასთან და საქუთარ თავთანაც.

მე უბრალო ვარ, უბრალო როგორც შარავნის კენჭი, რომელიც ერთხელ დაჰკარგა ზვირთში და მერე მზის ქვეშ დაგდებულმა ისწავლა ფიქრი.

წრფელი, ხადა და უპრეტენზიოა პოეტი ქალის განაცხადი: მზის ქვეშ დაგდებული შარავნის კენჭი... მაგრამ ამ კენჭმა ფიქრი ისწავლა, შარავნა კი, რომელზედაც ეს კენჭი ეგდო, ალბათ ქართლის რომელიღაც სოფელზე გადიოდა, ქართული ზეცა დაჰსურებდა და ქართული მზე სწევდა. ამ პოეზიის უპირველესი ნიშანი მისი წმინდა ქართული ხასიათია. მკვეთრად ქართულია ის რეალური სამყარო, ყოფა, ბუნება, ფერი, განწყობილება, რომელსაც პოეტი გასაოცარი სიწრფელითა და უბრალოებით ხატავს. „ქვეშეცნობითაც იგრძნობა აქ ქართული სული“. პოეტი ქალის წარმოდგენები სიკეთესა და სიყვარულზე, სიცოცხლეზე, მისი დამოკიდებულება სამყაროსა და მოვლენების მიმართ ქართული ტრადიციის, კულტურის და აზროვნების სიღრმეიდან მოდის.

ნაილი ნეკერიშვილს ეს თვითონაც აქვს გაცნობიერებული. თავმჯავებული სიამაყით ეღერს სტრიქონებს:

მე უბრალო ვარ და ასწლოვან მუხის ულორტივით სითამამეს მამღვეს ჩემი წარმომავლობა.

სამყარო, სიკეთისა და სიყვარულის ძარზე დამკვიდრებული, უბრალოდ იშლება ფერადი ველივით, მშვიდი და უხაზუგრო, უფვი და ხადა, ხადაც ყველაფერს თავისი ადგილი აქვს და ერთნაირად მნიშვნელოვანია სიყვარულისა და სიკეთის ძალით. სიყვარული და სიკეთე აქ

ფეთქავს, ყველაგანაა, ყოველ საგანში, ფოთოლსა და ღეროში, მას უშუალოდ გრძნობთ, ქართველი კაცის ურყევი რწმენა სიკეთისა და სიცოცხლისა ამ პოეზიაში კიდევ ერთხელ წარმოჩნდა მთელი თავისი სიძლიერით და უბრალოებით.

მე ჩემს არტურზე გავიზარდე, აკვნის სიმღერა მქონდა საყუთარი. მე ჩემს ფერად ქვეშ ნატვრით ვლოკავდი და ლეკვრით მიშინებდნენ აკვნისა ქარებს, საით წავიდა არტურ თეთრი? მტრედის ფრთით წავიდა მსუბუქი გვირა, არტურ ბებერი კეთილი სული გზაზე გაწვა და სანთლებად იქცა.

სიკეთე, აკვნითან დარწმული, მერე ცხოვრების გზაზე გაწევა და სანთლებად იქცევა. ასეთ გზაზე აღამიანი იმედიახად შიამიკებს. სიყვარულით, ხალაღით, მზის წყნარი სიცილით, სინაზით გამთბარია ეს პოეზია და არასოდეს არ სწყუდება გრილ ფესვებს:

მომაქვს სიცილით სავსე უბე და დიდი ტვირთი, მწიფე მტევნები, ლხინის პური და ლოცვის ცეცხლი, ვარ ძველი ჩანგი, ტირიფონზე გათლილი სტვირი, და რაგინდა რა ნატვრის ცრემლის ჩუმი სიმწარე განახლებულა გაზაფხულის თბილი წვიმებით ჩემი წითელი საყარანგე და სიყმწვილე.

სიცილი და ტვირთი, რაგინდა რა ნატვრის ცრემლის ჩუმი სიმწარე, ლხინის პური... სიმსუბუქე, ახალგაზრდული უსრუწველობა, მქი-

დროდა გადახლართული დიდი ტვირთის წიღვისთან. სწორედ ეს ორივე, გრილ ფესვებთან, სიცოცხლის, ცხოვრების ძირითად პრობლემებთან ახლოს ყოფნა და ახალგაზრდული სილაღე ერთად და ერთდროულადაც მისი პოეზიის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს.

თანამედროვე ლირიკის წარმომადგენელია რეფლექსიის გარეშე. მაგრამ აქ რეფლექსია ემოციასთან, უშუალოდთან ძალდაუტანებელ, რადიკალურად ლად წონასწორობაშია, ახალგაზრდული სილაღე და სიღრმე აზრისა ერთმანეთის გვერდით თავისუფლად და ძალდაუტანებლად გრძნობენ თავს:

მე ფოთოლს ვგავარ, რომელიც ტოტზე უჭრუნველ ღბინში უცინის სიბოზს  
.....

მე ფოთოლს ვგავარ, რომელიც უცებ შეწყვედებდა და იგრძნობს სიმძიმეს უხარმზარი შარადი ტანის და ერთ წუთს სული გაეყინება გაურკვეველი სიმდიდრის შიშით, მერე კი ისევ გააგრძელებს თავის სიმღერას.

ეს ორივე მხარე ბოლომდე გასდევს ამ ბედისგულისხმებულ წიგნს და მას სიღრმესა და თავისებურ სილამაზეს ანიჭებს.

ეს ლექსები ქალის დაწერილი რომ არის, ყოველ ლექსსა და სტრიქონში იგრძნობთ. ქართველი ქალის კდემით და მოწიწებით, თავდახრილი სიყვარულითაა განათებული აქ ყველაფერი. იგი როგორც პოეტი ნაილი ნეკერიშვილი არავის არ შავს.

ამ წიგნს განუმეორებელი სურნელოვით დაჰყვება თავისებური ინტონაცია, რომელიც სიყვარულითაა განათებული და „ათასფერად იცლებდა შექვი“, ზოგჯერ დიმილით, ზოგჯერ ჩუმი ნაღველით ხავს.

ისე უბრალოდ ჩაგვიღის წყენა, როგორც ფოთლებს ზაფხულის თქემი და ზღაპრული ქურქელივით არ გაკლებდა სიყვარულის არც ერთი წვეთი, ბერლები ასე თავგადაჯდული, დიდ სოფელში, ათას ხალხში, ათას საქმეში და ჩუმი ცრემლით აღბობ შენი არსების ჩეროს.

დღისხალხი მიძღვნილ ლექსებს შორის, ეს ლექსი აღბობ, ერთ-ერთი უღამაზესია. ჩუმი სათნოება, სულგრძელობა, კდემია, რადიკალური უთქმელი, ყოველისმძღველი სიყვარული, ქართველ ქალს რომ ოდით გამოარჩევდა, აქ ხალხური უბრალოებითა და სიმართლითაა გაღმოცემული. არც ერთი ხმაბალაი სიტყვა, ზეა-

წული პოეტური სახე. რიტმის მაგიურ ძალას დახსნილი ყური აქ უნებურად უფრო ფაქიზ ინტონაციაზე ამახვილებს სმენებს. ბუნებრივ ენას მიახლოებული მთელი ამ ლექსის ელერადობა უბრალო და სადაა, სიღრმიდან წამოსული სითბოთი და მოწიწებით გამთბარი. ნაილი ნეკერიშვილის პოეზიის თვითმყოფადობას და თავისებურებას აქ თავისუფალი ლექსის ფორმამაც დიდად შეუწყობ ხელს.

ერთი მხრივ, ქართული პოეზიის ტრადიციები, ქართულ წარმოდგენათა სამყარო და, მეორე მხრივ, ქართული ლექსისთვის რამდენადმე უცხო, თავისუფალი ლექსის ფორმა აქ ერთმანეთს შეეწყობ და ძალიანაც მოიგო. თავისუფალი, ლაღად სუნთქავს აქ ყოველი სტრიქონი. პოეტი ქალის სისადავითა და შინაგანი სიმართლით განათებული პოეტური სამყარო ბუნებრივად, ძალდაუტანებლად წარმოჩნდება.

პოეტმა განსულ ჩარკვიანმა ამ პოეზიას „ავარელი“ უწოდა. ნაილი ნეკერიშვილის კალამი მართლაც მაშინაა ყველაზე ძლიერი, როცა ბუნებას, რეალურ სავანთა სამყაროს ხატავს. ჩვეულებრივი უბრალო სავანები აქ თავისი ყოველდღიური, უმნიშვნელო სილამაზით ბრწყინავენ და მთლიანობაში სურათს გასაოცარ პოეტურობას და სიმატოლეს სძენენ. პოეტ ქალს უყვარს სავანის ხატვა მისი ყველაზე უბრალო, გამოურჩეველი, სადა ნიშნით, მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ თვითონ ამ სავანისა თუ ბუნების ხატვა არ არის მისთვის მთავარი, მთავარია ამ სურათში გაცხადებული სიყვარული, სიკეთე... და ა. შ. ამიტომ რეალური სინამდვილე სრულიად სხვა ელფერს იძენს მის ლექსებში.

მოკიდებით პე ნაყულ ქვევრებს და საღვეგრძელოს აღარ სვამენ ბუბრის პირას დროული ხალხი და ამ მარანშიც, საწნახელთან აღარ ისმის პაპის ბუბუნე, — ხმაბალაი ოცნება კაცის. დაიკლია კიდევ ერთი თასი სიცოცხლისა და დამსხვრეულია. უქმად კიდია დედაბოძე ორშიში და წითელი კვახი.

პოეტს ამ სურათის დასახატავად სულ რამდენიმე ეპითეტი გამოუყენებია: „ნაყული ქვევრი“, „დროული ხალხი“, „წითელი კვახი“, რომლებიც სავანის ჩვეულებრივ, რეალურ თვისებას ახასიათებს. ამიტომაც გამოირჩევიან ისინი უდიდესი სისადავით, სიმართლითა და სიწრფელით, ქართული კოლორიტით. და მხოლოდ —

აღარ ისმის პაპის ბუბუნე, ხმაბალაი ოცნება კაცის.

ზღუდნი ხმამაღალ ოცნებასთანაა გატოლებული. წარმავლობაზე, წასულ ადამიანზე მოგონებებით, გულისხკივილით და სიუჟარულითაა აღბეჭდილი ეს სურათი, სადაღაც ამ ადამიანსაც ვხედავთ, გამრჩე გღრეხავს.

ნაილი ნეკერიშვილის პოეტური სურათის შინაგანი სტრუქტურა რეალური სამყაროსა და აბსტრაქტულის თავისებური შერწყმის შედეგია. პოეტური ზეჩხებიდან ყველაზე ხშირად ცითიტსა და შედარებას მიმართავს.

მიძღარი ძროხა სავსე ცურით და ზანტი ცონით

მოჰყვება შარას და გზაზე მხედება,  
როგორც სული ამ შემოდგომის,  
ფერღებავსილი და ზაფხულის თავიარა  
მზისგან ბალანდამწვარი.

ძროხა აქ თავისი ყველაზე ჩვეულებრივი თვისებებითაა დახატული ეპითეტებში „მიძღარი“, „სავსე ცურით“, „ზანტი ცონით“. მაგრამ ამავი დროს ყველა ეს თვისება მინც გარკვეულ მიმართულებას ამუღვენებს, ერთგვარი შემზადებაა:

მოჰყვება შარას და გზაზე მხედება  
როგორც სული ამ შემოდგომის.

პოეტური სახის თვალსაწიერი ერთბაშად გაფართოვდა; განზე გაიწია. ბარაქიანი, სავსე, მიძღარი ქართული შემოდგომა შემოგანათებს თავისი ფერებითა და სურნელით, განწყობილებით, რომელსაც მკითხველის ფანტაზია ნანახსა და განცდილს შეურჩევს. ლექსს „შემოდგომის სურათი“ ჰქვია. პოეტის უპირველესი განზრახვა სწორედ შემოდგომის ხატვია თავისი ბარაქიანობით, სწორედ სოფელი წარმოგადგებათ თვალწინ. საერთოდაც ამ პოეზიაში ქალაქს ნაყლებად იგრძნობთ. მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს პოეტურ სახეს; აბსტრაქტულ „შემოდგომის სულთან“ შედარებამ იგი ზოგადობისაკენ განდრია და ერთგვარად გასასაუხსარადლოდ შეიძლება აქ მკითხველის ფანტაზია ჩაერთოს, თითქოს გვიხიბვებს კიდევ ამისკენ. პოეტი სურათს კონკრეტულ სამყაროში ასრულებს, კვლავ ძროხას უბრუნდება:

ფერღებავსილი და ზაფხულის თავიარა  
მზისგან ბალანდამწვარი.

და ამით მას მტკიცე კონტურებს სძენს.

პოეტის ხატვის მანერაში ზოგჯერ შეკვთილი თანამედროვე თვალის მოჩანს:

გატყდა ლარნაკი, ჩიშალა ნახტი  
ბროლის,  
გათფსკენა ნავსი, ცხელი ამბები  
გაოცივეს შიშის ქარებში,  
ნაძილაღევი ღმილის ხანაა ჯაღაურა  
მასპინძელს ტურზე —  
რაც მოხდა, მოხდა...

სხარტი, ლაკონური, ძუნწი შტრიხებითაა დახატული მთელი სიტუაცია. მასპინძელს ღმილში კი არა, ღმილის ხანაა ჯაღაურა და მინც მთელი სიმძიმით იგრძნობთ ამ უეცარ, მძაფრ ემოციას, რომელიც ანაზად ლარნაკის გატეხვამ გამოიწვია და გარეგნულად მაშინვე მოითოჯა. პოეტის დამოკიდებულებას აქ რბილი, შეფარული იუმორით სავსე ინტონაცია გვიჩვენებს.

სიტყვის გაცვეთის პრობლემა ქართულ პოეზიაში არ დგას მწვავედ. შეიძლება იმიტომაც, რომ რეულექსიურობამ ჯერ ვერ დაკაბნა ლექსის უშუალოდ და ემოციურობა. მაგრამ ზოგ სიტყვას ნამდვილად სჭობს მოვერდილოთ ან სხვა კუთხით შემოვებრუნოთ.

სიტყვაც თვალგში  
უნდა ჩასდო უსაბეტაქისი  
შენ შენი სულის სამოსელი  
ზღაპარი შენი.

ა ნ დ ა :

ემსგავსებთან უსათუთეს  
აპრილის ზღაპრებს.

განაზული სიტყვები აქ ვეღარ ასრულებენ თავის პოეტურ ფუნქციას, ისინი ან ვიღაცას გვაგონებენ, ან უბრალოდ გვაღიზიანებენ, რაკი მსგავს ემოციურ თუ აზრობრივ კონტექსტში მრავლად შეგვხვედრია ქართულ პოეზიაში. მით უმეტეს ხედება იგი თვალს ამ პატარა, მაგრამ დიდი პოეზიის შუქით განათებულ წიგნში, სადაც ყოველი ლექსი საჩუქარია, სადაც ყოველი ლექსი ადრია განაფხულზე ახლადთვალგანდელი იის ფერებითა და სურნელით, იღუშალებით შემოგანათებთ. ქართულ პოეზიაში ნამდვილი პოეტი მოვიდა. არის იმედი, თითქმის რწმენა იმისა, რომ მას ვერ აცოტუნებს ყველა ცდუნებათა შორის უფარგონი — იოლი გზა.



## ტკბუ მებურთვილი

# „ს ი რ უ მ ე“

მს-მბბბ დაებრუნდი ხასიამოვნო მოგზაურობიდან. მოვიწახუღე და ინტერესით ვაკვირდებოდი არჩილ სულაკაურის პოეტური ქვეყნის ერთ პატარა კუთხეს („სიჩუმე“). მარადიული მახასიათებელი (ხამწობლო, წუთისოფლის ჩრდილი და წვარე, ჭირი და ლხინი, ბორგნეული აღმამიანური ვნებები, იმედი და უიმედობა, რწმენა და სკეპსიზი) აშენებულ ამ პოეტურ ნაგებობების უმრავლესობას ოფით მოიკრებიტ თვალიც ვერ აართმევს წუნს, რამეთუ მათ ჰერმეტიკი ოსტატის ხელი ატყვიათ. ამ ლექსებს, მართალი აღამიანური სედა ასაზრდოებთ და, რაც ესოდენ სახულისხმო და ნიშანდობლივია, ამ ნაწარმოებებს ოდნევეც არ აინეცია „დიდი შრომის“ და „კეთების“ კვალი — მათ ავტორს რომ დაუბარჩავს და რასაც გულისხმობს უველა ჰერმეტიკი ნაწარმოები, ერთი ამოსუნთქვით დაწერა რომ ჰგავს. ლიტერატურაში გარკვეულ მკითხველს არ უჭირს იმ გაფისა და პასუხისმგებლობის დანახვა, რითაც ჰერმეტიკის ესა თუ ის ნაწარმოები დაწერა, იგი გრძნობს: რა გარჯის ფასად მოიპოვა მან თითოეული ლექსი, ესა თუ ის სტრიქონი.

იმ ტკბილ, ხასიამოვნო ტანჯვის წუთებშიც ჰერმეტიკის ნამდვილი ომის გადახდა უწევს იოლად, უტკივილად დახადებულ უამრავ მაცდუნებელ, ერთი შეხედვით თითქოს საქირო ფრანსთან, მათი მოგვრეება ადვილი სრულიადე არაა, ისინი საოცარი სიჭიქული ცდილობენ ნაწარმოების ბუნებრივ სხეულში შეჭრას და პოეტის გემოვნებაც სწორედ მახინაა საჭირო, რომ ამ ენერგიულმა და ჭიჭიტმა სტრიქონებმა თავისი არ გაიტანონ. აი სწორედ ასეთი ღვატებრივი შრომით შექმნილ ხალას, ნათელი ინტელექტუალურ-ემოციური ნაყოფი დარწმუნებულ ნაწარმოებად მიმართა არჩილ სულაკაურის „წიქარა“. მომკვებს ნაწყვეტი ამ ლექსიდან.

ქარი დერის საღამური,  
ღრომ ნებებრად იქარაენ,

დამეკარგა საღამური,  
სად მომხანოს წიქარაში,  
იქ ვარ,  
სადაც ის არ მეძებს,  
სადაც მეძებს, იქ არა ვარ.

არც სურვილი მქვებს და ჩემს მოწინააღმდეგეებს ამ რეცენზიაში რითმინი ლექსებისა და ვერლიბრის ავტორის გარკვევა, რამელი რომელს რითა ხგობს, იმისი დადგენა, მაგრამ ჩემთვის დღესავით ნათელია, რომ „წიქარა“ მხოლოდ და მხოლოდ რითმის ოქროს „ბორკილებით“ უნდა შექმნილიყო, რადგან ამ „ბორკილებით“ წყარუნი გადამდებ, ნადვლიან განწყობილებას და ზღაპრულ-სიხმრულ ასოციაციებს ბადებს. მაგრამ ასევე დღესავით ნათელია ჩემთვის, რომ უსათურო ლექსი („მთელი დღე ვფიქრობ“) უსათუროდ ვერლიბრის ფორმით უნდა დაწერილიყო, რადგან მისი შინაარსი ამ მეტრში უფრო ლაღად და თავისუფლად სუნთქავს. ხანამ ამ ნაწარმოებიდან ციტატას მოვიტანდე. შინდა დავხმინო, რომ აქ ფორმისა და შინაარსის სასურველი თანხვედრის გარდა, საგულისხმო პოეტის უწალო, ერთი შეხედვით გაუცნობიერებელი მუშანინში, რაც მხოლოდ ნახევარტონშია გაცხადებული: „მთელი დღე ვფიქრობ: რა მისარია, რატომ დარ ასე ვმეყოლი, მშვიდი, კეთილი? ეს დღე არაკრით განსხვავდება გულისხმულ დღისგან. დღესაც ისეთი დასუთული და ცხელი დღეა, რომ სუნთქვა მიჭირს, მეზარება ხელის განძრევა... გვიან ხალაშოს, როცა უკვე შინ ვბრუნდებოდი, მე გამახსენდა: დღითი უნაბე ბედნაერი ბატარა გოგო, მალაზიის წინ როგორც წერო, ცალ ფეხზე იდგა და მამა ფრთხილად აზომებდა წითელ ფეხსაცმელს“.

აქ ორივე სურათი (პოეტის სულიერ განწყობილებისა და მალაზიის წინ წეროსავით ცალ ფეხზე მდგარი გოგონას სურათიც, მამა წითელ ფეხსაცმელებს რომ აზომებდა, ხელშეხახებდა ცხალი, დამაქერებელი და ლამაზი; იმის

თქმაც მინდა, რომ ლექსში შეტისმეტად ძნელად მოსახელთებელი მიზეზი, ადამიანის მთელი დღე კარგ გუნებაზე ყოფნის თითქმის შეუძინებელი მიზეზია აღმოჩენილი.

საწუთრო საწუთროა, მისთვის უცხოა შენი სატიკვართი სენტიმენტალური გულაჩუყება, საქმაოზე მეტად მომპირნა და წყალობებით არ გაგანებებებს. მივაყურადოთ ნაწყვეტს მოზრდილი ლექსიდან „შემოდგომა“.

მე საგზალივით სინესტე მიმაჭეს და, როგორც მძევალს, სინესტეს ვტოვებ..

ღრუბელი ვთხოვე, და მომცა წვიმა, დამსეტყვა, წვიმა როდესაც ვთხოვე. ფქვრებადაღეწილს არა მაქვს მოცლა, არცნე მიცდის და მაინც ვიჩქარა. ნიავე ვთხოვე და ქარი მომცა, ქარი ვთხოვე და მომცა გრიგალი. მე ჩემს თასს მაინც ბოლომდე დავცლი, საწუთროების აზრიც ეს არი... ყვავილი ვთხოვე და მომცა აწწლი, დაფნა ვთხოვე და მომცა ეკალი. მესმის ფესვების ჩუმი ხმაური და ნეტარების რული მერვეა. მიწა ვთხოვე და მომცა მამული უზენაესი ბედნიერება.

არც პოეტს და არც მის შემოქმედებას არ შევნივს გადაჭარბებულს ხმაური. არც სამშობლოხადაში ხამალაი ფიცია, არც მკერდზე მგილებს ცემა საყვარულის საიმედო საბუთი. „შენ ერთადერთი ჩემო მამული, სულ შენგანა მაქვს, რაიმე თუ მაქვს, მომეცი ნება რომ ვინაჟრო, როგორც ზალახის ფესვებმა ჩუმიად“, და ეს არ გახლავთ პოეზია, ვინც არჩილ სულაჟარის ცხოვრებასა და შემოქმედებას თვალუარს ადევნებს, დამეთანხმება, რომ მას არ უყვარს, „ტაშის ბაზზე“ ყოფნა პატრიოტიზმის მირონი ხცვია აგრეთვე უსათაურო ლექსს („იქვეყნად რაიმე“), რომელიც ღრამატული, მომხაბლავი ფინალით იქცევა ყურადღებას.

„ბოლომდე მშველი ანდა მიშველი, ოდეს შენს მოსას მიმიღებ მსხვერპლად, ოდეს კივილი სულის შოშველის მოეფინება შენს მიწას ფერფლად“.

კრებულში განსაკუთრებული მხატვრული ძალით გამოირჩევა ჯარბი ასოციაციური ხილვებით გაჭერებულ-განათებული, ძირძველი

ეროვნული ღრამატიზმით ნასაზრდოები ლექსი „სტამბოლიში“.

ღროა,  
მე უნდა ვიცოდე,  
ღროა,  
სად?  
როდის?  
როგორ?  
რისთვის ან ვისთვის.

ძველი მითიდან გამოდის ტროა და გურკვეველ ბურუსში იცდის, ვერ გაუგია რა მოხდა დღემდე, ხის ტაქის რატომ გაუღეს კარი? და ილიონის ძველისძველ კედლებს არვეს ჰეკუბას მოთქმა და ზარი.

ავტორს მალალი პოეტური ოსტატობა საშუალებას აძლევს, ბეწვის ხილვით გაიაროს და ზუსტად გადმოხცეს — ბუნების სურათი იქნება ეს, თუ საკუთარი სულის მოძრაობა, განწყობილება. თანაც ნაწარმოებს ბუნებრიობის, სინედლის ხილვი შეუნარჩუნოს. საილუსტრაციოდ ორ უსათაურო ლექსს („ხმელი ფოთლები“ და „რას ეუბნება“) მოვიტან, სადაც პირველში შემოდგომისპირის წუხილია დახატული და მეორეში პოეტის მომავლობაზე დაფქვრებაა გაცხადებული. „ხმელი ფოთლები“ ყრია კიბზე, ლურჯი, წითელი, სველი და გრილი, შემოდგომის მზე თვალებს იბეცებს და ვეღარ აგნებს ხახლისკენ ბილიც. თითქოს უკლავება სავსე სიყვითლეს ნეტში კიკეთი, თვლემს და ამოდ მზეს ეფიცება.“ ახლა მეორე ორსტროფიან ლექსს მოვუსმინოთ, „რას ეუბნება კედელი კედელს?“ — „მოდო, კუთხეში შევვდეთ ერთმანეთს“. ასე ხვდებიან ბავშვობის შემდეგ და ერთხელ ნანახ სიზმარს ვერ თმობენ. კედელი—კედელს, ნაბიჯი—ნაბიჯს, ტკივილი—ტკივილს და ექოს—ექო. ნეტარ არს, ვისაც აქვე იწყება მითიკური მარადის, ანუ სიკვდილმდე ყუო“.

არჩილ სულაჟარმა ამ ბოლო წლებში ორი მართლაც და ჩინებული პოეტური კრებული გამოხცა, რაც, სხვებთან ერთად, მეც ძალიან მახარებს და რწმენას მიწერავს, რომ ეს დაბრუნება ღროებითი არ იქნება. ეს, რა თქმაუნდა, მისი ორიგინალური, ქართული მწერლობაში თავისაღვილდამკვიდრებული პროზის უპატივცემულობად არ ჩამეთვლება.

ელგუჯა გიუნაშვილი

თანაყოლილი მიწის ნაღველი

პარტული საბჭოთა პოეზიის ბიბლიოთეკას კიდეც ერთი მშვენიერი კრებული შეემატა. ქართულმა პოეტმა და ფილოლოგოსმა ემზარა კვთაიშვილმა შეადგინა გიორგი ლეონიძის ლექსთა რჩეული, და შეადგინა ისე, რომ პოეტის სულს აღარ დაეჩივლა: „ლექსო შენც დამკარგვიხარო!“ და რომ პოეტის „გულის მონაჟური, ჭაღალდს დაბწკარებული ლექსები“ კიდეც ერთხელ გაეღვივებულაყენენ „ტყუპ იაგუნდებად“ ჩვენს თვალწინ, კიდეც ერთხელ დაველონებინეთ „თანწავალილი მიწის ნაღველით“, რომ კიდეც ერთხელ „გვეცნო მშობლიური დამე“, კიდეც ერთხელ ავტირებულაყავით „ტანაპჭრიანი კაცის ჭვითნე“, რომ ჩვენს ოთახშიც მოეტანა „გათენებასის მოსულ მერძევეს უანის შრიალი“ და „როგორც ნაოვან ბატკანს აიუვანს მწეშისი“, ისე მოეფერებოდით პოეტის ხახელს, „დაფეთებული ჭრანაივით“ ჩვენს წინ რომ „გადიგრილა“, „ცრემლის საგულით წახულსა“ და „შზიანად ველარხილულს“.

აჟი ვთქვით, მშვენიერი კრებულია, გოგლა ლეონიძის პოეტური სამუაროს სარკე — „პოეტის ურმოზის ფერფლიდან“ ვიდრე „ამოსვლადაიკვებულ წათლურად ჩასული მზის“ ხილვამდე. ჩავიხედავთ ამ სარკეში და შემოგვევარდება გულზე ბედი „ალღირის ბაზარზე გასაყიდად წახმული ქართივი მერხე ბიჭებისა“, სევდით ვიკითხავთ: „ახალგაზრდობა სად გაქრა და — სიჭაბუკე მთავარისა?“, „შახათის მთაზე სახარბოეღლავ ავფართახლდებით ბეუანთან ერთად“, და რომ ის არის უნდა გავიწროთ, „უცბათ იყივლებს ცისკრის მამალი, ჩნდება მთაწმინდა თეთრი ფრთებითა“, ჩავიხედავთ ამ სარკეში და წავგიღებს „დამე ივერიისა“:

...დახანძრებული წვეს ივერია,  
მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს.  
დავატყუავებს პოეტი უცნაური „ბინდების

მკენესარე ზუზუნით“; მოგვიტანს საღამოს, როცა „ქილილ-ღამანა სოროში ჭრით ამბობენ არაკს“. მოგვენატრება „სველი ყანა და სოფლის სუფთა ღრუბელი“; განვიცდით პოეტის უმანვილურ ზღაპრულ ხილვებს:

მაგონდება თავს ეუშვებდით  
პირქათიან ღარებს,  
და გვერდოდა სქელ ქორჩრებზე  
დაველიოდა ოქრო...  
ირმის ძუძუ შხაუნებდა,  
მინდვრებს ესეოდა,  
ცისარტყელა ბრილივდა,  
ვით ხოხობის ყელი,  
ჩვეს კი —  
ოქროს ხუჭუჭები  
სიხმრად გვეზრდებოდა...

და შესძრავს გულს პოეტის ტივილი:

...ახლა აღარ ერეკება  
იაგუნდებს წვიმა,  
არც ოქროთი იღებება  
გაზაფხულზე თმებ...  
ჩვენი სოფლის ორლობიდან,  
საღდაც თოვს და ცივა,  
დავივანტეთ, დავიქსაქსეთ  
გასაყარი ზებნით!

და თითქო ჩვენც მასთან ერთად ვეძახით ჩვენი სიყრმის ტოლებს: „სად ბართ, ჩვენო ცანგალებო, ცეროდენა მშებო?“

განვიცდით პოეტის სიჭაბუკის პოეტურ ექოს:

რასა უკვირიან ირმები  
ყორან მთას, ყარაიასა?  
სასუნდარიიდან მარეკი  
გულში გაარტყავს ტყვიასა.

ან: ისეც აღვსდები!  
მუხრანის ბოლოს  
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს...

ან: ტრამალ და ტრამალ გამოგედვენე,  
შემოვამტვერე გზები ტრიალი,  
პცხეთას ვუმტვრიე საეტურები,  
ვლენე ტაძრები ყელატრიანი...

თითქოს გრავოლ ორბელიანის  
„განვლეს არეზი, თავი რიზი,  
ყაფლანქუ ვარდაიარეს...“ ეხმარებაო  
ლეონიძე:  
„შავს ყურღანებში სძინავთ ყვიჩალებს  
თავქვეშ უგიათ თოქალთობები...“

განვიცდით პოეტის ცრმობებს, როცა ივი-  
წყებს თავის მყოფობას და გადასდევს საქარ-  
თველოს ისტორიის ფურცლებს, როცა დაძებნს  
„დამიწებულ ლაშქარებსა და დროშებს“.  
გზედავთ პოეტს: „პირველი თოვლით“ აღტაცე-  
ბულს:

ეს თოვლია თუ მიმინომ  
დააფეთა მტრედები?  
ვარსკვლავთა ოთახებში  
ჩათვლემილებს ეძინათ,  
ჩეხრათ ხავერდები...

გაზაფხულის ჩადოთი დატყვევებულს:

მთებზე მთვარის ნაშეკრი,  
ზედ ზოლები მკრთალები  
და შენი, მშვენიერო,  
დასათბრელი თველები.

ხან „ყრმობის დილას აპყვება“ პოეტი და  
„როგორც ხაზარა“ ღამეს ცეცხლთან ათევს  
ნიწონინდის ვალავანში.  
„ჰავთხა“ და პოეტის ბუბუნს მოსდევს უნა-  
ზესი ლირიკული განცდები:

გზედავ პატარა ბაღიანში  
ფუსფუსებს ჩემი ვშობელი,  
გადაკვალთული კალთებით  
დღე-ღამე მოსაქმობელი...  
...თან რომ კიკვიყით დასდევნე  
შოშიები და მერცხლები.

და კიდევ რამდენის თქმა შეიძლება ამ  
მშვენიერი კრებულის ხიკეთზე... თითქო პო-  
ეტი განახლებული და განწმენდილი დგას  
ქართულ პარნასში, გურამიშვილის, გრიგოლ  
ორბელიანისა და ვუა-ფშაველას თანავარს-  
კვლავედში.

გადაკითხავ ამ კრებულს და გაცოდები,  
თითქოს არასოდეს წაგვიკითხოს ლეონიძე, თი-  
თქოს პირველად აღმოაჩინე:

ღრუბლები ჰგავანან ლაფიან ჩვარებს,  
მარტის ქარები მიჰაწანებენ...

შენ დაუმკვიდრე ნიკორას,  
უფალო, სასუფაველი...

თითქოს დამრულა დიდი ულუსი...  
და მოაბნელებს ყარაისას...

სთვლემენ ბელღებში ლტრჯი ყანები,  
ელვარებს ხვავი, თითქოს ლამპარი...

მთვარე შრიალებს ფიჭვივით  
დაუსრულებელ ოხვარაში,  
ამოდის კოხტა მივივით  
ცისკარი ახალ ჩოხაში...

გაღაგრხებს, დაგლუებს  
წითელგულა ჩიტებმა...

ჩოხა წვიმისა მეტყვევა  
და ყაბალახი მთვარისა.

საათნავს გაყინულ სულარაში  
ჩარჩუნოდა კინაურის სიმები...

საღვინით და შოთის პურით  
მზე დაადგა ბანებს...

ვაი, შენ ჩემო თეთრო მტრედო,  
ჩემო გულო კრიალს...

ცა — იტმებით მსხმოიარე, ჩახჩახა  
და გაზაფხულს რძის სუნი აღიროდა...

წავა და არ დაბრუნდება  
დაფეთებული ჭვარანი  
იმ ღამის თრთოლა თან წაჰყავა,  
იმ ღამის გულის ძვერანის...

ახეთი ფრთიანი, ელვარე სტრკონების მო-  
ტანა დაუსრულებლად შეიძლება. მთელი კრე-  
ბული გახდება გადახაწერი და სათქმელს ბო-  
ლომდე მაინც ვერ ვიტყვივით.

აქ ერთ მტკივნეულ საკითხს გვინდა შევე-  
ხთ. კარგა ხანმა განვლო გიორგი ლეონიძის  
გარდაცვალებიდან და, ჩვენი დაუდევრობისა  
თუ სხვა რამის გამო, საშველი არ დაადგა  
მისი ლექსებისა და პოემების მორჩილი წი-  
გნის გამოცემას. მწერლის სიცოცხლეში დაწ-  
ყებული ექვსტომეულის მხოლოდ ორმა ტომ-  
მა იხილა შვის სინათლე და რატომღაც ეს გა-  
მოცემა შეწყდა.

ამ ხნის განმავლობაში არა ერთი და ორი  
თაობა მოვიდა, რომელთაც თითქმის ვერ იგ-  
ემეს გიორგი ლეონიძის პოეზიის მაღლი და  
მშვენიერება. ახლოვდება პოეტის 80 წლის-  
თავი. მარტო რადიო-ტელევიზიით გადაცემუ-  
ლი ხალამოები და პატარძელში გამართული  
„გოგლაობა“ ვერ შევლის საქმეს. ხალხს წიგ-  
ნი სჭირდება, დიდი პოეტის დიდი წიგნი. გი-  
ორგი ლეონიძის უმდიდრესი დანატოვარი ერ-  
ის კუთვნილებაა და მისი ღვაწლის ღირსეუ-  
ლად დაფასებაზე ერმა უნდა იზრუნოს.

დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ  
წინამდებარე სერიული კრებულის ტირაჟია  
10.000. რაც ასეთი პოეტისათვის ძალზე მცო-  
რცა. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ —  
ფართო მკითხველ საზოგადოებამდე, გიორგი  
ლეონიძის განუყოფელი პოეზიის მრავალ  
თყვანისცემულამდე ამ წიგნამც ვერ მიაღწია.



## გურამ გვარდშითალი

### ცნობილი უცნობი

(სიტყვას ახალგაზრდა მხატვარ ელისო წიკლაურზე)

უცნაური სათაურია, არა, ხელოვან ქალზე თქმული სიტყვისათვის?

გეთანხმებით, ასეა. მაგრამ ორიგინალურობის სურვილმა როდი მიკარნახა იგი.

ახლა მე ასეთ კითხვას დაგიხვამთ: იყნობთ ელისო წიკლაურს?

დარწმუნებული ვარ, „ციხკრის“ მკითხველების დიდი ნაწილი (აღზათ, აბსოლუტური უმრავლესობაც კი) არ იცნობს ამ მშვენიერი ხელოვანი ქალის შემოქმედებას.

ამ დროს, იგი თავისი ახალგაზრდა ასაკისათვის ხაკაოდ ცნობილი ვახლავთ, მისი სახელი შორეთშიც კი იცინა.

„ელისო წიკლაურის ნაწარმოებები ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენენ. ისინი გამოირჩევიან გამოხატვის სიღრმით, ფორმის ბინატივით. იგრძნობა მხატვრის დიდი არტიზტულობა...“

რონალდ მეიტი, ინგლისი, ლონდონი.  
„ელისო წიკლაურის ნაწარმოებები შართლაც მშვენიერია. იგი შესანიშნავი მხატვარია. აღფრთოვანებული ვართ...“

კონსტანს ოკაბი, ახალი ზელანდია, ოკლენდი.  
„მხატვარი ქალი გვანცვიფრებს სახის დრამა ფსიქოლოგიური წყლივით. კორტრეტებში იგრძნობა მხატვრის დიდი ოსტატობა და ნიჭი...“

გეტყობა ბლეიკი, ინგლისი, ლივერპული.  
საკმარისია? ვუქრობ, სავსებით.

ახლა გაკვირვებულ მკითხველს ავუხსნი, რომ საქმე არც ისე რთულადაა, როგორც მან

შეიძლება წარმოიდგინოს. უბრალოდ, ელისო წიკლაურის ნაწარმოებები ამ რამდენიმე წლის წინ (შაშინ თბილისის სამხატვრო აკადემია სულ ახალი დამთავრებული ქიკნდა) შორეულ ქვეყნებში მოძრავ გამოყენად ახლდა თბომავალ „შოთა რუსთაველს“ და ეს, თუ სხვა აღფრთოვანებული გამოძახილები გემის კაპიტანმა შთაბეჭდილებათა წიგნიდან ამოწერა და გამოგზავნა. უთუოდ დიდი და, მე დავსქენდი, დამსახურებული დაფასება ახალგაზრდა მხატვრის ნაღვაწისა და ნიჭისა.

ელისო წიკლაურს მართო შორეთში როდი სცემენ პატივს, აქ, შინაც არ აკლია მას აღიარება. ექვსი-შვიდი წელია, რაც სტუდენტობას შორჩა და უკვე ორი თუ სამი პერსონალური გამოფენა აქონდა, მათ შორის ერთი სულ ახლახან, ივლისის თვეში, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პატარა, მაგრამ საოცრად თბილ, ინტიმით სავსე საგამოფენო დარბაზში. სიტყვამ მოიტანა და აქვე დაგვხმენ: ამ საზოგადოებას თავის მრავალმხრივ და ნაყოფიერ საქმიანობასთან ერთად კეთილ ტრადიციად ექვა მხატვართა გამოფენების მოწყობაზე, რისთვისაც მხატვრებთან ერთად ჩვენც, მნახველებიც მადლიერნი ვართ. აი ახლაც, ელისო წიკლაურის ნამუშევრების ეს კრებულუქებიც. „ციხკრის“ ამ ნომერში რომ ქვეყნდება, სწორედ საზოგადოების მიერ დიდი გულმისხმევრებით მოწყობილ გამოფენაზეა ვადალებული. ახალგაზრდა მხატვარი ქალის პერსონალურ გამოფენებს

თავისი გამოცხადებული პოლიტიკის პრინციპები. ახლანდელი ხელისუფლების მიერ ხელისუფლება საზოგადოებას კარგად იცნობს ელვისო წყალაურს.

და მაინც, იგი ცნობილი უცნობია. ცნობილია პროფესიონალითათვის, უცნობია (ან ნაკლებ ცნობილია) ფართო საზოგადოებისათვის. ეს უკვე თავად მხატვრის ბრალი არ არის და არც მართკმისი ბედობა.

საქმე ისაა, რომ, საწყენად ნურავის დაგვიჩვენებ და, ჩვენში ფართო საზოგადოებრიობა არ არის ჩვეულებრივად სამხატვრო გამოყენებზე სიარულს. პერსონალურ ექსპონირებებს, როგორც წესი, ისეთი პოპულარობა არ მოაქვთ მხატვართა მეტი ნაწილისათვის, რასაც ისინი იმსახურებენ.

მხატვრები, თუ არ ვცდები, ამ თვალსაზრისით ყველაზე „დაჩაგრულები“ არიან ხელოვანთა შორის, ხალხი მწერებს, მუსიკოსებს, კინემატოგრაფისტებს ვერც შეეძრებიან ფართო მასებთან კონტაქტებში. ეს მხოლოდ და მხოლოდ მათი ნაღვანის პოპულარიზაციის სირთულეთი ამისგანა და სხვა არაფერია. მით უფრო საშუაარსა, რომ ამისათვის ყველა ფორმისა და საშუალების ჯეროვანად არ ვიყენებ.

მგონი, ბევრს მგონია, რომ ფერადი ტელევიზია ფეხბურთისათვის, ან მოღებვის საღეშონისტრაციოდ იქნა გამოგონილი. ცხადია, ფეხბურთიც, მოღებაც და ბევრი სხვა რამაც საამო სანახავია ფერადი გამოყენებები. მაგრამ იმ გადაცემებს, სადაც ფერებს მთავარი ფუნქცია აქვს მათი მტად თუ არა, ნაკლებ მაინც არ უნდა სწყალობდეს ეს თანამედროვე სასწაული. მხატვართა პოპულარიზაციის დიდებული საშუალებაა ტელევიზია და მას გამოყენება უნდა.

მომარაგი გამოყენების საქმეც ვერ არის რიგზე.

ლოკუმენტური ფილმების მეშვეობითაც დიდი და სასარგებლო საქმის გაკეთება შეიძლება მხატვრობის პოპულარიზაციისათვის.

ერთი ხატუვით, გული რომ გულობდეს, ჩვენი თანამედროვე ქართული მხატვრების მოსახლეობასთან მისასულიერა ათასი გზა და ბილიკი გამოჩნდებოდა, მაგრამ ზოგჯერ (თუ ხშირად არა) ეს მოწოდება და გულმოდგინება გველადობს ხოლმე.

ახე და ამრიგად, არიან ჩვენი ცნობილი უცნობი მხატვრები და ერთი მათგანი ელვისო წყალაურია.

როცა ზემოთ გვები და ბილიკები ვახსენებ, ერთერთად ქართული ლიტერატურული ეურნალის ფურცლებიც მეგულვოდა. „ცისკარი“ ამ საქმეში შეძლებისადაკვარად მხარს უზამს ხელოვნების მრავალი დარგის ერთადერთ ეურნალს „საქმეთა ხელოვნებას“ და დროდადრო

აქვეყნებს ახლანდელი ქართული მხატვრების რეპროდუქციებს.

აქ, ამ ნომერში ელვისო წყალაურის რამდენიმე ნაწარმოებს გაცნობა მკითხველს, როგორც წესი, „ცისკარში“ მხატვრული ნაწარმოებების დაბეჭდვასთან ერთად ავტორის წარდგინებაც ხდება ხოლმე. ამგვარად ეს სასიამოვნო, თუმცა ჩემთვის მძიმე მისია, მე მხედა წილადა. ამ ჩემთვის უცხო საქმეს, მხატვარზე და მხატვრობაზე ხიტუვის თქმას მხოლოდ იმიტომ დავუშურებ, რომ მშვენიერ და ნიჭიერ ხელოვან ქალთან იქნებოდა იგი დაკავშირებული. თან თქვენი, ანუ მკითხველების, ხელოვნებაშიცოდუნებას, და, რაც მთავარია, თავად ელვისო წყალაურის მოწაყად გულების იმედაც მქონდა. ეს ხიტუვა არ არის პროფესიონალის ნათქვამი, იგი მხოლოდ ერთობისმსურველის გულისთქმაა, მისი სინარტულის თუ სურათების გამოხატულებაა და ამიტომ ბევრი არც მოეთხოვება.

ერთხელ, არაუადი ხნის წინ, შემთხვევით მოვხვდი ჩემთვის უცნობი ოქანში. პატარა, როგორც უწოდებენ, სტანდარტული კომუნალური ბინის კედლები ნახატებით იყო დაფარული. აუკარა ინტერესით დავუხევე თვალიერება. ავტორის მართკმ პროფესიონალიზმა კარა, მაღალი ნიჭიერბაცა და ოსტატობაცერთბადად ამოიკითხებოდა.

ფანჯარი, აკვარელი, ზეთი, თითო-ორთა ნატურმორტი, დეკორატიული და ფრესუული მოტივი, პეიზაჟი, საგრძობლად მტეტი პორტრეტები.

ყოველივეს ინტერესით ვაკვირდებოდი. ფიქრანი გარინდების, თითქოს გახუბული სეუდის კვალ აჩნდა ყოველ ნახატს, ღია ფერებში შესრულებულებაც კი, თუნდაც იწოლა გურგულიას პორტრეტს, მამაკაცისა და დედის პორტრეტს რომ აუკარად და ცხადად, ამას მუეტი ტონებაც უსვამდნენ ხაზს. უბრალოება და სინატიფე მომბიბლავ თვისბად აჩნდა ნახატებს (თვით დეკორატიულ მოტივებზე შექმნილსაც კი). პორტრეტებში მხატვრის დრმა ფსიქოლოგიური წვდომა აგრძობობდა, საოცრად მტეტველი თვალბეობით თითქოს უცხო აღამაინის სულში გახედუბდათ, მისი ფიქრის, დარდის, იმედის თანაზიარს გხდიდათ.

ამ მშვენიერ სამყაროს შევკრებოდი, როცა უცროსი დიანახლობი, ელვისო წყალაური წარმომიდგინეს და გამაცნეს. ეს კელოაფერი მისი ნახელავი აღმოჩნდა. მზერა ახეც ნახატებზე გადავიტანე და რაყოიოდ ვთქვათ, ავტომორტრეტები გუკვრებიან მეტში. უხერხულად გაიღმა და თავის გასამართლეზადად გამომიტუდა, ნატურა რომ არა მუყავს, სხვა გზა არა მუყავს,

გურამ გვერდინითელი  
ცნობილი უცნობი

ხარკი: წინ ვიკარ და საკუთარ თავს ვხატავო. ახლა ჩემი რიგი დადგა უხერხული გაღმებისა. ელისოს სიძლიერე თურმე მხოლოდ ნახატებში იგრძნობოდა, ცხოვრებაში სუბტი და უმწეოც კი ჩანდა. კიდევ კარგი, როგორც მერე დავრწმუნდი, უფროსად, თინა სიყვარულით, თანაც შექმლებისდაგვარად ენერგიულად მფარველობს მას. აქ უკველა და ყველაფერი ელისოს ნიჭის ხელშეწყობადად არის.

იატაკზე თუ თაროებზე დაწყოხილი სკულპტურული ფიგურები და კერამიკული ნაწარმიც, რაც უფრო მოგვიანებით შევნიშნე, ელისოსი უყოფილა. მეტრნახევარი სიმაღლის ქალის ტრასი (შამოთი) ამ დაბალტერაზი ბინაში გრანდიოზულად ჩანს, ამეც მასალაშია შესრულებული შედარებით მომცრო „ოჯახი“, „დაბადება“, „დედა-შვილობა“. ისევე გავხედე გრაფიკულ ნახატებს. მაშინაც შევნიშნე დიახალისის ტრასით გატაცება და ახლა, ამ სკულპტურულმა ნამუშევრებმა საბოლოოდ დამარწმუნეს ამასი. მაგრამ შთავარი სიურპრიზი თურმე წინ მელიოდა. თაროებიდან ვერ ქაშინურის ბარელიეფები გადმოვიღეს. — „სიყვარულის საგალობელი“, „ცხოვრება“, „ცეკვა“, მერე კი ცარცში შესრულებული უამრავი ფიგურა, თითო ხელ რამდენიმე სანტიმეტრის სიგრძისა. ბარელიეფებშიც და ფიგურებშიც ტრასის იმდენი საოცარი მოღვაწეობა ვნახე, ხელოვნებაში გამოუცდელ კაცს აშკარად გამოვიკრდა. თუმცა, მე მგონი, გამოცდილებსაც არანაებებ ავირჩევს და გაავიწყებს“ ელისოს დაუშრეტელი ფანტაზია. ახლა სიუჟეტისა და კომპოზიციის გრძნობას არ იციოხეთ? საოცარია, საოცრებას! სხვა სიტუცა ამას არ ეტყობს.

შევერბე ამ საოცარებს და მხატვრის ფანტაზიასთან ერთად მისი ოსტატობის მრავალმხრივობაც შევიკრებ. რა მრავალფეროვან მასალაზე მუშაობს! ცარცი, თინა, შამოთი, ქაშინური, მინა, მეტალი. ზოგ მათგანს გამოყვავა, ანუ დუშეილი სჭირდება.

- ელისო, სად მუშაობ?
- სახლში და ძინტარაში.
- სახელოსნო?

— ვერც კი ვცნებობთ, — მხასუბობს თინა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, რომლის დროსაც მხატვართა კავშირის მისამართით საუბრეუროს, ვგონებ საფუძვლიანის, გაფიქრება მოვასწარი, მაგრამ ხმაშაღლა ანაფერი მითქვამს.

- ძინტარა რაღაა? — გავხედე შეკითხვა.
- ბალტიკიზირთოთა, შემოქმედებითი სახელია, სადაც ორი თვით იღებენ მხატვრებს და უკველა პირობას უქმნიან, მაგრამ იქ მოსუედრის ბედნიერება იშვიათად გვხვდება. აი ეს „ქალის ტრასი“, „ოჯახი“, „დაბადება“ იქ არის შესრულებული და გამოიწვარი.

— თბილისში, საქართველოში არავითარი

სამუშაოება არა გაქვთ კერამიკოსებს? — ცდილობს ავალაპარაკო სიტყვათწინ მასპინძელი.

— კერამიკული ქარხნები ახლოს არ გვიკარებენ შემოქმედებითი ნამუშევრების დასამუშავებლად. ერთადერთი სამხატვრო ფონდთან არსებული კერამიკული სამუშაოა ჩვენი ხსნა, მაგრამ იგი ძალზე პატარაა, მსურველი კი ბევრია.

— კი მაგრამ, ამას ერთი და ისიც პატარა სამუშაო რას ეყოფა, კერამიკა ხომ მარტო გამჭურქებელს არ გულისხმობს? — ცვადად საკუთარი ერთდღიის გახედვებზე.

— რა თქმა უნდა, კერამიკა დიდი ზომის რელიეფური პანოები, დეკორატიული სტილის საპარკო ქანდაკებები თუ ლარნაები და ბევრი სხვა რამ. კერამიკა ქართული სახვითი ხელოვნების ერთერთი უძველესი დარგია, რომელსაც დღეს ახალი ფორმების მოძებნა, გადახალსება, განვითარება სჭირდება.

— მირე? — აქამდეც ბევრი ხანტერესო რამ გაკეთდა, ახლაც კეთდება, მომავალში იმედია მეტი გაკეთდება, სამხატვრო აქადემიის პროფესორმა რესო იაშვილმა შექმნა ახალგაზრდა კერამიკოსთა პირველი შემოქმედებითი გაერთიანება. — იმედია და დიწყო ელისომ და მეჩე ისეე ჩაქრა: — თუმცა ამას ზაზა სჭირდება. ჩვენ კი მასალაც ვერ გვიწვინა. თინა რა არის, ისიც საოცნებოდ გავცხდომია, შამოთზე, ფიფურაზე, ქაშინურზე და სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვით. მასატივთ, ავწუწუნდი, — მოიბოდიშა ბოლოს.

მე თუ მკითხავთ, წუწუნის კი არა, ყვირილია საქრო. მართლაც საცოდაობაა, მეტრად, დანაშაული იქნება ქართველ მხატვარ-კერამიკოსთა ნიჭი რომ ზაზის უქონლობის გამო ჩაქრეს, მთელი სიძლიერით ვერ გამოვავნდეს.

როცა ელისო წაქალაქრის ზოგიერთი ნამუშევრის „ციხარში“ გამოიშვებება გადწეულა და ეს სიტუცა დასაწერი გამიხდა, ჩემი „ძველი“ ნაცნობები მოვიკითხე. ელისო ძინტარაშია, ამ დღეებში დაბრუნდებაო — მიპასუხა თინამ.

— ბევრი ვერაფერი გავკეთეთ, მხოლოდ ორი ფიგურა, გზაშია, კონტეინერთი მოდის — მითხნა მისთვის ჩვეული ჩუმი და ნაღვლიანი ხმით ელისომ ჩამოსვლისას.

იმედია ეს ელისოს მხოლოდ თავმდაბლობაში კი არ ათქმევინა, არამედ მუდმივმა დაუწყაუფილდობლბის გრძნობამაც, ურომლისდაც ტეშმარტივი შემოქმედი ძნელად რომ არსებობდეს.

— სამაგიეროდ, თინა გამოვავაზაწენ ბლოწმად. — ბედნიერი ხმით დასძინა ელისოს.

არა, მე ელისო წაქალაქრისათვის სხვა ბედნიერება მინდა, მისი ნიჭის სრული გაფურჩქნა, შესაძლებლობების მთლიანი გამოხატვა მუსორგამში ყველაზე უნდა შევუწყო ხელი, რითაც კი შეგვიძლია. ეს ჩვენი მოვალეობაა.

## დალი ფიროსმანაშვილი

# ომარ ღურმიშიძე

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც ომარ ღურმიშიძის ნამუშევრების ხილვისას გვეუფლებოდა, ესაა გრძნობა ექსპოზიციის სიღამაზისა, კოლორიტის სიმდიდრისა და მრავალფეროვნებისა. მხატვარი დაკლდოვებულია ზედვის თავისთავადი უნარით. იგი ძალდაუტანებლად, ბუნებრივად ქმნის ყოველ ტილოს, მისი ფერწერა სავსეა განწყობით.

ომარი უჩვეულოდ მგრძნობიარე შემოქმედია. უმნიშვნელო გარემოში თუ შინაგანი იმპულსების შინა შემოქმედებაში ღრმად, ხანტერესოდ, მრავალმხრივად გარდაიქმნებოდა. ხშირად ერთსა და იმავე თემას იყენებს, ერთნაირ კომპოზიციასაც კი ინარჩუნებს და მაინც სხვადასხვაგვარ მხატვრულ გამოხატულებას აღწევს.

ო. ღურმიშიძემ თბილისის სახმატვრო აკადემია 1978 წელს დაამთავრა. მხატვარი თავდაიწყებით მიეცა თავის საყვარელ საქმეს. დაძაბულმა მუშაობამ და ძიებამ გამოუმუშავა მხატვრული გადაწყვეტის თავისებური ბერბები და ხატვის ჩინებული ტექნიკა. თავისთავად ის ფაქტი, რომ უკვე სამი პერსონალური გამოფენა მოაწყო, მეტყველებს როგორც მხატვრის ინტენსიურ მუშაობაზე, ასევე საზოგადოების ინტერესზე მისდამი.

პირველი უშუალო შთაბეჭდილება, რაც გვინდობდა ო. ღურმიშიძის ნამუშევრების ნახვის შემდეგ, ესაა მაღალი ემოციური დაძაბულობა. შეიძლება მიიღო ეს ფერწერა, აღნიშნო მეტნაკლებად საინტერესო ნამუშევრები, დაინახო ნაკლი, მაგრამ შეუძლებელია, გულგრილი დარჩე მათდამი, არ დამაყრდეს კონტაქტი. ყველაფერ ამას მხატვარი ყოველგვარი სიუჟეტური გადაღვირვების გარეშე, წმინდა სახვითი საშუალებებით აღწევს. ცხადია, ეს არ წარმოადგენს მხატვრის თვითშეზიანს, არამედ სწორედ მისი მხატვრული ზედვის ერთ-ერთ მთავარ დამამახიათებელ ნიშანთაგანია.

ეს მომენტი შეუცნობადია და სწორედ ამიტომ ახეთი კმედიით დამოვალდებულებს თავის.

მხატვარი მუშაობს სხვადასხვა ფანში, ესაა პეიზაჟი, ნატურმოტი, პორტრეტი, ნაკლებად უნარული სურათი. ცდის სხვადასხვა მასალაზე, ზეთი, პასტელი, აკვარელი, ტემპერა, ტუში ნატურის შერჩევაში მხატვარი ძალზე შეზღუდულია. სურათიდან სურათში მეორდება რამდენიმე ვაშლის, მსხლის ან ბროწეულისა. გან შემდგარი კომპოზიცია. ზოგჯერ უშუალოდ მინის ან ფაიფურის საგნებს, კომპოზიცია დახვეწილი, ლაკონური და მოძრავია. მაგრამ ეს მოძრაობა არ გამოდის მის გარეთ, თავისთავად იკეტება. მხატვარი მასალას არ უყარავს თავისთავადობას, ფაქტურას. მონაწილე თავისუფალია, პატოზური. იგი არ მიყვება ფორმას, არ ძერწავს მას და, ამავე დროს, არ ღებულობს დამოუკიდებელ მნიშვნელობას, არ აღვეს სურათის ორიგინალურ მთლიანობას ფორმა იქმნება ფერის კონტრასტული დაპირისპირებითა და კონტურით, კომედიც მკვეთრადაა ხაზგასმული, დარღვეულია მისი გეომეტრიული სისუსტე და თავისუფალი დინება უკვე თავისთავად შეიცავს შესამე განზომილებას. თვითონ ფერი არ წყდება რეალურ ხაგანს და არ ღებულობს დეკორაციულ შინაარსს.

მხატვარი ერთი მასალის საშუალებით ქმნის ახალი ფაქტურის სრულ ილუზიას იმ დროს, როცა პირველს არ უყარავს თავის დამახასიათებელ ნიშნებს.

სწორედ ეს მომენტი მცირდება პასტელში შესრულებულ ნატურმოტიკაში. შესაბამისად, სრულიად განსხვავებულია მათი ხატვითი ხასიათიც. აღსანიშნავია კომპოზიციის ცვლილებაც. ესაა ან ერთი ხაგანი, ან ისეთი კუთხით დანახული და ისე განლაგებული საგანთა ერთობლიობა, რომ სურათზე აღიქმება ერთ

მთლიან ფერადოვან ლაქაზე წარმოქმნილ ერთ მთლიან ჩაკეტულ კონტურს. საგანი ნაკლებად კონკრეტულია და ეს შესაძლებლობას უყარგავს მხატვარს, მოახდინოს უფრო მნიშვნელოვანი განზოგადება. პასტელი ბევრად უფრო ეამრავლია მხატვარი კმნის ან დიდ, ლოკალურ, ფერადოვან ლაქებს, რაც სურათს უფრო დეკორატიულ ელფერს ანიჭებს, ან უფრო გრაფიკული, რბილი მონახმებით წარმოსახავს ფორმას მკვეთრად გამოვლენილი შივთვლებით. მაგრამ აქ საგნის წონა ნაკლები, იყარგება ხელშეხებადობა, რასაც კვლავ გაძლიერებულ დეკორატიულობამდე მიყვავართ.

თუ თავს გადავავლებთ მხატვრის ტილოებს, მკვეთრად გამოირჩევა თბილისის თემზე შექმნილი სერია: „უზბეგის ქუჩა“, „სოლოლაკი“, „ჰერტლ აბანოსთან“, „ვერის უბანი“ და სხვანი, აი, აქ იგრძნობა მაღალი პროფესიული დონე. სწორედ აქ შეიძლება ვილაპარაკოთ ო. დურმიშიძეზე, როგორც სრულიად ჩამოყალიბებულ მხატვარზე. აქ ნაკლებია ექსპერიმენტი, ნაკლებია განხვავება შესრულების დონეში, მასალის ვარიანება, ეს არის სრულიად ახალი, ინდივიდუალური ხედვა.

თბილისი ბევრი ქართული მხატვრის შთაგონების წყაროა; ზოგიერთისთვის შემოქმედების წამყვანი თემაც. ამიტომაც უფრო მოთვლია შეეხო მას, დანიანო ახალი, სხვისაგან განხვავებული, შენეული თბილისი და, ამავე დროს, ქალაქ შეუწარმუნო თავისი განუყოფელი ელფერი, ხასიათი.

ომარ დურმიშიძის თბილისი ღამის ქალაქია, დეკორიერებული, ვიწრო ქუჩაბანდებით. მოჩვენებითი უძრავობა, სიცარიელე თავისთავში იმდენ მოძრაობას შეიცავს, იმდენად დამუხტულია, რომ მას აღიქვამ, როგორც წამიერ მდგომარეობას, რომელიც შეუძლებელია გაგრძელდეს დროში. კონკრეტული გარემო, მისი ხასიათი, ღამის განათების ფერწერული ეფექტები — ყოველივე ეს არაა მთავარი. წინა პლანზე გამოდის გარემოს სუბიექტური მხატვრული ელქმა, თავის თავსა და გარემოს შორის

რის ოპიარებული კონტაქტის საფუძველზე შექმნილი ემოცია. ეს საერთო განწყობილება იმდენად ძლიერია, იმდენად ხანგრძლივია მხატვრის სუბიექტურ-ემოციური მდგომარეობის საფუძველზე შექმნილი გარემოს ხასიათი, რომ მასურებელი მას ვეღარ იღებს, როგორც ცოცხალ ფიგურას მოკლებულ სივრცეს. სურათი შეგინდნა აღიქმება. მასურებელი თავად ხდება ამ გარემოს ნაწილი და ავსებს ამ სივრცეებს.

შექმნილი განწყობილების გაძლიერებას ფერიც ემსახურება. ღამის განათება მდიდარ შეხატლებლობას იძლევა, შექმნილი კონტრასტული დაბრუნებით შექმნას ფერწერული ეფექტი. მხატვარი სხვა გზას ირჩევს. აქ კვლავ თავს იჩენს მკვეთრი კონტრასტი. ფორმის ხაზის მოძრაობას უპირისპირდება ფერის შედარებით სტატიურობა. სურათი ძირითადად ერთ გაშვში იწერება და მხატვარს შეაქვს ერთი მკვეთრი ფერადოვანი აქცენტი. ფაქტურად, ეს წარმოადგენს სურათის კომპოზიციურ ცენტრს.

1977 წელს საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის ინიციატივით მოწყობილ გამოფენა-გაყოფაზე, სხვა ქართველ მხატვართა ნამუშევრებს შორის, წარმოდგენილი იყო ო. დურმიშიძის ჩამოდეინიშ ფერწერული ტილო, რომელთაც დიდი მოწონება და საერთო აღიარება დამისახურეს. ერთი იმათგანი, „ჰერტლი აბანოს კუთხე“, შეიძინა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუზეუმმა.

სულ ახლახანს, საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის სამუშეუშო ფონდებიდან შეიკრიბა მხატვართა ნამუშევრები და ინგლისს საგამოფენოდ გაიგზავნა. ჩვენი რესპუბლიკის მხატვართა ნამუშევრებს შორის არის ომარ დურმიშიძის ტილო „უზბეგის ქუჩა“.

დღეს ჩვენს გვირდით ცხოვრობს ჩვენი თანატოლი, საინტერესო, მკვეთრი ინდივიდუალობის ფერმწერი — ომარ დურმიშიძე.

მისი შემოქმედების შექმნე უკვე იხატება ჩვენითვის აქამდე შეუნიშნავ სიმშვენიერთა ნათელი სურათები...



# ქართველი მედიის ცენტრი

## თანამედროვე ლამაზი პასტორალი

3. ასტაფიევი — „მწვემსი ბიჭი და მწვემსი გოგო“ თარგმან შ. სულაბერიძის, გამოცემულია „საბჭოთა სა-ქართველო“, რედაქტორი მ. იოსელიანი, 1978 წელი.

306 იცის, არის თუ არა გამოთვლილი, რამდენი წიგნია დაწერილი წარსულ ომზე, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: ავტორულითმეტი წილია, არ შეწყვეტილა ამ „მარადიულ თემაზე“ რომანების, მოთხრობების, პიესების, მემუარების, ნარკვევების წერა და ალბათ დიდხანს არ შეწყდება კიდევ.

ომის თემას მრავალი დიდებული ქმნილება მიეძღვნა, დაწერა ბევრი შეხანიშნავი ნაწარმოები, ამიტომ, ამ მოვლენაზე შექმნილმა ახალმა ნაწარმოებმა რომ მიიპყროს ჩვენი ყურადღება, გაგვაკვირვოს, აღვავტოვანოს, იგი ქეშმარიტად მაღალმატერული უნდა იყოს.

ახლანს კიდევ მოგვსმია ომის ექო — ქართულად გამოცა ვ. ასტაფიევის ვრცელი მოთხრობა „მწვემსი ბიჭი და მწვემსი გოგო“, რომელმაც დიდი სიამოვნება მოგვგვარა, ვ. ასტაფიევის შემოქმედებას ქართველი მკითხველი ყურადღებაში გამოქვეყნებული ორიოდე მოთხრობით თუ იცნობს, ასე რომ, იგი ფაქტურად პირველად წარსდება ფართო მკითხველს აუდიტორიის წინაშე.

ასტაფიევი ფრიად ორიგინალური სტილის, საოცრად ინდივიდუალური ხედვის ოსტატია. წიგნში იმ დიდი ომის (უფრო ზუსტად, მისი ერთ-ერთი მცირე კუნძულის) ფონზე ასახულია ადამიანთა არაადამიანური ტანჯვა-ვაშება, თავდადება და უმძაფრეს რეგისტრში აუვანოლი სიუვარული, და ყოველივე ეს, ისეთი პირფრთხილიანო, ჰანეის ზღვარამდე მისული სიამაშით არის დასატული, რომ ქეშმარიტად ახლებურად ხედავ ესოდენ ამალღებულ სიუვარულს და თითქოს ათასგზის განცდილ და ნანახ იმ დიდ ომსაც.

მწველი გადაწყვეტით თქმა, რით უფრო არის გამოხარვევი ასტაფიევის პროზა, ის ვარე-მოება, რომ ავტორი მიუყვება საკუთარ „მეს“

და მხოლოდ იქიდან ხედავს ყოველივეს, იმწამსვე შეეერთად ივარწნობა. მაგრამ მთავარი ალბათ მაინც ის დიდი სიამართლეა, რომელმაც მკითხველი გმირების მოქმედებაში, მათ ფიქრში, მტყუველებში ხედავს. მწერალი დეტალიზების შესანიშნავი ოსტატია, ნატურალიზმამდე დაყვანილი თხრობა ამოღებებს აღწერილი მოვლენების ეფექტი. მკაცრია ის სიამართლე, რომელმაც ავტორი ჰატავს. მკაცრები, უხეშები არიან უნივეთ დასუსტული ეს ციშმირედი გლეხებიც, შესხანით ხელში (ხშირად უშამანოდაც) რომ იტავენ თავიანთ მიწას, რუსულ მიწას, რას იწამ, ომმა, ბორკტანს პიდილმა, ყოფნა-არყოფნის მიქნაზე პალანსირებამ, გაუხეშმა, სიტყვაქმნი გახადა ისინი, ამ ფონზე რაოდენ საცნურია ის უსარმაზარი ადამიანური სიბოძო, ყოველი ნერვის თრთილვამდე გასხივოსნებული სიუვარული, ესოდენ თავაწყვეტილად რომ გაღმოდებება ორი გაუბედურებული ადამიანის უნაწესი სულიდან. ამ მოთხრობაში არ არიან გმირები და ამავე დროს, ყველა თავისებურად გმირია. პირნათლად, გლეხური პედიანტიზმით „შრომობს“ ვისაც როგორ შეუძლია, მკლავს, თავს იცავს, უყვარს, სძულს. ერთი სიტყვით, უციღურესობამდე — ვაშისველებული ადამიანური ენებები.

ვ. ასტაფიევის მიერ წარმოსახულ ამ მძაფრსამყაროში ქართველი მკითხველი დიდი რიდიით შეტყავს შ. სულაბერიძის ოსტატურად შესრულებულ თარგმანს. რა სიძნელე ელბოზობოდა მთარგმნელს ამ წიგნზე მუშაობისას? აქ აღარ გავაგრძელებთ საუბარს იმ უცილონელ ფაქტზე, რომ თარგმნის დიდი ტრადიცია, დღევანდელ ქართველ მთარგმნელს, ერთი მხრივ, თუ სტიმულს აძლევს, ფრთხვს ახსამს, მეორე მხრივ, იგივე ტრადიცია და კორიფეთა ავტორიტეტი პასუხისმგებლობასაც განუწოშლად ზრდის და, ამდენად, ბორკავს მას. ჩვენი აზრით, ეს წიგნი სათარგმნი მასლისადმი მთარგმნელის უსოპო პატივისცემის ნიშნულად შეიძლება ჩაითვალოს. აღხანიშნავია, რომ ასტაფიევი რუსული ენის დიდიოსტატია, ავტორისტული ფრანზა „გაქედილი“ და ლაკონიურია, ამიტომ წინადადებაიდან ერთი სიტყვის ამოგდება ან შეცვლაც კი ელფერს დაუჯარ.

გავდა თხრობას. ამასთან, მოთხრობის გმირები, როგორც აღვნიშნეთ, ციმბირელები არიან. ციმბირმა კი, საერთოდ, სხვა კუთხეზე შეტად შეინარჩუნა ვასულ საუკუნეთა რუსულერ ენის ელფერი, განსაკუთრებით ლექსიკის თვალსაზრისით. მწერალს ბევრი დავიწყებული ე. წ. „სმარებიდან გასული“ სიტყვა აქვს გამოუცნეული, რომელთაც: სამწუხაროდ, ვერ იპოვნი ჩვენს რუსულ-ქართულ ლექსიკონებში, ცხადია, მთარგმნელს ყველა იმ სიტყვისათვის უნდა მოეძებნა შესატყვისი. ეს კი როგორც რუსული, ისე ქართული ენის საუფუკლიანი ცოდნის გარეშე შეუძლებელია. მთარგმნელის საამყოდ უნდა ითქვას, რომ მან კარგად დაძლია ეს სირთულე. იგი შემოქმედებითად მიუღვა სინონიმური ერთეულების შერჩევას, არ გამოედევნა მათს მაინცდამაინც სემანტიკურ თანდამთხვევას, ბევრ სიტყვას საქადრისი პლასტიკური, ფერადი შესატყვისი მოუძებნა.

შ. სულაბერიძეს კარგად უგრძნია ასტაფიევის პროზის რიტმი, პოეტურობა.

ცხადია, ძნელია თარგმანის ღირსებაზე ლაპარაკი კონკრეტული ფაქტების გარეშე. ამის მტკიცება რომ დავეწყო, წიგნის დიდი ნაწილის გადმოწერა მოგვიხდებოდა. ამიტომ აქ მხოლოდ ერთ, ჩვენი აზრით, როგორც ავტორის სტილის, ისე მთარგმნელის ოსტატობის დამადასტურებელ ადგილს მოვიტანთ.

Скорби шестелети немощные травы, похрустывая костлявый татарник, звучало вечное утешение над вечным покоем, и ни время, ни люди были не властны над этим.

Она развизала платок, прижалась лицом к могиле и ощутила лицом еще вовсе не остывшую плоть земли, хотя над нею все более ощутимо реял надвинувшийся с хребта холод.

— Почему ты лежишь один посреди России?

Больше она ничего не спрашивала. Думала.

Вспомнила.  
Рядом с ее лицом качалось, шестелета сухая немощная травинка. Все бури мира, все буйство земли подобрала она в себя, утешила их собою, боязно храня в бледной луковке корешка, стиснутого землю, надежды на пробуждение свое и наше.

„სევდიანად ბაზანებდნენ უღონო ბაღახები, კრიალებდა გამკლულები ბრტყელები. უნანაევბდა მარადისი ნუგეშის ხმა სამარადისო განსასვენებელს და ღროცა და ადამიანი ბიც უღონო იყვნენ ამის წინაშე.“

ქალმა თავსაფარი შეისხნა, სახით ხელფავს შეეკრა და კანით შეივარსო მიწის ჭერ კიდევ თბილი სხეული, თუმცა სტებს სულ უფრო მძიმედ სუღრავდა ქედდან წამოქროლილი სიცოცხე.

— რად წევხარ მართო აქ, შუაგულ რუსეთში?

და შეტი აღარაფერი უკითხავს. ფიქრობდა. იგონებდა.

სახესთან ხელი, უღონო ბაღახის ღერო ერთვოდა, უშრიალებდა. ქვეყნიერების ყველა ქარტხილი, დედამიწის ყველა სიმღერე შეიბღდა მან თავის წიაღში, დააცრო, დასოშმინა და სიფრთხილით ინახავს მიწაში ჩაფუხვილ ფერპკრთელ ბოლქვებში თავინი და ჩვენი გამოღვიძების იმედებს“.

ბუნებრივია, დავებადებო კითხვა: აქვს თუ არა ამ თარგმანს ჩრდილოვანი მხარე? ცხადია, სერპულხოვური შედარებით, დავწრილებითი ანალოზით ეპოქებით შედარებით გაუმართავ ფრანგებს, უკეთესი სინონიმე გამოუნდებოდა ალბათ ზოგიერთ სიტყვას, მაგრამ თარგმანის საერთო მაღალმა დონემ, გამოვცემებით, გავიჭრო ასეთი ძიების სურველი თანაც, ამ წერტილს არა აქვს დეტალური ანალოზის პრეტენზია. ჩვენ მხოლოდ ერთი მაღალმხატვრული წიგნის მაღალმხატვრული თარგმანით გამოწყვეული სისარული გაკუთხარეთ მკითხველს.

ვურავ ლეშაშელი

### გამოცემა და წომიარება

იაროსლავ ივაშვიძე — „ბაშის ბალა“. კოლონურიდან თარგმნა ნათელა გამაფილავ. გამოცემალოზა „მედიანი“, რედაქტორები ვ. სპატიანი, ნ. მახალა, 1978 წელი.

„შინაურულად თავს მხოლოდ ამ წარმოსახვით საყაროში ვგრძნობ — ჩემი (და არა მართო ჩემი) ხელოვნების საყაროში“, — ეს

სიტყვები გუთენის იაროსლავ ივაშვიძის, თანამედროვეობის გამოჩენილ მწერალს. კოლონური სიტყვის ოსტატს — პოეტს, პროზაიკოსს, დრამატურგს, პუბლიცისტს, კრიტიკოსს, დაუღალავ მთარგმნელს (მხოლოდურად თარგმნა შექსპირი, ტოლსტოი, ამატოვა და სხვ.), თეატრსა და მუსიკაზე მრავალი წიგნი ავტორის (დედასიზი მარია პონტოკოვა დიდი პოლონელი კომპოზიტორის კარლ შინაურსკის ნათესავი გახლდათ. ივაშვიძე: „...რაც შეეხება გავლენას, ვერ დავივიწყებ, თუ რა

ოსრობათა კრებული „არქის ქალა“, იგი ტაქტიკა და გეოგნებით თარგმნა ნათელა გავაშელმა.

ცხადია, ეს ხუთი მოთხრობა ვერ გვიქმნის სრულ წარმოდგენას მწერლის მდიდარ პროზაულ შემოქმედებაზე, მაგრამ შეარქმევინო, იმედია, განაგრძობს ნუშაობას ამ მიმართულებით და მალე ივაშეკვირის სხვა ნაწარმოებებზეც გადმოქართულდება. მით უმეტეს, რომ პირველი ცდა უთუოდ გამარჯვებით დაგვიტყვევებდა, ეს განცხადება მკითხველს დიტონ სიტყვებზე რომ არ მოეჩვენოს, ვთხოვთ, მოლოდინე ჩაიკითხოვს ეს წიგნი, რაც შეეხება თარგმანის დედანთან მიმართებას, მკითხველი უნდა გვენდოს და სიტყვებზე დავიჭიროვს: რამდენიმე მოთხრობის ორიგინალთან შედარებაში იმედო არ გავმტყუანო და ცხადყო, რომ საქმე გვაქვს ნათელი გეოგნებით, მკაცრი ზომიერებით შესრულებულ თარგმანთან. ამასთან არაკი ეგონოს, თითქოს ივაშეკვირის პროზა, ცვრეთ წოდებულ ადგილად სათარგმნელთა რიცხვს ეკუთვნოდეს. ეს პროზა სიტყვით მხატვრობა გახლავთ და პოეტური პროზის საუბრეთესო ნიმუშს წარმოადგენს (უაღბად გაგებული პოეტური პროზისაგან განსხვავებით), რაც კიდევ უფრო ართულებს თარგმანს. ეს ის პროზაა, სადაც „პეიზაჟი ერწუმის მუსიკას, არსებით როლს ასრულებს ივაშეკვირის პროზაში, მის რომანებისა და მოთხრობების კომპოზიციაში. მუსიკა ვაღრმავებული პეიზაჟია, მოვლენებისადმი ლირიკული მიმართების ერთსახეობა...“ (ლესლავ ბარტელსკი).

ივაშეკვირმა ერთგან თქვა: „...ბედნიერება უპირველეს ყოვლისა შინაგანი სიმშვიდე კი არ არის, ზელოვანს ამას ვერ მოსთხოვ, არც სურვილების უქონლობაა, არამედ მდიდარი და ყოველნაირად დახარკული ცხოვრებაა, რომელიც გამხნევენს და შემოქმედებისკენ გიბიძგებს“. ალბათ, ეს სიკეთე გამხნევენს ნათელა გავაშელს ახალ-ახალი სულიერი საზრდო შესძინოს თავის ერს.

გიორგი მავაშაძე

### ქართული საბიბლიოთეკის

ამთავარი გურბინიძე — „მარტოული ცეცხლი“, გამომცემლობა „ნაბადული“, რედაქტორი მ. არაბული, 1978 წელი.

დელო და გახმაურებული ლექსი, რომელშიც იგი აღერსით მიმართავს მშობლიურ მიწას: „შენ მუჭა-მუჭა ვაგიტანს საქართველოდან ალბათ ამიტომ დაპატარავდით“. ახალ კრებულში შეტანილ ლექსებშიც მამულიის უანგარო, თბილი, აღერსიანი სიყვარულის გრძნობაა ჩაწული, და პირველივე სტრიქონები მკითხველს ამავე გრძნობით ავლავებს: „მეო, მზეო თვალხატულავ, ანათე და იბრაჟე, სარკესავით ნათელ ცაზე დროსასავით იფრიალე“.

ამთავარი გურბინიძის ლირიკული გმირის უმთავრესი საფეკრალი საშობლოა. ბევრ მკითხველს ეხსოვება პოეტის ერთ-ერთი ადრინ-



დამიშვებთ თქვენში, დამიშვებთ ციკლა, თითა... საქართველო მომიწარვე სიხითოთი და სინათლითა“.

„მარადიული ციკლები“ მოწარმებისთვის დაწერილი წიგნია. ავთანდილ გურგენიძეს უხერხება პატარებისთვის წერა. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ უყვარს ზაფხულები, კარგად იცნობს მათს საფუძვალსა და ინტერესთა წრეს. პოეტს შესაშური ღირსება აქვს: იგი შეძლებისდაგვარად ერიდება შორალ დიდაქტიკას, არ აჩენებს მკითხველს მწამარტულ ზნეობრივ „რეცეპტებს“, თანაც ცდილობს თვითონ კი არ „დავიდეს“ პეფეის დონემდე. არამედ, პირიქით, მოწარმე ამბავს, „საკუთარ ძალითა რწმენა შემატოს და განუმტკიცოს. ამის საბუთად გამოდგება თუნდაც ოსტროვდიანი ლექსი „სასაიეთო საქმისთვის“:

ცაზე მიწვდება ბელები,  
თავსმა წვიმა რომ წამოვა, —  
თვეი მდინარე მკონია,  
მავიწყდება, რომ წყარო ვარ.  
წამოვლიდებნი წამიერ  
და შიგ მიწაში გაქვდები...  
რა მივირს, თუკი კეთილი  
საქმისთვის დავიხარებნი.

მამიე უიქრები იპყრობს პოეტს სამხო საფლათან, სადაც „ასეულოვით გარინდულან ვათლილი ჭვები“ და „ერთად მეფობს სინამდვილე და ფანტაზია“. გულწრფელი სიყვარულითა და სინანულით არის დასატული ზოია კოსმოდემიანსკაიას სახე. გულადი ქალიშვილი, „ნაწამები, მერადისხლიანი, სახრჩობელაზეც ღამაში ჩანდა“.

... „ღელსო — შენი ვასატანი — თვითონ უნდა გაიტანს; ჩანვი — შენი დასატავი — თვითონ უნდა გაითალო. შენ იცი და შენმა სწავლამ, შენ იცი და შენმა გარკამ, რაც ვერ შესძლეს წინაპრებმა, უნდა შეძლოს შენმა მაგამ!“ — ამ მგზნებარე სიტყვებით მიმართავს ა. გურგენიძე პოინერებს — ჩვენი ჭვეუნის იმედსა და მომავალს. პოეტი არატრახელ. და“

ვინებით შეახსენებს მოწარმებს, რომ სით და თავისთავად არაფერი კეთდება, რომ ყველაფერი, ყოველგვარი სიკეთე გულმოდგინე სწავლის, დაუღალავი შრომის, ბეჭითი გარკის შედეგად მოდის. პოინერს ყველაფერში ხუთიანი უნდა შეკონდეს, მხოლოდ მაშინ ჩაითვლება იგი სამშობლოს ღირსეულ შვილად. მხოლოდ მაშინ შეძლებს სული ჩაუღვას ქვას, ასახელოს მამა-პაპა, შექმნას ასალი სვეტიცხოველი და კიდევ უფრო ამბავს ქვარი... ამ პატარა პოემას („პოინერულს ვუკრავ სავეირს“), რომელიც თავიდან ბოლომდე ასეთი სულიკვეთებითაა გაღვნილი, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ყურნალ „პოინერის“ კონკურსზე პრემია მიენიჭა, იმავე ყურნალში დაიბეჭდა და მოკლე ხანში ჩვენი პატარების ერთ-ერთ საყვარელ ნაწარმოებად იქცა.

პოემა ლალი, ამბავებული, პარმონიული რიტმითაა დაწერილი. კითხვისას ერთხელაც არ წაიბორძიკებ, არაფერი — არც ერთი სახე, არც ერთი ფრაზა თუ რიფა — არ არის ნაძალადევი, ყურით მოთრეული, გაცვივითი... ესაა პოემა-მოწოდება, პოემა-დაჩივება.

„მარადიული ციკლები“ თითქმის თანაბარი ძალით დაწერა ილი ლექსების კრებულია. ეს „თითქმის“ არსებითად ერთ ლექსს — „ბორის მწელაქს“ — შეეხება. სამწუბაროდ, ამ ლექსში არ ჩანს ა. გურგენიძის პოეზიისათვის დანახაიათბელი უშუალობა და სინათლე, სტრიქონები ღუნე და დამძიმებულია. რითმონი „ბორის მწელაქს“ გაცილებით უფრო პროზაულია, ვიდრე თეთრი ლექსით გაწყობილი „ზოია კოსმოდემიანსკაიას“.

კარგი ლექსებია „შენია“, „ქახს ნატვრა“, „წყარო“, „მარადიული ციკლები“, „ღედას“, „ცხრა შთას იქით“ და სხვები, რომლებიც გვაფიქრებინებენ, რომ ავთანდილ გურგენიძის სახით ჩვენი პოეზიას მზარდი, მიჯანსწრაფული და სერიოზული შემოქმედი მყავს.

ნუგზარ აბსაჯავა.

**ნუგუზის რტო**

ირაკლი ციკლოვილი — ლმხსპა, გამოცემულია „მხანაი“, რამბატორი ზ. ზ. ლუსნიძე, 1978 წელი.

...სად შეიძლება იყოს ნაპირი, ან დამშვიდება ხად შეიძლება...“ — ისმის ყოველი სტრიქონიდან ზემოაგონების დაბირითებში მოხეტიალე სულის ამბავი და ეს კითხვა

გაოცებს მოიცავს მხოლოდ, არა შეფოთებას. იცის პოეტმა — ამ იდუმალ გზას არ აქვს ზოლო, და მასზე მავალი დასვენება არ უწერიათ, ვიდრე არსებობს „ლოდინის წვეთი ამოღუნნელი“, არც ისურვებდა მის დასრულებას:

...ეს ჩემი გზაა,  
ვერ გადავალ ამ რწმენის გზიდან,  
საკეთარ ჭვარცმას ვერც უწამლებ,  
ვერც უღალატებ...“

ერთადერთი ხსნა მხოლოდ ლტოლვა მარადი — „ციხა და ხმელეთის ნათლის“ ძიება, ოღონდ, იცოდე, გაურთხილება უნდა „წყურვილს“, ვითარცა „საგზაღს“, რომ შეგრჩეს ძალა გაიტანო ლტოლ ბოლომდე. საოცარი მიგნებაა პარალელი „წყურვილსა“ და „საგზაღს“ შორის... — დაუოკებელი წყურვილი ყოველივეს შემეცნებისა არის შემოქმედის პური არსობისა, წყურვილის მოკვლა ნიშნავს უკვე გზის გასრულებას, რადგან ძიება არ არსებობს უკმარობის გრძნობის ვარდში, მაძიებელი სულსათვის კი ახალ-ახალი მღვიმეები ხსნიან კარიბჭეს:

მიხარის შორი  
ველები...  
შორი ტრამალი მიმზერს  
და დასიზმრებულ  
რიცრავის კრთოშით  
თანდათანობით ვივებები ისევ..

თუმცა, სწორად თვით წყურვილის დიდი სიმძაფრე არენს იარას, რადგან „უამი იქპარის“ და პრვენ იცის „როდის მონახავს ხეთების თვალი, ის სასწაული მოვა როდისღა...“ ხუნდება ოცნებათა ფერადოვნება. ის, რაც ბავშვობის ფანტაზიას ბელეწიფება, შემდგომში მიჩრავით გამოიყურება, მაგრამ ცხოვრების ბოლომდე მოჩანს თვალსაწიერზე ჩვენგან აღუდგებელი ციხე-კოშკის კონტურები, რომელიც ჩვენ თვითონ აღვმართეთ იმ სიმაღლეზე, რომელსაც ვერასოდეს შევწვდებოდით, დასამხობად კი არ გვემეტება... ხუღში იბადება ურუტკივლი. ტკივილი, რომელიც ნელდება, მაგრამ უკვალოდ არასოდეს არ ქრება:

რაც კი ოდესმე მოვნატრებია,  
გაგსენებია სამზეოზე,  
ანდაც  
სისსლში უყვიინია  
ქარიშხლების საპირისპიროდ, —  
თურმე მოჰყავდით ამ დღისათვის,

ამ სუსხისათვის...  
ის ყოველივე  
შენი სიტყვის ფსკერზე შევილობს,  
დალექილია შენში,  
რომ კვლავაც  
დაგდოდეც ყინულის ცრემლი  
იმ შორეული გარსკვალვიდან  
ჩამოწეული...

წიგნის ავტორი ზვიადი მთების მკვიდრია. სადაც ბუნდოვნად აღწევს ქვეყნის მიტომოეთი, სად პირველქმანალი იდილია მტფობს. მარადუნს. მტი რა უნდა აღმინის სულის ჰერედად მიქცეულ პოეტს. ბუნების მადლით მიროცტებულ ფერების მონას... თუ მიკლექსებს ერთგვარი წუხილის ელფერაც დაკრავს. ესეც საგნებით ბუნებრივია, რადგან შექჩრდილთა მარადიულ მოცილოებას, დროთამის სბროლას დღესაც მწარედ აღიქვამს კაცი...

...ნუგეშის რტოო — ამომაელო,  
ეს ულიმამო  
ცდომილიც ჩაეა  
და გადახედავ ბნელის გაღვანს,  
ვით გადუკლია შენამდე მავანს —  
შენც გადაიელი ელვის დრტებლბად  
და აღმოსდებას შუქის ჩქერალი  
— შენც გადაიელი...  
და დასრულდება  
ნუგეშის რტოო, გზი ვერანი...

ირაკლი ციგროშვილის ლექსები ვერ მოგხიბლავთ ერთი წაკითხვით, ვერც უჩვეულოს აღმოაჩნთ მათში რაიმეს, მაგრამ, თუ კი ვსურთ კვლავ შეიგრძნოთ ის ზებუნებრივი განცდა, რაც ოდესღაც დაგუფლებიათ ბუნებასთან განმარტოებულთ, წაიკითხეთ ამ პატარა ლექსთა კრებული მკორძალეზული სტრიქონები.

დინანა ნიკლაური





# კულტურული ცხოვრების ქ რ ი ნ ი კ ა

## აზუს

### პიკინგები შორს დაცურავდნენ

ქალბქ მაინეში იპოვეს ძველისძველი მონეტა, რომლის ერთ მხარეზე გამოსახულია ჭვარი.

ვარაუდობენ, რომ ფული ვიკინგების მეფის ოლოფ კუარის მეფობის დროს არის ჩამოსხმული. ერთი ცნობილი ლონდონელი ისტორიკოსი და ნუმიზმატი ამ ფულს იმის დამადასტურებლად მიიჩნევს, რომ ვიკინგები ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში ესტუმრნენ ჩრდილოეთ ამერიკას.

### ვულკანები კოსმოსში

ამერიკულმა კოსმოსურმა აპარატმა „ვიოაჟერ — 1“, რომელმაც დიდი სისწრაფით ახლოს ჩაუჭრა ოუპიტერს, სურათი გადაუღო ამ ვიკინგურ პლანეტას და მის რამდენიმე ბუნებრივ თანაგზავრს. თანაგზავრ იოს ფოტოსურათებზე მეტყველებს ამოჩინების ექვსი მოქმედი ვულკანი, რომლებიც კოსმოსში აფრქვევენ ვაზსა და მტვერს დახლოებით 600 კილომეტრ სიმაღლეზე.

არტს-კონფერენციაზე პასადენის (კალიფორნია) რეპტიული მოძრაობის ლაბორატორიაში „ვიოაჟერ-1“-დან მიღებული სურათების დამამუშავებელი ჯგუფის ხელმძღვანელმა ბრედფორდ სიტმა განაცხადა: „დედაშიწის ვარდა არხად შევეიმჩნევია თანაგზავრად ვულკანური აქტივობის ნიშნები ჩვენს მზის სისტემაში“.

## გულბარათი

### მსიკა გპარნალი

ძველად აღმოაჩინეს სქეროდათ მუსიკის მაგიური ძალისა; დარწმუნებული იყვნენ, რომ მუსიკა ესმარებოდათ სხვადასხვა დაავადებასთან ბრძოლაში. ჩვენს დროში ეკიპებმა სერიოზულად მოაკიდეს ხელი მუსიკის სამკურნალო შევადგენის შესწავლას და საგულისხმო შედეგებსაც მიაღწიეს. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ფლიტის ან კლარნეტის ბგერები სასიკეთო ცვლილებებს იწვევს სისხლის მოძრაობის სისტემაში.

ვილინიოზე დაკვრა ამშვიდებს „აწეწი“ ნერვებს. მხნე რატები აღაგზნებენ კუნთების მუშაობას.

შესაძლებელია თუ არა მუსიკის პრაქტიკული გამოყენება თანამედროვე მედიცინაში? სოფლის სამედიცინო აკადემიის ფსიქოთერაპიული კლინიკის კაბინეტის გამგე დოქტორი ალექსევი იმ აზრისაა, რომ შეიძლება. მუსიკალური თერაპია უკვე გამოყენება ბულგარეთში ნერვების მოშლილობის, ასთმის, მაღალი სისხლის წნევის, სისხლძარღვების დაავადებათა სამკურნალოდ.

ბულგარეთში მუსიკალურ ფსიქოთერაპიას იყენებენ ზოგიერთ სანატორიუმში.

## ღანი

### „ბანალები“ ელსინოვსში ბრუნდება

ღანიის ქალაქ ელსინოვსში აღმართულ კრონბერგის ციხე-დარბაზში, გადმოცემის მისედ-

ვით, მოხდა შექსპირის მიერ „შამლეტი“ აღწერილი ამბები. ჩვენი საუკუნის 80-იან წლებში და მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ციხე-დარბაზის ეზოში ზაფხულში იმართებოდა წარმოადგენები, მაშლეტის როლს ასრულებდნენ სახელგანთქმული მსახიობები ლოურენს ოლივიამ და მაიკლ რედგრეიამ.

ეს ტრადიცია 60-იან წლებში ჩაყვდა, მაგრამ სულ ახლახანს გადაწყვიტეს კვლავ დაეგინა წარმოდგენები, მით უმეტეს, რომ ელსინოვი ტურინის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი გახდა. მომავალ ზაფხულში აქ „შამლეტს“ დაეგინა ინგლისის „პრინსტონ თიეტრ კომპანი“. პრინციის როლს დერეკ იაკობი შეასრულებს.

## ერაყი

### ზაჯილონის ბაზლი ბათისკამი

ძველი ბაბილონის გათხრების დროს არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ჭვა, რომელიც შეფუთავდა ნაბუქოდონოსორ მეორემ დაღო ჩვენს ერამდე მე-6 საუკუნეში ქალაქის მთავარი მაგისტრალის აღსადგენი სამშუაოების დაწყებისას.

ჭვასთან ერთად ნახეს ლურსნული წარწერებით შესრულებული ფილა, სადაც ჩამოთვლილია ნაბუქოდონოსორ მეორის მიერ განმარტავებული სამშენებლო ობიექტები.

მეტეორებმა გათხარეს აგრეთვე აკლამა, სადაც აღმოჩნდა აღმონის ჩონჩხი და ოქროს სტატუეტები. ეს სა-



### საზრანგეთი

#### თავდაზნაშურული ტიტულუმის გაუქმება

საზრანგეთის ხელისუფლებამა მიიღეს გადაწყვეტილება გააუქმონ თავდაზნაშურული ტიტულუმი. თავდაპირველად ეს მოხდება ტელეფონის ცნობარტში.

როგორც ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, ადგილის დაზოგვის მიზნით, ტელეფონის წიგნებიდან ამოიშორება თავდაზნაშურული ტიტულუმი. დემოკრატიული პარტიები რომ არ დაირღვეს, შეეცირდება ისეთი მიმართვა, როგორცაა „დოქტორი“ და ზოგიერთი საეჭლეო ტიტულუმი.

უფრო ადრე საზრანგეთის პრეზიდენტმა უბრძანა თავის პერსონალს არ შეეტანა თავდაზნაშურული ტიტულუმი პრეზიდენტის მიერ გაპარტოული წევრულებების მოსაწყვევ ბარათებში.

### კოლანდი

#### ნაზი ტვირთი

უჩვეულო დილით ჰოლანდიის 18 ქალაქში იმართება თვალის გამახარელი უკავილების საჯარო ვაჭრობა. ვაჭრობაზე იხილავთ 71-ზე მეტი სახის ვარდს, 80 სხვადასხვა ჯიშის მიხაკსა და ტბას, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ხარობს ამ „უკავილთა სამეფოს“ სათბურებში. უკვლავ დიდი საჯარო ვაჭრობა, რომელიც დასაბამს 1912 წლიდან იღებს, იმართება ქალაქ ალსმერში, საიდანაც უკველწლიურად 6 მილიონი უკავილი და დეკორატიული მცენარე ეგზავნება მუდველებს. ხუთიდან ოთხი უკავილი მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნება, და ეს განსაკვირბო როდია, უკავილების ენა ხომ უკვლასათვის ვასაგებიან!

„კონტინენტალ 1100“ ეწოდება, ჭრჭერობით უნიკალურია — საქორების მიხედვით შეიძლება მანქანაზე როგორც მარცხნიდან მარცხნივ ბეჭდვა.

### კოლონეთი

#### კინოტაშვირით ატლანტის ოკეანის სიღრმეებში

უკვე რამდენი საუკუნეა კაცობრიობა თავს ამტვრევს იმის თაობაზე, სად უნდა იყოს ჩაძირული ლეგენდარული ატლანტიდა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, იგი დაახლოებით ათი ათასი წლის წინათ შთანთქმა ოკეანეში. სწორედ ამ პრობლემას ეძღვნება ფილმი „მსოფლიო ოკეანის საიდუმლოება“. ეს ფილმი ერთობლივად შექმნეს პოლონელმა და საბჭოეთა კინემატოგრაფისტებმა.

სურათის ავტორებმა მოაწვეეს ექსპედიცია ატლანტის ოკეანეში, ბაჰამის არქიპელაგის კუნძულ ბიზინიზე, სადაც ძიებას ეწყება ამერიკელი არქეოლოგი რიჩარდ უოტკოტი. ოკეანის სიღრმეში პოლონელი ოპერატორის მარტე იავორსკის კინოკამერამ აღებუდა უჩვეულო სანახაობა — თლილი ფილებით ნაგები გზა, წყალმცენარეებით დაფარული, ნახვრად დანვრეული კედლები. ნანგრევები თვალნათლივ ადასტურებს, რომ ამ ადგილას ოდესღაც მდებარეობდა ნავსადგური და სანაპირო. ოკეანის ფსკერზე ნაპოვნია აგრეთვე მარშალიოს ქანდაკებები, რაც ქვის დამუშავების მაღალ ტექნიკაზე დაბარბაობს.

ვათხრების რაიონი ემთხვევა იმ ადგილს, რომელზეც პლატონი წერდა, როცა ატლანტადის თაობაზე მველბერანულ გადმოცემას ახსენებდა.

მაროვანი მდებარეობს ბაზილონის მთავარი ტაძრის კედლის სამხრეთ ნაწილში. გათხრები, რომლებსაც ერთეული არქეოლოგები ძველი ბაზილონის ტერიტორიაზე უკვე წელაწაღებ მეთია ეწვევიან, მიზნად ისახავს ამ ქალაქის პირვანდელი დაგეგმარების აღდგენას.

### ინგლისი

#### „კოლონური მადრასი“

ლონდონში გავრცელდა ახალი თამაში „კოლონური ჭადრაკი“. მისი გამოგონებელი ვლადისლავ გლინსკი ინგლისში მეორე მსოფლიო ომის დროს მოხვდა.

„კოლონური ჭადრაკის“ თამაშის წესები იგვეა, რაც ჩვეულებრივისა. განსხვავება ისაა, რომ ჭადრაკის დაფას ექვსი წახნავი აქვს. დაფაზე 91 უჭრეღია — 30 თეთრი, 30 შავი და 31 დაშტრისული. ამას გარდა, მვეულებრივ ჭადრაკთან შედარებით პოლონურში ზედმეტი ეტლი და პაიკია. ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში უკვე დაარბდა პირველი კლუბები, სადაც ექვსწახნავიან ჭადრაკს თამაშობენ.

### ლიბანი

#### ორბენოვანი სხაველი მანანა

ლიბანის ერთმა კომპანამ, რომელიც კანტორებისა და დაწესებულებებისათვის ტექნიკურ მოწყობილობებზეა დასპეციალებული, ამას წინათ გამოუშვა ორბენოვანი საბეჭდი მანქანა. მანქანას აქვს არაბული და ლათინური შრიფტები. ეს საბეჭდი მანქანა, რომელსაც



კრიტიკის: და პუბლიცისტის განყოფილება მასალებს შიგნით არა უმეტეს ერთი ხავეტორი  
თაბახისა.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე —  
72-26-82, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-80,  
ლიტერატურული თანამშრომლება — 72-17-02, იცისკრის" დამატება — 72-17-01, ხეორექ-  
ტორი — 72-43-75.

გაღებულ ასაწყობად 12. 4. 79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1. 6. 79 წ., ქალაქის ზომა  
70 X 108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ.  
თაბახი 15.85. შეეკვ №1130. უფ 00728. ტირაჟი 37.600.

საქართველოს კვ ცვის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14  
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

№ 160 60 353.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236